После увольнения полковника Штремпеля от занимаемой им должности, германская военная миссия в Турции надолго осталась без начальника штаба. Временно исполняли обязанности начальника штаба военной миссии майоры КёмаѠ Kettur и Мюльман (Mühlmann), являвшиеся работниками второго разряда².

Генерал Сандерс глубоко ошибся в своем расчете: во-первых, ему стало трудно работать без начальника штаба, а во-вторых, уход полковника Штремпеля отрицательно отозвался на работе военной миссии, так как Штремпель был хорошо знаком с турецким военным миром и всеми его особенностями. Эти знания он приобрел в результате семилетнего пребывания в Турции, в постоянном общении с высшими офицерами и при частных разъездах по различным местам страны. К этому надо добавить и знание Штремпелем турецкого языка³.

Вслед за отъездом полковника Штремпеля ушли и некоторые другие офицеры, в том числе генерал Пёссельт, полковник Матис, подполковник фон-Лосов и майор Вейс. Эти офицеры, вместе с Штремпелем, находились в Турции еще до прибытия новой военной миссии и имели большую практику работы в турецкой армии.

Со слов генерала Сандерса причиной их ухода явилось сомнение с их стороны в успехе предпринятой работы. Но, в действительности, и в данном случае основная причина заключалась

¹ Русский военный агент в Константинополе генерал-майор Леонтьев непосредственно наблюдавший за деятельностью германской военной миссии в Турции, в своем донесении от 29 марта 1914 г. о действительной причине отъезда в отпуск полковника Штремпеля пишет следующее: „Почти непосредственно перед отъездом, я имел случай видеть Штремпеля, и он совсем не имел вида больного или утомленного человека; к тому же, перед вступлением в новую должность он был в отпуску; об отпуске он и не заговаривал, а наоборот, ожидал в скором времени приезда своей семьи, с которой и должен был поселиться в только что нанятом доме“. См. ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 6.

² Там же, л. 10.

³ Там же.

в неработности этих офицеров с генералом Сандерсом и в их недовольстве его новым курсом. До последнего времени они, находясь в группе генерала фон-дер-Гольца, работали вполне самостоятельно, вне контроля, а теперь грубое и властное вмешательство генерала Сандерса во все детали деятельности этих офицеров болезненно задевало их самолюбие¹.

В конечном счете разногласия, возникшие в немецких кругах в Турции, не могли не оказать отрицательного влияния на деятельность самого генерала Сандерса в Турции.

Самовластность и грубость генерала Сандерса особенно резко проявлялись по отношению к турецким военным деятелям. Это не было неожиданностью ни для немцев, ни для турок. Еще при получении первого известия о назначении новой германской военной миссии, в Турции начали раздаваться голоса, утверждавшие, что она неизбежно встретит на своем пути многочисленные препятствия и трения, могущие совершенно скомпрометировать успех ее работы². Все эти предсказания оправдались.

С первых же дней после приезда в Турцию генералу Сандерсу пришлось столкнуться с турецким военным министром, молодым Энвер-пашой, претендовавшим на самостоятельность в своей деятельности³.

Энвер-паша считался у немцев своим человеком. Они видели в нем готового проводника своих идей и планов и неизменно восхваляли его как человека талантливого и одаренного. Немцы недооценивали присущие Энвер-паше такие качества как властолюбие, эгоизм, фанатическую преданность национальным интересам. Эти особенности характера заставляли действовать министра в противовес немецким интересам⁴.

Как впоследствии стало ясным, Энвер-паше хотелось самому стать во главе реформаторской работы, лично давать все необходимые директивы и использовать немцев лишь в качестве рабочей и подчиненной ему силы. „Инструкторами они могут быть, советниками — нет“, говорил Энвер-паша⁵.

¹ ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 11.

² ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 9. Левитьев Жиланскому от 5 января 1914 г.

³ Там же, л. 10.

⁴ Там же.

⁵ ЛГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 270.

Сам же генерал Сандерс, несмотря на посылавшиеся на него милости — двойное производство в чине по германской и турецкой армии (в мушеры) и пожалование ему германского ордена „Короны 1-ой степени“, чувствовал себя далеко не в своей тарелке.

Первый серьезный конфликт между Энвером-пашой и генералом Сандерсом произошел по поводу увольнения 280-ти старших чинов турецкой армии без ведома и санкции генерала Сандерса.

Генерал Сандере попытался сделать свои представления по этому поводу турецкому военному министру, но наткнулся на вполне определенный и решительный отпор¹. Второй разговор, который он имел с Энвер-пашой по поводу его собственных обязанностей и командования корпусом, мог только подлить масло в огонь.

При всем этом нельзя не принимать во внимание и те личные чувства, которые испытывал пожилой немецкий генерал перед лицом 30 летнего военного министра, вчерашнего капитана, разговаривавшего с ним авторитетным тоном и облеченного огромной властью.

Но основной причиной непримиримых противоречий между турецким военным министром и германским генералом являлся возмутительный произвол последнего в решении местных военных и государственных вопросов.

Наибольшее возмущение турецких военных руководителей и правительственных деятелей было вызвано экспансионистскими действиями германской военной миссии. Из них наиболее важными являлись: настойчивые домогательства замены артиллерийского командного состава батарей проливов германскими офицерами и стремление одновременно подчинить своему влиянию личную оборону проливов; установление широкого негласного германского агентурного наблюдения за деятельностью турецких государственных деятелей; репрессивные меры, проводимые в отношении турецких офицеров и чиновников и грубое обращение с ними членов миссии; игнорирование во многих случаях существующих в массах турецкого населения религиозных обрядов,

¹ Там же.

настойчивые стремления к установлению широкого финансового контроля за деятельностью органов турецкого государственного управления¹.

Все перечисленные экспансионистские мероприятия, осуществленные представителями германской военной миссии в Турции, вызвали такое сильное раздражение и возмущение в крайних консервативных турецких кругах, что назревала мысль об освобождении от германской тирании путем организации покушения на жизнь главы германской военной миссии генерала Сандерса².

К концу марта 1914 г. в турецких правящих кругах образовалась сильная оппозиция против германского режима, осуществляемого представителями германской военной миссии. Открыто колонизаторская политика Германии обратила на себя внимание не только лиц, близко с ней соприкасавшихся, но и широких слоев турецкого общества. Антигерманское движение с каждым днем охватывало все более широкие общественные круги Турции³.

Националистически настроенные турецкие элементы были в высшей степени недовольны настойчивыми действиями генерала Сандерса по быстрейшему осуществлению реформ, намеченных в армии. Эти элементы возглавил турецкий военный министр Энвер-паша, под руководством которого были приняты серьезные меры по ограничению деятельности германской военной миссии⁴.

¹ ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 171.

² Там же, л. 178.

³ 28 марта 1914 г. двое агентов из числа состоявших при генерале Сандерсе, пренебрегая всякой осторожностью, устроились при Константинопольском почтовом бюро для контроля над некоторыми видами корреспонденции, но были обнаружены турецкими патриотами и арестованы вместе с тремя подкупленными ими чиновниками почтового бюро. См. ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 57.

⁴ Так, напр., на совещании Высшего Турецкого Военного Совета 29 марта 1914 г. Энвер-паша огласил принятую без возражения, ограниченную программу деятельности германской военной миссии в Турции.

Во время прений Энвер-паша указывал, что непринятие предложенной программы может вызвать со стороны турецкого общества проявление более опасных для германо-турецких отношений действий. См. ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 196.

Вслед за многочисленными инцидентами, возникавшими между генералом Сандерсом и Энвер-пашой¹, с каждым днем усиливалось недовольство во всех слоях турецкого населения. Могучим стимулом к этому послужил еще и тот момент, когда в брешь, пробитую немецкими офицерами, нахлынули толпы германских финансовых и коммерческих деятелей и других культуртрегеров, готовых закрепить за собой и в экономическом отношении только что отвоеванные позиции.

Крайне националистически настроенные элементы засыпали анонимными угрозами как генерала Сандерса, так и отдельных членов германской военной миссии. Массовое волнение нередко доходило до того, что в турецких правящих кругах возникли опасения в возможности заговоров и покушений против немцев².

Таким образом, предприимчивые германским империализмом явно экспансионистские мероприятия, выразившиеся в захвате всей военной и отчасти политической власти в Турции, в установлении немецкого контроля над Черноморскими проливами и береговыми укреплениями в районе Константинополя, не были полностью осуществлены из-за упорного сопротивления империалистических держав Антанты, в особенности царской России, и отдельных турецких военных и гражданских патриотов.

Однако, несмотря на эти неудачи, при общей оценке деятельности военной миссии генерала Сандерса в Турции, нельзя игнорировать того факта, что она в значительной мере содействовала как подготовке, так и вовлечению Турции в мировую войну на стороне Германии и ее союзников.

¹ Между прочим, 24 марта между генералом Сандерсом и Энвер-пашой произошел новый конфликт по поводу права инструктирования турецких войск. Энвер-паша высказал мнение, что инструкторские объезды и осмотры могут производиться немецкими инструкторами не иначе, как с особого каждый раз разрешения турецкого военного министра. Конфликт принял настолько острый характер, что Сандерс едва не ушел из турецкой службы. См. ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 718, л. 5.

² Наряду с этим, в турецких правящих кругах создавалось мнение, что вызывающая деятельность генерала Сандерса вытекает из заранее составленной программы. Она предусматривала использование в виде предлога для активного вмешательства в турецкие дела установление в Турции порядка с помощью германских войск и окончательное утверждение германского влияния на берегах Босфора. См. ЦГВИА ф. 2000, опись 1, д. 2870, л. 58.

³ Ljman von Sanders, Fünf Jahre Türkei, s. 34—35.

ს. ბ ვ ი ლ ა ვ ა

ტ ქ ი ბ უ ლ ი ს რ ა ი ო ნ ი

(ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება)*

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად ამჟამად ახალი ამოცანები დგას მეცნიერებათა წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბის სამუშაოები სრულდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

„საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია ისეთ მწვერვალებს, ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, განახორციელა ისეთი გრანდიოზული გარდაქმნები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ჩვენს ქვეყანას შევიდეს ახლა თავისი განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში“¹.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ საბჭოთა ხალხს უდიდესი ამოცანები დაუსახა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საქართველოს, მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისმის მშენებლობის საქმეში.

* სადისერტაციო ნაშრომი. დასაბუქდად წარმოადგინა აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრამ. იბეჭდება შემოკლებით.

¹ ნ. ს. ბ რ უ შ ჩ ო ვ ი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ, მოხსენება სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე 1959 წლის 27 იანვარს (საქართველოს კ კ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1959, გვ. 15).

საქართველოს სსრ ეკონომგეოგრაფთა საკმაო რაოდენობის შრომები ემსახურება ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა სამეურნეო დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს. ამის მიუხედავად, ცალკეული რაიონები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი.

ეს სადისერტაციო შრომა ერთ ერთი ადმინისტრაციული ერთეულის, სახელდობრ, ტყიბულის რაიონის ეკონომიურ-გეოგრაფიულ დახასიათებას წარმოადგენს.

ტყიბულის რაიონის შესწავლას შეეუდევით 1946 წლიდან, ამას საფუძვლად დაედო ბუნებრივი რესურსების განლაგება, დასახლებული პუნქტების თავისებურებანი, მეურნეობის განლაგება განვითარების პირობები, შეგროვებულ იქნა საჭირო სტატისტიკური მასალები. შრომაში გამოყენებულია მარკსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებები, ეკონომიურ-გეოგრაფიული, ფიზიკურ-გეოგრაფიული, გეოლოგიური, ისტორიული ხასიათის შრომები, საარქივო მასალები და სხვ.

შრომაში განხილულია შემდეგი საკითხები: ბუნებრივი პირობები და რესურსები, ისტორიული წარსულიდან, ტერიტორია, მოსახლეობა და კულტურა, სახალხო მეურნეობა, შიდარაიონული განსხვავებანი; პერსპექტივები. ნაშრომს დართული აქვს ფოტოსურათები, ცხრილები და რუკები.

1. ბუნებრივი პირობები და რესურსები

ტყიბულის რაიონი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში ჩრდილო განედის $42^{\circ} 15'$ და $42^{\circ} - 7'$ შორის, ხოლო აღმოსავლეთ გრძედის $42^{\circ} 43'$ და $43^{\circ} 07'$ შორის.

რაიონი ვრცელდება ქუთაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მასზე გადის ქუთაის-ტყიბულ-ამბროლაურის სამანქანო გზა. ტყიბული ქუთაისთან დაკავშირებულია ელექტროფიცირებული რკინიგზით. ქუთაისი ამ რაიონისათვის ეკონომიური მიზიდულობის ცენტრია.

საკვლევ რაიონს ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთით ამბროლაურის, სამხრეთით — თერჯოლის, აღმოსავლეთით — ქიათურის, დასავლეთით (ნაწილობრივ) — წყალტუბოს რაიონი, ხოლო უკიდურესი დასავლეთი ქიმიით იგი ქალაქ ქუთაისის ფარგლებს ემიჯნება. საზღვრების საერთო სიგრძე დაახლოებით 120 კმ-ს შეადგენს. რაიონის მაქსიმალური გავრცელება ჩრდილოეთიდან სამხრე-

თით 22 კმ ია, დასავლეთიდან აღმოსავლეთით კი — 40 კმ. ტერიტორია 463 კვ. კმ-ს აღემატება.

რაიონი ძირითადად წარმოადგენს კავკასიონისპირა გორაკბორცვიანი ზონის ნაწილს და ძირითადად კოლხეთის ბორცვიან ვაკეს მიეკუთვნება. რაიონის მხოლოდ მცირე ნაწილი (ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი პერიფერიები) წარმოადგენს საშუალო სიმაღლის მთებს. აღმოსავლეთ მხარეზე მდებარე მთების ზონა უმთავრესად ნაქერალას ქედის სახითაა წარმოდგენილი. ნაქერალას მთები დაჰყურებს ტყიბულის რაიონის უდიდეს ნაწილს. ნაქერალას სიმაღლე აღწევს 1.570 მეტრს.

ამ ზონის დასავლეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიულ მასალებში ცნობილია ოკრიბის სახელწოდებით, დანაწევრებულია უმთავრესად გასწვრივ წყალგამყოფებად, რომელთა სიმაღლე ცვალებადობს 170—850 მეტრამდე. ოკრიბის ზედაპირისათვის დამახასიათებელია ეროზიული რელიეფის მაქსიმალური განვითარება. ხეობები უმთავრესად ღრმა და ვიწროა. იშვიათ შემთხვევაში გვხვდება განიერი ტაფობები, მაგ., ახალსოფლის, მუხურისა და ცუცხვათისა.

პირველი ცნობები რაიონის გეოგრაფიული მდებარეობისა და ზედაპირის შესახებ მოცემული აქვს ცნობილ ქართველ გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს.

რელიეფისა და განსაკუთრებით გეოლოგიური აგებულების შესწავლის მიზნით მრავალმა მკვლევარმა ჩაატარა მუშაობა ოკრიბაში. შესწავლის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენდა ტყიბულის ქვანახშირის საბადო.

რაიონის თანამედროვე რელიეფის წარმომშობ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გეოლოგიურ აგებულებას. ეს ზონა აგებულია იურული და ცარცული ნალექებით. რაიონის უძველესი ქანებია პორფირიტული წყების ტუფ-ბრექჩიები, ტუფოგენური ქვიშაქვები და სხვ.¹

ამ წყების პეტროგრაფიული შესწავლა ეკუთვნის პროფ. გ. ძოწენიძეს², ხოლო გეოლოგიურად იგი პროფ. ი. კახაძემ შეისწავლა³. ეს წყება უმეტეს შემთხვევაში შეიცავს მკვრივ ქანებს, რო-

¹ А. И. Джанелидзе, Геологические наблюдения в Окрибе и смежных частях Рачи и Лечхума, Тбилиси, 1940, гл. 11, 27, 38, 40.

² Г. С. Дзоценидзе, Н. И. Схиртладзе, И. Д. Чечелашвили, Литология батских отложений Окрибы, АН ГССР, Тбилиси, 1956, гл. 9—56.

³ И. Р. Кахадзе, Грузия в юрское время, АН ГССР, Тбилиси 1947, гл. 76—94.

მელთა საფუძველზე ყველგან ინტენსიურად დანაწევრებული მაღალი რელიეფია. წყებას ახასიათებს ნაპრალები, რომლებთანაც დაკავშირებულია ბარიტის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები (სოფ. კიროვი, სოფ. ოჯოლა), კვარცისა და კალციტის ძარღვები.

ბაიოსურ ფორმაციას ზემოთ მიჰყვება ბათური ნალექები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია ქვიშაქვებითა და ფურცელათიხებით. ამ ნალექებთან დაკავშირებულია ტყიბულისა და გელათის ქვანახშირის საბადოები. იურული ნალექები რაიონში მთავრდება ფერადი წყებით; მის ზემოთ წარმოდგენილია ცარცული ნალექები, რომლებიც კირქვებით არის ცნობილი. ამ ნალექებით აგებულია რაიონის ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი პერიფერიული ნაწილები. კირქვიანი რელიეფი მკვეთრად განსხვავდება იურულ ნალექებთან დაკავშირებული რელიეფისაგან. კირქვებისათვის დამახასიათებელია ღრმა ეროზიული ფორმები, კანიონის ტიპის ხეობები. რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარსტულია. კარსტი წარმოდგენილია გამოქვაბულებით (მოწამეთის, გელათის, ცუცხვათის, ახალსოფლისა და ტყიბულის მიდამოები), მიწისქვეშა მდინარეებით, ძაბრებით და სხვ.

ცარცულ კირქვებს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, როგორც საშენ მასალას. ქვედა ნეოკომური კირქვები რიგ ადგილებში გადოლომიტებულია (გელათი, მოწამეთა და სხვ.), ხოლო ფორმაციის ზედა ჰორიზონტები, ე. წ. ურგონული ფაციესის ბარემული ასაკის კირქვები, ბევრგან გამარმარილოებულია, საიდანაც დღეისათვის სამრეწველო მნიშვნელობა აქვს გელათის საბადოს.

იურულ და ცარცულ ფორმაციებში შემოკრილია სხვადასხვა სახის მაგური ქანები, რომელთა შორის განსაკუთრებული სამრეწველო ღირებულებისაა კურსების ტეშენიტი.

ტექტონიკურად ტყიბულის რაიონის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ვრცელ ანტიკლინს, რომლის თხემი გადარეცხილია, რის გამოც ცენტრალურ ნაწილში გაშიშვლებულია უფრო ძველი — იურული ნალექები, ხოლო პერიფერიაში — ცარცული.

საერთოდ, რაიონში გავრცელებული ქანებისათვის დამახასიათებელია ინტენსიური მეწყრული მოვლენები, რომლებიც განსაკუთრებით გავრცელებულია რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიულ ზოლში, ნაქერალას ქედის კალთებზე.

წიაღისეული სიმდიდრეებიდან რაიონში აღსანიშნავია: ქვანახშირი, მურანახშირი, ლიპტობიოლიტური და ნახშიროვანი ფიქალები, ტეშენიტი, ბარიტი, კვარცის ქვიშები, კირქვები, მარმა-

რილო, კაოლინი, ცეცხლგანძლე თიხები, ბაზალტი, დოლომიტი, გიშერი, ოზოკერატი, ანუ მთის ცვილი, ალუნიტი, ანუ შაბის ქვა, პირატი (გოგირდის აღმადანი), ტყვიის კრიალა, საწისქვილე და საშენი ქვა, საცემენტე და ბენტონიტური (მათეთრა) თიხები¹. ამათგან ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ქვანახშირი.

რაიონში მინერალური წყლების რამდენიმე გამოსასვლელი მოიპოვება (გოგირდის ცივი წყაროები კურსების, ლეღვას, ხრესილის, ბუეთის, ტყიბულის, ძმუისის და საწირის მიდამოებში).

გეოლოგიურმა აგებულებამ, როგორც ერთ-ერთმა რელიეფ-წარმოქმნელმა ძირითადმა ფაქტორთაგანმა, განაპირობა ტყიბულის რაიონის თანამედროვე, საკმაოდ ღრმად დანაწევრებული რელიეფის სახე.

აკად. ალ. ჯავახიშვილი იძლევა რელიეფის მიხედვით ოკრიბის დაყოფას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად².

სამხრეთი ნაწილი ჩრდილოეთთან შედარებით უფრო დაბალია. რაიონის ფარგლებში, გარდა ოკრიბის გორაკ-ბორცვიანი რელიეფისა, შემოდის აგრეთვე აღმოსავლეთ იმერეთის ბორცვიანი მხარის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია უმთავრესად მდინარე ძუსას ხეობით.

რაიონის გორაკბორცვიან რელიეფს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეურნეობის განვითარებაში. ტყიბულას, მუხურას და ცუცხვთის ტაფობებს, ასევე ლეხიდარისა და წყალწითელას ხეობებს რაიონის დანარჩენ ნაწილებსაგან განსხვავებით განსაკუთრებული სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. აქ უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მიწათმოქმედების განვითარებისათვის, ვიდრე რაიონის პერიფერიებში და შიდა ნაწილის ზოგიერთ ადგილას. სამიმოსვლო გზებისათვის უმთავრესად გამოყენებულია მდინარეული ხეობები.

კოლხეთის გორაკბორცვიანი ზონის სხვა ნაწილებთან ერთად ტყიბულის რაიონსაც თბილი და საკმაოდ ნოტიო ჰავა ახასიათებს.

რადგან ზამთარი აქ შედარებით თბილია, ტემპერატურული ამპლიტუდები დიდი არ არის. რაიონის ყველა ნაწილში ერთნაირი ტემპერატურა როდია. მაგ., ტყიბულში საშუალო წლიური ტემპე-

¹ Минеральные ресурсы ССР Грузии, Тифлис, 1933, გვ. 39—40, 103—105, 167, 205, 273, 329, 815—818, 849, 916—917, 1001, 1008.

² А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Груз. ССР, (типы рельефа и районы их распространения), М.-Л., 1947, გვ. 53, 63, 225.

რატურა $12,2^{\circ}$ აღწევს, ხოლო ორპირში — $13^{\circ 1}$, ორპირში შედარებით მაღალი ტემპერატურის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მისი უფრო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობა და რელიეფის ხასიათი (ტყიბული ორასიოდე მეტრით მაღლა მდებარეობს ორპირთან შედარებით). ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმის მიხედვით თუ შევადარებთ ქუთაისს, ორპირსა და ტყიბულს, დავინახავთ, რომ ყველაზე დაბალი ტემპერატურა იცის ტყიბულში (ტყიბულში — 25° , ორპირში — 19° , ქუთაისში — 15°), რადგან იგი თითქმის ყოველი მხრიდან შემოფარგლულია მთებით და უფრო მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან (ქუთაისთან შედარებით ოთხასიოდე მეტრით მაღლა). მაქსიმალური ტემპერატურა უთბილეს თვეში 36° აღემატება (ორპირში $+38^{\circ}$, ტყიბულში $+36^{\circ}$).

ტყიბულის რაიონში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა საკმაოდ დიდია. საშუალო წლიური რაოდენობა აღწევს: ტყიბულში 1708 მმ, საწირეში — 1479 მმ, ორპირში — 1373 მმ, ცუსხვათში — 1311 მმ.

თოვლის საფარის სიმძლავრე რაიონში საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგ., საწირის მიდამოებში 87 სმ-ია, ხოლო ტყიბულში — 56 სმ.

რაიონის ფარგლებში ხშირია ნისლიანი დღეები, უმთავრესად ტყიბულის მიდამოებში (წლიურად ტყიბულში 32 დღე, მაშინ როდესაც ქუთაისში არის 13 დღე).

ტყიბულის მიდამოებში ზამთრობით იცის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები, შტილის (უქარო დღეების) საშუალო რიცხვი წლიურად 25-ს შეადგენს. შედარებით მეტია უქარო დღეების რიცხვი ზაფხულში (თვეში 29), ხოლო ნაკლები — გაზაფხულზე (აპრილში).

ამრიგად, ტყიბულის რაიონის უდიდეს ნაწილს ახასიათებს ზომიერად თბილი და ნოტიო ჰავა, ნალექების მნიშვნელოვანი რაოდენობით. ჰავის ასეთმა პირობებმა ხელი შეუწყო მიწათმოქმედების გარკვეული დარგების (მარცვლეული, ტექნიკური და სხვა კულტურების) განვითარებას. ჰავის პირობების ერთ-ერთი მარეგულირებელი ფაქტორია ტყე, რომლის დაცვის, მოვლისა და ახალი ქარსაცავების გაშენების დარგში რაიონში სერიოზული მუშაობა ტარდება.

¹ Климатологический справочник СССР, выпуск 14 по Грузинской ССР, Тбилиси, 1949, გვ. 36, 65, 126—128, 200.

რაიონში არის საავტოგრაფო ადგილებიც. სოფ საწირის მიდამოების ჰავამ, წყალმა, მცენარეულობამ და ადგილის სიმაღლემ ხელი შეუწყო მოსახლეობას, გადაექცია იგი ბავშვთა კურორტად.

რაიონის ჰიდროგრაფიულ ქსელს, ჰავის პირობებთან ერთად, განსაზღვრავს მხარის გეოლოგიური აგებულება, რის გამოც ტყიბულის რაიონში მდინარეთა უმეტესობა მიეკუთვნება კარსტულ მდინარეთა ტიპს. მთავარი მდინარეა წყალწითელა, რომელიც ყვირილას ერთვის. იგი სათავეს იღებს ნაქერალას ქედის სამხრეთ კალთებიდან. რკინის ქანგეულების შემცველი თიხების გადარეცხვისას მდინარე წითელ ფერს ღებულობს, რაც კარგად ჩანს მდინარის სანაპიროებზე, განსაკუთრებით ზემო წელში.

რაიონის ჩრდილო ნაწილში მიედინება მდ. რიონის მარცხენა შემდინარე ლეხიდარა, რომელიც ნაქერალას ქედის სამხრეთ კალთებიდან იწყება. ქ. ტყიბულში გაივლის მდ. ტყიბულა, რომელიც იწყება ნაქერალას ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობიდან. რაიონის სამხრეთ ნაწილშია მდ. მალარა, რომლის მარჯვენა შემდინარეა შაბათა-ლელე. მუხურას ტაფობში მიედინება მდ. ძუსა და სხვ. რაიონის მდინარეები რიონის დახრილობის აუზს ეკუთვნის, მისი მარცხენა შემდინარეებია.

ჰიდროენერჯის მისაღებად გამოსაყენებელია მდ. ტყიბულას, ლეხიდარისა და ძუსას ზემო წელი.

ნაქერალას ქედის გადაღმა მდებარეობს შაორის ტაფობი (ამბროლაურის რაიონი), აქედან მდ. შაორს შეუტვალეს მიმართულება. იგი დააგუბეს ხელოვნურ წყალსაცავში და გვირაბის საშუალებით დაუკავშირეს მდ. ტყიბულას.

ბუნების გარდაქმნის სამუშაოები მიმდინარეობს ახალსოფლის ტაფობზეც, სადაც დააგუბეს მდ. ტყიბულა. საფუძველი ჩაეყარა ტყიბულის ზღვის შექმნას. ტყიბულის ზღვა მეთევზეობის განვითარების მნიშვნელოვანი ბაზა გახდება. ამასთან იგი მშრომელთა დასასვენებელი ადგილიც იქნება. ტყიბულის ზღვა შეცვლის ამ კუთხის ჰავის პირობებს.

ნიადაგწარმოქმნელი ფაქტორების (გორაკ-ბორცვიანი რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, ატმოსფერული ნალექების ხასიათი, მცენარეული საფარი და სხვ.) დიდი სხვადასხვაობის გამო ტყიბულის რაიონის ნიადაგები გამოირჩევა მკვეთრი ცვალებადობით.

რაიონში ფართოდაა გავრცელებული ყვითელმიწა და ყომრალი

ნიადაგები. ვებდებით ნეშომპალა-კარბონატულ, ეწერ და ალუვიურ ნიადაგებსაც¹.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები უმთავრესად მოიპოვება გელათის, მოწამეთის, კურსების, ცუცხვათის, ახალსოფლის, ტყიბულის, ძმების და კიროვის მიდამოებში.

ყოორალი ნიადაგები გვხვდება ნაქერალას ქედის სამხრეთ-ფერდობზე, კურსების, მანდიკორის, ორპირის, გურნის და სხვა ადგილებში.

თიხნარ ნიადაგებს შორის გამოირჩევა მეტი წებოვანი თიხები (კურსები, ორპირი, ციხია, ჯვარისა და სხვ.), რომელთაგანაც ქურკლებს ამზადებენ.

ალუვიური ნიადაგები გავრცელებულია მდინარეების: წყალწითელას, ლეხიღარის, ტყიბულას და ძუსას ხეობებში.

რაიონის ნიადაგების მრავალგვარობასთან დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი: ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებულია სიმინდი, ბოსტნეული, ვაზი და ხეხილი. ყვითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე უმეტესად ხარობს ვაზი, სიმინდი და სხვა კულტურები. ეწერი და გამოტუტული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ძირითადად გამოიყენება ჩაის, ხეხილის და ზოგან სუბტროპიკული კულტურებისათვის.

აგროტექნიკური ღონისძიებების სრულად გატარების შედეგად რაიონის ნიადაგები უფრო ხელსაყრელი გახდება მემცენარეობის ამა თუ იმ სახის განვითარებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც გამიზნულია ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის (ღრმად ხვნა, საკვები ბალახების თესვა, დრენაჟი, მექანიზაცია, მელიორაცია და სხვ.). დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლას. ამ მხრივ საყურადღებოა ადგილის დატერასება, უმთავრესად ჩაის კულტურისათვის. გარდა ამისა, საჭიროა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, ეწერი ნიადაგების მოკირიანება და სხვ.

ასეთი ღონისძიებანი დიდად შეუწყობს ხელს რაიონში მარცვლეული, ტექნიკური და სხვა კულტურების მაღალმოსავლიანობას. დოკუმენტაციის გასაუმჯობესებლად აგროლოგისათვის კომპლექ-

¹ მ. საბაშვილი, საქართველოს სს რესპუბლიკის ტენიანი სუბტროპიკული ზონის ნიადაგები, თბილისი, 1936, გვ. 70, 90—94, 103, 141, 156, და „ნიადაგმცოდნეობა“, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1952, გვ. 340—342.

სისა და მიწურინული მოძღვრების დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საქმეში.

ბუნებრივი პირობების (რელიეფის, გეოლოგიური აგებულების, ჰავის და ნიადაგების) გავლენით და ადამიანის ზემოქმედებით რაიონში ნაირსახის მცენარეები გავრცელდა. მცენარეების გავრცელების ხელშემწყობი იყო როგორც გარემო ბუნებრივი პირობები, ისე ადამიანიც, რომელმაც, ერთი მხრივ, შეცვალა არსებული მცენარეები და, მეორე მხრივ, გააშენა ახალი კულტურები.

რაიონი ეკუთვნის ნესტიანი ტყეებისა და მთის ტყეების ზონებს. აქ ვხვდებით მცენარეულობის ექვს ძირითად ტიპს: 1. წიფლნარს, მარადმწვანე ქვეტყით (ძირითადი), 2. კოლხეთის ტყეს (ძირითადთაგანი), 3. სოქნაძვნარს, 4. ლეშამბიან ტყეს (მდინარის ნაპირებზე), 5. მუხნარ-რცხილნარს (ნაჩეხებზე) და 6. დაბლობის კირქვების ქსეროფიტებს¹.

რაიონის ტყეებში გავრცელებულ ფართო ფოთლოვან მცენარეთა შორის აღსანიშნავია მუხა, წიფელი, რცხილა, წაბლი (აქ არის წაბლის კორომები), ცაცხვი, თელა, ძელქვა, ნეკერჩხალი, ვერხვი, ტირიფი, მურყანი, იფანი და სხვ. წიწვიანებიდან არის ნაძვი, ფიჭვი, სოკი და ურთხელი. ქვეტყეში გვხვდება ბზა, შქერი, წყავი, თხილი, პანტა, მაქალო, ტყემალი, ასკილი, ჯონჯოლი, მოცვი, შინდი, კოწახური და სხვ. ლიანებიდან აქ არის ეკალიქი, კატაბარდა, სურო, მაცვალი და სხვ.

ბალახეულ მცენარეებს შორის აღსანიშნავია მარწყვი, სხვადასხვა ბაია, შროშნა, გვიშრები, იონჯა, სამყურა და ა. შ. ტყეები მდიდარია სხვადასხვა სახის სოკოებით.

მცენარეული საფარი, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის მიერ არის შეცვლილი, ამიტომ განხილულ რაიონში პირველადი ტყეები თითქმის არ გვხვდება, განსაკუთრებით — დასავლეთ ნაწილში. საკმაოდ დიდი ფართობები გამოყენებულია კულტურული მცენარეების გაშენებისათვის.

ვინაიდან გეობოტანიკური თვალსაზრისით განხილული რაიონი შედის დასავლეთ საქართველოს ტყეთა ზონაში, ამიტომაც ფაუნაც თავისი შემადგენლობით ტყის ზონის ცხოველებს შეიცავს და არც ისე მდიდარია.

ტყეებსა და ბუჩქნარებში ძუძუმწოვრებიდან ბინადრობენ მგელი,

¹ ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935, გვ. 332—342, 356—358.

ტურა, მელა, ციყვა, კვერნა, მაჩვი, კარღელი, თხუნელა, ზღარბი, ლამურა, იშვიათად მურა დათვი (სოფ. მუხურისა და ძმუისის მიდამოებში) და სხვ.

ფრინველებიდან დამახასიათებელია ყვავი, ყორანი, ქორი, მიმინო, კაჭკაჭი, შაშვი, ბულბული, ტყის ბუ და ა. შ... ტყეებში გვხვდება ქვეწარმავლები და ამფიბიები.

შედარებით ვაკე ადგილებში გავრცელებულია მღრღნელები: მინდვრის თაგვი, თხუნელა, პონტის მემინდვრია; ფრინველები: მწყერი, ყარყუმი, მერცხალი, ბელურა, შაშვი, ჩხიკვი, ქორი, მიმინო; აგრეთვე ქვეწარმავლები და ამფიბიები.

მდინარეებში არის თევზები: მურწა, ხრამული, წვერა, ნაფოტა, ქაშაყი, ღორჯო, ტაფელა, იშვიათად კალმახი და სხვ.

განხილული რაიონი ფაუნის მიხედვით მოსაზღვრე რაიონებისაგან რაიმე განსაკუთრებული ფორმებით არ განსხვავდება.

რაიონში კულტურულ მცენარეებს საგრძნობი ფართობი უჭირავს. მათგან აქ აღსანიშნავია: ჩაის კულტურა, ვაზი, თუთის ხე, დაფნა, მარცვლეული, ბოსტნეული და ხეხილი (ვაშლი, მსხალი, კომში, ლეღვი, ატამი, ბროწეული, ბალი, ალუბალი, ქლიავი, ტყემალი, კაკლის ხე, თხილი, ხურმა და სხვ.).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბუნებრივ პირობებში მცენარეულობას დიდი ფართობი უჭირავს. მათ შორის აღსანიშნავია ტყეები და ბუჩქნარები. ბუნებრივი მცენარეები გამოიყენება სამეურნეო და სამკურნალო დანიშნულებით. ტყეში ამზადებენ შეშას (შედარებით მცირე რაოდენობით); წაბლისა და წიფელის ნაყოფს აგროვებენ საკმელად და სათესად.

სამკურნალო მცენარეებიდან საინტერესოა პანტა (მისი ნაყოფი გამოიყენება მედიცინაში), წყავი (მისი ფოთლების ნაწური შეიცავს ეთერზეთს), კატბალახა (ვალერიანის წვეთების დასამზადებლად), ფუტკარა (გულის ტკივილის საწინააღმდეგო წამალს ამზადებენ), მუცვი (მოცვის ჩაის დამზადებისათვის), ასკილი და ვიტამინის შემცველი სხვა მცენარეები.

მრავალი მცენარე გამოყენებულია საკმელად. მხალეულად ხმარობენ ბუჩქოვან მცენარეს ეკალიჭს; ბალახეულიდან ჩიტითავას და სხვ.

ბუნებრივ პირობებში არსებული ტყის დაცვას, ახალი ტყის გაშენებასა და მოვლას სერიოზული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისათვის. ქარების უარყოფითი გავლენის საწინააღმდეგოდ გაშენდა და შენდება რამდენ-

ნიმე ქარსაფარი ზოლი, რაც ხელს შეუწყობს ჰაეის პირობების მოწესრიგებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

2. ისტორიული წარსულიდან

საკვლევი რაიონის ტერიტორიამ ისტორიულ პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

პირველყოფილი ადამიანის კვალი ტყიბულის რაიონში ნაპოვნი რამდენიმე ადგილზე. მათ შორის აღსანიშნავია მოწამეთის მიდამოებში მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე (რკინიგზის ბაქნის მახლობლად) რამდენიმე გამოქვაბული. ერთ მათგანს „საკაყიას“ უწოდებენ. 1936 წ. აქ პროფ. გ. ნიორაძემ აწარმოვა არქეოლოგიური გათხრები და აღმოაჩინა პალეოლითური კულტურის ნაშთები¹.

მოწამეთის გარდა, პირველყოფილი ადამიანების კვალი შენიშნულია ნაქერალას ქედზე ცხრაჯვარის მიდამოებში და სხვაგანაც.

შემდგომ პერიოდში მაშინდელი ტყიბულის, საწირის, ხრესილის, გურნის, კურსების და სხვ. დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი აკეთებდნენ ხისა და თიხის ჭურჭლებს, წნავდნენ კალათებს და ა. შ.

ტყიბულის მიდამოებში (ბოჭორიშვილების უბანი), ახალსოფელში, მანდიკორში, ძჰუისსა და სხვა ადგილებში ნაპოვნია ლითონის დნობის დამადასტურებელი უძველესი ნაშთები. ასეთ ადგილებში მოსახლეობა ამზადებდა ლითონის საომარ და საოჯახო ნივთებს.

ფეოდალიზმის დროს დაინერგა ხეხილის, ვაზისა და ღომის კულტურა (სოფლებში: კურსები, გურნა, ცუცხვათი, გელათი, მუხურა და სხვ.).

ერთგვარი გასაქანი მიეცა ქვის მთლელობას კურსებში, ბადის ქსოვას გელათში.

დავით აღმაშენებლის მეფობის დროს განსაკუთრებით დაწინაურდა გელათი და მოწამეთა. საქართველოს მნიშვნელოვან ხელოვნების ძეგლთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გელათს, რომელიც წარმოადგენს არქიტექტურულ ნაგებობათა კომპლექსს.

¹ გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაყიას გამოქვაბულში, ტექნიკა და შრომა, თბილისი, 1953, გვ. 3—13; 22—27.

განსაკუთრებით საყურადღებოა გელათის მონასტერი და აკადემია. ეს ძეგლები მე-12—13 საუკუნეებს მიეკუთვნება და ცნობილია დიდებული მოზაიკით, ფრესკებით, ჩუქურთმებით სათვალთვალო პუნქტებით, კოშკებით და ა. შ. გელათის მიდამოებში არის სენაკები და ქვაბულები, ძველი კედლის ნაშთი, ხიდის ნაშთი მდ. წყალწითელაზე.

გელათის ისტორიული ადგილები მრავალი ბრძოლის მომსწრეა. აქ არაერთგზის იქნა განადგურებული შემოსეული მტერი (მე-12, მე-13 და მე-16 საუკუნეებში).

გელათის გარდა, მნიშვნელოვანია საშუალო საუკუნეების ძეგლები — ეკლესიები (კისორეთში, გურნაში, ჯონიაში, კურსებში, ცუცხვათში და სხვ.) და ციხის ნაშთები (ანტორიაში, ბობოთში, ხრესილში, კურსებში, ცუცხვათში და სხვ.).

ბუნებრივ ნაკრძალთაგან აღსანიშნავია გელათის, მოწამეთის, კურსების, ცუცხვათის, ძმუისის, საწირის, ტყიბულის, მუხურის და სხვა მიდამოები. სოფ. კურსებში არის ბუნებრივი ხეივანი და იშვიათი ცაცხენარი. სოფ. ცუცხვათშია დიდი ბუნებრივი გვირაბი „მალარა“ მრავალი ქვაბურით. სოფ. მუხურაში არის სტალაქტიტებიანი გვირაბი „წყალმეჩხრა“ სიგრძით 20 მეტრი. ასევე მნიშვნელოვანია მოწამეთის კანიონი, სხვადასხვა კარსტული ფორმები „წინწყილას“ მიდამოებში.

მე-17 საუკუნეში იმერეთის მეფე ალექსანდრეს ეწვივნენ რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი. საყურადღებოა მათ მიერ მოცემული აღწერილობანი ტყიბულის რაიონის შესახებაც¹.

მათ მოგზაურობაში საყურადღებო მასალებია იმდროინდელი ყოფაცხოვრების შესასწავლად.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში თურქები შემოესივნენ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის ტყიბულის რაიონსაც. ცნობილია, რომ 1757 წელს ხრესილის მიდამოებში ჩვენმა წინაპრებმა სოლომონ პირველის ხელმძღვანელობით სასტიკად დაამარცხეს თავდამსხმელი მტერი. ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მასალებს ვხვდებით აგრეთვე გიულდენშტედტის მოგზაურობაში².

¹ სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიკი იევლევის ელჩობა იმერეთში 1650—1652 წ. წ. (საბუთები ჯამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა), თბილისი, 1926, გვ. 60, 79—80, 144—152.

² Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа. Из путешествия Г-на Академика И. А. Гильденштедта, СПб, 1809, стр. 282—285, 296—301.

მე 19 საუკუნის შუა წლებში რაიონის ისტორიაში აღსანიშნავია ქვანახშირის აღმოჩენის პერიოდი. ამის შესახებ საინტერესო წერილები იბეჭდებოდა „Кавказский Календарь“-ში, „ქვალში“, „მოგზაურში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

ტყიბულის ქვანახშირის წარმოების მუშათა რევოლუციურ მოძრაობას მეტად საყურადღებო ისტორია აქვს.

1905 წლის 9 იანვრის ამბებს გამოეხმაურნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. 1905 წლის იანვარ-თებერვალში გაიფიქრნენ ტყიბულელი მეშახტეები, რომლებმაც ხმა აიმაღლეს არსებული მძიმე მდგომარეობის წინააღმდეგ¹.

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა აღმავლობას განიცდის 1917—1921 წლებში, როდესაც საქართველოში ბატონობდნენ მენშევიკები.

ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილია მრავალი ფაქტი ტყიბულის მუშათა რევოლუციური მოძრაობიდან.

1917 წლის მარტში ტყიბულში შედგა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მისასაღმებელი დეპეშა გაეგზავნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე საქართველოს მთელ რიგ ადგილებში გაიფიქრნენ მუშები მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ.

„განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ტყიბულის ქვანახშირის მალაროების ორი ათასი მეშახტის გაფიცვას.

ტყიბულის მეშახტეები, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მოითხოვდნენ ცხოვრების ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას, კოლექტიური ხელშეკრულების დადებას და, რაც მთავარია, მალაროების გადაცემას ტყიბულის მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელში“².

ტყიბულის რაიონის მუშებმა და გლეხებმა 1919—1920 წლებში არაერთი შეიარაღებული აჯანყება მოაწყეს მენშევიკების წინააღმდეგ.

საქართველოს მრავალ დასახლებულ პუნქტში, მათ შორის ტყიბულის რაიონშიც, შეიქმნა დაძაბული მდგომარეობა. მშრომელებს

¹ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I (1883—1921 წლები), ისტ. მეცნ. კანდ. ვ. გ. ესაიაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 136.

² იქვე, გვ. 427.

რევოლუციური ბრძოლის საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინა წითელმა არმიამ.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი დროშა აფრიალდა. ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ პირნათლად შეასრულა დიდი ლენინის დავალება. მენშევიკური მთავრობა გაიქცა უცხოეთში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი დაადგა ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზას; დაიწყო ახალი ერა ტყიბულის რაიონის მშრომელთა ისტორიაში.

მ. ტერიტორია, მოსახლეობა და კულტურა

რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ტყიბულის რაიონის მაშინდელი ტერიტორია იმერეთის სამეფოში შედიოდა, შემდეგ კი ტყიბულის რაიონი — ოკრიბის მხარე ქუთაისის გუბერნიაში მოექცა, კერძოდ, ქუთაისის მაზრაში. ქუთაისის მაზრაში შედიოდა ახლანდელი ტყიბულის რაიონი ს. მუხურას გამოკლებით, რომელიც ეკუთვნოდა შორაპნის მაზრას.

ტყიბულის რაიონის ტერიტორიის ადრინდელ ფართობსა და მოსახლეობის რიცხვზე მეტად არასაკმარისი ცნობები მოგვეპოვება.

1892 წლის ცნობებით¹ ქუთაისის მაზრაში შედიოდა ტყიბულის საბოქაულოც, რომლის ტერიტორია 51.908 დესეტინას შეადგენდა, მასში იყო 46 სოფელი. სულ ითვლებოდა 26.577 მცხოვრები, მ. შ. მამაკაცი 13.854, ქალი — 12.723. მაშინ ტყიბული სოფელს წარმოადგენდა.

1901 წლის მონაცემებით² ქუთაისის მაზრაში შემავალი ტყიბულის საპოლიციო უბნის ტერიტორია შეადგენდა 633,84 კვ. კმ-ს, რომელშიც ითვლებოდა 6 სასოფლო თემი და 4 სოფელი. მცხოვრებთა რიცხვი კი — დაახლოებით 2¹/₆ ათასს. 1 კვ. ვერსზე მოდიოდა 53,3 მცხოვრები.

1915 წლის ცნობებით³ ტყიბულის უბანში იყო 28.947 მცხოვრები, აქედან მამაკაცი — 15.180, ქალი — 13.767.

¹ საქართველოს კალენდარი 1893 წლისა, ვ. გუნიას შედგენილი და გამოცემული, თბილისი, 1892, გვ. 183—185.

² Кавказский календарь на 1902 год, Тифлис, 1901, стр. 24—25.

³ Кавказский календарь на 1916 год, Тифлис, 1915, стр. 83.

1921 წლისათვის ქუთაისის მაზრაში შედიოდა მაშინდელი ოკრიბის რაიონი.

1930 წლის 1 მარტისათვის საქართველოს სსრ-ში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის იყო ქუთაისის ოლქიც. ქუთაისის ოლქში შედიოდა 16 რაიონი, აქედან ერთი იყო ოკრიბისა, რომლის ცენტრად მაშინ ითვლებოდა სოფ. ორპირი. რაიონის ფართობი 448 კვ. კმ-ს შეადგენდა, ე. ი. საქართველოს ტერიტორიის $\frac{1}{155}$ ნაწილს (0,6%).

ოკრიბის რაიონი აერთიანებდა რვა სოფლის საბჭოს, ხოლო სოფლის საბჭოები მოიცავდა 49 დასახლებულ პუნქტს, მოსახლეობის რიცხვი (1926 წლის 17 დეკემბრის აღწერით) დაახლოებით 24.000 შეადგენდა, ანუ საქართველოს მოსახლეობის რიცხვის 0,5%-ს. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვ. კმ-ზე 50 მცხოვრებს აღწევდა¹. მოსახლეობის რიცხვის მიხედვით ოკრიბას იმერეთში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეჭირა. რაიონში შედიოდა დღნორისის, გურნის, მანდიკორის, კურსების, ორპირის, ხრესილის, საწირისა და ტყიბულის სოფლის საბჭოები (მაშინ ტყიბული ქალაქად გამოყოფილი არ იყო). მუხურის სოფლის საბჭო შედიოდა შორაპნის მაზრაში, კერძოდ, მაშინდელ ჩხარის (ამჟამად თერჯოლის) რაიონში. ოკრიბის რაიონში ყველაზე მეტი ტერიტორია ეჭირა გურნის სოფლის საბჭოს, ხოლო მეტი რაოდენობის სოფლები მანდიკორის სოფლის საბჭოში იყო, უკანასკნელზე კი — ტყიბულისა. სოფლებს შორის მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით გამოიჩნეოდა კურსები, ცუცხვათი, გურნა, დღნორისა, ტყიბულის მაღაროების უბანი. ამ დასახლებულ პუნქტებში თითოეულში ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. 800-დან 1000-მდე მცხოვრები იყო 5 სოფელში, ესენია: სოჩხეთი, ახალსოფელი, საწირე, დაბაძველი და ძიროვანი. მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით პირველ ადგილზე იყო კურსების სოფლის საბჭო, უკანასკნელზე — გურნისა.

თერჯოლის (მაშინდელი ჩხარის) რაიონში შემავალ მუხურის სოფლის საბჭოს ეჭირა 69 კვ. კმ, 2,2 ათასი მცხოვრებით, ხოლო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 44,4 მცხოვრებს შეადგენდა².

ტყიბულის რაიონში მოსახლეობის განლაგება მეტად უთანაბრო იყო. საერთოდ ოკრიბა სუსტად დასახლებულ მხარედ ითვლებოდა,

¹ ქუთაისის ოლქი ციფრებში (ცნობარი), ქუთაისი, 1930, გვ. 20—21, 29—31.

² ქუთაისის ოლქი ციფრებში (ცნობარი), ქუთაისი, 1930, გვ. 29—31 და „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1930 წლისათვის“, თბილისი, 1929, გვ. 76—77, 202—203, 210—211.

რადგან ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო და მშრომლები მოკლებული იყვნენ ძირითად საარსებო საშუალებებს.

რაიონის მოსახლეობის განლაგებაში დიდი ცვლილებები მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ გამოიწვია მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობა. განსაკუთრებით სახე იცვალა ქ. ტყიბულმა, რომელიც ქვანახშირის მოპოვების დიდი ცენტრი გახდა. ასევე სახე იცვალეს საკოლმეურნეო სოფლებმა, სადაც ჩაის კულტურის დანერგვამ და განვითარებამ მშრომელ გლეხობას შეძლებული ცხოვრების პირობები შეუქმნა.

1937 წლის 17 იანვრის აღწერით რაიონის მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა 32.952, მ. შ. ქალაქის — 9.202 (27,9%), სოფლის — 23.750 (72,1%)¹.

1949 წლის მონაცემებით ტყიბულის რაიონის ტერიტორია 463,2 კვ. კმ-ს უდრიდა², ანუ საქართველოს ტერიტორიის $\frac{1}{1,65}$ (0,6%). 1930 წელთან შედარებით რაიონის ტერიტორია გადიდდა დაახლოებით 3,4%-ით მუხურის სოფლის საბჭოს ყოფილი ჩხარის რაიონიდან ტყიბულის რაიონში გადმოსვლით, თუმცა იმავე დროს დღნორისის სასოფლო საბჭო შეუერთდა ქუთაისის რაიონს.

ტყიბულის რაიონის ფართობი მეტია ზესტაფონის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონებზე (თითოეულზე ცალ-ცალკე), ხოლო ვანის რაიონს თითქმის უტოლდება.

ყოფილი ოკრიბა, რომელიც ჩამორჩენილი, მივარდნილი კუთხე იყო დასავლეთ საქართველოში, ამჟამად ეკონომიურად მძლავრ ტყიბულის რაიონს წარმოადგენს. აღნიშნულ რაიონში შედის ერთი საქალაქო და ათი სოფლის საბჭო. სოფლის საბჭოებში გაერთიანებულია 44 დასახლებული პუნქტი.

დაახლოებით მესამედი საუკუნის მანძილზე მოსახლეობის რიცხვი ორჯერ გაიზარდა. 1926 წელს სოფლის მოსახლეობა შეადგენდა რაიონის მოსახლეობის 94%-ს, 1950 წელს კი, ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდის გამო 58%-ს. ამავე დროს ქალაქის მოსახლეობა 1950 წელს 1926 წელთან შედარებით 7-ჯერ გაიზარდა და მიაღწია რაიონის მოსახლეობის საერთო რიცხვის 42%-ს. რაიონის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 100 მცხოვ-

¹ საქ. სსრ მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალა (მოსახლეობა), საქმე № 1—5.

² საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის, თბილისი, 1949, გვ. 6 და 86.

რებს აღემატება, ქალაქ ტყიბულისა კი — 475. საბჭოების მიხედვით შედარებით მეტია მოსახლეობა ქალ. ტყიბულში, შემდეგ მოდის კურსების სოფლის საბჭო, მესამე ადგილზეა ორპირისა, მეოთხეზე — მუხურის, მეხუთეზე — ხრესილის და ა. შ.

ახლანდელი ტყიბული წინათ მცირედ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა, მისგან მოშორებით იყო ქვანახშირის შახტები, ამჟამად კი ორივე გაერთიანებულია და წარმოადგენს ერთიან ტერიტორიას (1939 წელს ტყიბული ქალაქად გარდაიქმნა).

1959 წლის აღწერით ტყიბულის რაიონის მოსახლეობის რიცხვი 43,5 ათასს აღემატება, აქედან ქალაქ ტყიბულზე მოდის დაახლოებით 50,5%¹. სქესის მიხედვით არის: ქალი 53%², მამაკაცი — 47%³. ეროვნების მიხედვით — ქართველი 86,2%⁴, რუსი 8,7%⁵, სომეხი 1,6%⁶. უკრაინელი 1,7%⁷.

სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებამ გამოიწვია ახალი აღმავლობა კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობაზე მაშინდელი ხელისუფალნი არ ზრუნავდნენ, მშრომელები მოკლებული იყვნენ ძირითად საარსებო პირობებსა და კულტურას. ოკრიბა ჩამორჩენილ, კულტურას მოკლებულ კუთხედ ითვლებოდა. ამის დამადასტურებელია მრავალი ფაქტი. ვაზ. „კვალში“ ვკითხულობთ: „ნუ თუ ასე უმნიშვნელოა ეს მხარე? (ოკრიბა — ს. გ.) ...სწავლა განათლების მხრივ უკანასკნელი ადგილი უნდა ეკიროს ამ მხარეს მთელ საქართველოში... სულ ამ ხუთ საზოგადოებაში არსებობს ერთ-ერთი სამინისტრო ერთკლასიანი სკოლა“¹.

ტყიბულის რაიონში ერთ-ერთ უძველეს სკოლად სოფელ საწიარის სკოლა უნდა ჩაითვალოს, რომლის შესახებაც არსებობს ზოგიერთი საყურადღებო ცნობა მაშინდელ პერაოდულ გამოცემებში².

რევოლუციამდელ პერიოდში ტყიბულის მუშების მდგომარეობის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ფაქტი: „ტყიბულის მუშები მოწყვეტილი ვართ ყველაფერს, რაც კი ადამიანის ცხოვრებისათვის არის საჭირო... გენახეს საწყალი და უენო ხალზი და მონინდომეს ჩვენი გასრესა, მაგრამ დადგება იმათთვისაც განკითხვის დღე“ — წერდა ერთი მუშათაგანი³.

¹ ვაზ. „კვალში“, 1896, № 49.

² იგივე, 1897, №№ 14 და 25, გვ. 292 და 492 (შესაბამისად).

³ ჟურნ. „მოგზაური“, 1905, № 12, გვ. 183—184.

ცნობილი ჟურნალისტი დავით მესხი თავის პატარა ნარკვევში („ვის ხელთაა ძალა“) ოკრიბის სამრევლო სკოლას დაცინვით უწოდებს „მეცნიერების დეპარტამენტს“ და აღწერს ოკრიბის სოფლის ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას¹.

მასალები მშრომელთა იმდროინდელ უმწეო ეკონომიურ მდგომარეობასა, ხალხის უმეცრებასა და ჩამორჩენილობაზე მოგვეპოვება აგრეთვე შთელ რიგ მხატვრულ ნაწარმოებებში.

სოფ. ჯონიას (ტყიბულის რაიონი) მცხოვრები ი. მერკვილაძე თავის ლექსებში ყურადღებას ამახვილებს ტყიბულში თავისი მუშაობის 1903—1905 წ.წ. პერიოდზე და 1914—1915 წ.წ. მავნე ზნეჩვეულებაზე ოკრიბის მოსახლეობაში. ავტორი წერდა: „არ მაქვს სწავლა-განათლება, არც სიმდიდრე, არც საუნჯე“, ხოლო ტყიბულის ქვანახშირის მუშათა მძიმე ფიზიკურ შრომაზე აღნიშნავდა: „ეს ტყიბული, ეს ოხერი ნახშირაი შავი ქვისა, მოეწონოს სამუშაოდ კაცსა კაცურს, ნეტავ ვისა“... და ჯოჯოხეთს ადარებდა მაშინდელ ტყიბულის შახტებში არსებულ სამუშაო პირობებს².

მაშასადამე, წარსულში ტყიბულის რაიონი ჩამორჩენილი და ღარიბი მხარე იყო. სიტყვა „ოკრიბელი“ ღარიბ-ღატაკის სინონიმად ითვლებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკონომიურ აღმავლობასთან ერთად შეიცვალა რაიონის კულტურული მდგომარეობაც. იქ, სადაც ერთი სამრევლო სკოლა იყო რევოლუციამდე, ამჟამად როგორც ქალაქად ასევე სოფლად დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლები გაიხსნა, მას დაემატა მუსიკალური სასწავლებელი, საბავშვო ბაღები, სამკითხველოები და კლუბები.

1933 წლიდან რაიონში გამოდის გაზეთი „ტყიბულის მალაროელი“, რომელიც აშუქებს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების საკითხებს.

რაიონში არის ქალაქის და სოფლის საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ტუბდისპანსერი, სანიტარული კულტურის სახლი, ამბულატორიები, საექიმო უბნები, ჯანაპუნქტები, სამშობიარო სახლი, საბავშვო ბაგები, აფთიაქები და სხვ.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დახმარების შედეგად ტყიბულის რაიონში კულტურული მშენებლო-

¹ „ახალი ჩანგი“, შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ, თბილისი, 1909, გვ. 43-44.

² ივლ. მერკვილაძე, „ლექსი ტყიბულის ქვანახშირის მუშებისადმი“, ქუთაისი, 1907.

ბისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში განხორციელდა და ხორციელდება თვალსაჩინო ღონისძიებანი.

4. სახალხო მეურნეობა

როგორც თავის დროზე იყო აღნიშნული, ოკრიბა იმერეთის ერთ-ერთი ეკონომიურად და კულტურულად მეტად ჩამორჩენილი კუთხე იყო. განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო მ: წათმოქმედება და მრეწველობა. მაგ., მოსახლეობა ეწეოდა ექსტენსიურ მეურნეობას და შინამრეწველობას მეტად შეზღუდული მასშტაბით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა ლიკვიდირებულ იქნა და მთელი მუშაობა წარმართა სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებისაკენ.

ამჟამად რაიონში შექმნილია ქვანახშირის მსხვილი მრეწველობა, საკოლმეურნეო მშენებლობა მძლავრ აღმავლობაშია, დანერგულია ჩაის კულტურა, აღდგენილი და განვითარებულია ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. გაუმჯობესებულია ქალაქის და სოფლის მოსახლეობის მომარაგება სურსათითა და სამრეწველო საქონლით და სხვ.

ა) მრეწველობა

ტყიბულის რაიონი საქართველოს სსრ რაიონებს შორის თავისი სამრეწველო განვითარების მხრივ ერთ-ერთი წამყვანთაგანია.

რაიონის სახალხო მეურნეობაში მრეწველობას უჭირავს პირველი ადგილი. ამიტომ ჩვენც პირველად მრეწველობის დახასიათებაზე ვჩერდებით.

მრეწველობა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელშიც შედის ორი მთავარი დარგი: ა) წარმოების საშუალებათა წარმოება და ბ) მოხმარების საგნების წარმოება.

პირველ ჯგუფს რაიონში მიეკუთვნება: ქვანახშირის მოპოვება, ელექტროფიკაცია, ბარიტის მოპოვება, საშენ მასალათა წარმოება.

მეორე ჯგუფში შედის: ჩაის მრეწველობა, საექვავე წარმოება და პურის ცხობა, უალკოჰოლო სასმელების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სამკერვალო წარმოება და სხვ.

მრეწველობის აღნიშნული დარგებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რაიონში ერთადერთი მსხვილი საწარმო (იმდროინდელი ტექნიკის პირობებში) იყო ქვანახშირის მაღაროები. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ტეშენიტისა და კირის კუსტარულ წარმოებას, ქვის მთლელობასა და საოჯახო კუურქლების დამზადებას.

ბუნებრივი რესურსების გამოვლინებაზე წარსულში არავინ ზრუნავდა. რაც იყო გამოვლინებული, მისი მოპოვებაც დიდი მოგების მიღების მიზნით მტაცებლური წესით ხდებოდა.

სამკოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რაიონის მრეწველობა მანამდე არჩახული მასშტაბით განვითარდა. ამჟამად რაიონში ითვლება რამდენიმე ათეული სამრეწველო საწარმო

საკვლევი რაიონის მრეწველობის დარგებს შორის პირველი ადგილი უჭირავს ქვანახშირის მოპოვებას.

ქვანახშირი უმნიშვნელოვანესი მინერალური რესურსია, რომელიც გამოიყენება მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობასა და სხვა დარგებში. საერთოდ. ქვანახშირს დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

ვ. ი. ლენინმა ქვანახშირის მნიშვნელობა თავის სიტყვაში სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის I დამფუძნებელ კრებაზე (1920 წლის აპრილი) ასე განსაზღვრა:

„ქვანახშირის მრეწველობის გარეშე არავითარი თანამედროვე მრეწველობა, არავითარი ფაბრიკები და ქარხნები არაა წარმოსადგენი. ნახშირი ნაღველი პურია მრეწველობისათვის, ამ პურის გარეშე მრეწველობა არ მოქმედებს, ამ პურის გარეშე რკინიგზის ტრანსპორტი განწირულია ყოვლად უმწეო მდგომარეობისათვის და ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღსდგება..“¹.

ამ განსაზღვრიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ქვანახშირს ქვეყნის ეკონომიკაში.

ტყიბულის მიდამოები საქართველოს ქვანახშირის უძველესი კერაა, ამის შესახებ მრავალი საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება.

როგორც აღნიშნული იყო, ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების ისტორია იწყება გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. ფაქტიურად პირველად ტყიბულში ქვანახშირი მოიპოვეს 1845 წელს. ამ დროს ამოღებულ იქნა 3 ათასი ფუთი, ანუ 48 ტონა.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, ტყიბულის ქვანახშირის აღმოჩენა 1845 წლის 31 მაისს მოხდა².

ამ ცნობის მიხედვით გეოლოგ კულიშინს 1845 წელს შეუდგენია აღწერა მის მიერ აღმოჩენილი ქვანახშირის საბადოსი, რომე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., გამოცემა 4, ტ. 30, თბილისი, 1952, გვ. 602.

² Кавказский календарь на 1853 год, Тифлис, 1852, გვ. 261; და ნ. ტყეშელაშვილი, ქვანახშირის მრეწველობის უძველესი კერა საქართველოში (1845—1945 წ.წ.), საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკ. ინსტ. შრ. ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 175.

ლიც ნაქარალას ფერდობზე უკვების მთის ძირზე მდებარეობს. ეს ადგილი იმყოფებოდა აგიაშვილების მამულში. 1845 წელსვე ტყიბულის ქვანახშირის ნიმუში გაგზავნეს ყულევში, სადაც უნდა გამოეცადათ იგი შავი ზღვის ორთქლის გემებზე. როგორც ირკვევა, ტყიბულის ნახშირმა კარგი შეფასება მიიღო. ასეთი მონაცემების გამო შესაძლო გახდა მისი სისტემატური ექსპლოატაცია, მაგრამ ამ საქმის მოგვარებას ბევრი რამ უშლიდა ხელს; პირველ ყოვლისა ის, რომ ქვანახშირის საბადოები კერძო მემამულის ადგილებში მდებარეობდა, მეორე — უგზობობა ქუთაისსა და ტყიბულს შუა.

მთავრობის წინადადებაზე — მიეყიდათ ეს ადგილები ხაზინისათვის — მემამულე აგიაშვილებმა უარი თქვეს და მხოლოდ იჯარით გადასცეს 36 წლის ვადით ხაზინას. საიჯარო პირობით მემამულეს განსაზღვრული პროცენტები უნდა მიეღო მოპოვებულ ქვანახშირზე.

ამის შემდეგ ტყიბულში იგზავნება კოჩუბეი, რომლის ხელმძღვანელობით 1846 წელს მოიპოვეს 192 ტონა, ანუ 12 ათასამდე ფუთი ქვანახშირი ღია დამუშავების წესით და გადაიტანეს იგი შავი ზღვის ნავსადგურში¹.

1847 წელს ტყიბულის მალაროებს ხელმძღვანელობდა ინჟ. ცი-ალკოვსკი. ამ დროს ნაწილობრივ გადიდდა ქვანახშირის ამოღება. იმავე წლის ზაფხულში მოპოვებულ იქნა 23 ათასი ფუთი (363 ტ.) ქვანახშირი, მათგან ფოთში გაზიდეს 21 ათასი ფუთი (335 ტ.).

1847 წელსვე ინჟ. კოხანოვმა შეადგინა ტყიბული-ქუთაისის რკინიგზის გაყვანის პროექტი, რაც არ განხორციელებულა².

1848 წელს კვლავ ღია დამუშავების წესით მოიპოვეს 40 ათასი ფუთი (640 ტ.) ქვანახშირი. 1849 წელს კი — 36 ათასი ფუთი (576 ტ.) — ნახშირის ქვედა ფენებში, აგრეთვე ათას ფუთამდე (16 ტ.) ზედაფენებში. სულ მოპოვების დასაწყისიდან 5 წლის განმავლობაში ამოღებული იქნა 115 ათასი ფუთი (1840 ტ.) ქვანახშირი.

ტყიბულის ქვანახშირის ვარგისიანობას კვლავ ამოწმებდნენ, თუმცა მარაგი საკმარისი იყო და ხარისხით ინგლისის ნიუკასლის ქვანახშირს სჯობდა.

¹ გ. ნ. გვებტმანი, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბილისი, 1925, გვ. 137.

² ტ. ტყეშელაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 176.

იმ პერიოდში ქვანახშირის მოპოვება ჯდებოდა ძვირად, ამიტომ მისი ექსპლოატაცია ბევრჯერ შეწყდა. საკმაო ხნის განმავლობაში ტყიბულში ქვანახშირის ამოღების საქმე მივიწყებულ იქნა.

ტყიბულში 1852 წელს მოიპოვეს 60 ათასი ფუთი (960 ტ.) ქვანახშირი¹.

ქვანახშირის მოპოვების ჩამორჩენილობის მიზეზებად ზოგიერთ ცნობაში² თვლიან შემდეგს: „1) ადგილობრივი გადასატანი საშუალებების უქონლობის გამო ქვანახშირის გაზიდვა შავი ზღვის ნაპირებზე მეტად ძვირი ჯდება. გარდა ამისა, ხანდახან გადატანა სრულიად შეუძლებელი ხდება... 2) იმერეთში ბევრი ტყეა და მცხოვრებთ ყველგან შეშა მუქთად აქვთ. ამისათვის ქვანახშირი ვერ გავრცელდა შიგ მხარეში. ახლა ქვანახშირით მხოლოდ საავადმყოფოს შენობას და სამხედრო გუბერნატორის სახლს ათობენ“³. უცნობი ავტორი ამ მოვლენას არასწორად ხსნის.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: კაპიტალისტები გამოდიოდნენ და გამოდიან თავიანთი ინტერესებიდან და ვინაიდან იმდროინდელი ჩამორჩენილი ტექნიკა, უგზობობა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები და სხვ. ქვანახშირის მოპოვების დიდი დამაბრკოლებელი მიზეზები იყო, ამიტომაც ისინი პირველ ხანებში არ აწარმოებდნენ ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციას. ამის შედეგად ტყიბულის ქვანახშირი ერთხანს მივიწყებას მიეცა.

1858 წელს აკად. აბიხმა შეისწავლა და მალალი შეფასება მისცა ტყიბულის ქვანახშირის საბადოებს⁴. მაგრამ 1880 წლამდე ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების დონე მაინც დაბალი იყო.

ტყიბულის ქვანახშირის მოპოვებასა და გაზიდვაზე გასული საუკუნის 70-იან წლებში ერთგვარ მზრუნველობას იჩენდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ნიკო ნიკოლაძე მოლაპარაკებას აწარმოებს უცხოელ კაპიტალისტებთან ტყიბულის ქვანახშირის მოპოვებისა და რკინიგზის გაყვანის შესახებ. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ საარქივო მასალებს შორის ინახება რამდენიმე წერილი, რომლებიც ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის.

ნიკო ნიკოლაძე 1872 წლის 7 ივნისს ლონდონიდან ბარათს

¹ Кавказский календарь на 1853 год, Тф., 1852, стр. 318.

² იქვე.

³ იქვე (უცნობის სტატია).

⁴ ნ. ტყეშელაშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 176.

სწერს კირილე ლორთქიფანიძეს. ამ ბარათიდან ირკვევა, თუ როგორ ვარიგებას აწუბს ნ. ნიკოლაძე ორ ბანკირთან. მოლაპარაკების საფუძველზე ინგლისელმა ინჟინრებმა უნდა აიღონ კონცესიად ტყიბულის ნახშირი და გაიყვანონ რკინიგზა.

მეორე ბარათში, რომელიც ისევ კ. ლორთქიფანიძის სახელზეა დაწერილი 1872 წლის 18 სექტემბერს, ნ. ნიკოლაძე კვლავ იწვევს ტყიბულის რკინიგზის კონცესიის შესახებ.

მესამე ბარათში, რომელიც გამოგზავნილია პარიზიდან 1874 წლის 21 ივლისს, ნ. ნიკოლაძე შეშფოთებას გამოთქვამს ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების შეფერხებასთან დაკავშირებით¹.

მართალია, ნ. ნიკოლაძე ზრუნავდა ტყიბულის ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და რკინიგზის გაყვანისათვის ტყიბულამდე, მაგრამ გარკვეული წლების განმავლობაში ეს საქმე მაინც შეუსრულებელი რჩებოდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ნ. ნიკოლაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ეკონომიური აღმშენებლობის საკითხებს. მას მონაწილეობის მიღება უზღებოდა ცალკეული საწარმოების წამოწყებებში. მათ მიეკუთვნება: ტყიბულის ქვანახშირის ამოღება და რკინიგზის გაყვანა; ქიათურის მარგანეცის ამოღება და რკინიგზის გაყვანა; სურამის გვირაბის გაყვანა და სხვ.²

ტყიბულის რკინიგზის გაყვანამდე ძლიერ ბრკოლდებოდა ქვანახშირის დამუშავებისა და გაზიდვის საქმე.

ნ. ნიკოლაძის აზრით³ კავკასიაში, მიუხედავად მინერალური სიმდიდრეების არსებობისა, მაინც უტხოვითიდან შემოაქვთ ისეთი ნედლეული, რომელიც ჩვენშია, და აგრეთვე ისეთი პროდუქცია, რომლის წარმოება ჩვენშიც შეიძლებაო. ადგილზე ნედლეულის გადამუშავება, — საყვედურობდა ნიკოლაძე, — არ ხდება, უტხოვლები კი ჯიბეს ისტელბენო. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს რკინიგზის გაყვანის საკითხს. ტყიბულის ქვანახშირი ინგლისის ქვანახშირზე უფრო ძვირი ჯდებაოდა.

ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის გაყვანა გადაწყდა 1883 წლის

¹ ნ. ნიკოლაძე, წერილები (ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდები, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, ყდა № 12).

² ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, II, თბილისი, 1931, გვ. 231-240.

³ Н. Я. Николадзе, Экономическое значение Ткибульской каменноугольной ветви Закавказской жел. дороги (Записка Уполномоченного Кутаисской городской думы Н. Я. Николадзе); გამოცემის წელი არ აწერია, უნდა იყოს 18:2 წელი — ს. გ.: გვ. 2.

15 ივნისს. მუშაობა იმ წელსვე დაწყეს და 1886 წელს დაამთავრეს. შახტების ცენტრალურ უბნამდე რკინიგზა 1887 წელს მიიყვანეს.

დ. ი. მენდელეევი წიაღისეულთა შორის პირველ ადგილს აკუთვნებდა ქვანახშირს, რომელიც, მისი აზრით, მთელი მრეწველობის პირდაპირი საზრდოობის საშუალებაა. მას მოხსენიებული აქვს რუსეთისა და უკრაინის ქვანახშირის, აგრეთვე კავკასიის საბადოები და მათ შორის ტყიბულის ნახშირისაც¹.

1900 წელს „Кавказский Вестник“-ში დაიბეჭდა სევერიანინის წერილი ტყიბულის ქვანახშირის მალარობებზე, სადაც ის საბადოს გამოკვლევის მოკლე ისტორიას იძლევა. ავტორი ტყიბულის რკინიგზის გაყვანის შესახებ აღნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძის წერილებმა დიდი როლი შეასრულა ამ საქმეში. სევერიანინის აზრით, ნ. ნიკოლაძემ ფანტასტიკური გეგმები დაისახა ტყიბულის ქვანახშირის მოპოვებისა და გაზიდვის საკითხთან დაკავშირებით და ახლად წარმოშობილ მრეწველობას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა მიანიჭა².

სევერიანინი ამასთანავე აკრიტიკებს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს. მისი აზრით, რკინიგზის გაყვანა და მალარობის მოწყობა ხაზინას ძვირი დაუჯდა. აგრეთვე ტყიბულის ქვანახშირმა იმედები არ გაამართლა³.

იმავე წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია ტყიბულის მალარობის მოკლე აღწერილობა. როგორც წერილებიდან ჩანს, სევერიანინს 1899 წლის ოქტომბერში დაუთვალეიერებია „ნახშირას“ საზოგადოების მალარობები. ავტორი წერილის ბოლოს აღნიშნავს, რომ ტყიბულის ქვანახშირი მდარე ხარისხისაა, მაგრამ მაინც გაყვანილ იქნა რკინიგზა, დიდი თანხებიც დაბანდდა საწარმოს შექმნაზე. მისი შეხედულებით, თითქოს ნიკოლაძის აზრი იყო გულუბრვეილო, ყოველი ცდა უნაყოფოდ დარჩაო⁴.

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სევერიანინის წერილები შეიცავს საყურადღებო ცნობებს ტყიბულის ქვანახშირის მრეწველო-

¹ Библиотека Промышленных Знаний под ред. Д. Менделеева, т. I, ч. 1. Учение о промышленности Д. Менделеева; § 5, Горная промышленность, [1]; С.-Петербург 1900, стр. 70—71, 73.

² Кавказский Вестник, Ежемесячный научно-литературный журнал, год первый, № 1, Январь 1900 г. Тифлис, гл. XIII, стр. 33—34—35.

³ იქვე, გვ. 43—44.

⁴ იქვე, № 2, გვ. 57—59.

ბის ისტორიის შესწავლისათვის, თუმცა საერთო შეხედულება და დასკვნები არასწორად აქვს მოცემული. სევერიანინი განსაკუთრებით ესხმის თავს ნ. ნიკოლაძეს და მის შეხედულებებს ხშირად უმართებულოდ აკრიტიკებს.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა მართებულება შემდგომში ცხოვრებამ დაადასტურა.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ ერთგვარად გადიდდა ქვანახშირის მოპოვება, მაგრამ ძირითადი დაბრკოლებანი — ამოღების უპრიმიტიული ტექნიკა, მუშათა ცუდი, მძიმე და აუტანელი მდგომარეობა უცვლელი დარჩა¹.

ჟურნალ „მოგზაურში“ ვკითხულობთ: „ტყიბულის მუშები მოწყვეტილი ვართ ყველაფერს, რაც კი ადამიანის ცხოვრებისათვის არის საჭირო. ვმუშაობთ მალაროებში, ან ბაწრებზე ჩამოკიდებულნი... ჩვენ მივიტანეთ იერიში ჩვენს შემავიწროებლებზე. მართალია, ბევრს ვერაფერს მივალწიეთ, მაგრამ ეს ხომ დაწყება იყო და აწი ჩვენ ვიცით“².

როგორც აღენიშნეთ, 1845 წლიდან 1850 წლამდე მოპოვებულ იქნა სულ 1.840 ტ. ქვანახშირი. 1860 წელს ამოიღეს 2.400 ტონა, 1870 წელს 2.320 ტ., 1880 წ. — 5.120 ტ. 1890 წ. — 9.600 ტ. 1900 წ. — 6.200 ტ.; სულ საბადოს ექსპლოატაციის სამოცი წლის მანძილზე ტყიბულში მოპოვებულ იქნა 265.683 ტ. ქვანახშირი, 1913 წ. ამოიღეს სულ 68 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის დროს, გარდა მცირე გამონაკლისისა, ქვანახშირის მოპოვება მკვეთრად დაეცა. მენშევიკების თარეშის უკანასკნელ ხანებში, კერძოდ 1920 წელს, კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. ამ დროს საქართველოში არ შემოდიოდა ბაქოს ნავთი, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა რკინიგზის ტრანსპორტი. ამიტომ ქვანახშირის ამოღება ერთგვარად გააღიდა და 1920 წელს 1913 წელსთან შედარებით დაახლოებით 10 ათასი ტონით მეტი მოიპოვეს. სინამდვილეში მოხდა საბადოს მტაცებლური ექსპლოატაცია. ეს კი რეგრესზე მიუთითებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების საქმეში და-

¹ ქს. კვანტრე. საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, თბილისი, 1926, გვ. 55—56.

² ჟურნ. „მოგზაურში“, № 12, 1905 (ერთი მუშათაგანის სტატია „დ. ტყიბული“), გვ. 183—184.

იწყობა ახალი ერა. ვაიშალა მუშაობა მრეწველობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის. ქვანახშირის ფენების უკეთ შესწავლის მიზნით გაჩაღდა გეოლოგიურ-საძიებო მუშაობა. ჩვენმა წიაღის მზვერავეებმა ქვანახშირის კიდევ ახალი უბნები აღმოაჩინეს. გამოკვლევის შედეგებზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების დასაწყისიდან 75 წლის განმავლობაში დაახლოებით ერთი მილიონი ტონა ნახშირი იქნა ამოღებული, მარაგი კი იმდენია, რომ, რაც 75 წლის განმავლობაში ამოიღეს, იმდენივე ყოველწლიურად რომ ამოიღონ, ქვანახშირი ამოსალევი გვექნება მაინც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. 1921 წელს ამოღებული იყო 75 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი; 1922—25 წლებში მოპოვება კიდევ არ იყო ჯეროვან დონეზე.

1940 წელს ამოღებულ იქნა 370 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. ომამდელ ხუთწლეულებში სახე იცვალა ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობამ. ძველი პრიმიტიული მალაროები შეიცვალა მძლავრი შახტებით. სამამულო ომის წლებში ქვანახშირის საშუალო წლიური მოპოვება დაახლოებით 350 ათას ტონას შეადგენდა.

ომისშემდგომ ხუთწლეულებში ტყიბულის ქვანახშირის მუშაკთა წინაშე ფართო პერსპექტივები გადაიშალა.

მეოთხე ხუთწლეულში მეტალურგიულმა, საავტომობილო და სხვა მრავალმა სამრეწველო მშენებლობამ მზარდი მოთხოვნები წაუყენა საქართველოს, მათ შორის ტყიბულის საქვანახშირო რაიონსაც. ამიტომ აუცილებელი იყო მოპოვების გადიდება.

1946 წელს ქვანახშირის ამოღება 1940 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 30%-ით, 1950 წელს კი — 140%-ით.

მეხუთე ხუთწლეულში დიდი მუშაობა ჩატარდა ტყიბულის შახტებში.

ტყიბულნახშირის ტრესტი აერთიანებს 4 მძლავრ შახტს: 1) ვ. ი. ლენინის სახელობის, 2) ი. ბ. სტალინის სახელობის, 3) ს. ორჯონიკიძის სახელობის და 4) გელათისა. მათ შორის უძველესია პირველი.

პირველმა მოგვცა ტყიბულნახშირის ტრესტის ხაზით მოპოვებული ქვანახშირიდან 1940 წელს დაახლოებით 67%, 1946 წელს — 39%, 1950 წელს — 41%; მეორე შახტმა მოგვცა: 1940 წ. — 23%, 1946 წ. — 54%, 1950 წ. — 39%; მესამე შახტზე მოდიოდა 1950 წელს 13% (ახალია); გელათის შახტზე მოდიოდა 1940 წ. — 10%, 1950 წ. — 7%.

მეექვსე ხუთწლედში პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული იყო ქვანახშირის მოპოვების გადიდება მთელ რიგ რაიონებში, მათ შორის ტყიბულშიც. 1956 წელს ტყიბულ-ნახშირის ტრესტმა გეგმა შეასრულა 101,5%-ით. აღნიშნულ წელს ამოღებულ იქნა 1340 ათასი ტონა ქვანახშირი. აქედან ლენინის სახ. შახტმა მოგვცა 43,5%, სტალინის სახ. შახტმა — 32%, ორჯონიკიძის სახ. შახტმა — 18,8% და გელათისამ — 5,7%.

1957 წელს ქვანახშირის მოპოვება შეადგენდა 1,4 მლნ. ტ., 1958 წ. — 1,5 მლნ. ტონას.

გარდა ტრესტისა, ქვანახშირის ამოღებას აწარმოებს კიდევ ადგილობრივი მრეწველობა, რომელსაც 1942 წლიდან გადაეცა ყოფილი დავიდოვის უბნის — ახლანდელი ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიის ნაწილი, საიდანაც 1942 წელს მოპოვებულ იქნა 2 ათასამდე ტონა, 1945 წ. — 10 ათასი ტონა, 1946 წ. — 11,5 ათასი ტ., 1950 წ. — 12 ათასი ტ.

ამოღებული ნახშირის ფულადი შემოსავალი მთლიანად ტრესტის ხაზით 1940 წ. შეადგენდა 3,8 მილ. მან., 1946 წ. — 5 მილ. მან., 1950 წ. — 38,5 მილ. მან., 1956 წ. — 90 მილ. მან. 1958 წ. — 98,2 მლნ. მან.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულებისა და ნაცრიანობის შემცირებას. შრომის ნაყოფიერების ზრდის გადამწყვეტი პირობაა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და სოციალისტური შეჯიბრების გაშლა.

ტყიბულში საკმაო ხნის მანძილზე ქვანახშირის მოპოვება ხდებოდა ჭერის ჩამონგრევის წესით, რაც, ერთი მხრივ, საშიში იყო და, მეორე მხრივ, იწვევდა დიდ დანაკარგებს და მიწისქვეშა ხანძრის გაჩენას. ქცევითი მეთოდით გამოღების დროს ნახშირის ნახევარზე მეტი იკარგებოდა. მაშინ ფენების გამაგრება არ ხდებოდა. ამჟამად ეს საქმე მოწესრიგებულია.

თანდათანობით იზრდება შრომის ნაყოფიერება. მაგ., 1935 წ. იგი შეადგენდა 16,2 ტ. ერთ მუშაზე, 1940 წ. — 20 ტ., 1950 წ. — 23,6 ტ., 1955 წ. — 33,0 ტ.; შრომის ნაყოფიერების ზრდის გამო შემცირდა ქვანახშირის თვითღირებულება 1950 წ. — 4,0%-ით; 1955 წ. — თვითღირებულება ერთ ტონა ნახშირზე გეგმით უნდა ყოფილიყო 91 მან. და 43 კაპ., ფაქტიურად კი იყო 89 მან. და 54 კაპ.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ნახშირის ხა-

რისხი და პარალელურად შემცირდა ნაცრიანობა. 1950 წლისათვის გაუმჯობესება უდრის 0,4%-ს, 1955 წლისათვის კი — 1,07%-ს.

განხორციელდა შრომის პროცესების შემდგომი მექანიზაცია. მაგ., დიდ სამამულო ომამდე ქვანახშირის გადატვირთვა ხდებოდა ხელით, მონგრევა კი — აფეთქებით. 1945 წლიდან მოსამზადებელ სამუშაოებზე გამოიყენეს ფუჟი ქანის დამტვირთავი მანქანა. 1940 წელს ნახშირის მონგრევა მექანიზებული იყო 100%-ით, ხოლო დატვირთვა ხელით ხდებოდა; გამოტანა მექანიზებული იყო 50%-ით. 1950 წელს კი 100% ით, დატვირთვა — 77%-ით, გამოტანა — 100%-ით. 1940 წელს ქვანახშირი რკინიგზის ვაგონებში ხელით იტვირთებოდა, ახლა კი მთლიანად მექანიზებულია.

ომისშემდგომ ხუთწლიდში სტალინის სახელობის შახტში დაინერგა ჰიდრაულიკური ვსების მეთოდი. ამ მეთოდის დანერგვა დიდ ეფექტს იძლევა: 1) უშიშარია; 2) ხანძრის გაჩენის საფრთხე გამორიცხებულია; 3) ქვანახშირის დანაკარგები სულ ცოტა სამჯერ ნაკლებია; ამავე დროს თავიდან აცილებულია მთელი რიგი დამაბრკოლებელი მოვლენები.

საერთოდ ტყიბულის ნახშირი არის თვითწვადი და ამოღების დროს ჩამონგრეულ გამონამუშევრებში იწყებს წვას, რაც იწვევდა სამუშაოთა მიტოვებას. ჰიდროვსების დროს დაზღვეული ვართ ასეთი მოვლენებისგან.

ჰიდრაულიკური ვსებისათვის აუცილებელია საკარიერო მეურნეობის სისტემატური და რიტმული მუშაობა. რიგ შემთხვევებში საკარიერო მეურნეობის მოუწყობლობა აფერხებს ჰიდრაულიკური ვსების წარმოებას.

ტყიბულნახშირის ტრესტის შახტები (გარდა გელათისა) იყენებენ ინერტულ მტვერს; გელათის შახტში გაზი პირველი კატეგორიისაა და იმდენად საშიშია არაა.

ომისშემდგომ წლებში ტყიბულში ამოქმედდა ინერტული მტერის ფაბრიკა. ინერტული მტერის მისაღებად საჭიროა ნედლეული: ქვიშაქვა, კირქვა, ქვიშიანი ფიქლები და სხვ.

შახტში გამაგრებული ბიგების თაროებზე ჰყრიან ინერტულ მტვერს, რომელიც იზიდავს ქვანახშირის მტვერს, ამის შემდეგ ის კარგავს აფეთქების უნარს. უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას ტყიბულის შახტებში დიდი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება.

ნახშირის ფენა ტყიბულში საშუალოდ 18—20 მეტრს აღწევს, ცალკე ფენებში კი — 2-6 მეტრამდეა. შახტების დაღრმავებისა და ღრმა ფენების დამუშავებისათვის სათანადო მუშაობა ტარდება.

ქვანახშირის ამოღების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მექანიზაციას. ტყიბულს საშახტო მოწყობილობებს აწვდის ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა. შახტებში გამოყენებულია მრავალი მანქანა-იარაღი: ელმავალი, მომხვეტი ტრანსპორტიორი, ელექტრობურთი, პნევმატური ბურღი, ქანის მტვირთავი მანქანა (ქოსამზადებელ სამუშაოზე), ამწევი მანქანა (ვერტიკალური სატვირთი), ჯალამბარი („ღებბიოტკა“). მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით უმთავრესად ხელით ხდება ტვირთვა მოსამზადებელ სამუშაოებში და სანგრევეში ხე-ტყის მასალის ატანაც.

ახალი შახტების მშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება დეთმო ქვანახშირის გაუხვევასაც. 1952 წელს ამუშავდა ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა.

ტყიბულის შახტებში მოპოვებული ნახშირის დიდი ნაწილი მიღის გამამდიდრებელ ფაბრიკაში და გაუხვევის შემდეგ (კონცენტრატი და სხვა პროდუქცია) იგზავნება დანიშნულებისამებრ. ფაბრიკის საერთო პროდუქციის ღირებულება 80 მილ. მანეთს აღემატება.

გარდა აღნიშნული საწარმოებისა (გამამდიდრებელი ფაბრიკა, შახტები, ინერტული მტვრის წარმოება), ტყიბულნახშირის ტრესტს აქვს დამხმარე საწარმოები (მექანიკური სახელოსნო, საშენი მასალების წარმოება და სხვ.). მათი ყაირათიანად მუშაობა დიდად უწყობს ხელს ქვანახშირის ტრესტის მიერ გეგმის შესრულებას.

ტყიბულის მეშახტეთა ხელფასი განუხრევლად იზრდება. იგი შეადგენდა: 1940 წ. — 656 მან., 1946 წ. — 883 მან., 1950 წ. — 993 მან., 1955 წ. — 1.047 მან., 1956 წ. — 1.014 მან.

მოწინავე მეშახტის საშუალო გამომუშავება თვეში 2 ათას მან. აღემატება.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ ტყიბულელ მეშახტეებს: პოლიექტორ ჭელიშვილსა და ალ. ქასრაძეს. მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა მრავალმა მეშახტემ. ტყიბულს წარმოების მრავალი მოწინავე ჰყავს: 1940 წ. იყო 225 კაცი, 1950 წ. — 310, ხოლო 1956 წელს — 500-ზე მეტი.

1940 წ. ტყიბული იძლეოდა საქართველოში მოპოვებული ნახშირის 61,8%-ს, 1946 წ. — 56,8%-ს, 1950 წ. — 51,8%-. ეს გამოწვეულია ახალი შახტების ამოქმედებით ტყვარჩელსა და ახალციხეში. ამჟამად ტყიბულზე მოდის საქართველოში მოპოვებული ნახშირის 50%.

ქვანახშირის მოპოვება ტყიბულის რაიონის მრეწველობის პროდუქციის დაახლოებით 70%-ს, ხოლო ქალაქ ტყიბულის მრეწველობის საერთო პროდუქციის 78%-ს იძლევა.

ტყიბულის რაიონში არსებობს თბო-და ჰიდროენერგეტიკული რესურსები. მიუხედავად ამისა, აქ ელექტროენერჯის დიდხანს არ იყო, მაშინ როდესაც ტყიბულის ქვანახშირის ბაზაზე თბილისში რამდენიმე მცირე სიმძლავრის ელსადგური მუშაობდა, თვით ტყიბული მოკლებული იყო ელექტროგანათებას. ზედმეტია ლაპარაკი ძველად ტყიბულის რაიონში ელექტროენერჯის სამეურნეო დაწესებულებით გამოყენებაზე: ელექტრონით განათება მხოლოდ ოცნება იყო. ელექტროენერჯით სარგებლობა მაშინ ფუფუნების საგნად ითვლებოდა.

აღდგენით სპერიოდში ტყიბულის ელექტროენერჯით უზრუნველყოფა ერთგვარ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ეს მდგომარეობა უმოთხრესად რიონჭესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ (1933 წ.) გამოსწორდა. მანამდე იყო მცირე სიმძლავრის ელსადგურის აგების ცდები. პატარა სადგურის აგება უნდოდათ, მაგალითად, მდ. რიონზე, ქუთაისის მახლობლად, რომელიც ენერჯის მიაწვდიდა ქ. ქუთაისსა და ქ. ტყიბულს.

ინე. გიზმა შეადგინა პროექტი 10 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის ელსადგურის ასაშენებლად¹. ეს ელსადგური ენერჯის მიაწვდიდა ტყიბულის ქვანახშირის მალარობებს და ქ. ქუთაისს, მაგრამ მხოლოდ განათებისათვის. ასეთი პროექტის განხორციელება დიდ სიძნელეებს აწყდებოდა პირველ ხანებში.

რიონჭესის ამოქმედების შემდეგ დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის ელექტროენერჯით მომარაგება.

მცირე სიმძლავრის ჰიდროელსადგურები ამოქმედდა სოფ. ძმუთისსა და მანდიკორში.

რიონჭესის ელექტროენერჯის იყენებდა (შაორჭესის ამოქმედებამდე) არა მარტო ქვანახშირის შახტები, არამედ რაიონის მთელი რიგი სხვა საწარმოები და კოლმეურნეობები.

რაიონში მოწყობილია ელექტროქვესადგურები: გელათის შახტის, კურსების, ორპირის ჩაის ფაბრიკის, ხრესილის (ელმავლები-სათვის ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზაზე), საწირის, ახალსოფლის, ტყიბულნახშირის ტრესტისა და სხვ. ქ. ტყიბულის სხვა საწარმო-

¹ გ. ნ. გვებანი, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბილისი, 1925, გვ. 148—151.

დაწესებულებები ელექტროენერჯიას უშუალოდ ტრესტისაგან ლე-
 ბულობენ.

ელექტროენერჯიის დიდი მომხმარებელია ქვანახშირის ტრესტი
 თავისი საწარმოებით, შემდეგ — ქ. ტყიბული.

ომისშემდგომ ხუთწლეულების ძირითად ამოცანებში მნიშვნელო-
 ვანი ადგილი ეკუთვნის ახალ ჰიდროელსადგურთა მშენებლობას, პირ-
 ველ ყოველისა შაორჭესის და ტყიბულჭესის მშენებლობის დამთავ-
 რებას.

შაორჭესი I უკანასკნელ ხანებში ჩადგა მწყობრში და ჩართუ-
 ლია „საქენერგოს“ ქსელში; შაორჭესმა 1953 წელს გამოიმუშავა
 122,4 მილ. კვტ. საათი ელექტროენერჯია.

ამჟამად რაიონი წლიურად დაახლოებით 50 მილ. კვტ. საათს
 ელექტროენერჯიას იყენებს, მათ შორის, ქვანახშირის ტრესტი 40
 მილ. კვტს-ს, შახტმშენი 7 მილ. კვტს-ს და ა. შ.

ელექტროენერჯიას ტყიბულის შახტებში იყენებენ ზურღვისათ-
 ვის, ტრანსპორტირებისათვის, საკარიერო კომპლექსისათვის, ნახ-
 შირის გაუხვეებაში, დამხმარე საწარმოებში, მშენებლობაზე, კომუ-
 ნალურ მეურნეობაში და სხვ. ტონა ქვანახშირის ამოღებაზე იხარ-
 ჯება დაახლოებით 15 კვტს ელექტროენერჯია. ერთი კილოვატ-
 საათის დახარჯვით ტყიბულში ამოაქვთ დაახლოებით 60 კგ ქვა-
 ნახშირი, დონბასში კი — 75 კგ.

ჰიდროელსადგურების მშენებლობა და ელექტროენერჯეტიკული
 ბაზის გაფართოება უზრუნველყოფს ტყიბულის რაიონის საწარმოო
 ძალთა შემდგომ აღმავლობას.

ბარიტი გავრცელებულია სოფლების: კიროვის, ოჯოლის, გურ-
 ნის, ახალსოფლისა და მუხურის მიდამოებში. აქედან უმთავრესია
 კიროვის ბარიტის საბადო, რომელიც ქუთაისის რაიონში შემე-
 ვალი წიფლარის ხევის ბარიტის საბადოს გაგრძელებაა.

სოფ. კიროვის მიდამოებში ბარიტის მოპოვება ხდებოდა კერძო
 პირების მიერ და მეტად პრიმიტიული წესით. მოპოვებას შეუდ-
 გნენ 1925—26 წლებში. კიროვის უბნის ჩრდილოეთით მდებარე-
 ობს ადგილი საბრეგელა, სადაც ამჟამად ბარიტის ყველაზე მძლავრი
 ძარღვებია.

1926 წლიდან სოფ. კიროვში მოპოვებული ბარიტი მიჰქონდათ
 სადგურ ორპირამდე ურმებით, შემდეგ კი რკინიგზით ქუთაისში.
 ამ წელს ამოღებულ იქნა 800 ტ. ბარიტი.

1930 წელს გაიხსნა საბაგრო გზა, რისი საშუალებითაც ბარიტი

გადააქვთ მდინარე რიონის გადაკვეთით მარჯვენა სანაპიროზე, კერძოდ, წიფლარის ხევში, სადაც მოწყობილია გამაუხვებელი ფაბრიკა. აქედან ავტოტრანსპორტით ბარიტი იგზავნებოდა ნავთის წარმოებისათვის, შემდეგ კი უშუალოდ ლიტონის ქარხნისათვის.

აქაური ბარიტი კარგი ხარისხისაა, მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში მისი მოპოვება შედარებით მცირეა. ამის ერთ-ერთი მიზეზია საბადოს ძველ უბნებში ბარიტის ნაწილობრივი გამოლევა.

სამამულო ომამდე ლიტონის წარმოებისათვის მიღებული ბარიტის მოპოვება 1926 წელთან შედარებით თითქმის ათჯერ გაიზარდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ბარიტის ახალი საბადოები მუშავდება, ამიტომ კიროვის ბარიტის ხვედრითი წონა ნაწილობრივ შემცირდა.

გეოლოგიურ-საძიებო მუშაობის ჩატარებას მოითხოვს არა მარტო კიროვის, არამედ ახალსოფლის, გურნის და მუხურის საბადოებიც.

ტყიბულის რაიონის ფაბრიკა ქარხნების, კომუნალურ, საბინაო, კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მასობრივი მშენებლობის გაშლა ბუნებრივი აუცილებლობით გულისხმობდა საშენ მასალათა მრეწველობის შექმნასა და განვითარებას. აქედან განსაკუთრებით გამოირჩევა ტეშენიტის წარმოება. 1930 წელს მწყობრში ჩადგა კურსების ტეშენიტის ქარხანა; იმავე წელს დაამზადეს 326,3 ათასი ცალი გრანიტის ძელაკი. ომამდე წლიურად საშუალოდ მზადდებოდა 2,5 ათასი ცალი ძელაკი; 1943 წელს გამოშვებულ იქნა 8,6 ათასი კვ. მეტრი ძელაკი, 1950 წელს 8 ათასი კვ. მეტრი ძელაკი, 1 ათასი კვმ გათლილი ბლოკი, 750 მ³ ღორღი და სხვ., 1955 წელს — 5,6 ათასი მ³ გრანიტის ძელაკი, 300 მ³ ღორღი, 86,4 გრძივი მეტრი საფეხურის ქვები, 751 მ³ გათლილი ბლოკი, 83 გრძივი მ. კარნიზის ქვა, 1,7 ათასი მ³ სუფთა თლილი ქვა, 2 ათასი მ³ მოსაპირკეთებელი ქვა და ა. შ. 1958 წელს — 9,2 ათასი მ³ გრანიტის ძელაკი, 1,2 ათასი მ³ საძირკვლის ქვა, 150 გრძივი მეტ. კარნიზის ქვა და ა. შ.

კირის წარმოება განვითარებულია ტყიბულში და მოწამეთაში. მოწამეთის კირის ქარხანა 1929 წლიდან ჩადგა მწყობრში; 1933 წელს ქარხანამ გამოუშვა 3,2 ათასი ტ. კირი, 1940 წელს 3,5 ათასი ტ. 1946 წელს 3 ათასი ტ., 1950 წ. — 5,2 ათასი ტ., 1955 წ. — დაახლოებით 10 ათასი ტ.; კირის წარმოება აქვს აგრეთვე ტყიბულშახტმშენს. ამ ხაზით 1946—1950 წწ. წლიურად

საშუალოდ გამოშვებული იქნა 2 ათასი ტ. კირო. უკანასკნელ წლებში კი — 2 ათას ტონაზე მეტი; კიროს წარმოება აქვთ აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს და კოლმეურნეობებსაც (მცირე სიმძლავრის საკირები).

აგურისა და კრამიტის წარმოება შეიქმნა ომასშემდგომ ხუთწლედში. აგურის ქარხნები განლაგებულია ქ. ტყიბულში, ხოლო კრამიტისა — ახალსოფელში, ხრესილში და ტყიბულში. 1946 წელს გამოშვებულ იქნა 2 ათასი ცალი აგური, 1955 წ. — 6 ათასი ცალი, 1957 წ. — 7 ათასი ცალი.

1946 წ. კრამიტის ქარხნების მიერ გამოშვებულ იქნა 100 ათასი ცალი კრამიტი, 1950 წ. — 120 ათასი ცალი, 1955 წ. — 150 ათასი ცალი, 1957 წ. — 200 ათასი ცალი.

საშენ მასალათა დანარჩენი სახეებიდან იწარმოება ბეტონი, „შლაკობლოკები“, საშენი ქვა, ქვიშა, მსხვრევადი მარმარილო და სხვ.

არამინერალური საშენი მასალებიდან შემოზიდული ხე-ტყის ბაზაზე განვითარებულია სახერხი წარმოება (ადგილობრივ ბაზაზე მოქმედებს მხოლოდ სოფ. ძმუისის მცირე სიმძლავრის სახერხი ქარხანა). ხე-ტყის სახერხი საწარმოები აქვთ: ტყიბულში ატმშენს, ადგილობრივ მრეწველობას, კონსერვტრესტის ორპირის განყოფილებას, გეოლოგიურ საძიებო პარტიებს და სხვ.

საშენ მასალათა წარმოება იძლევა რაიონის სამრეწველო პროდუქციის საერთო ღირებულების 5%-ს და მესამე ადგილზეა ქვანახშირისა და კვების მრეწველობის შემდეგ.

გემო-კვების მრეწველობიდან აღსანიშნავია ჩაის მრეწველობა, საფუკეავის წარმოება და პურის ცხობა, ლიმონათის, საკონდიტრო წარმოება და სხვ. აქედან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის მრეწველობას.

ჩაის კულტურის განვითარების ბაზაზე სოფ. ორპირში აგებულ იქნა ჩაის ფაბრიკა (1934 წელს), რომელიც სავსებით ვერ უზრუნველყოფდა რაიონში დამზადებული ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებას, რამაც საჭიროდ გახადა მეორე ფაბრიკის აგება ტყიბულის მახლობლად, სოფ. სამტრედიისში. ჩაის პროდუქციის მიხედვით ტყიბულის რაიონს წამყვანი ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში. აქაური ჩაი თავისი სურნელოვანებითა და გემოთი საუკეთესო ხარისხისაა. ჩაის მრეწველობა წელიწადში დაახლოებით 29 მილიონ მან. პროდუქციას იძლევა.

მრეწველობის დანარჩენ დარგებს მიეკუთვნება ფეხსაცმლის,

ტანსაცმლის სამკერვალო, ავეჯის, წისქვილის ქვების წარმოება და სხვ., ამგვარად რაიონის სახალხო მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მრეწველობას.

ბ) სოფლის მეურნეობა

ტყიბულის რაიონის სახალხო მეურნეობაში სოფლის მეურნეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მრეწველობის შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რაიონის სოფლის მეურნეობა მეტად ჩამორჩენილი იყო; ადგილი ჰქონდა მარცვლეული კულტურებიდან სიმინდისა და ღომის მოყვანას, მეხილეობას, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებას და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით¹ ოკრიბა ლიხთ-იმერეთში ვენახ-ხილიან ადგილს ეკუთვნის; საყურადღებოა ტოლოჩანოვისა და იევლევის² მიერ მოცემული იმერეთის, კერძოდ, ოკრიბის აღწერაც, აგრეთვე შარდენის³, გიულდენშტედტის⁴ და სხვა მოგზაურთა მიერ წარმოდგენილი ოკრიბის სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება.

ცარიზმისა და მენშევიკების დროს ოკრიბის სოფლის მეურნეობა ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა. სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა დაბალი იყო და ხშირი იყო მოუსავლიანი წლებიც. შექმნილი მდგომარეობა აიძულებდა გლეხობას წასულიყო საშუაოს საშოვნელად ქალაქ ქუთაისში, ტყიბულის მაღაროებში, ან რკინიგზაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტყიბულის რაიონის სახალხო მეურნეობის ეს დარგიც აღმავლობის გზას დაადგა.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განხილვამდე აუცილებელია რაიონის მიწის ფონდის გათვალისწინება.

ტყიბულის რაიონის ტერიტორია 46,3 ათას ჰექტარს აღემატება, აქედან ვარგის მიწებს უჭირავთ 88%.

მიწის ფონდის სტრუქტურა ასეთია: 1) სახნავ-სათესი — 5,3

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1941, გვ. 165.

² სტოლინიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში (1650—1652), საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა, თბილისი, 1926, გვ. 60, 104, 111.

³ შარდენი ჟან, მოგზაურობა საქართველოში (1672), თარგმ. ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, თბილისი, 1935.

⁴ იხ. გიულდენშტედტის დასახ. შრომა, გვ. 296—298, 374—380.

ათასი ჰექტარი; 2) მრავალწლიანი ნარგავი 3,2 ათასი ჰ; 3) სათიბი 53 ჰ; 4) საძოვარი 4,6 ათასი ჰ; 5) ყამირი და ნასვენი 554 ჰ; 6) ტყე 14,1 ათასი ჰ; 7) უჩქნარი 8 770 ჰ; 8) წყლის ზედაპირი 2 ათასი ჰ; 9) გზები 1.156 ჰ; 10) შენობების ქვეშ 235 ჰ; 11) კლდე, ღრე, ხრამი — 4,2 ათასი ჰ; 12) დანარჩენი — 2.156 ჰ.

სოფლის მეურნეობის ძველი დარგია მარცვლეულის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ შეცვალა ძველი ოკრიბის სოფლის სურათი. ამჟამად მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ფართობის უდიდესი ნაწილი კოლმეურნეობებშია გაერთიანებული.

1929 წელს რაიონში იყო 3 კოლმეურნეობა, 1950 წ. — 40, 1958 წ. — 27 (დამსხვილების შემდეგ), ამჟამად კი 25 კოლმეურნეობა.

მარცვლეულ კულტურებს შორის პირველ ადგილზეა სიმინდი, რომელსაც 3 ათას ჰექტარზე მეტი უჭირავს. მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰ-ზე დაახლოებით 10 ცენტნერს შეადგენს. სიმინდი ითესება ყველა სოფელში, ღომი — უმთავრესად ჯვარისაში.

ჩაის კულტურა საკვლევ რაიონში არ იყო ძველად; 19-5 წელს ეს კულტურა პირველად გააშენეს სოფ. მანდიკორში, 1928 წ. ხრესილში, ხოლო 1931 წლიდან იგი მასობრივად დაინერგა და აღწევდა 153,3 ჰექტარს; 1935 წლისათვის ჩაის პლანტაციის ფართობი 735 ჰექტარამდე ავიდა.

ჩაის კულტურის დანერგვა და განვითარება ერთ-ერთი ფაქტორი გახდა კოლმეურნე გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 940 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი 1000 ჰექტარს აღწევდა, 1958 წელს 1.140 ჰ მიიღწია, აქედან ფოთლის მომცემია დაახლოებით $\frac{3}{4}$ ნაწილი. ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰ-ზე 2,6 ათას კგ აღწევს. საკვლევ რაიონზე მოდის საქართველოს ჩაის ფართობის 2,7%, ჩაის ფოთლის მოსავლის კი დაახლოებით 2,0%.

ტყიბულის რაიონი მებუღებობის ძველი რაიონია, ამ დარგმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნამდვილად სამრეწველო ხასიათი მიიღო. გამოირჩევა შემდეგი ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ბალი, ლეღვი და ა. შ. ვაშლი უმთავრესად გავრცელებულია ცუცხვათში, ხრესილში, მუხურაში, კურსებში, გურნაში, ჯვარისაში და სხვა სოფლებში. მსხალი მეტწილად გვხვდება ჯვარისაში, ოჯოლაში, ციხიაში, ცუცხვათში, დაბაძველში, მუხურაში და სხვ.; ატმით განთქმულია სოფლები: ციხია, მანდიკორი, ბობოთი, ხრესილი, ჯვარისა, კურსები და სხვ.

1930 წელს ხეხილის ბაღებს ეჭირა 1000 ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებზე მოდიოდა 203 ჰექტარი, 1950 წ. — 3 ათასი ჰ (მ. შ. კოლმეურნეობებში 1,1 ათასი ჰ), 1955 წ. — 3,2 ათასი ჰ (მ. შ. კოლმეურნეობებში 1,2 ათასი ჰ). ტყიბულის რაიონზე მოდის საქართველოს ხეხილის ბაღების საერთო ფართობის (სუბტროპიკულ ხილს გარდა) დაახლოებით 4%, რაიონის ხეხილის ბაღების ფართობის დაახლოებით 85% ვაშლსა და მსხალზე მოდის. ხილის საშუალო მოსავლიანობა ჰ.ზე 40—60 ცენტნერამდე მერყეობს. მეხილეობა მეორე ადგილზეა ჩაის კულტურის შემდეგ და იძლევა რაიონის სოფლის მეურნეობის ფულადი შემოსავლის დაახლოებით 7%-ს.

მართალია, ტყიბულის რაიონი არ მიეკუთვნება მევენახეობის ძირითადი რაიონების ჯგუფს, მაგრამ რაიონის ცალკეულ სოფლებში (კურსები, ნაბოსლევი, ხრესილი, გურნა და სხვ.) მეურნეობის ამ დარგს დიდი გასაქანი აქვს. საკვლევი რაიონი იძლევა უმთავრესად თეთრი სუფრის ღვინის მისაღებ ნედლეულს. ვაზის თეთრყურძნიანი ჯიშებიდან აქ გვხვდება ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, დონდლაბი. წითელყურძნიან ჯიშებიდან კი — ოცხანური, საფრე, აგრეთვე ძველშავიც. 923 წელს ვენახის ფართობი იყო 350 ჰ; 1940 წ. 500 ჰ.ზე მეტი. განსაკუთრებით დიდდება საკოლმეურნეო სექტორის ვენახის ფართობი; 1940 წ იყო 5: ჰ, 1957 წ. გადიდა 1.36 ჰ-მდე. 1 ჰ.ზე მიღებულია 8,65 ცენტ. ყურძენი.

ტყიბულის რაიონში, სოფლის მეურნეობის დარგებს შორის მეცხოველეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. აქ განვითარებულია მეცხოველეობის თითქმის ყველა დარგი, რომელთა შორის შედარებით დიდი პროდუქტიულობით გამოირჩევა: მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა; ნადირობას და მეთევზეობას მარტოოდენ სამომხმარებლო დანიშნულება აქვს და ისიც მცირე მასშტაბით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქარბობდა წვრილი გლეხური მეურნეობა და მეცხოველეობაც ჩამორჩენილი დარგი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარდა სათანადო მუშაობა, რამაც მეცხოველეობა აღმავლობის გზაზე დააყენა.

შინაური ცხოველების უდიდესი ნაწილი განსაზოგადოებულია. რაიონში ყველა კოლმეურნეობას აქვს მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ფერმები. პირუტყვის სულადობა წლითი-წლობით იზრდება.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იყო 1928 წ. — 10,2 ათასი სული;

1940 წ. — 13,7 ათ. (აქედან კოლმეურნეობებში 5,5 ათ.), 1946 წ. — 12,2 ათ., 1950 წ. — 13 ათ., 1955 წ. — 13,8 ათ. (აქედან კოლმეურნეობებში — 6,7 ათ.), 1956 წ. — 14,7 ათ. (აქედან კოლმეურნეობებში 6,9 ათ.); ღორის სულადობა იყო 1928 წ. — 1,5 ათ. სული. 1940 წ. — 6,7 ათ., 1946 წ. — 5,4 ათ., 1950 წ. — 5,4 ათ., 1955 წ. — 3,2 ათ., 1956 წ. — 10 ათ. (აქედან კოლმეურნეობებში 2 ათ.); ცხვრის და თხის სულადობა იყო: 1928 წ. — 1 ათ., 1940 წ. — 7 ათ., 1946 წ. — 9 ათ., 1950 წ. — 5,6 ათ., 1955 წ. — 4,8 ათ., 1956 წ. 3,6 ათ. უკანასკნელ წლებში ცხვრისა და თხის სულადობა მცირდება, რაც გამოწვეულია სპეციალური ღონისძიებების გატარებით; საკვლევი ობიექტი მეჩაიეობისა და მეხილეობის რაიონია, ამიტომ ჩაის ბუჩქისა და ხეხილის დაცვის მიზნით წერილფეხა პირუტყვის, განსაკუთრებით თხის სულადობა შეამცირეს.

საშუალო წლიური წველადობა თითო ძროხაზე კოლმეურნეობებში შეადგენდა 1950 წ. — 373 კგ., 1955 — 56 წწ. — 593 კგ., 1957 წ. — 876 კგ., 1958 წ. — 1163 კგ.

პირუტყვის სულადობა (ყველა კატეგორიის მეურნეობისა) ყოველ 100 ჰ სამეურნეო სავარგულზე 1955 წ. 1/X-ს იყო: მსხვილფეხა 99 (მ. შ. ძროხა 32), ღორი (100 ჰ სახნავეზე) — 138, ცხვარი და თხა — 37.

1956 წ. 100 ჰ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის კოლმეურნეობათა მიწებზე მიღებულია 58.520 ლიტ. რძე, ფულადი შემოსავალი 167.335 მან. 100 ჰ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ჰყავდათ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 55,5 სული, მათ შორის ძროხა 11,6, ღორი — 48,8; მიღებულია ხორცი 5,8 ცენტნერი. 1957 წ. 100 ჰ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიღებულია 72 ცენტნერი რძე.

მეფრინველეობა რაიონის ყველა სოფელშია განვითარებული, მაგრამ ამ დარგს მეცხოველეობაში დამხმარე ხასიათი აქვს. კოლმეურნეობებში ფრინველი 1500 ფრთას აღემატება, აქედან უმთავრესად ქათამი ჭარბობს.

მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ძველი დარგია, რომელიც ბევრ სოფელშია განვითარებული. თუთის ხეების გაშენებით, აგრონომიული მომსახურების გაძლიერებით გაიზარდა პარკის მოსავალი. 1950 წ. მიღებულ იქნა 64 ცენტნერი, ხოლო 1957 წ. — 125 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. აქედან დაახლოებით 25%¹/₆-ს იძლევა სოფ. კურსები. ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლიდან მიღებულ იქნა საშუალოდ 1950 წ. — 35 კგ პარკი, 1957 წ. — 50 კგ.

მეფუტკრეობაც რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ფუტკარი თითქმის ყველა სოფელშია გავრცელებული, განსაკუთრებით გამოირჩევა: ძმისი, კისორეთი, ციხია, ზედა ჭყვი, სოჩეთი, გელათი, კურსები და სხვ. სკების რიცხვი იყო: 1923 წ. — 343, 1928 წ. — 1029, 1950 წ. — 1200, 1957 წ. — 1500. 1950 წ. სკების რიცხვი კოლმეურნეობებში 500 მდე აღწევდა, 1957 წ. — 1176-მდე თავლის საშუალო წლიური მოსავალი კოლმეურნეობებში 32,5 ცენტნერს აღემატება. თავლის გამოსავალი 1 სკაზე საშუალოდ 3-დან 5 კგ-მდე მერყეობს.

მეთევზეობასა და ნადირობას ტყიბულის რაიონში შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

რაიონის მდინარეებსა და წყალსაცავებში იჭერენ თევზს; ნადირობენ: კურდღელზე, მელაზე, მგელზე, დათვზე, მაჩვზე და სხვ.

მეცხოველეობის დარგებს მომსახურებას უწევს ვეტსანიტარული ქსელი: ვეტსამკურნალო, ზოოვეტუბნები, ზოოვეტპუნქტები და სხვა დაწესებულებანი. გათვალისწინებულია პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდა, პროდუქტიულობის გადიდება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის საკვები ბაზის განმტკიცება, პირუტყვის კვებისა და მოვლის გაუმჯობესება, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში სახელმძღვანელო მითითებას წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილებანი.

რაიონის სოფლის მეურნეობის დარგებს (საკოლმეურნეო სექტორი) მომსახურებას უწევს სხვადასხვა მანქანა-იარაღები. მათ შორის ტრაქტორი 6, სატვირთო მანქანა — 40, მსუბუქი — 10, ჩალის საჭრელი — 25, სილოსის საჭრელი — 25, გუთანი — 240, კულტივატორი — 85, მარცვლის სათესი — 30 და ა. შ.

რაიონის კოლმეურნეობათა მიერ წლიურად მიღებული ფულადი შემოსავალი 29,5 მილიონ მანეთს აღემატება, აქედან მოდის: მემკენარეობაზე 86,7%, მეცხოველეობაზე — 10,3%, დამხმარე საწარმოებზე — 3,0%.

გ) ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, აგრეთვე მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობისათვის.

ტყიბულის რაიონში გადამწყვეტ როლს ასრულებს რკინიგზის

ტრანსპორტი. რკინიგზის გაყვანა გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიწყო, მანამდე კი მიმოსვლის ძირითადი საშუალება საურმე გზები იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რკინიგზა ტყიბულში 1883—1887 წწ. გაიყვანეს. ძლიერ გაქიანურდა ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის მშენებლობა. რკინიგზის გაყვანამ დააჩქარა რაიონის სამეურნეო განვითარება, გადიდდა ქვანახშირის ამოღება და გაზიდვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი სამუშაოები ჩატარდა ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზის რეკონსტრუქციისა და ტვირთ-ზიდვის გადიდების საქმეში. გარდა ამისა, ჩატარდა რიგი სამუშაოებისა ცალკეულ უბნებზე გზის გასწორებისათვის. ამჟამად იგი უკეთ მოწყობილ რკინიგზას წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში მოხდა ამ გზის ელექტროფიცირება. 1956—1957 წწ. რეკონსტრუირებულ იქნა საწირე-ტყიბულის რკინიგზის უბანი ტყიბულის წყალსაცავის მოწყობასთან დაკავშირებით, გზა შემცირდა 6,7 კმ-ით. ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზის სიგრძე 36 კმ-ს შეადგენს.

ურელსო გზების გაყვანისა და არსებული გზების აღდგენის საქმეშიც უდიდესი სამუშაოები ჩატარდა. ურელსო გზები მრავალმხრივ ფუნქციას ასრულებს, მათი საშუალებით ხდება როგორც კავშირის დამყარება საკოლმეურნეო სოფლებთან, ასევე მეზობელ რაიონებთან. ამ გზების სიგრძე 70 კმ აღემატება, მათ შორის რესპუბლიკური მნიშვნელობის ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზის სიგრძე 33 კმ ს შეადგენს; ამავე ჯგუფს მიეკუთვნება სადგურ გელათიდან მონასტრამდე 2,7 კმ სიგრძის გზა, ტყიბული წინწყილა (თერჯოლის რაიონის საზღვრამდე) — 7 კმ და ტყიბული-ხარისთვალის გზა (14 კმ). დანარჩენი გზებიდან აღსანიშნავია ტყიბული-მუხურა — 12 კმ, ორპირი-სოჩხეთი — 19 კმ, ორპირი-ცუცხვათი — 9 კმ, ორპირი-ჯვარისა — 7 კმ, ორპირი-გურნა — 12 კმ, გურნა-კისორეთი — 7 კმ; საქაპანო გზებია: გურნა-ოჯოლა — 10 კმ, ოჯოლა-კიროვი — 3,5 კმ, გურნა-ძმუისი — 9 კმ, საწირე-დაბაძველი — 3 კმ, საწირე-ძიროვანი — 3 კმ, ძიროვანი-სოჩხეთი — 13 კმ და სხვ.

რკინიგზის მეოხებით ხდება ქვანახშირის გაზიდვა. ქვანახშირი გადის შერეული მიმართულებით: საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში — 74,5%, სომხეთში — 25%, აზერბაიჯანში — 0,5%.

საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში ტყიბულიდან გადის ქვანახშირი: რუსთავში — 500 ათასი ტ., ქუთაისში — 130 ათ. ტ., თბილისში — 100 ათ. ტ. და ა. შ.

რაიონის მიმოსვლის გზები უდიდეს როლს ასრულებს ტვირთ-ზიდვისა და მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანის საქმეში. ხორციელდება ეკონომიური კავშირ-ურთიერთობანი; ქალაქი საკოლმეურნეო სოფლებს აწვდის სხვადასხვა საქონელს, სურსათს, სათბობს, სამრეწველო ნაწარმს და სხვ.

რაიონში ითვლება 500-მდე საბარგო ავტომანქანი; მსუბუქი მანქანები ჰყავთ რიგ ორგანიზაციებს. მანქანები შეიძინა აგრეთვე ბევრმა მეზახტემ.

კავშირგაბმულობის განვითარებას რაიონში ძველად ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ დარგმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდ აღმავლობას მიაღწია. რაიონში მოეწყო ტელეგრაფის, ტელეფონის (1700 აბონენტი), ფოსტის, რადიოს ქსელი (2000 რადიო-წერტი); ტყიბულს პირდაპირი სატელეფონო კავშირი აქვს თბილისთან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან. რაიონული ცენტრი კავშირგაბმულობის შეოხებით სათანადო ურთიერთობას ამყარებს ყველა სოფლის საბჭოსთან და საწარმოო-დაწესებულებებთან.

საბჭოთა კავშირის ერთიან სამეურნეო ორგანიზმში შედის საქართველოც. საქართველოს ცალკეული რაიონები ერთმანეთთან სამეურნეო კავშირში იმყოფებიან. ტყიბულის ადმინისტრაციული რაიონი მჭიდრო ეკონომიურ კავშირშია საქართველოს დანარჩენ რაიონებთან.

ტყიბულიდან და მასში შემავალ მიკრორაიონებიდან სხვადასხვა დანიშნულებით იგზავნება შემდეგი პროდუქცია: ქვანახშირი (საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში — ქუთაისი, რუსთავი, თბილისი, ორჯონიკიძე, სტალინირი, ცხაკაია, ზესტაფონი, გორი, ხაშური, წულუკიძე); სომხეთში (უმთავრესად ერევანი), აზერბაიჯანში (უმთავრესად ბაქოში); ქვანახშირის კონცენტრატი (რუსთავში); ენერგეტიკული ხახშირი (ქუთაისი, თბილისი, რუსთავი); ტეშენიტი (ქუთაისში, თბილისში და სხვ.); წისქვილის ქვები (თბილისი, გეგეჭკორი, ხობი და სხვ.); ბარიტი (ქუთაისში), მოწამეთის საშენი კირქვა (ამიერკავკ. რკინიგზის ლიანდაგის გასამაგრებლად; მსხვერველადი მარმარილო (ქუთაისში); ჩაი (თბილისში და შემდეგ დანიშნულებისამებრ); ხილი და ჩირი (ქუთაისში, სამტრედიასში, ბათუმში, გორში, თბილისში, აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში და სხვ.); აბრეშუმის პარკი (ქუთაისში); ძებვეული (ქუთაისში); კერამიკული ნაწარმი (ქუთაისში).

ტყიბულის რაიონში შემოდის უმთავრესად მარცვლეული და შაქარი (რუსსრ და უკრაინის რაიონებიდან); ქსოვილები და ფეხ-

საცმელი (საქართველოდან, კერძოდ თბილისიდან და ქუთაისიდან, აგრეთვე მოსკოვიდან და ლენინგრადიდან); ლითონი და მანქანები (ქუთაისიდან, თბილისიდან და რუსთავიდან); თხევადი საწვავი (ბაქოდან); ხე-ტყე (რუსეთიდან).

გარდა აღნიშნულისა, რაიონში შემოდის ფართო მოხმარების სხვა საგნები.

ბ. შიდარაიონული განსხვავებანი

ბუნებრივ პირობების, მოსახლეობის და მეურნეობის გეოგრაფიის განხილვიდან ირკვევა, რომ რაიონი თავისი ტერიტორიითა და ეკონომიურ გეოგრაფიული ურთიერთობით არაერთგვაროვანია.

საკვლევ რაიონში შეიძლება გამოყოფილ იქნეს ცალკეული მიკრორაიონები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სპეციფიკური ნიშნებით: 1) ქალაქი ტყიბული, 2) დასავლეთის (კურსები), 3) ორბრის, 4) სამხრეთის (ცუცხვათი), 5) ჩრდილოეთის (გურნა), 6) ცენტრალური (ხრესილი), 7) საწირის და 8) აღმოსავლეთის (მუხურა) რაიონი.

ქ. ტყიბული თავისი რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია და იმყოფება ზღვის დონიდან 540 მეტრზე. მისი პერიფერიული ნაწილების სიმაღლე 1 ათას მეტრს აღემატება. რელიეფი გორაკ-ბორცვიანია (პერიფერიების გარდა) და აგებულია იურული და ცარცული ნალექებით.

ტყიბულის მიდამოების ჰავა ნოტიო და თბილია, ნისლიანი დღეებისა და ნალექების სიხშირით. წყლის მთავარი არტერიაა — ტყიბულა, რომელსაც ასაზრდოებს მრავალი შენაკადი: მუხნარი, ხოჯანისი, პატიჯეული, ურგები, საბილასური. ტყიბულას წყლის ხარჯი საათში 50 ათას მ³ შეადგენდა, მაგრამ შაორპისის მშენებლობასთან დაკავშირებით, როდესაც შაორის წყალი გადმოაგდეს ხელოვნური გვირაბით მდ. ტყიბულაში, წყლის ხარჯი დიდად გაიზარდა. ტყიბულის მიდამოებში გავრცელებულია ყვითელმიწა და ყომრალი ნიადაგები, აგრეთვე ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ბუნებრივი მცენარეებიდან აღსანიშნავია წაბლი, ცაცხვი, ნაძვი, სოჭი, სხვადასხვა ბუჩქნარი, ლიანები და სხვ. ტყეს უჭირავს დაახლოებით 1000 ჰ (ქალაქის ფარგლებში, აქედან 800 ჰ მოდის ნაკრძალზე). ხე-ტყის მარაგი 300 ათას მ³ შეადგენს.

ტყიბულის მიდამოებში კულტურულ ლანდშაფტს საგრძნობი ფართობი უჭირავს. აქ განლაგებულია ხეხილი, თუთის ხე, ბისტ-

ნეული და სხვ. პერიფერულ ნაწილში ეავრცელებულია სამკურნალო მცენარეები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშენდა პარკები და სკვერები, ამიტომ ქალაქი მწვანეშია ჩაუღული, რაც მეზობტეთა ახალგაზრდა ქალაქს, ტყიბულს, უფრო კეთილმოწყობილს ხდის.

თანდათანობით იზრდება ქალაქის მოსახლეობის რიცხვი. მე 17 საუკუნის შუა წლებში ტყიბული სოფელი იყო, მაშინ იქ ცხოვრობდა 300 კომლი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახე იცვალა მალაროელთა დაბა ტყიბულმა. 1926 წლის აღწერით ტყიბულში 1000 მცხოვრები ითვლებოდა. 1939 წ. სოფ. ტყიბული და მალაროელთა დაბა გაერთიანდა ერთიან დასახლებულ პუნქტად. 1939 წელს ტყიბულში ითვლებოდა 9,2 ათასი მცხოვრები. 1959 წ. 1939 წელთან შედარებით ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გადიდა 2,5ჯერ. ტყიბულზე მოდის რაიონის მოსახლეობის რიცხვის 50.3%, ქალაქის მოსახლეობის $\frac{2}{3}$ ქართველებია.

ქ. ტყიბული რაიონში სამრეწველო განვითარებით ყველაზე მეტად გამოირჩევა. ტყიბულში მოქმედებს 3 მძლავრი შახტი, გამამდიდრებელი ფაბრიკა, ინერტული მტერის ფაბრიკა, რამდენიმე საწარმო საშენი მასალების მრეწველობის ხაზით, ძეხვის ქარხანა, პურკოპშინატი, ელექტროსადგური, ლიმონათის ქარხანა, ხელოვნური ყინულის დამამზადებელი საამქრო, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ავეჯის, ლურსმნის საამქრო და სხვ.

განხორციელდა ფართო საბინაო მშენებლობა, საბინაო ფონდი 100 ათას მ² აღემატება, მოეწყო წყალსადენის და აბანო-საპარაკ-მახეროთა ქსელი. ქალაქში ითვლება 7 საშუალო სკოლა, 5 საბავშვო ბაღი, სპორტსკოლა, სამთო სკოლა, პიონერთა სახლი, მუსიკალური სკოლა, კულტსახლი, კინო-თეატრი, ბიბლიოთეკები, კლუბები და ა. შ. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება მრავალი დაწესებულება.

ქალაქ ტყიბულის ტერიტორია გარეუბნებით 1500 ჰ შეადგენს.

მეორე მიკრორაიონია დასავლეთისა, რომელშიც შედიან სოფლები: მოწამეთა, გელათი და კურსები. აღნიშნული მიკრორაიონის ტერიტორია შეადგენს ტყიბულის რაიონის ტერიტორიის 9% ს, ამ მიკრორაიონის ცენტრია სოფ. კურსები. ეს რაიონი გამოირჩევა მჭიდრო დასახლებით, ჩაის კულტურის განვითარებით, მეხილეობით, მეაბრეშუმეობით, ტყეშენიტის წარმოებით, ნახშირის წარმოებით, საშენი მასალების წარმოებით; იგი ცნობილია აგრეთვე ისტორიული ძეგლებით, რომელთა შორის გელათი ყველაზე მნიშვნელოვანია.

მესამე მიკრორაიონს — ორპირისას უჭირავს რაიონის ტერიტორიის დაახლოებით 12% და მოიცავს სოფლებს: ორპირი, მანდიკორი, კოკა, ჭყევი, ციხია და ა. შ. ამ მიკრორაიონს წამყვანი ადგილი უჭირავს ჩაის მრეწველობის განვითარების მიხედვით, აგრეთვე ნუკაიუმის, მეხილეობის და მეაბრეშუმეობის განვითარებითაც არის ცნობილი.

მეოთხე მიკრორაიონს წარმოადგენს ცუცხვათი. იგი ძირითადად ტაფობზე არის განლაგებული. მისი ტერიტორია შეადგენს რაიონის ფართობის 6,0%-ს. სამხრეთის რაიონი განსაკუთრებით გამოირჩევა ჩაის კულტურის ფართობით, ამავე დროს იგი მეხილეობის ერთ-ერთი ძირითადი მიკრორაიონია.

მეხუთე მიკრორაიონია ჩრდილოეთისა. მასში შედის სოფლები: გურნა, კიხიჯი, ძმუისი, კისორეთი, სოჩხეთი, კიროვი ოჯოლა, ჯვარისა და ა. შ. მას უჭირავს ტყიბულის რაიონის ტერიტორიის 34,0%. ჩრდილოეთის რაიონი გამოირჩევა მეჩაიუმის, მეხილეობის და მევენახეობის განვითარებით. კიროვის მიდამოებში ხდება ბარიტის მოპოვება; ჩრდილოეთის რაიონში ადგილი აქვს თიხისა ხის ჭურჭლების დამზადებასაც.

მექექსე მიკრორაიონია ცენტრალური, რომელშიც გაერთიანებულია სოფლები: ხრესილი, ბუეთი, ახალდაბა, ლელვა და ა. შ. ამ მიკრორაიონს უჭირავს ტყიბულის რაიონის ტერიტორიის 8% ის გამოირჩევა ჩაის კულტურის, მეხილეობის, მეცხოველეობის განვითარებით, აქვეა საშენ მასალათა წარმოებაც (ხრესილში) და გოგირდის აბანოები.

მეშვიდე მიკრორაიონია საწირისა, რომელშიაც შედის სოფლები: საწირე, ახალსოფელი, დაბაძველი, ზედუბანი, ძიროვანი და ა. შ. ამ რაიონს უჭირავს ტყიბულის რაიონის ტერიტორიის 11,7%. საწირის რაიონი გამოირჩევა ჩაის კულტურის, მეხილეობის, მარცვლეული მეურნეობის განვითარებით. აქვეა საშენ მასალათა წარმოება (ახალსოფელში). საწირე ცნობილია როგორც ბავშვთა კურორტი.

მერვე მიკრორაიონია მუხურისა, ანუ აღმოსავლეთისა. ეს მიკრორაიონი შეადგენს ტყიბულის რაიონის ტერიტორიის 13,6%. იგი ვრცელდება მდ. ძუსას ხეობაში ე. წ. მუხურის ტაფობზე. ამ მიკრორაიონის სპეციალიზაციაა მეხილეობა, ნაწილობრივ, მევენახეობაც. ამავე დროს მუხურა გამოირჩევა წისკვილის ქვებისა და თიხის ჭურჭლების დამზადებით.

6. პერსპექტივები

ამგვარად, ტყიბულის რაიონი შესწავლის მეტად საინტერესო ობიექტია. ამ რაიონს თავისი სახალხო მეურნეობით (მრეწველობიდან—ქვანახშირის მოპოვება, სოფლის მეურნეობიდან—მეჩაიობა) თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს სს რესპუბლიკაში.

მიმდინარე შეიღწლედიში ტყიბულის რაიონის, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების, მშრომელთა წინაშე ფართო პერსპექტივებია გადაშლილი. ტყიბულსა და მის მახლობელ ადგილებში, განსაკუთრებით შაორის ველზე, აგრეთვე მუხურის მიდამოებში აღმოჩენილ იქნა ნახშირის მდიდარი ფენები. ტყიბულში გაჩაღდა ახალი შახტების მშენებლობა.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ახალ, გაზრდილ მოთხოვნილებებს აყენებს ტყიბულელ მეშახტეთა წინაშე. ამიტომ ქვანახშირის ამოღების გადიდება მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა.

ტყიბულის რაიონში უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ქვანახშირის მოპოვებისა და გამდიდრების დარგში

1. არსებული რეზერვების გამოყენების საფუძველზე ქვანახშირის მოპოვების გადიდება დაახლოებით 26,8%-ით; 2. შაორის ველზე და მუხურის მიდამოებში ახალი შახტების ამოქმედება; 3. მოსამზადებელ სამუშაოებში ნახშირის ხელით დატვირთვის ლიკვიდაცია კომბაინებისა და სატვირთავი მანქანების გამოყენების საფუძველზე; 4. ჰიდრაულიკური ესების მეთოდის დანერგვა ახალ საექსპლოატაციო უბნებში; განსაკუთრებით ორჯონიკიძის სახ. შახტში, სადაც ჯერ კიდევ ჩამოქცევის წესით ხდება ნახშირის გამომუშავება; 5. ტყიბულის პირობებისათვის ჯერ არარსებული სამთო კომბაინის კონსტრუქციის შექმნა და მასი დანერგვა, როგორც მოსამზადებელ, ასევე საწმენდ პროცესში (დონბასისა და კუზბასის პირობები სულ სხვაა, ვიდრე ტყიბულისა და იქ მოქმედი კომბაინი ტყიბულის პირობებისათვის არარენტაბელურია). ტყიბულის შახტებს ესაჭიროება მარტივი კონსტრუქციის მანქანები; უახლოეს ხანში უნდა შემუშავდეს კომბაინი წმენდითი სამუშაოებისათვის; 6. ქვანახშირის მოპოვებისა და გამდიდრების პროცესების შემდგომი მექანიზაცია და ავტომატიზაცია; 7. ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მიერ მეტალურგიისათვის კონცენტრატის,

ენერგეტიკისათვის სამრეწველო პროდუქტის გამოშვების გადი-
 ლება 35⁰/₀-ით; 8. ნახშირის თვითღირებულების შემცირება 5⁰/₀-ით,
 შრომის ნაყოფიერების ზრდა 9,5⁰/₀-ით, ნახშირის ნაცრიანობის
 შემცირება 2—3⁰/₀-ით; 9. ინერტული მტერის ფაბრიკის პროდუქ-
 ტის ზრდა 10—12⁰/₀-ით; 10. რაციონალურ წინადადებათა და
 გამოგონებათა დანერგვა; სქელი ფენის რაციონალურად დამუშა-
 ვების მიზნით ნახშირის ზიდვა უნდა განხორციელდეს შორისეულ
 კვერშლავებში დადგმული მომხვეტი ტრანსპორტიორით. (ინჟ.
 ი. მანგალაძის წინადადება), შტოლნის ზედა ჰორიზონტის გადა-
 ხსნა ბრემსბერგის ნაცვლად შუროთი (ინჟ ი. მანგალაძის, ფ. ნა-
 ქყეხიას და ს. სახელაშვილის წინადადება), გამამდიდრებელი ფაბ-
 რიკიდან გამოსული შლამის რაოდენობის შემცირება (ინჟ. მესარ-
 ქიშვილის წინადადება), ჰამწევის დამცავი კარების და გალის
 დასაჯდომი მუშტების გაღებისა და დახურვის ავტომატიზაცია
 (ა. ბობოხიძის და ლ. სოფრომაძის წინადადება) და სხვ.

ბ) ელექტროფიკაციის დარგში

1. შაორისა და ტყიბულის ჰიდროელსადგურების დანარჩენი
 აგრეგატების ამუშავება; 2. ელექტროენერჯის ფართო დანერგვა
 ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და კომუნალურ მეურნეობაში,
 ასევე საკოლმეურნეო სოფლებში.

გ) ბარიტის მოპოვების დარგში

1. გეოლოგიური საძიებო მუშაობის ჩატარება სოფ. კიროვის
 პერიფერიულ ნაწილში, გურნის, ოჯოლის, ახალსოფლისა და მუ-
 ხურის მიდამოებში; 2. ბარიტის მოპოვებაში მექანიზმების დანერგვა.

დ) საშენ მასალათა წარმოების დარგში

1. მოწამეთის, გელათის და ტყიბულის მიდამოების კირქვისა
 და დოლომიტების კოლოსალური რესურსების უფრო მეტად გა-
 მოყენება სამრეწველო დანიშნულებით; 2. კურსების ტემენიტისა
 და გელათის ბაზალტის ნედლეულის სამშენებლო, ასევე ელექტრო-
 ტექნიკურ მრეწველობაში და პირომეტალურგიაში გამოყენება;
 3. მუხურის მიდამოების საცემენტე ნედლეულის ბაზაზე ცემენტის
 წარმოების შექმნა გეოლოგთა, ტექნოლოგთა და ეკონომისტთა
 სათანადო დასკვნების გათვალისწინების საფუძველზე; 4. ჯვარისის
 ცეცხლგამძლე ნედლეულის საშენ მასალად გამოყენების უზრუნ-

ველყოფა; ტყიბულის ცეცხლგამძლე თიხების გამოყენება მინის სახარში ლუმელისათვის საჭირო ცეცხლგამძლე მასალის წარმოებისათვის; 6. სოჩხეთის თაბაშირისა და ალბასტრის ნედლეულის გამოყენებისათვის სამუშაოთა ჩატარება; 7. შეიღწეულში ქვანახშირის შახტების ახალ სიმძლავრეთა ამუშავების დაჩქარების მიზნით საშენ მასალათა წარმოების გადიდება; 8. აგურისა და კრამიტის წარმოების გადიდება 10—15%-ით.

ე) კვების მრეწველობის დარგში

1. ორპირის ჩაის ფაბრიკის პროდუქციის ზრდა და სამტრედიის ჩაის ფაბრიკის სრულყოფილი ამოქმედება; 2. პურის ცხობის გადიდება 25%-ით; 3. ძეხვეულის წარმოების ზრდა 15,0%-ით; 4. უალკოჰოლო სასმელების წარმოების შემდგომი გადიდება; 5. საკონსერვო ქარხნის მშენებლობა ს. ორპირში.

ვ) ხოფლის მეურნეობის დარგში

1. მიწათმოქმედებაში ამჯერად გამოუყენებელი მიწის ფონდის ათვისება 1960 წ. 500 ჰ-ზე, 1965 წლისათვის 1000 ჰ-ზე; 2. მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნა უმთავრესად რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება; 3. მეჩაიეობის შემდგომი განვითარების ბაზაზე ჩაის კრეფის აყვანა 2,5 ათას ტონამდე. 1 ჰ-ზე 2 ათას კგ-ზე მეტი ჩაის ფოთლის მიღება; 4. სიმინდის ნათესი ფართობის გადიდება 3,5 ათას ჰ-მდე, ხოლო მოსავლიანობისა კი — 15 ცენტნერამდე; 5. ხილის მოსავლიანობის ზრდა 32 ცენტნერამდე 1 ჰექტარზე, გადიდდეს აგრეთვე ვაზის საკოლმეურნეო ფონდი; 6. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულალობა აყვანილი იქნეს 6 ათასამდე, მ. შ. ძროხისა 1 ათასამდე. 1 საფურაყე ძროხიდან მიღებულ იქნეს 1,5 ათასი ლიტრი რძე; 7. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულ მიწაზე მიღებულ იქნეს: რძე 180 ცენტნერი, ხორცი 43,3 ცენტნერი; გადიდდეს მეცხოველეობის საკვები ბაზა. თვითეულ საფურაყე ძროხაზე ჩადებულ იქნეს 12 ტონა მალალხარისხოვანი სილოსი.

ზ) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

1. საქალაქო და სასოფლო ტრანსპორტის გაუმჯობესება. საავტომობილო პარკის ზრდა, ტვირთოზიდვის შემდგომი გაუმჯობესება; ქალაქისა და საკოლმეურნეო სოფლების შემდგომი ტელეფონიზაცია და რადიოთვიცირება.

ო) სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში

1. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება; 2. საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, ფართობის ზრდა 30%-ით; 3. ქალაქის კეთილმოწყობა და გამშვენეირება; 4. ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვის გაძლიერება.

ი) კომუნალური მეურნეობის დარგში

1. ქ. ტყიბულის უზრუნველყოფა საწვავი გაზით ლიბტობიოლიტებისა და ნახშირის ფიქლების ბაზაზე; 2. სოფლის საბჭოების ცენტრებისა და საკოლმეურნეო სოფლების სათბობით და სასმელი წყლით უზრუნველყოფა; 3. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შემდგომი გაუმჯობესება.

* *

ასეთია ტყიბულის რაიონის მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება.

ეს შრომა, ვფიქრობთ, ერთგვარ სარგებლობას მოუტანს დაინტერესებულ მკითხველს ავტორი სიამოვნებით მიიღებს საქმიან შენიშვნებს და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

(შემოწიდა რედაქციაში 25. II. 1959)

კ. მ ე ქ ვ ე ლ ი ა

კ. ლორთქიფანიძე — კუბლიცისტი და მოაზროვნე

სამოციან წლებში საქართველოში ღრმა პუბლიცისტურ აზროვნებას ილია ქავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი. ილია ქავჭავაძის საპოლემიკო სტატიებით დაიწყო ახალი ხანა ქართულ ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეთა კამათის დონე ძალზე დაბალი და პრიმიტიული იყო, თერგდალეულების მეცნიერული მსჯელობა ყოველთვის გამოიჩინებდა საკითხის ღრმა ცოდნით, პრინციპულობითა და სიცხადით.

ილია ქავჭავაძის სახელოვან ტრადიციებს იცავდნენ ქართულ პრესაში მისი თანამებრძოლები: ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვები.

თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე, უდავოდ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის. მისი მახვილგონივრულად დაწერილი სტატიები ნათლად არკვევდნენ თერგდალეულებისა და მათ მოწინააღმდეგეთა სადავო საკითხებს. კ. ლორთქიფანიძე, როგორც მოაზროვნე, მარჯვედ იყენებდა ბელინსკის, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტურ თეორიებს, ამავე დროს მას კარგად ჰქონდა შესწავლილი მოწინავე უცხო მოაზროვნეების ფეიერბახის, დარვინის, და სხვათა შრომები.

კ. ლორთქიფანიძე, ისე როგორც სამოციანი წლების სხვა მოღვაწეები, ძირითადად მატერიალიზმის პრინციპებს იყენებდა, მაგრამ მისი აზროვნება ზოგჯერ, კონკრეტული ქეშმარიტების ძიების დროს, ვულგარული მატერიალიზმისა და იდეალიზმის ტყვეობაში ექცეოდა.

მათადაც, თერგდალეულები, ისე როგორც მათი მასწავლებლებიც, ვერ ამალდნენ მარქსიზმის დონემდე, მაგრამ ამ იდეურმა მოძრაობამ წიადაგი მოამზადა შემდგომი ქეშმარიტი აზროვნებისათვის.

განსაკუთრებით დიდი თერგდალეულების დამსახურება „ცისკრის“ რეაქციონური მიმართულებისა და ანტონ პირველის დროშოკმული თეორიების განადგურების საქმეში. თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე ამ იდეური ბრძოლის დროს ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იმყოფებოდა.

კ. ლორთქიფანიძის პირველი საპოლემიკო სტატია „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ ეფთვიმე წერეთელისა“ დაიბეჭდა 1862 წლის „ცისკრის“ მეოთხე ნომერში. პეტერბურგელი სტუდენტები და, მათ შორის, კ. ლორთქიფანიძე ძალზე აუშფოთებია გორისელის სტატიას და თერგდალეულებს (კ. ლორთქიფანიძეს, სამსონ აბაშიძესა და ა. წერეთელს) გამოუგზავნიათ „ცისკრის“ რედაქციისათვის სამი საპასუხო სტატია. კ. ლორთქიფანიძემ მთავარი იერიში ექვთიმე წერეთელზე მიიტანა, თუმცა მას ილიას სხვა მოწინააღმდეგეებიც არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე.

იგი პირველ ყოვლისა აუგად იხსენიებს „ცისკარს“ და მის უხვირო თანამშრომლებს, დასცინის გორისელს და მისგან ნაქებ მწერალ ბარბარე ჯორჯაძის ქალს, ეხება ორი ჟურნალის არსებობის სარგებელიანობის საკითხს, აქებს ილია ჭავჭავაძეს, ეკამათება გორისელს „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე, არჩევს ანტონ პირველის პოეზიის ნიმუშებს და მკაცრი განაჩენი გამოაქვს მისი „აკრისტიხების“ მიმართ, უარყოფს საერთოდ ანტონის სქოლასტიკას და „ცისკრის“ რეაქციონერ მოღვაწეთა შეხედულებებს. ყოველივე ამას აკეთებს კირილე საკითხის ცოდნითა და პუბლიცისტური მსჯელობის დიდი ოსტატობით. სტატიაში სერიოზული აკადემიური მსჯელობა ზომიერადაა შეზავებული მახვილგონიერულ იუმორთან, ყველა მისი დებულება დასაბუთებულია სათანადო მასალებითა და სარწმუნო წყაროებით.

სტატიის შინაარსიდან ირკვევა, რომ კირილეს ძლიერ აღელვებულს დაუწერია გორისელის საპასუხო სტატია. ამას მოწმობს „ცისკრის“ რედაქტორის სახელზე გაგზავნილი კერძო ბარათიც. საინტერესოა ამ ბარათის შინაარსი.

„მოწყალეო ხელმწიფეე ივანე ივანესძეე!

მარტის უკანასკნელ რიცხვებში (29) მოვიდა პეტერბურგში ჩვენი დედისერთა ჟურნალი... დარწმუნდით ივანე ივანესძეე! რომ ყოველი წარმატება ამ ჩვენი ჟურნალის დიდი სასიამოა ყველასათვის და ყოველი ნაკლოვანება სამწუხარო. (ასე სისხლიანი ნალექლი გადაეცლება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა უებრო ცუდ სტატიებს ვნახავთ, როგორც იყო ამ ნომერში უფ. წერეთ-

ლის, მაგრამ რა გაეწყობა, როგორც სტატიაში ვუბნობ, თქვენი ბრალი არ არის ეს, განვიმეორებ, ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე. ვინ სწერს?! სწერს კაცი, რომელსაც როგორც თვითონ უფ. წერეთელი უბნობს, სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელს კაცს მწერლის ადგილზედ. ვიცნობ ამ კაცს, რა კაცია. როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა, მერმე ცხრა თვის გასვლის შემდეგ! მაგრამ ანდაზა იტყვის „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირი ვარო“ — როგორც გაუნათლებლობით და ფარისევლობით გაყინული აქვს თავი უფ. გორისელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავ კაცი მის სტატიაში რაიმე აზრს?! აი ასე შეწუხებულმა დაწვერე თქვენი ჟურნალისათვის ორიოდე სიტყვა და ამ წიგნთან ერთად გიგზავნი, თუ წინააღმდეგი არ იქნეს თქვენი ჟურნალი, გთხოვთ, დაბეჭდინოთ ან აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველში ემჯობინება. ჩემს სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ. ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს მათ შაგვირი, ის ფსევდონიმი, რომელიც მომიწერია სტატიის ქვემოთ „თერგდალეული“. ვფიქრობდი, ასოების ამწყობი ვერ გაიგებს მეთქი და კარვად გადაწერა 31 მარტისათვის, როცა ექსტრა ფოშტა მოდიოდა, ვერ მოვასწარი და მას აქეთ პირველი ექსტრა ფოშტა დღეს გახლავთ.

თუ ვინცობაა, წინააღმდეგი იქნეს, უკანვე გამომიგზავნეთ. თქვენი ჟურნალის წარმატების მსურველი კირილე ლორთქიფანიძე, აპრილი 1862 წელი“¹.

ეს წერილი მრავალმხრივია საინტერესო. ჩანს, პირველი საპოლემიკო სტატია ახალგაზრდა, გამოუცდელ ყმაწვილს, მეორე კურსის სტუდენტს კ. ლორთქიფანიძეს, ქართულ წყაროებსა და მასალებს მოკლებულს, პეტერბურგში ძალიან მცირე დროის მანძილზე დაუწერია. თუ ამ წერილის დასაწყისში აღნიშნულ თარიღს დავეუჯერებთ, სტატია ერთი დღე-ღამის განმავლობაშია დაწერილი.

ამავე წერილიდან ჩანს, რომ „ცისკრის“ თებერვლის ნომერი, რომელშიაც ექვთიმე გორისელის სტატია იყო მოთავსებული, პეტერბურგში კირილეს 29 მარტს მიუღია, ხოლო 30 მარტისათვის სტატია მზად ყოფილა და მისი დაბეჭდვის თაობაზე ბარათიც და-

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 1165, წერილის დასასრულს აღნიშნულია სხვა თარიღი, 30 მარტი 1862 წ., კ. პეტერბურგი. ეს დოკუმენტი პირველად ქვეყნდება. — კ. შ.

უწერია კირილეს. ამავე წერილიდან ირკვევა, რომ სიჩქარის გამო მას სტატიის გადათეთრება 31 მარტისათვის ვერ მოუსწრია და ამიტომაც, კერესელიძეს რომ წერს: „...ვეფქრობდი, ასობის ჩამწყოში ვერ გაიგებს მეთქი და კარგად გადაწერა 31 მარტისათვის, როცა ექსტრა ფოშტა მოდიოდა, ვერ „მოვასწარიო“.

ყოველ შემთხვევაში, სტატია 31 მარტს, „ექსტრა ფოშტის“ წამოსვლის დღეს შავად დაწერილი ყოფილა, ხოლო გამოგზავნილი უნდა იყოს მეორე „ექსტრა ფოშტის“ აპრილის თვის დასაწყისში. ამას წერილის თარიღის გარდა ისიც ადასტურებს, რომ უფრო გვიან გამოგზავნილი მასალა აპრილის „ცისკარში“ ვერ მოხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ გორისელის საწინაღმდეგო სტატია მხოლოდ ერთი ან მაქსიმუმ ორი დღის განმავლობაში იწერებოდა, რაც კ. ლორთქიფანიძის ერთდღიანობაზე და საერთო საქმისადმი გულშემატკივრობაზე ლაპარაკობს.

გორისელის სტატიასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ცნობაც. როგორც ირკვევა, ექვთიმე გორისელს თავისი სტატია იმ სახით არ დაუწერია, როგორადაც „ცისკარში“ იყო გამოქვეყნებული. თავდაპირველად გორისელის სტატიაში რაფიელ ერისთავის ლექსის გინება ყოფილა და არა ილია ჭავჭავაძისა, მაგრამ რედაქტორს, ივანე კერესელიძეს, თავად შეუსწორებია სტატია, რაფიელის მაგივრად ილიასა და ახალგაზრდების ლანძღვა ჩაურთავს და ამ სახით დაუბეჭდავს იგი „ცისკარში“.

ყოველივე ეს ექვთიმე წერეთელს ქუთაისში ნიკო ნიკოლაძისათვის უამბნია და ამის შესახებ ნიკოლაძე პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძეს წერს:

„ძნაო კირილე! დღეისწორ პარასკევს მოვედი ქუთაისს. გზაზედ ვიყავი თერამეტ აგვისტოდან ოცდა რვა სექტემბრამდე¹ აქაური საზოგადოების ამბები ხომ შენც გეცოდინება, ქალები და კაცები არიან სწორედ როგორც გინახავს უწინ. პატარა პროგრესი კი არის. ლაპარაკობენ ლიტერატურაზე. მართლა გორისელმა შემეხვეწა თქვენთან ბოდიშის მოხდა. რათ არ დაიჯერე, ნუ დაწერ სტატიასთქო ექვთიმეზე. ხომ მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიდგინე გორისელს დაუწერია სტატია, რომელშიაც გაულანძღავს რაფიელ ერისთავი მისი ლექსისათვის, რომელშიაც წერია, რომ მე ხომ კატა არა ვარ და შენ თავგეო, ერთი სიტყვით ბოლონსკის ლექსის გადათარგმნისათვის. მერე მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი

¹ ე. ი. პეტერბურგიდან ქუთაისამდე მგზავრობას დაკვირვება 42 დღე — კ. მ.

„აყვავებულა ველი“ მაგალითათ და ანტონის და ჩახრუხაძის ლექსები. ვითომ, აი ამისთანა ლექსები უნდა სწერონო. ჩვენ ვირისთავს (ე. ი. მიხედვები ვის, ან ესე იგი კერესელიძეს, ჩვენს პუშკინს და სხვა) ჭკუაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცვლიო, მაშინვე აუღია ხელში, რედაქტორის, ცენზორის და არ ვიცი კიდევ ვისი კალამი, გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია, და ქავჭავაძის გინება კი თავისი ჩაუმატებია და ეს ყოველად უსახო, უგვარო სტატია შეგვხვდა ჩვენ წასაკითხავათ. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიაც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე ვუთხარი: ჩვენ სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა, რომ თქვენ ქავჭავაძის ჟურნალი არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქვს, თქვენ კი ჯერ ჟურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავთქო. გორისელმა ფიცი, მტკიცე, აი ღმერთი, აი ხატი, არც კი მცოდნია თუ ქავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო, მაგ სიტყვებით: „ვილაც ქავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო“ და სხვანი კერესელიძის ჩამატებული არისო. გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეო და იმ სტატიის შავს მოგიტანო, წაგაკითხებო, თუ იმ სტატიაში რამე წერია მაგისთანაო სულ მაგინეთო. შეც ვუთხარი, თუ თქვენ არ დაგიწერიათ, ჩვენ ბოდიშს მოვითხოვთო, მაგრამ არც ჩვენა ვართქო მაგაში დამნაშავენი. ქავჭავაძის ჟურნალმა აქ ფურორი მოახდინა, ჯერჯერობით გენაცვალე კირილე, რამე გაგზავნე დასაბეჭდათ, უსათუოდ გაგზავნე“¹.

ცხადია, ნ. ნიკოლაძის სიტყვების სიმართლეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია და ჩვენთვის გასაგები ხდება ივანე კერესელიძის მოქმედება, გამოწვეული მეორე ჟურნალის გამოცემის შიშით. ეს არსებითად „ცისკარის“ რედაქტორის შიშია, ახალი ჟურნალის გამოსვლით ხელისმომწერთა რიცხვის შემცირების მოლოდინით წარმოდგენილი, თორემ, აბა ექვთიმე წერეთელს რას დაუშავებდა ახალი ჟურნალის გამოსვლა? ცხადია, კერესელიძის უხეირო მოქმედებამ დაუშახურებლად გააღანძღვინა გორისელი კ. ლორთქიფანიძეს.

კ. ლორთქიფანიძის მეორე საპოლემიკო სტატია „ო რიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ“, შედარებით პირველთან, უფრო ღრმა შინაარ-

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 758. ამ წერილს პირველად ყურადღება ნიკოლაძე პრაოდ. ს. ხუნდაძემ.

სისა და მეტად საინტერესო პრობლემებს ეხება. ამასთანავე ავტორი აქ უფრო მოხერხებულად იყენებს სატირასა და იუმორს.

კ. ლორთქიფანიძის აზრით, დიდი ნატკრის შემდეგ საქართველოს გაუჩნდა ერთადერთი შვილი „ცისკარი“, მაგრამ სიკვდილმა იგი მალე მოიტაცა (იგულისხმება ორი წლის შემდეგ ცისკრის დახურვა — კ. მ.). რამდენიმე წელი საიქიოს განიხვეწებდა „ცისკარი“ ლითარგიულ ძილში და შემდეგ ყვითელ კაბაში გამოწყობილი, მკედრებით ამდგარი ისევ მოველინა საზოგადოებას. (იგულისხმება 1857 წელს „ცისკრის“ გამოცემის განახლება — კ. მ.), მაგრამ უბედურება ის არის, რომ ისეთივე უსიკოცხლო და უფერიული მოგვევლინა „ცისკარი“, როგორც სიკვდილის წინ იყო“.

შემდეგ ავტორი არჩევს ივ. კერესელიძის ლექსს „ავრორას“, რომელიც რედაქტორს სპეციალურად „ცისკრის“ ახალი ნომრისათვის დაუწერია. კირილე ეხება ლექსის პირველ ოთხ სტრიქონს, სადაც წერია:

ავრორამ განხვნა სიბნელის კარი,
 რომლით გამოხდა კვალად ცისკარი,
 და ბაძავს იგი რა გავსილ მთვარეს,
 ჯერ სხივთ სუსტად ფენს ჩვენს არემარეს.

„...პირველი ორი სტრიქონის მნიშვნელობა, — წერს კირილე, — არც ახლა ვიცი. ნიშნავს ის სიბნელის კარი საფლავის კარებს, რომელშიაც მწვანედ შესუდრული ჩამარხეს ჩვენი „ცისკარი“, თუ იმ დროებას, რომელიც თითქოს მოაკლდა სინათლეს „ცისკარი“ ცოცხალ-მკედრობაში? უკანასკნელი ორი სტრიქონის მნიშვნელობას კი ნულარა მკითხავთ! ნუ თუ მართლა მთვარე მაშინ ჰყფენს სუსტად სხივებს, როცა გავსილია! ნუ თუ „ცისკარი“ გავდა როდისმე, ან ეხლა გავს გავსილ მთვარეს? როცა ცხოველი ბადრი მთვარე ანათებს ჩვენს ქვეყანას, კაცს თვალი გახილული აქვს... ის გზას უჩვენებს კაცს... „ცისკარს“ გზა თვითონ არ ჰქონია, სხვას ვის უჩვენებდა? სხივებს თვითონ მოკლებული სხვას ვის მოჰყენდა?“¹ შემდეგ დასძენს თერგდალეული: „კერესელიძის ლექსი გზას კი არ ანათებს, აბნელებს „ჩვენს არემარესო“.

შემდეგ კ. ლორთქიფანიძე ეკამათება ალ. სავანელს „ცისკრის“ შეფასების საკითხში. სავანელის აზრით, „ცისკარი“ ჯერ ახალგაზრდაა და ცუდი არ უნდა დაიწეროს მასზე. კირილე უპასუ-

¹ „ცისკარი“, 1862, № 9.

ხებს: „ექვსმა წელიწადმა ჩაიბრინა მას აქეთ, რაც „ცისკარის“ გამოცემა დაიწყეს, მაგრამ გაზრდით კი არ გაზრდილა არც ფიზიკურად, არც ზნეობითად... ჩვენ არ ვეთანხმებით უფალ სავანელს და ვამბობთ: თუ ყმაწვილი არ გაწრთვნეს და არ გაუსწორეს ყმაწვილური აზრები, იმ აზრებითვე დაბერდება“¹.

შემდეგ კირილე ასწორებს „ცისკარში“ დაშვებულ შეცდომებს, ასახელებს უხეირო სტატიებს, მათ შორის „თევზების ჰაერიდან ცვენას“ და დასძენს: „რედაქციას... არ უნდა ებეჭდა სტატიები თავის ჟურნალში ასე აუარჩევლად...“ მას გარკვეული მიზანი უნდა ჰქონოდა და ამისათვის დაემორჩილებია ყოველივე. აქედან გამომდინარე სამართლიანად ასკვნის, „ქეშმარიტებაში არ უნდა დაუთმოს ადგილი არც საზოგადო აზრს, რამდენადაც შესაძლოა, და არც თვითეულს ჩვენთაგანის საკუთარ ინტერესს“² (ხაზი ჩვენია — კ. მ.). ყველაზე მეტად კირილე დაინტერესებულია იმით, რომ „ცისკარის“ რედაქციას შეაგნებოს მეორე ჟურნალის გამოცემის სარგებლიანობა.

„ჟურნალების რიცხვის მომატებას, იმ სიკეთებითან, რომელიც ზევით მოვიხსენე, შეუძლია მოგვიმატოს მკითხველების რიცხვი, რომელიც დამოკიდებულია ერთი ან მეორე ჟურნალის მოწონებაზედ“ ..

დასასრულ კ. ლორთქიფანიძე იმარჯვებს რა დიალექტიკის მეთოდს, დაასკვნის, რომ ყოველ მოვლენაში არის უარყოფითი და დადებითი ფაქტორები. არ არსებობს აბსოლუტურად უვარგისი საგანი. საერთოდ „ცისკარი“ ცუდი ჟურნალია, მაგრამ ამ ცუდ ორგანოსაც ჰყავს კარგი თანამშრომლები, პროგრესული იდეების მქადაგებელი მწერლები და ასეთად მას სამართლიანად მიაჩნია ბარათაშვილი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე, ი. ქავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვები.

ისე, როგორც პირველი სტატიის გაგზავნის დროს, ამ შემთხვევაშიაც კ. ლორთქიფანიძეს, სტატიასთან ერთად, პირადი ბარათი გაუგზავნია ივანე კერესელიძისათვის. ჩვენ მიერ დამოწმებული ბარათის ტექსტი შავია და ამდენად სტრიქონები გაუმართავია, მოგვაქვს უცვლელად.

„მოწყალეო ხელმწიფე ივანე ივანეს-ძე!

ვგონებ თქვენც იმ აზრის იყოთ, რომ მეორე ჟურნალის ყოფნა

¹ ცისკარი, 1872, № 9.

² იქვე.

სასარგებლო იქნება, როგორც საზოგადოებისათვის, აგრეთვე „ცისკრისთვისაც“ (სარგებლობა) ეს სტატია, (ორი-ოდე სიტყვა) რომელიც ადრე მქონდა დაწერილი, მაგრამ თითქმის ერთი თვეა მას აქეთ რაც დაეწერე და აქამდის ვერ გადაეწერე. (ვერ მოვასწარი) უდროობის გამო (მიახლება, ამ სტატიაში მოკლედ ვუბნობ მეორე ჟურნალის სარგებლობაზე, როგორც „ცისკრისათვის“, აგრეთვე საზოგადოებისათვის) არის ჩემი აზრის გამოხატულება, თუმცა შემოკლებით, მრავალში გამტყუნებთ ივანე ივანეს-ძვე, მაგრამ ყველა საყვედური თქვენ არ გეკუთვნის, საზოგადოებაც დანაშაულისა და ცისკრის ჰაიერის მცველობაში და სირბილიც (?), რომელსაც მიხედვით თქვენის „ცისკრის“ განხილვის თავში. საზოგადოება (მაშინ რომ) მისთვის, რომ ის არ შეგწევიათ არც (ფულე-ბით, რომელიც საჭირო იყო) არც მწერლებით)...

ფულეებით, რომელიც ძლიერ საჭირო იყო და ამასაც ვიტყვი, რომ ჩვენი საზოგადოება არ იყო და არც არის ისე გაზრდილი, რომ კარგი ჟურნალი შეიშნოს(...) მიახლება ეს სტატია თქვენთვის და იმედი მაქვს, რომ იმ კეთილ განზრახულებას(...) (საზოგადოებისათვის და თქვენის ჟურნალისათვის), რომელმაც დამაწერია ეს სტატია, ადგილს მისცემთ თქვენს ჟურნალის აგვისტოს ნუმერში. თუ ვინიცაა არ დაბეჭდოთ მიზეზი გამოაცხადეთ, როგორც წინათ გთხოვეთ.

თქვენის ჟურნალის კვაილდღობის მოსურნე

თ. კ. ლორთქიფანიძე.

P. S. ჩემი ვინაობის მოწერა ვკონებ საჭირო არ არის. თუ აღარ გახსოვთ და ან თუ ჩემი წინანდელი წიგნი დაგეკარგათ, შეიძლება შეიტყოთ თერგდალეულებითგან რომელიც მაქ გახლავან.— კიდევ გთხოვთ, რომ ჩემი სახელი და გვარი არ გამოაცხადოთ სტატიის ქვევით. 15 ივლისი, ქ. პავლოვსკი¹.

აღსანიშნავია, რომ კერძო ბარათის ტონი უფრო დიპლომატიკური და ლმობიერია, ვიდრე ოფიციალური კამათისა. ამ შემთხვევაში კირილე ჟურნალის უვარგისობაში ივანე კერესელიძეს არც კი დებს ბრალს. წერილები ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ კ. ლორთქიფანიძე თავიდანვე წინააღმდეგი ყოფილა სტატიის ბოლოს თავისი გვარისა და სახელის გამოცხადებისა. ორივე წერილში იგი დაბეჯითებით სთხოვს რედაქტორს, ჩემი გვარი და სახელი არ გამოაცხადოთ.

¹ კ. ლ. არქივი, საქმე № 9.

ივანე კერესელიძეს აუსრულებია კირილეს თხოვნა და იმავე 1862 წლის „ცისკარის“ მეცხრე ნომერში გამოთქვეყნებულია ზემოთ დასახელებული სტატია, თუმცა აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ „ცისკარის“ მომდევნო ნომერში თვით ივანე კერესელიძემ, მოლაყების ფსევდონიმით, მკაცრად გააკრიტიკა კ. ლორთქიფანიძის ეს წერილი. მოლაყებე თავის სტატიას თერგდალეულების დახასიათებით იწყებს და ირონიულად დასცინის კისერწაგრძელებულ, თერგის წყლის ყლაპია ახალგაზრდებს.

შემდეგ მოლაყებე საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ენის საკითხზე. მაშინ, როდესაც კ. ლორთქიფანიძე და სხვა თერგდალეულები მუდამ ებრძოდნენ „ცისკარის“ რედაქციას და მის თანამშრომლებს ხალხისათვის გაუგებარი მაღალი „სტილისათვის“, ახლა, პირიქით, ივანე კერესელიძე ედავება კ. ლორთქიფანიძეს და იწუნებს მის ენას, როგორც ხალხისათვის გაუგებარსა და გაზვიადებულს.

მოლაყებე წერს: „იტალიურ ენაზე რომ დაიწყო ლაპარაკი და ბევრს კარგს სასარგებლო რამეს რომ მეუბნებოდე, თუ ჩემთვის გაუგებარია, — უსარგებლო არის და იქნება“¹. და ასეთი გაუგებარი მეტყველების ნიმუშად მას კირილეს ნაწერი მიაჩნია.

„არა, თუ ღმერთი გწამს, რომელმაც მდაბიომ უნდა გაიგონოს ეს თქვენი ძვირფასი აზროვანი სტრიქონები: „ვითარცა ცეცხლი აღძრული დედამიწისა შინა, ძარღვთა კლდისათა გამაპობელი დაგლიჯა ლუკმა ლუკმად მისი ნორჩი და შეუმაგრებელი სხეული“. შემდეგ მოლაყებე დასძენს: „ჩვენ გვინდა ცოცხალი ენა, ცოცხალი, მკვდარის ენა მკვდრებსავე მიეცით. თუ სახალხოთა სწერთ, ხალხს გაავაზნეთ, თუ თქვენთვისა სწერთ და დაიდევით, იკითხეთ რამდენიც გსურთ, რალა ბექდავთ...“².

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „ცისკარის“ რედაქტორი თერგდალეულებისაგან ხალხისათვის გასაგები ენით წერას მოითხოვს. ისიც საინტერესოა, რომ მოლაყებეს კარგად შეუთრჩევია კ. ლორთქიფანიძის სტატიიდან მაღალჟარღოვანი წინადადებები, თუმცა ერთი მაინც ცხადია, მოლაყებეს თვით ეტყობა მსჯელობის დროს თერგდალეულების იდეური გავლენა. ეს ჩანს თუნდაც მოლაყების შემდეგი სიტყვებიდან: „სულ თერგის ბრალიაო, იტყვიან ზოგნი, არა, გარუმუნებთ, კარგი ყველგან კარგია, თუნდა თერგი დალიოს

¹ „ცისკარი“, 1862, № 10.

² იქვე.

და თუნდა მტკვარი, ეს კი არ არის, მიზეზი ის არის, რომ ყოველი ჩვენგანი რაღასაც კეთუას ჩემულობს, მეცნიერებას, ყველგან გვინდა, რომ ჩვენი გავიყვანოთ, ჩვენი აზრები მოვაწონოთ და... უკაცრავად კი ვრჩებით აი ბატონებო¹.

თავდაპირველად, ილია ქავჭავაძე და კ. ლორთქიფანიძე გამოთქვამდნენ ასეთ საყვედურს „ცისკარის“ რედაქტორის მიმართ, რომ იგი ჟურნალში ყველაფერს ბეჭდავს, ყველა თეორეტიკოსად მიაჩნია, ვინც წერა-კითხვა იცის და ჟურნალს აკისრებს მათი უხვირო ნაცოდვილარის გამოქვეყნებასო, ახლა, პირიქით, ასეთი უხვირო მჯღაბნელად მოლაყბეს თერგდალეულები მიუჩნევიან.

თვითონ მოლაყბე რომ რედაქტორია, ეს ხშირად ვლინდება სტატიაში. ერთ ადგილზე იგი მოსწრებულად შენიშნავს, თუ ჟურნალი სუსტია, „ამაში რედაქტორმა რა ქნას, მწერლები ხომ სტამბის საბეჭდავი არ არის, რომ ლონდონიდან დაიბაროსო“. ხოლო შემდეგ დასძენს: „ხუთი ათასის ხელის მომწერთ ფულიდგან, რომელს კარგს მწერალსაც მინდა, ლექურს ვათამაშებო“².

მოლაყბის საპასუხოდ კ. ლორთქიფანიძეს დაუწერია ვრცელი სტატია „ჩინ-მაჩინის გრდემლი და მასხრად აგდება“. სტატია 2. ჟურნალი ტლაპო“. წერილს ხელს აწერს მ. თავდგირიძე. პირველყოვლისა გასარკვევია, ეს სტატია მართლა ეკუთვნის თუ არა კ. ლორთქიფანიძეს და მ. თავდგირიძე არის თუ არა კ. ლორთქიფანიძის ფსევდონიმი?

მ. თავდგირიძე რომ იგივე კ. ლორთქიფანიძეა, ამას ამტკიცებს შემდეგი ფაქტები:

1. სტატია კირილეს ხელითაა დაწერილი და მისივე ხელითაა ჩასწორებული.

2. წერილს დასაწყისში მ. თავდგირიძე აღნიშნავს: „ცისკარში“ 1862 წლის ოქტომბრის წიგნში იყო სალაყბოს ფურცელი, რომელშიაც ავტორს გაურჩევია ჩემი სტატია „ორიოდე სიტყვა ცისკარზედ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ“ ჩვენ კი ვიცით, რომ ხსენებული სტატია კ. ლორთქიფანიძისაა, მაშასადამე, ამ სტატიის ავტორიც კ. ლორთქიფანიძეა.

ჩვენ ხელთა გვაქვს ამ სტატიის დედანი. დაბეჭდილს ჯერჯერობით ჟურნალ-გაზეთებში ვერ მივაკვლიეთ. შესაძლებელია, სრუ-

¹ „ცისკარი“, 1862, № 10.

² იქვე.

ლიად არ გამოქვეყნებულა. საინტერესოა სათაურს მინაწერი — „სტატია 2. ჟურნალი ტლაპო“.

ამ მინაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სტატია მოლაყების საპასუხოდ რიცხვით მეორე უნდა იყოს და პირველის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ წერილის შინაარსი და განსაკუთრებით მისი დასაწყისი ამტკიცებს, რომ ეს სტატია პირველია და აქედან იწყება მსჯელობა მოლაყების სტატიის შესახებ.

სტატია ხუთი მუხლისაგან შედგება. თითოეულ მუხლში ავტორი თანამიმდევრულად არჩევს სადავო საკითხებს.

1. საკითხი ეხება ახალგაზრდა „ცისკრის“ უარყოფითს თვისებებზე მსჯელობის ნადრეობას და ამით გამოწვეულ მოლაყების საყვედურებს. ამის თაობაზე კირილე შენიშნავს: „მგონია, რომ სექტემბრის წიგნში ტყვილი არაფერი შემიწამებია „ცისკრისათვის“, კიდევაც ბევრი ვაპატივე, რადგანაც მის ფურცლებზე უნდა დაბეჭდილიყო, რადგანაც ვიცოდი, ვინ იყო ბატონი მოლაყებე და სინდისმა მეტის ნება არ მომცა და იქნება ამისათვის შემდუროდეს გამოჩენილი ქართველი მწერალი“¹.

2. კ. ლორთქიფანიძე თავს იმართლებს მოლაყების უსაფუძვლო ბრალდებისაგან, რომ რაკი „ცისკარში“ კარგი მწერლები თანამშრომლობენ, როგორ შეიძლება „ცისკარი“ ცუდი იყოს. ამაზე კირილე უპასუხებს: „ჩემი სიტყვები სხვანაირად აუხსნია მოლაყებს და ამბობს, ვითომც ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებს ვლაპარაკობდე“. ბოლოს დასძენს თერგდალეული, რომ ერთი აღილუთა მღვდელსაც შეეშლებაო, ერთი და ორი მწერალი შეიძლება კარგნი იყვნენ, მაგრამ ჟურნალი საერთოდ უვარგისი იყოს.

3. აქ ლაპარაკია მოლაყების სტატიაში დაშვებულ ენობრივ შეცდომებზე. კ. ლორთქიფანიძე უსაყვედურებს მოლაყებს არასწორად გამოთქმული ქართული სიტყვების შესახებ და, ი. ჭავჭავაძის მსგავსად, ამტკიცებს ხალხური მეტყველების უპირატესობას ხელოვნურად დამძიმებულ ენასთან შედარებით. რედაქტორს ჟურნალის ყდაზე უნდა დაბეჭდვდინებინა „ხელი მოეწერება“ და არა „ხელი მოსწერლები“, „ფეხოსნის“ მაგიერ უნდა დაეწერა „ქვეითი“, „მოსწერლებს და ფეხოსნებს ვერც გრამატიკაში იპოვნის კაცი და ვერც ხალხურში გაიგონებს და თქვენ როგორ ფიქრობთ უუ, მოლაყებე! გრამატიკა ადგენს ხალხის ენას, თუ ხალხის ენა გრამატიკას?“².

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 1166.

² იქვე.

ასევე სწორად ესმის კ. ლორთქიფანიძეს უცხო სიტყვების ხმარების პრინციპი ქართულ ენაში. უცხო სიტყვის შემოტანა მას მაშინ მიაჩნია მიზანშეწონილად, თუ მისი შესატყვისი ქართულში არ მოიპოვება. ამიტომ უსაყვედურებს ის მწერლებს: „თუ სხვა სიტყვებსაც გადავხედავთ, კიდევაც იმდენს ევროპიულს სიტყვებს ვიპოვნით, რომ მეტი არ შეიძლება, მაშინ, როდესაც ყველა ისინი გვაქვს ქართულს ენაზედო“.

კ. ლორთქიფანიძე იმაზეც მიუთითებს მოლაყბებს, რაკი კარგი მწერლების გამოწერა ლონდონიდან არ შეიძლება საბეჭდი ასოებით, აქ კი ჩვენ უკეთესი არა გვყავს, თუნდაც ხუთიათასი ტელისმომწერი გვეყოლოს, როგორ შეძლებ კარგი მწერლების შოვნას და მათს „ლეკურის თამაშობასო“.

შემდეგ კ. ლორთქიფანიძე ეხება მეორე ჟურნალის სარგებლობის საკითხს, მოლაყბის და სხვების უსაფუძვლო შიშინობას ხალხი ჟურნალის გაჩენის გამო.

5. მეხუთე თავში ლაპარაკია ქართული ენის წარმოშობის „ცისკრისებურ“ ლეგენდაზე, რომლის მიხედვით, თითქოს ნოე ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. კირილე ამის თაობაზე ირონიულად შენიშნავს: „გახარებთ, გერმანიის და აგრეთვე დასავლეთ ევროპის ფილოლოგებო და აგრეთვე ისტორიკოსებო, რომ უფალმა მოლაყბემ გამოაკვლია და აცხადებს, ნოე და მისი შვილები ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნო. მაშასადამე, ყველა ენების დედა და ძირი იქნება ქართული ენა... და თქვენ, ქართველებო, გესმით?.. იყვირეთ ურა, ჩვენს დიდებს!! ახლა ჩვენ დაგვრჩა ბურთი და მოედანი...“¹.

შემდეგ სქოლიოში კ. ლორთქიფანიძე ვრცელ შენიშვნას აკეთებს ამ „ისტორიული აღმოჩენის“ შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით მწერალ გრ. რჩეულიშვილსაც ჯაჰკრავს კრიტიკის მწვევე მრქყალებს.

კ. ლორთქიფანიძემ კრიტიკულად გაარჩია გრ. რჩეულიშვილის რომანი „თამარ ბატონიშვილი“ და ავტორს ისტორიული ფაქტების კუროიოზულ შეცდომებზე მიუთითა.

კ. ლორთქიფანიძე წერს: „ისტორიული რომანის („თამარ ბატონიშვილის“) ავტორისაგან ხომ არ უყრდნია უფ. მოლაყბეს ეს გამოკვლევა? იმ ავტორისაგან, რომელმაც გაამეფა გიორგი ლაშა მეათობმეტე საუკუნის დასაწყისში, გადასახლა სულთან კონსტანტინეპოლში მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, ააშენა ტფი-

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 1166.

ლისში გიყების სახლი ლაშას დროს და ნიშნად გამარჯვებისა ისტორიულ გამოკვლევაში ისროლა თოფი მეთორმეტე საუკუნის დასასრულში და რომელიც, როგორც ისტორიაში აგრე კარგად დახელოვნებული კაცი (ასე იტყვის ცისკრის რედაქცია) იმედია ძლიერ კარგად ასწერდა ქართველების ხასიათსა და ჩვეულებებს¹.

როგორც ვხედავთ, კ. ლორთქიფანიძეს გზადაგზა, თუმცა სამართლიანად, მაგრამ მაინც შემოეღიანძლა „ცისკრის“ ერთგული დამცველი გრ. რჩეულიშვილი. საინტერესოა ისიც, რომ ამ სტატიის მიხედვით, ისტორიული რომანის „თამარ ბატონიშვილის“ პირველ და სამართლიან კრიტიკოსად კ. ლორთქიფანიძე გვევლინება. ანტონ ფურცელაძის კრიტიკული გამოკვლევა ამ საკითხზე მხოლოდ 1863 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა, კირილეს ზემოთ დასახელებული წერილი კი 1862 წელსაა დაწერილი.

—:—

„საქართველოს მოამბის“ მეოთხე ნომერში კირილემ გამოაქვეყნა წერილი „ბიძია თონიკეს სტატიის „ტფილისის ტროტუარზე მოგზაურობის“ გამო ეს სტატია წარმოადგენდა ბიძია თონიკეს ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილის „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“ პასუხს.

ამ ბრძოლის ისტორია ასეთია: 1862 წლის № 7 „ცისკარში“ ბიძია თონიკეს ფსევდონიმით ლ. არდაზიანმა დაბეჭდა ზემოთ დასახელებული სტატია, ჟუკეთ რომ ვსტკვათ, მან გამოაქვეყნა ნახევრად დრამატულ ფორმაში ჩამოყალიბებული მხატვრული ნაწარმოებები უნივერსიტეტში გაზრდილი ახალგაზრდების საწინააღმდეგოდ. ამ ნაწარმოებში ავტორი ახალგაზრდებს ცუდად იხსენებს, მათ უსაქმურებსა და უნაყოფოებს უწოდებს, რომლებიც თბილისის ტროტუარზე ლაყბობითა და ლაზღანდარობით ირთობენ თავს. ნაწარმოები დიალოგის ფორმაში ვითარდება. იგი შედგება ხუთი თავისაგან, რომელშიაც მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან ტროტუარზე მოსეირნე ფრანტი ახალგაზრდები, ქალაქელი ბიჭი, რუსი ჩინოვნიკები — ოსტროუმოვი და ველიკოუმოვი, ლოთი რუსი ქალი აქსინია, ქართველებიდან: პეტრე ურცხვაძე, დარბაისელოვი, მეგრელები, ქუჩაში მოსიარულე მოქალაქეები და სხვები. ბიძია თონიკე ნაწარმოების შესავალში უკმაყოფილებას გამოთქვამს ქართველი ახალგაზრდების მიმართ, არ მოსწონს მათი საქმიანობა.

„მამ რისთვის ვაგზარდეთ უმაღლეს სასწავლებელში, — წერს

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი, № 1166.

ავტორი, — რათ მოვითმინეთ მრავალი ნუშხარება იმათი მოშორებით ლაპარაკი დიდი დიდი აქეთ, საქმით კი ჩხირის გადაბრუნებაც არ შეუძლიან. მაგრამ რადგანაც უნაყოფოა იმათი მეცნიერება, ამიტომაც ხალხი ამბობს „ფრანტობის მეტი არა უსწავლია რაო“¹.

კიდევ მეტი, ბიძია თონიკეს ჩვენი ახალგაზრდობა ცრუ მეცნიერებად და ტაკიძასხარებად ჰყავს გამოყვანილი:

„ახალ ამბებს შეიტყობთ ხოლმე სიტყვიერების ვაზეთითა, ეს ამბები გამოიჩეკებიან ტფილისის ტროტუარზედ, გამომჩენიც ვახლავან ისინი, ვინც უფრო ხშირად ბუდარობენ მუნ, ესე იგი: ცრუ მეცნიერები, სულელ მეცნიერები, გამოუსვლელნი და იმათი ტაკიძასხარები, ეს ხალხი სტეკების და სცვითავს ტროტუარსა, ყურებს გაგვიქედს ყოველგვარ სიცრუითა, ყოველგვარ მკვებარობითა, განკიცხვითა, სხვაზედ დაცინვითა, თუმცა თვითონ არიან სასაცილო და ამას ვერ ხედავენ“².

ამ საერთო შესავლის შემდეგ ავტორი გვიჩვენებს თბილისის ტროტუარზე წარმოდენილ ხუთ სხვადასხვა სურათს თავისი მოქმედი გმირებითა და დამახასიათებელი ატრიბუტებით. მოქმედება წარმოებს ტროტუარზე მდგარ სკამებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ურცხვაძისა და დარბაისლოვის საუბარი. აი როგორ ახასიათებს ურცხვაძე პეტერბურგელ სტუდენტებს: „ეხლანდელი ყმაწვილკაცები მიდიან პეტერბურგს, მიიხედვენ, მოიხედვენ, წვერს გამოუშვებენ და წამოვლენ. ეს ის არის, სასწავლებელი და ასრულეს. ყველა ისწავლეს, გოგრა სიბრძნით აივსეს, ჰა, ჰა, ჰა!“³.

ნაწარმოების დიდი ნაწილი ავტორს მიუძღვნია თავხედი რუსი ჩინოვნიკებისადმი. აქ დახატულია უხამსი რუსი მოხელეები, რომელთა სიბრძნე იმ დონემდე აღწევს, რომ ისინი თავიანთ დამსახურებად თვლიან, მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ჩამორჩენილ აზიური ქვეყნის“, საქართველოს კულტურულ წინსვლას.

საინტერესო დიალოგი აქვს მოცემული ბიძია თონიკეს ველიკოუმოვსა და ოსტროუმოვს შორის.

ველიკო უმოვი — ჩვენ რომ გადმოვედით, რა ხალხი იყო და ეხლა, ხედავ, რანი არიან?..

ოსტროუმოვი — ...ჩვენ რომ გადმოვედით წერა-კითხვა არ

¹ „ცისკარი“, 1862, № 7.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 130.

იცოდა, ეხლა ფრანციცულადაც კი კითხულობენ, ფრანციცულად ლაპარაკობენ, ტანცაობენ, ტლინკაობენ, ცხოვრობენ, ჭმენ, წვერსაც კი უშვებენ... ჩვენ რომ არ გადმოვსახლებულიყავით, განა ასე განათლდებოდა აზია?

ოსტროუმოვი — ბარბაროზად დარჩებოდა.

ველიკოუმოვი — იმათი ქალები უფრო განათლდნენ, სიტყვას არ იტყვიან ისე, რომ რუსული არ შეაჩხირონ, აღარც რცხვენიათ, სწორედ როგორც ჩვენი ქალები, ისე იქცევიან და ბედნიერად განათლებულად ხდიან თავიანთ თავს, რომ ასე იქცევიან.

ოსტროუმოვი — სულიკო, ჩვენ ვართ ამათი გამანათლებლები.

ველიკოუმოვი — ჩემი მშობელი ქვეყანა დავტოვე და შევწირე ჩემი ცხოვრება აზიას, გამენათლებინა.

ოსტროუმოვი — ეხლაც იმიტომ არ მივდივარ ჩვენ მშობელ ქვეყანაში, რომ შევამაგროთ აქ განათლება¹.

მესამე სურათში ავტორს გამოყვანილი ჰყავს რახეტიალე ლოთი რუსი დედაკაცი აქსინია, რომელიც პაპიროსს წევს, მღერის და ხტუნავს ქუჩაში. იგი მიუახლოვდება ქალაქის ბაჰს და ასეთი სიტყვით მიმართავს: „ცავედეთ დუკანში“.

ქალაქელი ბიჭი — რათა?

აქსინია — დავლიოთ, პული გაქვს?

ქალაქელი ბიჭი — გალუბუშკა!

აქსინია — ცუდია აზია!

ქალაქელი ბიჭი — შენ იცი, სად ბუდარობენ...?²

ასეთი მოხდენილი სურათებით ლ. არდაზიანმა სამართლიანად მიუზღო ბრძევი ჩინოვნიკებს თავხედობისათვის ისე, როგორც ამას მაღალ მხატვრულ ფორმებში ახერხებდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ცხადია, სტატიის ამ ნაწილში თერგდალეულებს არაფერი ექნებოდათ სადავო ლ. არდაზიანთან, მაგრამ სტუდენტების ლანძღვას და ტფილისის ქვაფენილზე უსაქმოდ მოხეტიალედ წარმოდგენას, ბუნებრივია, ახალგაზრდები გულსწყრომით შეხვდებოდნენ. მართლაც, სამაგიერო პასუხი გასცა ბიძია თონიკეს კ. ლორთქიფანიძემ. თერგდალეულებთან მხოლოდ კ. ლორთქიფანიძე გამოეხმაურა პეტერბურგიდან ლ. არდაზიანს.

კ. ლორთქიფანიძის სტატია — „ბიძია თონიკეს სტატიის

¹ „ცისკარი“, 1862, № 7, გვ. 133—135.

² იქვე.

„ტფილისის ტროტუარზე მოგზაურობის“ გამო“ — გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბის“ მეოთხე ნომერში. ავტორი ცდილობს, საბასუხო სტატიაში დაამტკიცოს თონიკეს ბრალდების უსაფუძვლობა და დაიცვას ახალგაზრდობის ავტორიტეტი.

თავდაპირველად კ. ლორთქიფანიძე ეხება ი. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეებს და განსაკუთრებით მწვავედ იხსენიებს ექვთ. წერეთელს, შემდეგ უშუალოდ გადადის სტატიის განხილვაზე.

კ. ლორთქიფანიძე თონიკეს სტატიის შესახებ წერს: „მეოთხე თვეზედ ჩვენს სტატიის შემდეგ გამოვიდა სტატია ბიძია თონიკესი „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“. ამ სტატიაში ცხადად გამოიხატება თითქმის ყველა უკმაყოფილებაები, რაც აქვთ საზოგადო საქმეზედ ჩვენს დედმაშებს და თანამემამულეებს“¹.

იგი სამარაღიანად უსაყვედურებს ბიძია თონიკეს სტუდენტებზე ტენდენციური თავდასხმის გამო. შესაძლებელია, ერთი რომელიმე უხეირო სტუდენტი მართლაც გამოერიოს ჯგუფში, მაგრამ ამის გამო ყველა ახალგაზრდის შეურაცხყოფა, მისი აზრით უსამართლობაა.

„ყოველს ქვეყანაში და საზოგადოებაში, ყოველს გიმნაზიელებში და სტუდენტებში და ერთსა და იმავე ოჯახში კაცები ერთმანეთს არ გვანან, ძლიერ ხშირად ამისათვის არ შეიძლება, რომ ერთი და ორი რომ ცუდი გამოდგეს მათში, ყველა ცუდი იყოს, ერთი მაინც ივარგებს...“².

სტატიის დიდი ნაწილი ეხება ახალგაზრდობის საქმიანობას და სწავლა-აღზრდის პრობლემებს. ისე, როგორც საერთოდ სხვა საკითხებზე, ამ შემთხვევაშიაც კ. ლორთქიფანიძე მეტად საინტერესო და ჯანსაღ პედაგოგიურ აზრებს ავითარებს, რაზედაც ჩვენ სხვა დროს გვექნება ლაპარაკი. სტატიის დასასრულს კირილე მოხდენილად მიმართავს ბიძია თონიკეს: „აბა ერთი მიჩვენე, ჩემო თონიკე, ვინ რა გააკეთა? თუ სხვას არ გაუკეთებია, ჩვენ რას გვერჩი, ერთი მიბრძანე? რას ჩაცივებხიარ ჩვენს წვერებს და უღვაშებს... ვითომ რა კარგია, რომ შენ არც წვერი გაქვს და არც უღვაშებ, საქურისს რომ დამგვანებხიარ?.. ან კი რა გინდა გააკეთოს კაცმა შენს ხელში? თუ ჩვენგანმა რჩევა შეიტანა რისიმე, იტყვიან, ჰაერში ციხე-დარბაზებს აშენებსო. თუ გითხრეს რამე და გაგამტყუნეს, როგორ გაბედესო გუშინდელმა ბალებმაო. თუ

¹ „საქართველოს მოამბე“, № 4.

² იქვე.



მოგახსენეს, რომ მეხის ტეხის დროს ელია ეტლით არ დახრიგინობსო, შენ უხეთოებს დაუძახებ. ანტონ კათალიკოზი თუ პოეტად არ იცნეს, შენ გეგონება, ქართულ ლიტერატურას აგინებენო; არ გყვარებიათ სამშობლოო. თუ ვისმეს ჩვენთაგანს ნაკლოვანება შენიშნე, აი, ბატონო, უნივერსიტეტში გამოსული, აი სულ ბრძენი; აი ფრანტიო, ყველა ამისთანები არიან, უნივერსიტეტი ვინც გაათავაო. თითოთ საჩვენებელი შევიქენით „შე უნივერსიტეტში ნამყოფო“ საგინებელი სიტყვად გახადე ჩვენში, შენ, ჩემო ბიძია, მაგრამ კიდე განვიმეორებ, ვინ რა გააკეთა, ერთი მიბრძანე, თუმც ზოგიერთს არც სწავლა აკლია და არც განათლება...“¹.

კ. ლორთქიფანიძის ამ სტრიქონებიდან აშკარად ჩანს ავტორის პუბლიცისტურ პოლემიკური ნიჭი და ნათელი აზროვნების უნარი. მარტივად, მაგრამ მოხდენილად არის ნაჩვენები ის დიდი ზღვარი, რომელიც არსებობდა პრიმიტიულად წოაზროვნე ძველ თაობასა და უნივერსიტეტში განსწავლულ, მეცნიერებით შეიარაღებულ, ახალგაზრდობას შორის.

კ. ლორთქიფანიძესა და ბიძია თონიკეს შორის დავა კვლავ გაგრძელდა. 1853 წლის № 6 „ცისკარში“ გამოქვეყნდა კ. ლორთქიფანიძის მიმართ ახალი საწინააღმდეგო წერილი: „ორიოდეს სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“. თუ პირველი სტატია ლ. არდაზიანმა ბიძია თონიკეს ფსევდონიმით დაბეჭდა, ამ ახალი სტატიის ავტორად ალექსი ელბაქიძე გამოაცხადა. ისე გამოდის, თითქოს ბიძია თონიკემ პასუხის ღირსად არც კი ჩათვალა თერგდალეული და ვილაც ელბაქიძე გამოუჩნდა თავხედ თერგდალეულს მოპასუხედ.

რომ ელბაქიძე თითქოს სხვაა და არა ბიძია თონიკე, ამის დასამტკიცებლად ლ. არდაზიანი ერთგვარ ხერხს მიმართავს. სტატიაში წერს: „იმედი მქონდა უფ. ბიძია თონიკე არ დაიდუმებდა ცილისწამებასა და პასუხს მისცემდა უფ თერგდალეულსა, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, უფ. თონიკემ მხოლოდ გაიცინა უფ. თერგდალეულის სტატიაზე და თავი დაანება, ღირსად არ დაინახა პასუხი მიეცა. მე დარწმუნებული ვარ, ამ თერგდალეულის სტატიაზედ არავინ ყურადღებას არ მიაქცევს, მაგრამ, რომ უფ. თერგდალეულს თვალი აუხილო, მე საჭიროდ ვცანი გამოვსთქო ჩემი აზრი“².

¹ „საქართველოს მოამბე“, № 4.

² „ცისკარი“, 1863, № 6, გვ. 341.

ვილაც გარეშე პირი დაინტერესებულა ქკუა ასწავლოს და თვალები აუხილოს თერგდალეულს. რომ ამაში მკითხველი კიდევ უფრო დაარწმუნოს, ელბაქიძეს ისე წარმოგვადგენს, თითქოს იგი პირველად გამოდის სამწერლო ასპარეზზე და მხოლოდ ქეშმარიტების სიყვარულმა აიძულა კალმისათვის მოეკიდა ხელი.

„ვიცი, მკითხველს გაუკვირდება, რომ მეც, ჩემი კალმით, გამოველ სამწერლო ასპარეზზედ. ესეც ვიცი, რომ იქნება გამოჩნდეს ვინმე, მაგალითად ვილაც თერგდალეულია და ჩვენი მარტივი სიტყვა მრუდეთ დანიახოს და მაგიერ მისა, რომ დამიმტკიცოს ჩემი შეცდომა, უმით ისარკაზმოს, რიტორობა უთავბოლოთ, უგზო უკეთვით გამოვიოს საქმეში, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემიძლიან ხმა არ ამოვიღო, დიდი მიზეზი მაქვს, მართალია, ჩემი კალამი არ არის გამოკრილი მსწავლულის ხელისაგან, მაგრამ ამ საცოდაობით გამოკრილის კალმით მსურს გამოვთქო ქეშმარიტება, რომლითაც შევიარცხვენ ცილისმწამებელსა. მე მაქვს დავა, როგორც ჩანს, ძლიერთან, რომელსაც ძლიერ კარგა უნდა ჰქონდეს გამოკრილი კალამი, მაშასადამე, ბრძოლა არ იქნება თანასწორი. ვიცი მსწავლული ჩემი მოპირდაპირე მხოლოდ კალმის წვერით დამიწყებს ომსა, მაგრამ მე მაქვს სიმართლის ტყვია წამალი“¹.

ამის შემდეგ ელბაქიძე ეხება თერგდალეულების ბრძოლას ექვ. გორისელის წინააღმდეგ. საინტერესოა ისიც, რომ ავტორი ამ შემთხვევაში თერგდალეულების პოზიციას იცავს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ არ იყო საჭირო ამისათვის ამდენი დროისა და ენერჯიის ხარჯვაო.

„მაგრამ განა საკმაო არ იყო, რომ სამმა ქვით დაკრიბეს ერთი და ხმა არ ამოაღებინეს“ — წერს ელბაქიძე. განსაკუთრებით უსაყვედურებს კ. ლორთქიფანიძეს, რომ იგი არ მოეშვა გორისელს, სანამ ბიძია თონიკე არ გამოუჩნდა საკბილოდ და ახლა არც თონიკეს მოეშვება მანამდე, სანამ ახალი მსხვერპლი გამოჩნდებაო.

„ერთი ამითგანი (იგულისხმება კ. ლორთქიფანიძე — კ. მ.) ჭირივით ჩამოეკიდა უფ. წერეთელსა და შემდეგ „ცისკრის“ ნომრებშიაც დააყოლა და დააყოლა კიდევ ქვა. ბედი ექვთიმე წერეთლისა, რომ ამ მესამე თერგდალეულმა (უნდა იყოს პირველმა თერგდალეულმა — კ. მ.) მოიგდო ხელში ბიძია თონიკე, თორემ წერეთელს სიკვდილამდე არ მოეხსენებოდა, ეხლა დაარწმუნებულნი ვარ, რომ უ. თერგდალეული აღარ ჩამოეხსენება თონიკესა და მა-

¹ „ცისკარი“, 1863. № 6, გვ. 41.

ნამდგ სღვენის ქვითა და კეტოთა, მანამ სხვა გამოუჩნდება საცემარი“¹.

ამის შემდეგ ელბაქიძე — იგივე ლ. არღაზიანი, ცდილობს დამტკიცოს, რომ მას თერგდალეულები არ გაულანძლავს. კ. ლორთქიფანიძეს, მისი აზრით, ყურადღება უნდა მიექცია იმაზე, რომ ახალგაზრდების მაგნიტად მან უარყოფითი პიროვნება ურცხვადე გამოიყვანა და ურცხვადის მოსაზრებებს ნაწარმოების დადებითი გმირი დარბაისელოვი დაუპირისპირა, რომელიც ამავე დროს ავტორის მისწრაფებებს გამოხატავდა.

„ნუ თუ იმდენი არ გაეგებათ, რომ გაარჩიონ ბაასი ურცხვადისა და დარბაისელოვისა! ნუ თუ ქალაქის ბიჭი არ არცხვენს ურცხვადისა? მე გკითხავ თქვენ!.. როგორ ვერ ხედავთ, რომ უ. ბიძია თონიკე თქვენსკენ არის და თქვენ ეშმაკებისკენ“².

მართლაც, სტატიაში არსებითად ზოგად უარყოფით მოვლენებზეა ლაპარაკი, უფიცი რუსი ჩინოვნიკებისა და ფრანტი ახალგაზრდების გარდა, ავტორს გამოყვანილი ჰყავს გადაგვარებული ქართველი ქალები და მამაკაცები. ცოლები ქმრებს ატყვილებენ და ოჯახებს ანადგურებენ მოდებითა და „ბალ-ვეჩერებზე“ სიარულით. აგრეთვე „ტროტუარზე“ გეხვდებიან მეგრელები, რომლებიც დამტვრეული რუსულით ლაპარაკობენ და მშობლიურ ენას კი უკადრისობენ. მათ ქალაქელი ბიჭი სამართლიანად არცხვენს: „თქვენ მაგიერ მე მრცხვენია, ჯერ რუსული უნდა ისწავლოთ და მერე ილაპარაკოთ, თუ არა იოტის ოდენა არ იცით რუსული და ხმა მალდა ტროტუარზე ღრიალებთ“.

ცხადია, ავტორმა ამ საერთო ნაკლოვანებათა შორის უნივერსიტეტში გაზრდილი ახალგაზრდებიც გაკენწლა და ეს თერგდალეულებმა თავის თავზე მიიღეს. ამ საკითხის გარკვევისათვის საინტერესოა აკაკი წერეთლის წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი, სადაც აკაკი კირილეს წერს: „ბულვარდზედ მოგზაურობა — (იგულისხმება ბიძია თონიკეს სტატია „ტფილისის ტროტუარზე მოგზაურობა“ — კ. მ.) დაბეჭდვამდის ჩემს ხელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია, ვიხედაც არის ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარგებს, ღირსნი არიან ტროსტიჩებით ეძებენ ტროტუარზე ქეშმარიტების ნამსხვრევებს. არ იციან რათ, არც იმას ამბობენ, ქართული არ იციანო, თორემ ჩვენზე როგორ ვაბე-

¹ „ცისკარი“, 1863, № 6.

² იქვე, გვ. 247.

დავდენ რაიმეს დაწერას. ეს სტატია არდაზიანის არის. იმან დაწერა. კი დაეწერათ ჩვენზედაც პასუხი ვილაკებებს, მაგრამ იქვე ეოქვათ, მოგდომებიათ ტყავის გაძრობა და ეს არისო, და შიშით უკან წაუღიათ“¹.

აკაკიც იმას ადასტურებს, რომ ლ. არდაზიანს ტროტუარზე მოსეირნე უსაქმურ ყმაწვილებად თერგდალეულები კი არა, სხვები ჰყოლია გამოყვანილი, რომლებიც მისივე თქმით, ღირსი ყოფილან ასეთი გალანძღვისა. ეს ბარათი იმითაც არის საინტერესო, რომ ამ საბუთით არდაზიანის ავტორობის საკითხი გადაწყვეტილად ითვლება.

— : —

კ. ლორთქიფანიძის აზროვნების საუფუძველს წარმოადგენდა სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციური იდეოლოგია და თუ ამასთან ერთად, იგი იყენებდა მოწინავე უცხოურ თეორიებს, ესეც რუსულის საშუალებით ჰქონდა მას შეთვისებული.

უცხოელ მოაზროვნეთაგან კ. ლორთქიფანიძე იცნობდა დარ-ვინის, სპენსერის, მილის, ბოკლის და სხვათა თეორიებს. განსაკუთრებით დიდად აფასებდა და ხშირად იყენებდა კირილე დიდი მატერიალისტი ბიოლოგის ჩარლზ დარვინის მოძღვრებას. ერთ ვრცელ კერძო ბარათში კ. ლორთქიფანიძე პეტერბურგიდან საზღვარ გარეთ მყოფ ნ. ნიკოლაძეს წერს: „შენ გინდოდა, რომ დარვინის ტეორიით აგეხსნა ცივილიზაციის წინსვლა და ეს ძლიერ მომეწონა... მე ბევრი ბაასი მქონდა ამხანაგებთან ამაზე, ვამბობდი რომ დარვინის ტეორია ახალ სხივს ფენს არა თუ კაცობრიობის ისტორიას, უორგანო ბუნებაზედაც მეტი. ჩემმა აბსტრაქციამ და სხვა მაგალითებით უორგანო სამეფოდან (თუმცა ძლიერ ღარიბი იყო ეს მაგალითები და ვიცოდი, რომ ვერავის დაეაჯერებდი) მიმიყვანა იქამდის, რომ უორგანო ბუნებაშიაც ვეძებდი იმავე კანონს მემკვიდრეობაზე, როგორც ორგანიან ბუნებაში“².

ჩანს კ. ლორთქიფანიძე დარვინის მოძღვრებით ძლიერ დაინტერესებულია და მას იყენებს ცოცხალი სამყაროს შესასწავლად, თეორიული ძიებისათვის. ამავე წერილის სხვა ადგილზე ისიც კი არის აღნიშნული, რომ კ. ლორთქიფანიძე ცდილობდა ეს მოძღვრება მტკიცედ დაენერგა ახალგაზრდობის წრეში. ამის თაობაზე, როგორც იგივე საბუთები ადასტურებენ, კირილეს ხშირად ჰქონია

¹ კ. ლ. არქივი.

² იქვე, № 595.

ამხანაგებთან დაგა და კამათი. იმავე წერილში კირილე ნ. ნიკოლაძეს წერს: „ვხედავდი, რომ ზოგიერთი ჩვენი ყმაწვილები ვერ პოულობდნენ დარვინის პრინციპს კაცობრიობის ცივილიზაციაში და ამისათვის მოგწერე, რომ მესხი იმ ხალხის კატეგორიას ეკუთვნის მეთქი, რომელთაც არ შეუძლიან, რომ ავტორისაგან მოყვანილ ფაქტებს გარდა გააერცელონ საზოგადო პრინციპი სხვა ფაქტებზე მეთქი. ერთი სიტყვით ეს ნიშნავს ან პრინციპის გაუგებრობას, ან ახალი ფაქტების უცოდინარობას. ე. ი. თუ იმას არ შეეძლო, რომ დარვინის ტეორია კაცობრიობის საზოგადოებისათვის გამოეყენებია, ეს ნიშნავს, ერთის მხრივ, რომ იმან არ იცის ცივილიზაციის ისტორია, ცოტა უკითხავს საზოგადოებაზე და ცოტა უფიქრია. მართლაც ასეა, როგორც უნდა ყოფილიყო იმისი სვლის მდგომარეობა, მე სხვაფერ არ შემეძლო იმისი აზრის ახსნა, რომელიც იმან გამოთქვა... როგორც ის ამბობდა შემდეგ და რომელიც ვგონებ მოგწერე... მერე ლაპარაკი მქონდა მე და ხამაშურიძეს ანდრონიკაშვილთან¹. „სარგებლობაზე“ და იმის წარმომადგენლებზე და სერგეი მესხი ერთის მხრით დაეთანხმა ნ. ანდრონიკაშვილს და ამის გამო ჩემგან ზიზლით თქვა მან სიტყვები და კინალამ წამეკიდა. ნ. ანდრონიკაშვილი არ ჩამირიყხავს მაშინ ამ ხალხების კატეგორიაში, რადგანაც ის ხშირად სხვადასხვა საზოგადო აზრებს წარმოთქვამდა და სხვათა შორის დარვინის ტეორია... სარგებლობის გამოსადგომიდაც იცნო. მერე კი დავრწმუნდი, რომ მფარველი „სრული თავისუფლებისა საზოგადოებრივ ინტერესების ბრძოლაში“ და თანამებრძოლი „კაპიტალისა“ მთლიანად გამოიყენებდა დარვინის თეორიასაც, რადგან გამოიყენა პოლიტიკური ეკონომია“².

როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძე აქტიური მებრძოლი ყოფილა დარვინიზმის მოძღვრების დანერგვისათვის საქართველოში. საინტერესოა ისიც, — რომელ „კაპიტალზე“ აქ ლაპარაკი, ეს ხომ არ არის მარქსის „კაპიტალი“? კ. ლორთქიფანიძის ეს ბარათი დაწერილია 1866—1867 წლებში. რამდენიმე თვის განმავლობაში იწერებოდა ბარათი თავისი არაჩვეულებრივი სიდიდის გამო. მარქსის „კაპიტალი“ კი პირველად გამოვიდა გერმანულ ენაზე 1867 წელს, ხოლო რუსულ ენაზე 1872 წელს, ასე რომ შესაძლოა 1867 წელს

¹ ხამაშურიძე და ანდრონიკაშვილი იყვნენ კირილეს დროინდელი სტუდენტები პეტერბურგის უნივერსიტეტისა, კირილე მათ ხშირად იხსენიებს სხვა პირად ბარათებშიაც. — კ. მ.

² კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 595.

გერმანულ ენაზე დაბეჭდილი მარქსის „კაპიტალი“ იმავე წელსვე ცნობილი ყოფილყო ქართველი სტუდენტებისათვის. კ. ლორთქიფანიძის მიერ მოხსენებელი „კაპიტალი“ მარქსის „კაპიტალი“ რომ უნდა იყოს, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ამავე წერილში ლაპარაკია პოლიტეკონომიის საკითხებზე და სიტყვა კაპიტალი ჩასმულა ბრქუალებში, როგორც წიგნის სახელწოდება. ამ სახელწოდებით, გარდა მარქსის „კაპიტალისა“, სხვა წიგნი არ ყოფილა ცნობილი. თუ ეს ნამდვილად მარქსის „კაპიტალია“, მაშინ საქართველოში მარქსსა და მის მოძღვრებაზე ცნობების შესახებ საკითხი ახლებურად დაისმება.

ასევე საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის მსჯელობა აზროვნების ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების შესახებ, როგორიცაა ინდუქციის და დედუქციის მიმართების საკითხი.

თერგდალეული მკაცრად აკრიტიკებს რუს დემოკრატ მოაზროვნეს მაქსიმე ანტონოვიჩს (1835—1918) ინდუქციისა და დედუქციისადმი ფორმალური დამოკიდებულების გამო, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ ბრძოლას იგი აწარმოებს, ბურჟუაზიული ლიბერალის და პოზიტივისტის, ჰენრი ტომას ბოკლის (1821—1862) პოზიციებიდან.

„აქ გამახსენდა, — აგრძელებს საუბარს კირილე იმავე წერილში, — ანტონოვიჩის აზრი ინდუქციასა და დედუქციაზე, რომელიც იმან გამოთქვა ბოკლის პატარა ბროშურის გამო. ბოკლის ისტორიის 8 თავი დიდის სიამოვნებით წავიკითხე, რომ მეორე ტომის გამოსვლის დროს მე უფრო ბევრის გაგება შემეძლო და რომ ბოკლის მეორე ტომი უფრო ალტაცებით არ იყო დაწერილი. მაშინ შემიძლიან მივხვდე, რომ მეორე ტომს ძლიერ დიდი მოქმედება ჰქონდა ჩემზე, სხვათა შორის ამ წიგნმა დამაჯერა, რომ ანტონოვიჩი ფორმალური მნიშვნელობას აძლევს დედუქციას და ინდუქციას. ე. ი. ამბობს, ვითომ დედუქცია და ინდუქცია მართო ლოდიკურად დაწყობის ფორმა არისო, მაშინ, როდესაც ბოკლის დედუქცია ნიშნავს ტალანტიან ინდუქციას, რომლის ძალით კაცს ცოტა ფაქტებიდან გამოყავს საზოგადო კანონები ძლიერ ხშირად ქეშმარიტი, რომელიც ან გაამართლებს ან დაარღვევს საზოგადო აზრს. მერე ეძებს სხვა ფაქტებს, ამნაირი საზოგადო აზრებით უხელიძღვანელოს კაცს სწავლაში ასახსნელად და იმისი ინდუქცია ნიშნავს კაცის აზრით სიფხიზლით სჯას, რომლის გამო ისე არ გამოიყვანს კანონებს, თუ რომ ძლიერ

ბევრი ფაქტები არ მოაგროვია. ერთი სიტყვით, ფაქტს მარტო შესახედად მოვლენებს ან შემთხვევას კი არ უძახიან, ფაქტს უძახიან სწავლას გამოყვანილებზეც, რომელნიც საჭირო არიან უმაღლესი გამოყვანილებებისათვის¹.

კ. ლორთქიფანიძის აზრით, ანტონოვიჩი დედუქცია-ინდუქციაში მხოლოდ „ლოგიკურად დაწყობის ფორმას“ ხედავს, ხოლო ბოკლის უპირატესობა იმაშია, რომ მას, მართალია, ცოტა ფაქტებიდან გამოჰყავს საერთო კანონი, მაგრამ ფაქტის უბრალო დანახვით კი არ კმაყოფილდება, არამედ მას შეისწავლის სხვა ფაქტებთან ურთ-ერთ მიმართებაში და შემდეგ გამოიტანს საერთო დასკვნას.

ამ მსჯელობიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ კ. ლორთქიფანიძეს სწორი წარმოდგენა აქვს დედუქციისა და ინდუქციის არსზე, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ იგი ბოკლის დებულებებს ეყრდნობა, საეჭვოდ ხდის მის კონცეფციას.

ეფიქრობთ, რომ კ. ლორთქიფანიძის შენიშვნა ანტონოვიჩის მიმართ სამართლიანი იყო. ანტონოვიჩის მტკიცება იმის შესახებ, რომ „დედუქცია და ინდუქცია მარტო² ლოგიკურად დაწყობის ფორმა არისო“, სადავო უნდა იყოს. მართალია, დედუქცია-ინდუქციის დროს ლოგიკას მსჯელობის ფორმალური კანონები აინტერესებს და არა კონკრეტული ქეშმარიტების საკითხი, მაგრამ, რადგან დედუქცია და ინდუქცია არსებითად შემეცნების პროცესის კანონებია, არ შეიძლება „მარტო“ მათ შორის ფორმალური მიმართებით დაგვკმაყოფილდეთ და საბოლოო ჯამში მაინც ქეშმარიტებას არ გავუწიოთ ანგარიში.

საინტერესოა ისიც, რომ ბოკლის დებულების გარკვევის დროს კ. ლორთქიფანიძე ფაქტის ყოველმხრივ შესწავლას აქცევს მთავარ ყურადღებას. მართლაც, ქეშმარიტი შემეცნების პროცესი საგნის გარეგანი ნიშნების აღწერით კი არ კმაყოფილდება, არამედ არკვევს მას შინაგან თვისებებს და სხვა საგნებთან კანონზომიერ ურთიერთობას. სწავლობს მასში კონკრეტულსა და ზოგად ნიშნებს. როგორც ვ. ლენინი გვასწავლის: „ზოგადი მხოლოდ განცალკევებულში. მხოლოდ განცალკევებულის შემწეობით არსებობს. ყოველი განცალკევებული (ასე თუ ისე) ზოგადია. ყოველი მხოლოდ

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 595, ტექსტი შავად არის დაწერილი და აწინა გამო ზოგჯერ აზრობრივი თანმიმდევრობა და სტილი გამართული არ არის — კ. მ.

² ხაზი ჩვენია. — კ. მ.

დაახლოებით მოიცავს ყველა განცალკევებულ საგანს, ყოველი განცალკევებული არა სრულად შედის ზოგადში. ¹ საგნის ნამდვილი შესწავლა ამ ძვისებების ქეშმარიტ გამოვლენას ნიშნავს.

—:—

კ. ლორთქიფანიძის აზროვნების დემოკრატიული ბუნება კარგად ჩანს მის მიერ გადმოკეთებულ შრომაში, რომელსაც ეწოდება — „საზრდო და მისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში“. ეს შრომა კ. ლორთქიფანიძემ გადმოაკეთა ვულგარული მატერიალიზმის წარმომადგენლის, ფიზიოლოგის იაკობ მოლემოტის (1822—1893) ნარკვევიდან. შრომა გამოქვეყნდა 1871 წლის „კრებულის“ მესამე წიგნში. ჩვენ ვსარგებლობთ ხელნაწერი ტექსტით, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე გამოქვეყნებული, ცენზურას შრომიდან მისთვის მიუღებელი ბევრი საინტერესო ადგილი ამოუშლია.

სათაურის მიხედვით გეგონებათ, რომ შრომა მხოლოდ სპეციალურ საბუნებისმეტყველო საკითხებს ეხება, მაგრამ ფაქტიურად კ. ლორთქიფანიძე სოციალური ხასიათის მოვლენებს მეტ ყურადღებას აქცევს.

შრომის პირველ ნაწილში კ. ლორთქიფანიძე ეხება საჭმლის მონელების დროს წარმოშობილ ქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებს. აღნიშნავს იმასაც, რომ სათანადო საზრდოს მიუღებლობის გამო ორგანიზმი იჟიტება და კვდება. არკვევს სიკვდილის პროცესს, როგორც ნივთიერებათა დაშლის პროცესს და ამ დაშლილ ნივთიერებათა მონაწილეობას ახალი სიცოცხლის წარმოშობაში. გვაცნობს ბუნებაში ნივთიერებათა მუდმივ ცვალებადობის კანონს.

შემდეგ ეხება საზრდოს მოპოვების საკითხებს, რომ ბუნება მუქთად არ იძლევა საზრდოს, და არც იქნებოდა ხელსაყრელი ადამიანისათვის საზრდოს უშრომლად მოპოვება. სასარგებლოა ადამიანისათვის, რომ საზრდო მხოლოდ შრომით მოიპოვება, მაგრამ საზოგადოებაში გაბატონებულია უღმობელი კანონი, რომლის მიხედვით: ვინც მეტს შრომობს, მას საზრდო არა აქვს, ვინც არ შრომობს მას, ნორმაზე მეტი აქვსო.

აი რას წერს ამის შესახებ ავტორი: „ჩვენი ხვედრი საზრდო უკულმა ეფარდება შრომას, ყველაზე უფრო ბევრი.. ერგება იმათ, ვინც სრულიად არ შრომობს, შედარებით უფროსი წილი ხვდება

¹ ვ. ი. ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, 1927, გვ. 373.

იმათ, ვინც ცოტაოდენს შრომას კადრულობს. მერე რამდენათაც შრომა მატულობს და ძნელდება, იმდენად იმის ხვედრი საზრდო თანდათან კლებულობს, ასე რომ ყველაზე უძნელესი და წელის მოსაწყვეტი შრომა ძლივს პოულობს გამხმარ ლუკმა პურს, რომელიც ხშირად არც კი კმარა საზრდოობითი კანონის დასაკმაყოფილებლად, და ეს კანონი, როგორც ვიცით, არის დაურღვეველი და შეუწყვეტლად სასტიკი, რომელიც თავის მოწინააღმდეგეს სჯის სიკვდილით¹.

შრომის ეს ადგილი დაბეჭდილი არ არის, ცენზურას ის ამოუშლია. ცხადია ასეთ აშკარად მამხილებელ სტრუქციონებს ცენზურა არ გაუშვებდა.

რადიკალურად მოაზროვნე კ. ლორთქიფანიძე, პირში ახლიდა გაბედულ სიტყვას გაბატონებულ წრეებს და საჯაროდ კიცხავდა მათ ბოროტებას. ფაქტიურად აქ კ. ლორთქიფანიძე იმავე მოსაზრებას გამოხატავს მეცნიერული დებულებებით, რასაც ილია ჭავჭავაძე მხატვრულ სიტყვაში ამბობდა:

ვინა შრომობდა და ვინა ძღვება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალიო...

ამის შემდეგ შრომაში მოტანილია მაგალითები ზემოთ წარმოდგენილი დებულების დასამტკიცებლად. აქ ის სანიმუშოდ განიხილავს გლეხის შრომას. „ავიღოთ მაგალითად მიწის მუშაკი, ანუ მხგნელ-მთესველი, შრომის კანონი ძალიან სასტიკად ეპყრობა იმას, ის ნამდვილად ოჟღისა და სისხლის ღვრით შოულობს ლუკმა პურს: იმის შრომა ყველაზე უფრო დამლაღვია და ამასთან შეუწყვეტელი .. თუმცა მიწის მუშაკი აგრე შრომობს, მაგრამ საზრდო ძლიერ ცოტა აქვს... ამისათვის იმას ხშირად პური აკლდება და იმშევა“².

ამის შემდეგ ავტორი ეხება სხვა პროფესიების შრომას და პრაქტიკული მაგალითებით ამტკიცებს, რომ ვინც ცოტას ან სულ არ შრომობს, იგი უთვალავ სომდიდრეშია ჩაჯულული მაშინ, როდესაც ნამდვილი მშრომელი სიღატაკეში იღრჩობა და ზოგჯერ ფიზიკურად ნაღვურდება საარსებო მინიმუმის უქონლობის გამო. აქედან გამომდინარე სამართლიანად ასკვნის იგი, რომ ამ უკანონობის საფუძველზე არის წარმოშობილი ბრძოლა და ანტაგონიზმი მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 22—23.

² „კრებული“, 1871, № 3, გვ. 152—153, ხელნაწერი № 592, გვ. 23—24.

„ამრიგად, გამართულია იმათ შორის ნიდაგი ომი საზრდოს გულისათვის, ომი პატრიციებსა და პლებებს შორის, მდიდრებსა და საშუალო წოდებას შორის, საშუალო და უმდაბლეს წოდებებს შორის“¹.

აქ კ. ლორთქიფანიძე იყენებს დარვინის თეორიის ძირითად დებულებას და ასკვნის: „კაცობრიობის ცხოვრებაში გამართულია იმგვარივე ბრძოლა არსებობისათვის, როგორც ცხოველებისა და მცენარეების ცხოვრებაში“². ამავე შრომის სხვა ადგილზე ის აღნიშნავს: „შეიძლება ვსთქვათ, რომ მთელს ცოცხალს ბუნებაში გამართულია იმგვარივე ბრძოლა არსებობისათვის და რომ ყოველივე ცხოველი არსება ერთი ერთმანეთს ეჯიბრება“.

ავტორის აზრით, სანამ არსებობს ქვეყანაზე ცხოვრების უღმობელი კანონი, სხვისი შრომის მითვისება და ძალმომრეობა, მანამდე სამართლიანობის დამყარება ხალხთა შორის შეუძლებელია. მაგრამ ავტორისათვის ისიც ცხადია, რომ ცხოვრების „მოწესრიგების საშუალებად“ რეაქციონურ ბურჟუაზიას სხვა რეცეპტები გააჩნია, ვიდრე მუშათა კლასს და მის ბელადებს. ამ შემთხვევაში კ. ლორთქიფანიძის მხედველობაში ჰყავს ინგლისელი რეაქციონერი ეკონომისტი რობერტ ტომას მალთუსი (1766—1837), რომელიც სხვა „ხერხებითა“ და საშუალებებით ცდილობდა საზოგადოების „მოწესრიგებას“.

მალთუსის თეორიის მიხედვით, ხალხთა სიღარიბის მიზეზი ის არის, რომ აღამიანები გაცილებით უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე იზრდება მათთვის საჭირო საარსებო საშუალებათა წარმოება. რათა ნორმალური ცხოვრება დამყარდეს საზოგადოებაში და ყველა მოქალაქეს ექნეს არსებობის საშუალება, მალთუსი ქადაგებს აღამიანების ხელოვნურად ჯლეტის აუცილებლობას ომებისა და ებიდემიის მეშვეობით. მალთუსის თეორია ასე აქვს კირილეს განმარტებული: „ამისათვის საჭიროა ძალდატანებითი სიკვდილი, რომელსაც მოახდენს სიღარიბე და სიმშვილობა, რომ იმათი კაცების რიცხვი და იმათი საზრდოს რაოდენობა ერმანეთს შეეფარდონ, ან არა და იმდენზე მაინც დაუახლოვდნენ, რომ იმათ შორის დიდი განსხვავება არ იყოს. აი, რაგვარია ზნეობის კანონი. არავისათვის არ არის საჭირო სიღარიბე და რისთვის უნდა იყოს ქვეყანაზე“³.

¹ „კრებული“, 1871, № 3, გვ. 138—139, ხელნაწერი № 592, გვ. 13—14.

² „კრებული“, 1871, № 3, გვ. 161, ხელნაწერი № 592, გვ. 30.

³ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 29.

ცენზორს ეს ადგილიც და ამის მომდევნო სტრიქონებიც ამო-
უშლია, რადგან იქ კიდევ უფრო დაკონკრეტებულია მალთუსის
თეორიის ბოროტი ზრახვები. მალთუსის წარმოდგენით, — წერს
კ. ლორთქიფანიძე, — საზოგადოებაში ის ადამიანები ითვლებიან
ზედმეტად, ვისაც საარსებო საშუალება არ გააჩნია, ვინც ღარიბი
და ლატაკია, რადგან მათთვის ამ ცხოვრების დიდ მეჯლისში ბუ-
ნებას ადგილი არ შეუძრავია.

„მაშასადამე ყველას არ შეუძლია სიცოცხლე, ზოგი უთუოდ
უნდა გამოეთხოვოს წუთისოფელსა, და ეს უბედურება უნდა ეწიოს,
რასაკვირველია, იმათ, ვისაც საზრდო არა აქვს, ვინც ღარიბია ..
დიდ ქვეყნიურ მეჯლისში იმათთვის ქვეყანას არ დაუდგამს სუფრა.
ბუნება უბრძანებს იმათ, რომ ქვეყნის მეჯლისიდან განშორდნენ.
ისინი განშორდებიან და დედამიწა ჩანთქავს იმ თავის შვილებს,
რომელთა რჩენა იმან ვერ შესძლო. ეს არის აუცილებლობის კა-
ნონი...“¹.

როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძემ მეტად
საინტერესო მუქი ფერებით დახატა მალთუსის თეორიის რეაქცი-
ული ბუნება და განსაკუთრებით ამ თეორიის დამოკიდებულება
საზოგადოების დაბალი ფენებისადმი.

ამის შემდეგ კ. ლორთქიფანიძე დამაჯერებელი ფაქტებითა და
ღრმა რწმენით აწარმოებს ბრძოლას ამ რეაქციული თეორიის წი-
ნააღმდეგ. ის სამართლიანად არწმუნებს მკითხველს იმაში, რომ
ბუნება აქ არაფერ შუაშია, თვით ადამიანები ქმნიან ასეთ წესსა
და კანონებს საზოგადოებაში. სილატაკე და სიმშილი ბუნებას არ
გაუჩენია, მისთვის ერთია ყველა ადამიანი, ეს რანგებად დაყოფა,
მდიდრებად და ღარიბებად განაწილება, თვით ცხოვრების მოგო-
ნილია.

„ბუნება გვიბასუხებს ამაზე, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ
შემოსენებული კანონი ჩემთვის ტყვილ-უბრალოდ შევიწამებიათო,
რომ ყველა უბედურება, რომელსაც კაცები ამ კანონის შედეგად
რაცხვენ, თვითონ კაცების ბრალიაო“.

ცენზურის მიერ გამოტოვებულ სტრიქონებში კიდევ უფრო და-
საბუთებულად ჩანს ავტორის ჭეშმარიტი დამოკიდებულება მალ-
თუსის რეაქციული თეორიისადმი. კირილე წერს: „ამბობენ, რომ
ჩვენ, როგორც გგონიათ, ისე ჩქარა არ ვმრავლდებითო, ისე მაინც
არა, რომ დედამიწაზე იყვნენ ნამეტნავი კაცები, რომელთათვის

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 30.

სახვედრო საზრდო არ იბოვებოდესო ყოველ დაბადებულს, თვითონ ამ დაბადების ძალით ეძლევა უფლება სიცოცხლეზე და, მაშასადამე, მისთვის მიუცილებელ საზრდოზედაც. არავის არ შეუძლია, რომ დაბადებულს სიცოცხლე მოუსპოს, მაშ, იმას საზრდოც არ უნდა წაართვან. ბუნებას ყოველთვის შეუძლია, რომ იმას ლუკმა პური განუწესოს თავის უღვეველ სალაროდამ და ბუნებითი სიკვდილი საკმაოა კაცის გამრავლების შესაზომიერებლად და სრულიად საჭირო არ არის, რომ იმისათვის მოუწოდოთ ძალდატანებით მომავდინებელი სიღარიბე და სიმშვილი...¹.

ცენზურა კვლავ ცდილობს აარიდოს მკითხველს კ. ლორთქიფანიძის ჭეშმარიტებით აღსავეს სტრიქონები საყოველთაო შრომის აუცილებლობის შესახებ. თუ საზოგადოების ყველა წევრი იზრომებს და მოპოვებულ საზრდოს ყველა გაინაწილებს, მაშინ აღარ იქნებიან მშვიერი და ღატაკნი. ამის ნათელსაყოფად ასეთ კონკრეტულ მაგალითს გვიხატავს კირილე:

„ვსტკვათ, საზოგადოებაში მხოლოდ ათი კაცია, ამათგან ხუთი საზრდოს მოპოებას ადგა და დანარჩენი ხუთი ამხადებს ყველაფერს, რაც საზრდოს მოსაპოებლად საჭიროა, ვსტკვათ, რომ ამ ათმა კაცმა მოიყვანა იმდენი საზრდო, ყველას თითო ულუფა ხვდა. მაგრამ თუ ამათგან ხუთმა შრომაზედ აიღო ხელი, მაშინ დანარჩენი ხუთი შეიმუშავებს მხოლოდ ხუთი კაცის სამყოფს საზრდოს და თითოეულს ერგება მხოლოდ ნახევარი ულუფა. თუ უსაქმოდ მყოფმა ნახევარ ულუფაზე მეტი წაიღო, მაგალითად სამი მეოთხედი, მაშინ მშრომელს ერგება მეოთხედი ულუფა. და თუ ვინმე მშრომელების წილს კიდავ ნახევარ ულუფას მოაკლებს, მაშინ ზოგიერთ მშრომელს სულ არაფერი არ ხვდება და სიმშვილი მოკლავს. ამ შემთხვევაში სიღარიბე და სიმშვილობა... იმის შედეგი არიან, რომ ამ საზოგადოებაში ცხოვრობენ უქმად მყოფნი... ასეთ უთუოდ დიდი საზოგადოების საქმეც“².

რა თქმა უნდა, რთული სოციალური მოვლენების ასეთი პრიმიტიული მაგალითებით ახსნა ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ მკითხველს. დღეს ჩვენთვის უკვე ცნობილია მარქსის კლასიკური ფორმულები ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოშობის შესახებ და დეტალურად არის შესწავლილი მუშათა კლასის ექსპლუატაციის პირობები, მაგრამ მაშინდელი მკითხველისათ-

¹ ხელნაწერი № 592, გვ. 35.

² იქვე, გვ. 38—39.



ვის ასეთ მაგალითსაც კი, სადაც დაგმობილია მონური შრომა და სიმპატიურად არის წარმოდგენილი ყველასაგან აბუჩად ადგებული მშრომელი ადამიანი, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

ისიც ცხადია, რომ ამ სტატიაში კ. ლორთქიფანიძეს გადაქარბებულად აქვს წარმოდგენილი საზრდოს მნიშვნელობა, მართალია, მარქსიზმის კლასიკოსები ადამიანის საარსებო საშუალებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ ყველაფრის საზრდოს მოპოვებით ახსნა ვულგარული მატერიალიზმის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ამას კ. ლორთქიფანიძე გრძნობდა და ამის გამო აღნიშნავდა კიდევ: „რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, ვითომ მარტო საზრდო იყოს კაცობრიობის ცხოვრების მომმართველი; არის სხვა მიზეზიც, რომელზეც აღძვრენ და მომართავენ ისტორიულ ცხოვრების მსვლელობას, მაგრამ იმის უარყოფაც არ შეგვიძლიან, რომ საზრდო არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი“¹.

კირილე იქვე დასძენს: „კაცი მარტო პურით არ ცხოვრობს“. მაგრამ ის არ მიუთითებს ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენაზე და ამდენად საზრდოს მნიშვნელობა, როგორც ერთადერთი ფაქტორისა, ამ შრომაში არსებითად ძალაში რჩება, სამწუხაროდ კირილე ვერ აცდა ბოკლის მცდარ დებულებებს ამ საკითხში.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, აქ, პირველყოვლისა, საგულისხმოა ის, რომ ავტორი გაბედულად გამოდის მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად, აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის ექსპლოატაციას და ესეც საბუთია იმისა, რომ კირილე ლორთქიფანიძე იცნობდა მარქსის ნაწერებს.

მკითხველ საზოგადოებას რომ ეს შრომა კარგად მიუღია, ამას ადასტურებს კ. ლორთქიფანიძის ბარათი ს. მესხისადმი. ბარათში კ. ლორთქიფანიძე იმეორებს მესხის სიტყვებს და ამით ვეცნობით მესხის მოსაზრებებს ამ საკითხზე.

„ამას წინათ შენ მწერდი, — წერს კირილე ს. მესხს, — რომ სტატია საზრდოზე კარგი რამ არისო, მაგრამ ჩემი აზრით... ბევრი ახალი და ზოგჯერ გაუგებარი ქართული სიტყვებია ნახმარი...“².

წერილის შემდეგ ნაწილში კირილე თავს იმართლებს და საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს ახალი და უცხო სიტყვების ხმარების შესახებ.

როგორც აღრევე აღვნიშნეთ, „საზრდოს“ დაბეჭდვას ცენზურა

¹ კრებული, 1871, № 3, გვ. 139.

² კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 467, გვ. 22.

მკაცრად შეხვედრია და დიდი ნაწილი, ორნახევარ თაბახამდის, ამოუშლია, მაგრამ როგორც ს. მესხი აღნიშნავს, სტატიის ძირითადი იდეა მკითხველისათვის მაინც გასაგები ყოფილა.

ამის თაობაზე ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს წერს: „კრებულის“ ბეჭედა დავიწყეთ. ამ თავით იბეჭდება შენგან გამოგზავნილი სტატია, რომელშიაც ორი თუ ორნახევარი თაბახი წაშალა ცენზორმა, მაგრამ ღვთის მადლით მაგის დამწერს ისეთი მანერა აქვს წერისა, რომ ერთსა და იგივე აზრს ორჯერ-სამჯერ დაღეჭავს და ისე მიართმევს მკითხველს. ცენზორს სრული დაღეჭვა არ მოეწონა. სტატიის აზრი არ გამოცვლილა, რაც უნდოდა ავტორს, ყველაფერი ნათქვამია ისევ, მაგრამ ნაკლები სიცხადით და განმარტებით. გულმოდგინე მკითხველი ყველაფერს ადვილად გაიგებს, რაც უნდოდა ეთქვა ავტორს“¹.

ცენზურას, მართლაც, მთელი გვერდები ამოუშლია შრომიდან. ჩვენს მიერ ციტირებული ადგილები ყველა დაუბეჭდავია და შრომაში კიდევ ბევრია წითელი ფანქრით შემოხაზული სტრიქონები, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ს. მესხიც აღნიშნავს, შრომის ძირითადი იდეა დაუზიანებელი დარჩენილა და მკითხველსაც სიყვარულით მიუღია მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის იდეებით გაქონთილი კ. ლორთქიფანიძის ეს სტატია.

შრომა საყურადღებოა იმიტაც, რომ მალთუსის რეაქციური თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა დღესაც აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამჟამად ამერიკისა და ინგლისის რეაქციონერმა წრეებმა კვლავ გააცოცხლეს დიდი ხნის წინათ მეცნიერების მიერ დაგმობილი ეს ანტიხალხური თეორია. იმპერიალიზმის ეს დაქირავებული მჯღაბნელები დღესაც ანტიციებენ, რომ მშრომელი ხალხის უმუშევრობა და შიმშილი მათი უსაზღვრო გამრავლებით არის გამოწვეულიო. ამისათვის ისინი ამზადებენ ახალ ომებს, ხალხთა ჟღერასა და განადგურებას. მათი გაბოროტება განსაკუთრებით მიმართულია საბჭოთა ხალხებისა და დემოკრატიის ქვეყნებისადმი. ამერიკელი ნეომალთუსიანისტი ფოგტი თავის წიგნში „გზა ხსნისაკენ“ (1948) გულისტკივილით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის და ჩინელი ხალხის ზრდას და მოითხოვს ომებსა და ეპიდემიას როგორც მასობრივი ჟღერ-ს საშუალებას. დღესაც კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციულ წრეებში ცოცხლობს მალთუსის თეორია.

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 18, პაპა № 11, 1670 წ 2 იენისი, თბილესი, ს. მესხი.

თავის დროზე მალთუსის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა ჩაატარეს მარქსიზმ ლენინიზმის კლასიკოსებმა, დღესაც მათ სამარცხვინო ბოძზე აკრავს მსოფლიოს მოწინავე აზროვნება და სამაყაოა, რომ თითქმის საუკუნის წინ, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კ. ლორთქიფანიძე ასე გაბედულად იბრძოდა, მაშინდელ ცენზურულ პირობებში, მალთუსის ცნობილი რეაქციული თეორიის წინააღმდეგ.

კ. ლორთქიფანიძე და ზანგების საკითხი

„საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე-მეთორმეტე ნომერში ორ ნაწილად დაიბეჭდა კ. ლორთქიფანიძის რუსულიდან გადმოკეთებული დიდი მოცულობის შრომა „ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“.

ამ შრომის ისტორია ასეთია: 1863 წელს კ. ლორთქიფანიძემ, როგორც აღრევე აღენიშნეთ, გადმოთარგმნა ამერიკელი დემოკრატი მწერალი ქალის ბიჩერ სტოუს რომანი „ბიძია თომას ქოხი“.

ამ რომანს თავის დროზე მსოფლიოში დიდი გამომხაურება გამოუწვევია. დიდად დაინტერესებულა ამ ნაწარმოებით რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი ინტელიგენცია. გარდა იმისა, რომ „სოვრემენიკის“ რედაქციამ „ბიძია თომას ქოხი“ ცალკე წიგნად დაბეჭდილი დაურიგა მკითხველებს, 1851 წლის მარტის „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა ჩერნიშევსკის თანამებრძოლის, რევოლუციონერ-დემოკრატის ვ. ა. ობრუჩევის სტატია: „Невольничество в Северной Америке“. სტატიაში აღწერილია საინტერესო ფაქტები ამერიკელი პლანტატორების უმსგავსო მოქმედებისა, დასახლებულია ტყვეებით ვაჭრობის სამარცხვინო მაგალითები და ზანგების მონური ყოფის სავალალო სურათები. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ვ. ა. ობრუჩევის სტატია ორიგინალური არ არის. მას რგი გადმოუღია ამერიკელი მოღვაწის ებზოლტის წიგნიდან, რომელშიაც ავტორს გადმოცემული აქვს კუბასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს საკუთარი თვალით ნახული სამწუხარო ფაქტები.

ვ. ა. ობრუჩევი მიზნად ისახავს ამ სასარგებლო წიგნის შინაარსის გადმოცემას. „Мы и решили в этой статье изложить главные мысли любознательной книги Эбболта“.

ავტორს ვრცლად აქვს აღწერილი ამერიკელი პლანტატორების დამოკიდებულება ზანგებისადმი, პლანტატორები ნაყიდ ზანგებს სიკვდილისა და შიმშილის მუქარის ქვეშ ამუშავებენ ძალღუთ პირობებში.

Безпределная бедность, тяжелое физическое страдание, крайнее оскарбление всех человеческих чувств, отсутствие каких бы то ни было привязанностей, отсутствие всякой радости, отсутствие всякой надежды на улучшение участи и на конец, при всем этом, кнут плантатора всегда, везде и за всё вот в каких обстоятельствах трудится невольник“¹.

ვ. ა. ობრუჩევს, გარდა მონა ზანგების ცხოვრების პირობებისა, მოცემული აქვს ადმინისტრაციისა და ცენზურის მკაცრი მოქმედების ფაქტები. მაგალითად, ავტორის გადმოცემით, საკმარისი იყო წიგნის მალაზიაში ენახათ ამერიკელი რევოლუციონერი მწერლის ფენიმონ კუპერის (1789—1851) რომელიმე ნაწარმოები, რომ გამყიდველი სიკვდილით დაესაჯათ. ობრუჩევს კუპერის პოემიდან მოაქვს ერთი ადგილი, პროზად თარგმნილი, რომელსაც კ. ლორთქიფანიძე პროზადვე ასე აქართულებს:

„მე არ მსურს, რომ ჩემმა ტყვემ მიხნას, მატაროს აქა-იქ, მინიაოს მარათი მძინარესა დაშ იშით კანკალბედეს ჩემ წინ, როცა გამოვიღვიძემ, მე ეს არ მინდა, თუნდ მომკენ ყველაფერი, რაც რომ დაუმუშავნია დასაბამიდან ტყვეების ხელებსა, თავისუფლებას ყველაზე უფრო ძვირად ვაფასებ, მაგრამ რაც უნდა ძვირად მილირდეს მე ესა, ისევ ის მიჩვენია, რომ ტყვედ ზავხდე, ვინემ შეუყარო ბოროკილი სხვას“.

გზადაგზა სტატიის ავტორს აღწერილი აქვს ზანგების ცხოვრების კონკრეტული მაგალითები, რომ ისინი ღია ცის ქვეშ ყრიან და იხოცებიან შიმშილითა და მძიმე შრომის შედეგად.

აღსანიშნავია ისიც, რომ „სოვრემენიკის“ ამავე ნომერში, ვ. ა. ობრუჩევის სტატიის გვერდით, დაბეჭდილია ამერიკელი დემოკრატი პოეტის ჰენრი ლონგფელოს (1807—1882) ლექსების ციკლი „სიმღერა ნეგრებზე“ (ლონგფელოდან). სულ წარმოდგენილია 8 ლექსი. სახელდობრ: „ტყვეს სიზმარი“, „კეთილი სტუმარი“, „ზანგი დასწყევლილ ქაოზში“, „ზანგის სიმღერა შუალამზე“, „მოწვეები“ და „კვატრონკა“. ლექსების მთარგმნელია რუსი რევოლუციონერი პოეტი მიხაილოვი.

¹ „Современник“, 1861, Марта, стр. 279.

კ. ლორთქიფანიძემ „ბიძია თომას ქოხის“ თარგმანის გამო შეიწავლა ამასთან დაკავშირებული ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. მან კარგად იცოდა, რომ ქართველი მასობრივი მკითხველი არ იყო გაცნობილი რომანში წარმოდგენილ საკითხებს, მკითხველის წინასწარ მომზადების მიზნით მან ქართულად გადმოაკეთა ვ. ა. ობრუჩევის სტატია და დამატებით შეავსო იგი სხვა ისტორიული წყაროებით. ასე რომ, კ. ლორთქიფანიძის შრომა მოცულობითაც და პოლიტიკური სიმახვილის თვალსაზრისითაც საგრძნობლად განსხვავდება მისი მასწავლებლის ობრუჩევის სტატიასაგან. ეს ვრცელი შრომა ორ ნაწილად გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბის“ თერთმეტსა და თორმეტ ნომერში.

კირილეს სტატია იწყება ლონგფელოს სიტყვებით: „ჩვენშიაც არის დატყვევებული და დაბრმავებული სამსონი. მისთვის ღონე მიუხდიათ, ბორკილიც შეუყრიათ, მაგრამ ვაი, როცა ის ხელებს გაიქნევს, მწუხარებისაგან გაცივებული“¹.

გარდა ამისა, სტატიას წამძღვარებული აქვს ასეთი ხასიათის წინასიტყვაობა: „დროების დახედვით, საუბროდ ვნახეთ, წავაკითხოთ „საქართველოს მოამბის“ მკითხველს ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია ტომის ქოხი“, ანუ „ტყვეობა ჩრდილოეთის ამერიკაში“, მაგრამ ვიცი ამასთანავე, რომ რომელიმე ნაწილისათვის მკითხველებში საუბროა წინათვე გავაცნო რამდენადმე ჩრდილოეთის ამერიკის შტატები. მოვახსენოთ იმათი გარეგანი და შინაგანი ისტორია ძლიერ მოკლედ მაინც, ვაჩვენოთ მოკლედ აქაური პოლიტიკური დაწყობილება, ტყვეობის ისტორია, მნიშვნელობა, ეხლანდელი მდგომარეობა და ბოლოს, როგორც დამატება, მიზეზები ეხლანდელის ომისა ჩრდილოეთის ამერიკაში“².

ამ საერთო შესავლის შემდეგ ავტორი დეტალურად არჩევს ამერიკის აღმოჩენიდან დაწყებული ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის კოლონიზატორთა პოლიტიკას მკვიდრი ამერიკელების მიმართ, მმართველობის გამწვავებასა და ომებს, 1789 წლის ვერსალის ზავს და ინგლისის უფლებების აღკვეცას ამერიკაში. ამის შემდეგ იგი ეხება პურიტანელების წყობილებას და დემოკრატიზმს,

¹ სქოლიოში კ. ლორთქიფანიძე ამის შესახებ წერს: „ეს ლექსი ამერიკელი პოეტის ლონგფელოს დაწერილია, და რუსულ ენაზედ გადმოიღო ერთმა რუსეთელმა მწერალმა (მთარგმნელი მიხაილოვი ამ დროს დაპატიმრებული იყო და ამიტომ მისი სახელის სხენება არ შეიძლებოდა. აი რას ამბობს ლონგფელო თავის საშუალობზე:... ამის შემდეგ მოტანილია ლონგფელოს ზემოთ დასახელებული სტრიქონების ქართული თარგმანი. — კ. მ.

² „საქართველოს მოამბე“, № 11.

მიწის სიუხვის გამო პრივილეგიური წოდების უნიადაგობას, არჩევითი სისტემის შექმნას და საგრაფოებისა და შტატების წარმოშობას, ყურადღებას ამახვილებს მმართველობის სისტემაზე და ევრედწოდებულ ამერიკულ დემოკრატიზმზე წარსულში და ამის შემდეგ გადადის ცივილიზირებული კაცობრიობის დამამცირებელ მოქმედებაზე, ტყვეებით ვაჭრობის სამარცხვინო ფაქტზე.

ამერიკაში გაბატონებულმა უცხოელმა კოლონიზატორებმა ოქროსა და ვერცხლის მალაროებში, შაქრის ლერწმის, ბამბისა და თამბაქოს პლანტაციებში სამუშაოდ გამოიყენეს ადგილობრივი მცხოვრებლები, მაგრამ მათი ფიზიკური სისუსტისა და მძიმე შრომის პირობების გამო, მკვიდრი მოსახლეობა სრულიად განადგურდა და მაშინ დაიწყო აფრიკიდან ზანგების შემოყვანა. მეჩვიდმეტე საუკუნეში შედგა გვინეის და სენეგალის სავაჭრო კომპანიები, რომლებიც ჯილდოს ღებულობდნენ მთავრობისაგან, თუ თითოეული მათგანი ათასზე მეტ ტყვეს გამოიყვანდა. 1712 წლის უტრეხტის ზავით, ინგლისმა მოიპოვა ზანგებით ვაჭრობის მონოპოლია, რაც ყველაზე შემოსავლიან საქმედ ითვლებოდა. 1841 წლიდან ოფიციალურად აიკრძალა ზანგებით ვაჭრობა, მაგრამ ამან კიდევ უარეს დღეში ჩააყენა ეს უმწეო ადამიანები. გზაში გემებს კონტროლს უწევდნენ მოდარაჯე გემები და ზღვაზე მათი გამოჩენის დროს გემის პატრონები, ბოროტების კვალის დაფარვის მიზნით, ზანგებს ზღვაში ყრიდნენ, ანდა ბოჭკებსა და ხვრელებში მალავდნენ. მაგრამ ვინც მიაღწევდა ადგილზე, განა იგი ბედნიერი იყო? გზადაგზა კ. ლორთქიფანიძე აღწერს ზანგების შრომას და ცხოვრების საშინელ პირობებს. ავტორი დამაჯერებლად გვისურათებს გამდიდრების მანიით შეპყრობილი პლანტატორების მხეცურ მოქმედებას, გვიჩვენებს ადამიანთ ვაჭრობის სამარცხვინო ფაქტებს, ცივილიზებული კაცობრიობის ამ წარუხოცელ ლაქას. საქონელივით ნაყიდ მონებს არც საზრდო გააჩნიათ და არც თავშესაფარი. დასნეულებულებს დაუკარგავთ შრომის უნარი, მაგრამ პლანტატორების დაქირავებული მოხელეები მათარახის ცემით ცდილობენ დაუბრუნონ მათ დაკარგული ძალა. სიმშვილისაგან დასიყვებული ბაღლები მკერდზე მიკვრიან ჩონჩხადქცეულ დედებს და ძნელი გამოსაცნობია, დედა უწინ მოკვდება თუ შვილი.

ავტორი მიგვითითებს ყმაწვილ ქალზე, რომელსაც სახეზე ქალღობა არ ატყვია, გეგონება საფლავივით ამოუღიათო, დედობა როგორ შეუძლია ამ გამქრალ არსებას?#¹.

¹ „საქართველოს მთაბნე“, № 12.

ახლა გავეცნოთ, როგორ „ცხოვრობენ“ ისინი: „ეი ოთახი, საცა განურჩევლად ყრილ არიან მამა-კაცები, მოხუცებულები და ყმაწვილები და სძინავთ ატალახიანებულს, აყროლებულს მიწაზედ პოლის მაგიერ, გამოჭრილს კედლებში არც მინა აქვს დატანებული, არც ქაღალდია გაკრული, ისე ასრულებს ფანჯრების მაგიერებას, სანთელს მის დღეში არ გაუნათებია ამ გადახურულის ქვეშ და ვერც გაანათებს. მუშაობისაგან დაქანცულები და მკვდარცოცხლები ბნელს ღამეში მოდიან შინისაკენ, სიბნელეში სჭამენ პურსა და ამ აყროლებულ მიწაზედ ძილს ესწრაფიან, იქნებ რამდენიმე საათს მაინც დაივიწყონ რა გადახედიან და რაც მოელით. ამ საღორეს მსგავსს სადგომში არ არის არც სკამი, არც სტოლი, არც სხვა რამე ოთახის მოსართავი“¹.

ზანგებს ზოგჯერ მუშა პირუტყვზე უფრო ცუდად ექცევიან, რიგიანი პლანტატორი მუშა ცხოველს და ადამიანს ისეთ პირობებს უქმნის, რომ ამ უკანასკნელმა ფიზიკური ძალა შეინარჩუნოს და შრომის უნარი არ დაკარგოს, რათა მისი ექსპლოატაცია კვლავ გახდეს შესაძლებელი, მაგრამ ყველას როდი აქვს ეს შეგნებული.

„ზოგი ამუშავეებს მათ ბევრხანს და ძალას ატანს, ურტყამს, თუმცა იცის, ამითი ცხოველი წახდება და ამასთანავე კარგად არ ინახავენ. ზოგი იმდენს ამუშავეებს, რამდენიც პირუტყუს შეუძლიან, უფროთხილდებიან მას, კარგად ინახავენ, კიდევაც სწამლობენ, ერთი სიტყვით სცდილობენ, რომ დიდხანს გასძლოს პირუტყვმა... პლანტატორებიც ამ ორნაირად ეპყრობიან თავიანთ ტყვეებს, ზოგი ასე, ზოგი ისე“².

ცხოვრების უმკაცრესი პირობები აიძულებდა ზანგებს, გაქცეულიყვნენ პლანტატორებისაგან, მაგრამ კიდევ უფრო სავალალო იყო გაქცეულის ბედი. ისინი გზაში იხოცებოდნენ შიმშილისა და სიცივისაგან. კ. ლორთქიფანიძე დეტალურად აღწერს გაპარვის შემთხვევაში შეხვედრილ დაბრკოლებებსა და უბედურ შემთხვევებს:

„თითქმის უძლეველი დაბრკოლება ხდებდა გზაზედ გაპარულს ნეგრსა, მიიპარვიან დედები ყმაწვილებით, მიიპარვიან საწყლები ტანჯვისაგან ღონემიხილნი. არსად არ შეუძლიან იმათ თავი შეაფარონ, არსად არ შეუძლიან დაისვენონ, მიდიან საწყლები ტყე-ტყე, ებრძვიან შიმშილსა, თუ ზამთარია, იყინებიან სიცივითა, ისე იტანჯებიან, რომ ბევრი გზაზედვე იღუპება“ და ამის შემდეგ კირილე პლანტატორებს მიმართავს:

¹ „საქართველოს მოამბე“, № 12.

² იქვე.

„თქვენ უკან დაედევნებით გაპარულს ტყვესა, გაედევნებით ძაღლებითა, რომელნიც გაგიზრდიათ თავის თავის მსგავსად“.

ცოცხლად გადარჩენილ ტყვეებს გზაში იჭერენ პლანტატორები და სანიმუშოდ სჯიან, რათა სხვებმა არ იფიქრონ გაქცევა. ცემისა და შიმშილისაგან სიკვდილის პირას მიყენებულ ტყვეებს საპყრობილეში ათავსებენ და შემდეგ კვლავ ყიდიან ციხის ხარჯების ასანაზღაურებლად. „გაჰყიდიან მას რასაკვირველია, ცოლშვილიანად, — წერს კირილე, — მაგრამ ისე, როგორც ჩვეულებრივ იყიდებიან ცოლშვილიანი ზანგები. მამას ერთი კაცი ყიდულობს, დედას მეორე, მათ ქალს მესამე და სხვა ამ გვარად, განათლებულისა და თავისუფალის ამერიკის უმეტესმა ნაწილმა მიიღო კანონი, რომლითაც სრულიად უდანაშაულო კაცებს ტანჯავენ ისე, რომ ამისთანა სატანჯველი უდიდესის დანაშაულისათვისაც არ უნდა დაენიშნათ“¹.

შრომის დასასრულს კ. ლორთქიფანიძე დაასკვნის. „აი რა არის ტყვეობა, აი მისი ნაწარმოებები, მისი მატერიალური და ფსიხოლოგიური შედეგები... ტყვეობა დარჩება საუკუნო, განუბანელ ჩირქად ყველაზედ, ვინც კი ამ საქმეში შეწევია როგორმე პლანტატორებსა...“².

კ. ლორთქიფანიძის შრომა მთავარ საკითხებში ობრუჩევის სტატის ემთხვევა, ძაგრამ, როგორც აღრევე აღვნიშნეთ, ბევრი რამ კირილეს თავისი დაუმატებია და სტატიები ზოლიტიკურად უფრო მახვილი და საინტერესო გაუხდია.

მაგალითად, ობრუჩევის შრომაში არაფერია ნათქვამი ისეთ საინტერესო საკითხებზე, როგორიც არის პარლამენტი, დემოკრატია და კომუნისმი. იმისათვის, რომ ეს უცხო სიტყვები მკითხველისათვის გასაგები ყოფილიყო, კ. ლორთქიფანიძე შრომის სქოლიოში ამათ შესახებ ვრცელ ახსნა-განმარტებას იძლევა და, ამდენად, ნათლად ამქლავნებს თავის დამოკიდებულებას მათდამი. არკვევს რა, პარლამენტის რაობას, იგი სამართლიანად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბურჟუაზიული პარლამენტი არ გამოხატავს ხალხის ნებისყოფას არც ფორმალურად და არც ფაქტიურად.

„პარლამენტი ჰქვიან წარმომადგენლობით კრებას, ე. ი. იმ პირთ კრებას, რომელნიც გამოირჩია ხალხმა იმისათვის, რომ ისინი

¹ „საქართველოს მოამბე“, № 12.

² იქვე.

იყენენ ხალხის სურვილის და აზრის წარმომადგენელნი, რომ იმათ ისე განსაჯონ ყოველივე საზოგადო საქმე, როგორც ხალხს უნდა... ევროპიულს სახელმწიფოებში წარმომადგენლობას იღარა აქვს არც ის იდეალური გარეგანი ფორმა, არც შინაგანი არსება...¹.

„დემოკრატიასაც“ კ. ლორთქიფანიძე განმარტავს, როგორც ხალხის მმართველობას, სადაც საზოგადოების ყველა წევრი ერთნაირი უფლებებით სარგებლობს, მაგრამ ასეთი დემოკრატიული სახელმწიფოს ნიმუშად, ბუნებრივია, ვერც ერთ სახელმწიფოს ვერ ასახელებს. ხოლო როცა ლაპარაკობს „კომუნისტურ წყობილებაზე“, როგორც „კანონიერებაზე“ და „ქვეშარიტ თავისუფლებაზე“, საილუსტრაციოდ საინტერესო მაგალითებს ასახელებს.

„ესთქვათ, რომ არის ერთი საზოგადოება, რომელშიაც კერძოობითი საკუთრება არ არის. ე. ი. როცა მიწა საზიაროა, როცა საზოგადოების წევრები ყველაფერს ზიარად მუშაობენ და შრომის ნაყოფს ზიარად ხარჯავენ, როცა ყველა წევრები თანასწორი სიმართლით სარგებლობენ, ყმაწვილებს საზოგადო ხარჯზე ზრდიან და ასწავლიან, მმართველობა და მსაჯულება თვითონ ღალხს ეკუთნის, აი ამისთანა საზოგადოებას უწოდებენ კომუნას“² და შემდეგ განაგრძობს ავტორი: „მუდამ ყოფილან და არიან კიდევ იმისთანა კაცები, რომელნიც სრულს კომუნურს დაწყობილებაში ხედვენ ზოგად „წყობილების იდეალსა, და ამბობენ, რომ კაცობრიობა ამ იდეალისაკენ მიისწრაფისო, რომ კაცობრიობის ზოგადწყობილების პროგრესი, წინ მსვლელობა ის არისო, რომ ახლდებოდესო ძველებური კომუნური წყობილება, მაგრამ ამასთანავე უფრო იხსნებოდესო, უფრო სისრულეში მოდიოდესო. კაცობრიობას ჯერ ვერ მიულწევიანო ამ იდეალთან სხვადასხვა გარეგან გარემოებების გამო და ამისათვის ყოველი კაცი უნდა ცდილობდესო რომ ეს გარემოებები ღობესავით გადაამტკრიოსო“².

ნაშრომში ასეთი საკითხების შეტანა და მისი ასეთი სახით განსაზღვრა უდავოდ კ. ლორთქიფანიძის იდეურ თავისებურებაზე ლაპარაკობს. ამ მსჯელობიდან ისიც ჩანს, რომ იგი აშკარად თანაუგრძნობს იმ ადამიანებს, რომლებიც „კომუნურ დაწყობილებაში“ ხედავენ კაცობრიობის იდეალს, მართალია, ეს იდეალი ჯერ მიულწეველია, მაგრამ თერგდალეულს წამს, რომ სათანადო ბრძოლისა და წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად იგი განხორცი-

¹ „საქართველოს მოაზრება“, № 11.

² იქვე.

ელეზული იქნება. თუმცა დავას კომუნაზე მსჯელობის დასასრული იწვევს. კ. ლორთქიფანიძე ახასიათებს რა კომუნისმისათვის თავდადებული ადამიანების მისწრაფებებს, დაასკვნის: „მაგრამ იმთ ვინ აყვებაო“. ვფიქრობთ, ეს სიტყვები პუბლიცისტის მანგერი უნდა იყოს, ცენზურის თვალის ასახვევად მოგონილი. აბა, ამის გარეშე ვინ დართავდა ნებას კ. ლორთქიფანიძეს კომუნისმის შესახებ ასეთი ვრცელი ახსნა-განმარტება დაებეჭდა? საინტერესოა, რა წყაროებით სარგებლობდა ამ დროს კ. ლორთქიფანიძე? ვფიქრობთ, გარდა უტოპისტების ნაწერებისა, 1853 წელს მისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“.

შრომაში კ. ლორთქიფანიძე, ტყვეთა ცხოვრების გარდა, დიდ ყურადღებას უთმობს ცენზურისა და მთავრობის დესპოტიზმის საკითხებს. იგი საქვეყნოდ ააშკარავებს ამერიკელების ეგრედ წოდებულ „დემოკრატიზმს“ და ფაქტიური მაგალითებით გვიჩვენებს პროგრესული აზროვნების დევნის შემთხვევებს.

„მთელს ხმელეთზე იმისთანა ქვეყანას ვერ იპოვის კაცი, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ ცენზურა ისეთი სასტიკი იყოს იქა, როგორც სამხრეთ შტატებში, სისასტიკის გარდა თან დაჰყვებიან ცენზურას განსხვავებული და ძლიერ საკვირველი ფორმები. რევოლუციონერი და დანა პირველს პლანზე გახლავან ყველგან. რევოლუციონერი ხელში უჭირავს და ისე უგდებს ყურს პლანტატორი მღვდლის ქადაგებას საყდასი, რევოლუციონერი ხსნის ის ფოსტის საპალნესა, რომ კონფისკაცია უყოს ფანტასტიკურ წიგნებსა და ჟურნალებს, ის კაცი, რომელიც პლანტატორებისაგან აკრძალულ ჟურნალს ან წიგნს კითხულობს, ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია, მუდამ იმის ფიქრშია, რომ აი დღეს, თუ ხვალ სახრჩობელაზე დავდებ ჩემს სიცოცხლესო“¹.

მონობაში მყოფი ხალხი სრულ პირუტყულ მდგომარეობაში იმყოფებოდა აზრის თავისუფლების თვალსაზრისითაც, მათ არ შეეძლოთ უბრალო საყვედურიც კი გამოეთქვათ თავიანთი პირობების გამო. კ. ლორთქიფანიძე ასახელებს ასეთი შემთხვევის გამო მუშის მკაცრად დასჯის მაგალითს.

„ერთმა ირლანდიელმა, რომელიც იყო ჭირაჯა მუშად ერთს სამხრეთის კოროლინის ქალაქში, ინება იმის თქმა, რომ ტყვეობა არ მომწონსო, ეს სიტყვები, რასაკვირველია, მაშინვე შეატყობის პოლიციას. საწყალი მუშა დაიჭირეს და წაიყვანეს სასამართლოში...“

¹ „საქართველოს შოამბე“, № 12.

სასამართლოში გაატიტელეს, დაჰკრეს მას ოცდაცხრამეტი, ისე რომ თითო დაკვრა გრძელ-გრძელ სისხლიან ზოლებსა სტოვებდა მის ზურგზედ¹.

სამარცხენო მოვლენად მიაჩნია კირილეს ისიც, რომ „დემოკრატიისა“ და „თავისუფლების“ ქვეყანაში, კუპერის წიგნის გაყიდვისათვის ან თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის შესაძლებელია ადამიანები გაუსამართლებლად ჩამოახრჩონ. მისი აზრით, განა ამას არ ადასტურებს ვირჯილიელი ზანგების წინამძღოლის ბრაუნის ჩამოხრჩობა? სტატიის შემდეგ ნაწილში კირილე ცდილობს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადოს მკითხველისათვის პლანტატორებისა და მმართველების უმსგავსო საქმიანობა. აი, როგორ მიმართავს თერგდალეული პლანტატორებს: „ამ ბოლო დროს თქვენ მიიღეთ ახალი პრინციპი, რომელსაც დაარქვით „უმთავრესი მოსახლეობის სიმართლე“ და რომლის ძალითაც ახალს მიწაზედ დასახლებულებს ნება მიეცით დაიწესონ თავისუფალი ან ტყვეობითი სჯულისმდებლობა, თქვენ შეჰკრიბეთ მისსურის ქუჩაში მოტანტალე უსაქმური კაცების ჯარი, დააიარაღეთ დანებით, თოფებით, კეტებითა და რევოლვერებით, მერე უთხარით გამამხნევებელი სიტყვა, რომ თქვენის შემწეობით უნდა დაეარღვიოთ ყოველი კანონი და ძალა დაფატანოთო კანონსელებს ტყვეობითი სჯულისმდებლობის მიღებაზედ, ერთი სიტყვით, მოკსოთ იქ ყველაფერი, რაც არ ეთანხმება ტყვეთ-მეპატრონეების ინტერესებს, და, რასაკვირველია, კიდევაც აასრულეთ, რაც გსურდათ, და საწყალი ვირჯინიელის ზანგების წინამძღოლი ბრაუნიც ჩამოახრჩეთ, ამ გვარს მოქმედებებს თქვენ კანონიერად რაცხთ, მაგრამ შეიძლება, რომ ეს მოქმედება კანონიერებას შევადაროთ?“².

კ. ლორთქიფანიძეს ამ ორ დიდ სტატიის გარდა „ბიძია თომას ქოხის“ წინასიტყვაობის სახით სხვა სტატიაც დაუწერია, რომელიც თარგმნილ რომანს წარემძღვარებოდა დაბეჭდვის დროს. ამ სტატიის ავტორი ცდილობს ახლა უფრო კონკრეტულად გააცნოს მკითხველს მოთხრობაში წარმოდგენილი ისტორიული ფაქტები. ამ მიზნით იგი მოკლე მიმოხილვას აკეთებს ამერიკის პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ. სტატიას ეწოდება „მკითხველისადმი მთარგმნელისაგან“, რომელიც ასე იწყება: „წარმომიდგენია მკითხველი საზოგადოებისათვის ბიჩერ სტოუს რომანი „ბიძია თომას

¹ „საქართველოს მოაზრებ“, № 12.

² იქვე.

ქობი“ ანუ „ტყეობა ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულს შტატებში“ ჯერ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენი მკითხველი საზოგადოება, ან ვინ წაიკითხავს რომანს¹.

ცხადია, კ. ლორთქიფანიძეს თავისი მკითხველი მდაბიო ფენებში ეგულებოდა, ეს რომანიც, მისი აზრით, ასეთი მკითხველისათვის იყო განკუთვნილი, ამიტომაც, რომ იგი ამდენ შესავალ წერილებსა და წინასიტყვაობებს წერს ჯერ კიდევ რომანის გამოქვეყნებამდე.

„თუ მკითხველ საზოგადოებად ჩავთვლით, — წერს კირილე, — მხოლოდ „საქართველოს მოამბის“ ხელისმომწერთ, მაშინ არც თუ წინასიტყვაობა, ამ რომანის გადმოთარგმნაც არ არის საჭირო... მაგრამ მართო ხელისმომწერლები არ არიან მკითხველები, მეტადრე ჩვენში, როცა შეუძლებლობის გამო ბევრი ვერ იწერს უურნალსა. არიან იმისთანა მკითხველები, რომელთაც არც კი იციან, რა არის ამერიკა ანუ შეერთებული შტატები ჩრდილოეთ ამერიკაში და რა საზოგადოებითი დაწყობილებაა ამ შტატებში“².

არსებითად ეს სტატია უკვე გამოქვეყნებული შრომის უფრო შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს.

კ. ლორთქიფანიძის ამ შრომების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. ზანგების ჩაგვრა დღეს, თანამედროვე ამერიკაში, უფრო მწვავე და საზარელ ხასიათს ატარებს, ვინემ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ატარებდა. თანამედროვე ამერიკამ გააცოცხლა ყველა კანონი, რაც ადრევე არსებობდა ფერადკანიანების მიმართ და გააცოცხლა კიდევ უფრო მახინჯ ფორმებში, რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე დღევანდელ ამერიკაში ფერადკანიანები კანონგარეშე არიან გამოცხადებული და მათზე მთელი ძალით მოქმედებს ლინჩის მხეცური კანონი, რომელიც წარსულ საუკუნეშიც მოქმედებდა ამერიკაში.

ახლა, როცა პროგრესიული კაცობრიობა ხმას იმაღლებს რასობრივი დისკრიმინაციის, ფერადკანიან ადამიანთა მასობრივი ქლეტის წინააღმდეგ, არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიგონოთ ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კ. ლორთქიფანიძე, რომელიც, ჯერ კიდევ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ, დღევანდელი ამერიკელი ჯენტლმენების პაპათა პაპებს სამარცხვინო ბოძე

¹ კ. ლ. არქივი, ხელნაწერი № 581.

² იქვე.



აკრავდა ფერადკანიანებისადმი ასეთი მხეცური დამოკიდებულები-
სათვის.

ისეთი ხასიათის სტატიების გადმოკეთებაც კი, როგორც არის
„საზრდო...“ და „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და
იქაური ტყვეობა“ არ შეიძლება უბრალო ლიტერატურულ-პუბლი-
ცისტურ საქმიანობად ჩაითვალოს. განხილული შრომების თემა-
ტიკაც კი, თავი რომ დავანებოთ მათ პოლიტიკურ ხასიათს, გა-
დაქრით ადასტურებს იმას, რომ კ. ლორთქიფანიძის სახით ჩვენ
წინაშე დგას სამოციანი წლების ყველაზე უფრო რადიკალური და
დემოკრატი მოღვაწე.

თ. მ დ ი ვ ე ი შ ვ ი ლ ი

ქალთა საშუალო განათლების ისტორიისათვის
საქართველოში

1860—1880

მეფის რუსეთში სწავლა-განათლების საქმე საერთოდ და, კერძოდ, ქალთა განათლება სავალალო მდგომარეობაში იყო. ქალთა სკოლებზე სრულებით არ ზრუნავდა მეფის მთავრობა და იგი მინდობილი ჰქონდა კერძო ინიციატივას და საქველმოქმედო საზოგადოებებს. ქალთა სასწავლებლები დიდხანს საერთო სახალხო განათლების სისტემაშიც კი არ შედიოდა. სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფ ქალთა სასწავლებლების პირველი დებულება მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა 1858 წლის მაისში.

პირველი ქალთა საშუალო სასწავლებელი საქართველოში იყო ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი თბილისში. ამ სასწავლებელს საფუძველი ჩაეყარა 1830 წელს. ეს ის დროა, როცა მეფის მთავრობამ დაიწყო გაფართოებული ბრძოლა ქართველი საზოგადოებრიობის გარუსებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მას უნდოდა გამოეყენებინა ქართველ თავდაზნაურთა ოჯახები, გაეხსნა პანსიონი და ამ ოჯახებიდან გამოსული ქალიშვილები, მომავალი დედები, აღეზარდა რუსული სულისკვეთებით, სამეფო ტახტისა და ეკლესიის ერთგულნი.

მთავარმართებელ პასკევიჩის თხოვნა პანსიონის გახსნის შესახებ მთავრობამ დააკმაყოფილა. 1830 წელს თბილისში მცირეწლოვან კეთილშობილ ქალთათვის გაიხსნა პანსიონი, რომელიც განკუთვნილი იყო 30 მოსწავლისათვის. ეს პანსიონი 1840 წელს, მთავარმართებელ გოლოვინის დროს, გადაკეთდა „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად“. ამ ინსტიტუტს საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს და ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტშიაც ამ სახელწოდებით გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი განკუთვნილი იყო მალალი

წოდების წრიდან გამოსული გოგონებისათვის, ის მიანიც არ იწოდებოდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად: „რუსეთის ქვეშევრდომ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მალალი წოდების ქალიშვილებს რომ მიეცეთ საშუალება განათლებისა, გაიხსნას თბილისში სასწავლებელი ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის სახელწოდებით“¹.

კავკასიის მეფისნაცვალმა 1855 წელს მთავრობისაგან გამოითხოვა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად გადაკეთების ნებართვა, მაგრამ ხელმწიფე-იმპერატორმა „არ ინება“ ეს თხოვნა დაეკმაყოფილებინა და გამოთქვა სურვილი, სასწავლებელს ძველი, ე. ი. ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის, სახელწოდება დარჩენოდა. „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტს რომ შეეცვალოს სახელწოდება და გადაკეთდეს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად, ამაზე მათმა იმპერატორის უდიდებულესობამ ინებეს, ამ სასწავლებელს წინანდელი სახელწოდება დარჩენოდა“². ინსტიტუტის სახელწოდების შეცვლა უთუოდ დაკავშირებული იქნებოდა მისი სასწავლო და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, რაზედაც მეფე არ დასთანხმდა.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი დახურული სასწავლებელი იყო, იმყოფებოდა ხაზინის ხარჯზე. ინსტიტუტის წესდება და შტატი დამტკიცებულ იქნა 1840 წლის 23 მარტს. ამ წელს ინსტიტუტი არ გაუხსნიათ, რადგან ვერ მოხერხებულა სასწავლებლის შენობით, მოწყობილობითა და პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფა. ინსტიტუტის „ნაჩაღნიცა“ გრაბარიჩი წერდა, „საბჭომ გადაწყვიტა, ინსტიტუტი 1842 წლის 1-ლ იანვარს გაიხსნასო“³. 1841 წლიდან ინსტიტუტი დაფინანსდა წელიწადში 24 ათასი მანეთით. გარდა ამისა მიეცა ერთდროულად 15 375 მ. 97³/₄ კაპ. ვერცხლით შენობის გადასაკეთებლად, რადგან ინსტიტუტისათვის დაქირავებული კერძო შენობა სრულებით არ შეესაბამებოდა სასწავლებლის მოთხოვნილებებს.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი წესდებით 80 მოსწავლის მიღებას ითვალისწინებდა, აქედან 60 ხაზინის ხარჯზე და 20 საკუთარ ხარჯზე იყო გათვალისწინებული. 60 ადგილიდან 40 ეთმობოდა ადგილობრივ მალალ არისტოკრატებს, ხოლო 20 რუს სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფ მოხელეებს. თავიანთ

¹ ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 759, აღწ. 4, საქმ. 914, ფურც. 1.

² იქვე, ფ. 1268, აღწ. 8, საქმ. 144, ფურც. 3.

³ იქვე, ფ. 759, აღ. 4, საქმ. 915, ფურც. 12.

ხარჯზე მყოფ მოსწავლეებად მიიღებოდნენ თავისუფალი მდგომარეობის პირთა ბავშვებიც. მოსიარულე მოსწავლეთა მიღება ინსტიტუტში დაუშვებელი იყო. თავის ხარჯზე მყოფი მოსწავლეები წელიწადში იხდიდნენ 150 მანეთს და ერთდროულად 50 მანეთს¹.

1846 წლის 14 დეკემბრიდან ინსტიტუტში ხაზინის ხარჯზე მოსწავლეთა მიღების წესი შეიცვალა. ყოველი მიღების დროს ადგილების საერთო რაოდენობიდან მეოთხედი ნაწილი მეფისნაცვალის განკარგულებაში გადავიდა, რათა მის სახელმწიფო ხარჯზე განსაკუთრებული პატივით მოეწყო ქალიშვილები.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის უშუალო გამგებლობა მინდობილი აქვს საბჭოს, რომლის თავმჯდომარე ადგილობრივ თავადაზნაურთა წინამძღოლია. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ინსტიტუტის „ნაჩაღიცი“, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორი და კლასების ინსპექტორი. საბჭოს მოვალეობას შეადგენს ზრუნვა ინსტიტუტის სასწავლო და სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეთა მიღება-გამოშვება, წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოება, კურსდამთავრებულებზე ატეიტატების გაცემა, ინსტიტუტის მუშაკების დანიშვნა-განთავისუფლება, დაჯილდოება და სხვ.²

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი სამკლასიანია, თითოეული კლასი ორწლიანი კურსით. პირველ კლასში ხაზინის ხარჯზე მიიღებიან არანაკლები 9 წლისა და არა უმეტესი 12 წლის მოსწავლეები. თავის ხარჯზე მყოფი პანსიონერები მიიღებიან ერთი წლით ადრე. მეორე კლასში ხაზინის ხარჯზე მიიღებიან მოსწავლეები არა უმეტეს 11 წლისა, თავის ხარჯზე კი — 12 წლისა. მეორე კლასში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ. მაშინ სავალდებულო არ იყო, მოსწავლეს პირველი კლასიდანვე ევლო სკოლაში, შეეძლო კერძოდ მომზადებულიყო და ჩაებარებინა გამოცდა მისთვის სასურველ კლასში.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში მოსწავლეებს ლებულობდნენ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ხაზინის ხარჯზე მყოფ მოსწავლეებს ყველას ერთდროულად ლებულობდნენ, თავიანთ ხარჯზე მყოფთ კი ნება ეძლეოდათ, შესულიყვნენ ყოველი წლის დასაწყისში იმ პირობით, თუ ექნებოდათ სათანადო მომზადება შესაფერი კლასისათვის. ხაზინის ხარჯზე ინსტიტუტში მისაღები კან-

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ. ფ. 426, საქმ. 568, ფურც. 2.

² იქვე, ფურც. 3.

დიდატების შერჩევის დროს მხედველობაში ღებულობდნენ მშობლების დამსახურებას და მათს ხელმოკლე მდგომარეობას¹. 1845 წლის 14 დეკემბრიდან ინსტიტუტში ხაზინის ხარჯზე მყოფ მოსწავლეთა მიღების წესი შეიცვალა; უმცროს კლასებში ღებულობდნენ 8-დან 10 წლამდე, საშუალოში 10-დან 12 წლამდე. ქვედა ორი კლასიდან გასული მოსწავლის ადგილზე მთავარმართებლის ნებართვით მიიღებდნენ ახალ მოსწავლეს, მესამე კლასიდან გასული მოსწავლის ადგილზე კი ახალს აღარ ღებულობდნენ.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში ჩაცმულობასაც აქცევდნენ ყურადღებას. სხვადასხვა კლასის მოსწავლეები სხვადასხვა ფერის ფორმას ატარებდნენ: პირველ კლასში — ყავისფერ კაბებს, მეორეში — მწვანე ფერისას, მესამეში — ნაცრისფერს, ყველა კლასში ერთნაირად თეთრ წინსაფრებს და პელერინებს.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში სასწავლო ნაწილის უმუალო ხელმძღვანელობა კლასების ინსპექტორს ევალებოდა.

ინსტიტუტში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღეთო სჯული — (მართმადიდებლური და გრიგორიანული სარწმუნოების), არითმეტიკა, ისტორია და გეოგრაფია მსოფლიოსი და განსაკუთრებით რუსეთისა, საჭირო ცნობები ბუნებისმეტყველებიდან და ფიზიკიდან, რუსული ენა და სიტყვიერება, ფრანგული ენა და სიტყვიერება, ქართული ან სომხური ენები მსურველთათვის, სუფთა წერა, ხატვა, ხელსაქმე, ცეკვა. გათვალისწინებული არ არის გერმანული ენის, მუსიკისა და სიმღერის სწავლება, მაგრამ, ვისაც სურს, ეს საგნები შეუძლია ისწავლოს კლასების ინსპექტორთან შეთანხმებით, შეაქვს განსაკუთრებული გადასახადი და მეცადინეობს თავისუფალ დროს, საერთო მეცადინეობის შემდეგ². ინსტიტუტში სასწავლო წელი იწყება 1-ლი სექტემბრიდან და გრძელდება 1-ლ ივლისამდე, ივლისსა და აგვისტოში არდადეგებია. სწავლა იწყება ზამთარში დილის 9 საათიდან და გრძელდება 12 საათამდე. ზაფხულში კი — 8 საათიდან 11 საათამდე, სადილის შემდეგ 3 საათიდან 6 საათამდე. თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა 1,5 საათია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ 1,5 საათში გაკვეთილებს შორის დასვენებაც შედის.

ინსტიტუტში წლიური კურსის დამთავრების შემდეგ წარმოებს ნაწილობრივი გამოცდა (ყველა კლასში და ყველა საგანში) კლა-

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ. ფ. 426, საქმ. 568, ფურც. 4.

² იქვე, ფურც. 8.

სების ინსპექტორის მიერ შედგენილი კონსპექტით. ყველა საგანში გამოცდებს ესწრებიან თავადაზნაურთა წინამძღოლი, ამიერკავკასიის სახალხო სკოლების დირექტორი, ინსტიტუტის „ნაჩალიცა“, თავადაზნაურობის დესუტატი და კლასების ინსპექტორი. გამოცდებს შეიძლება დასწრებოდნენ მოსწავლის ნათესავეები. მეორე წლის ბოლოს, ე. ი. კლასის დამთავრების წელს, გარდა ზემოთ აღნიშნული გამოცდისა, ეწყობოდა მოსწავლეთა საჯარო გამოცდა საბჭოს მთელი შემადგენლობის დასწრებით. იწყებდნენ აგრეთვე მშობლებსა და ნათესაებს¹. მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით ამთავრებდნენ ინსტიტუტს, ჯილდოვდებოდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლებით; დაჯილდოების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა ყოფაქცევას. ჯილდოების გადაცემა საზეიმოდ ხდებოდა.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში მოსწავლეებს ფუფუნებით ზრდიდნენ, მთავარი ყურადღება ექცეოდა ფრანგული ენის ცოდნას, ცეკვებს და „წესიერ საზოგადოებაში“ თავის დაქერის მანერებს, რომელიც მხოლოდ მაღალი არისტოკრატიული წრისთვის იყო გამოსადეგი და საზოგადოების, ცხოვრების მოთხოვნილებებს სრულებით არ შეესაბამებოდა, რის შესახებ თვით ამიერკავკასიის მეფისნაცვალ ივანე ალნიშნავდა თავის 1845-46 წლების ანგარიშში.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში სწავლა-განათლების მიღება, გარდა მატერიალური სიძნელისა, სხვა უფრო სერიოზულ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართველი და სომეხი გოგონების მიმართ. ინსტიტუტში მთავარი ყურადღება ექცეოდა ფრანგული ენის შესწავლას და მას საათების დიდი რაოდენობაც ეთმობოდა. ამავე დროს ისწავლებოდა რუსული ენა და მსურველთათვის ქართული ან სომეხური ენები. ამ სასწავლებელში შემსვლელ ქართველ ან სომეხ გოგონას, რომელმაც ჯერ კიდევ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ იცოდა, ევალებოდა, ერთდროულად დაეწყო ორი უცხო ენის შესწავლა, რაც უაღრესად დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ უცხო ენის შესწავლას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს მშობლიური ენის შესწავლა; ის უნდა წარმოადგენდეს საფუძველს, დასაყრდენს უცხო ენის შესწავლისათვის.

ინსტიტუტში სწავლების მძიმე პირობებს ამიერკავკასიის მთა-

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 426, საქმ. 568, ფურც. 10.

ვარმა ინსპექტორმა ნევეროვმაც მიაქცია ყურადღება. ის 1865 წლის მოხსენებაში მართებულად წერდა იმ ბავშვების მძიმე მდგომარეობაზე, რომლებსაც ჯერ კიდევ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ შეუსწავლიათ და ავალებენ, ორი უცხო ენა შეისწავლონ. იგი მართებულადვე მიუთითებს ასეთი სწავლების უსარგებლობასა და წარუმატებლობაზე. ამ სიძნელეების დასაძლევად მას საკმარისად მიაჩნია, უმცროს კლასებში შეამცირონ ფრანგული ენის გაკვეთილები და მის ხარჯზე გაადიდონ რუსული ენის გაკვეთილები¹. ინსპექტორი სრულიად უყურადღებოდ ტოვებს მშობლიური ენის სწავლების გაძლიერების, მასწავლებელთა კადრების გაუმჯობესებისა და ორი უცხო ენის ერთდროულად შესწავლის საკითხებს.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ქართველი ქალები მაინც მიიღობიან ინსტიტუტისაკენ სწავლის მისაღებად და წლობით უცდიან ვაკანტურ ადგილებს. 1860 წელს ქართველ ქალთათვის განკუთვნილ ოთხ ვაკანტურ ადგილზე სამოცი კანდიდატია². სწავლის სიძნელის მიუხედავად, ინსტიტუტში მოხვედრილი ზოგიერთი ქართველი ქალიშვილი წარჩინებით ამთავრებს სასწავლებელს და იმსახურებს მაღალ ჯილდოს³.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის 1849 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კავკასიის მეფისნაცვლის ნებართვით გაიხსნა მოსამზადებელი კლასი, სადაც ასწავლიან რუსულ კითხვას, სუფთა წერასა და ნუმერაციას⁴. ამ კლასის გახსნა ნაწილობრივ გააუმჯობესებდა ქართველი გოგონების მდგომარეობას. მათ ერთდროულად მაინც არ მოუხდებოდათ ორი უცხო ენის შესწავლის დაწყება.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში 1853 წლიდან 7 კლასია, თითოეული კლასი ერთწლიანი კურსით. 1862 წელს სასწავლო საგანთა შორის აღნიშნულია პედაგოგია⁵. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროიდან ინსტიტუტი იწყებს მოსწავლეთა მომზადებას პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, რაც აუცილებლად პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ინსტიტუტის ცხოვრებაში.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტისათვის მზრუნველობა 1863 წლიდან მიენდო ოლღა თევდორეს ასულს (ამიერკავკასიის მეფის-

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 441, ფურც. 11.

² ტ. „ცისკარი“, 1860, № 8 გვ. 355.

³ ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 759, აღწ. 4, საქმ. 924, ფურც. 163.

⁴ იქვე, ფურც. 41.

⁵ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 425, საქმ. 417, ფურც. 5.

ნაცვლის მეუღლეს), რათა ინსტიტუტის სასწავლო-სააღმზრდელო და სამეურნეო მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს არც ერთ ქალთა საშუალო სასწავლებელში მაშინ ისეთი მკაცრი რეჟიმი არ ყოფილა, როგორც ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. „ინსტიტუტში სწავლისას მოსწავლე გოგონას უფლება არა აქვს, სასწავლებლიდან გარეთ გავიდეს; გამონაკლისს წარმოადგენს თვით მოსწავლის მძიმე ავადმყოფობა ან მშობლების სიყვდილის შემთხვევა; თუ ეს უკანასკნელი იმყოფებიან იმავე ქალაქში, მაშინაც მოსწავლე „კლასნი დამის“ თანხლებით მიდის მხოლოდ დღის განმავლობაში, საღამოს კი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ინსტიტუტში. მოსწავლეებს მშობლებთან მიწერ-მოწერა უხდებოდათ „ნაჩაღნიცის“ მეშვეობით“¹, ე. ი. ცენზურის გარეშე მოსწავლეებს არც წერილის მიღება შეეძლოთ და არც გაგზავნა. სასწავლებლის შენობის ფანჯრების მიწები თეთრი საღებავით ყოფილა შეღებილი, რომ მოსწავლეებს ქუჩაში არ გამოეხედათ. „ბემანი ბავშვებთან ნათესავეების და ნაცნობების ინიშნება კვირაობით 3 საათიდან 6 საათამდე, ინსტიტუტის დარბაზში „კლასნი დამების“ თანხლებით“².

მიუხედავად ამ სიმკაცრისა, ქართული ენის მასწავლებელ გიორგი წერეთლისა და ხალხოსანი ნადეჟდინას თაოსნობით ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში მოეწყო არაღვებულური ქალთა წრე, რომელიც მარაგდებოდა აკრძალული ლიტერატურით, წრეში სისტემატურად მიმდინარეობდა მეცადინეობა, გატაცებით კითხულობდნენ და სწავლობდნენ მოწინავე რევოლუციონერ-დემოკრატების შრომებს. განსაკუთრებით იტაცებდათ დობროლიუბოვის სატირა.

ქუთაისის ქალთა ინსტიტუტი.³ „კავკასიის ყოფილმა მეფისნაცვალმა გენერალ-ფელდმარშალ თავად ბარიატინსკიმ 1861 წელს სანკტ-პეტერბურგში ყოფნის დროს იშუამდგომლა ქუთაისში ქალთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ“⁴. ეს შუამდგომლობა მეფის ბრძანებით გადაეცა კავკასიის კომიტეტს. ამ უკანასკნელმა გამოითხოვა მასალები კავკასიის მეფისნაცვალისაგან, რომელმაც ბრძანა, აღვი-

¹ ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 759, აღწ. 8, საქმ. XXXIII, ფურც. 363.

² საქ. ფენტრ. ისტ. არქ., ფ. 426, საქმ. 568, ფურც. 4.

³ აღნიშნული სასწავლებლის შესახებ ლიტერატურაში ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

⁴ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 426, საქმ. 568, ფურც. 1.

ლებზე შეესწავლათ ქუთაისში ქალთა ინსტიტუტის დაარსების საკითხი, მისი მოცულობა, მოითხოვა წარდგენილი ყოფილიყო სასწავლებლის წესდების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ამ პირობების საფუძველზე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა საჭიროდ მიიჩნია, შეექმნათ კომისია, რომლის თავმჯდომარე ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორი უნდა ყოფილიყო, წევრებად კი — შიმანსკი და ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორი. 1863 წელს შეიქმნა კომისია აღნიშნული შემადგენლობით, რომელიც შეუდგა წესდების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენას. მან დროულად ვერ დაამთავრა მუშაობა და 1854 წელს გუბერნატორისაგან მიიღო შეხსენება მუშაობის დაჩქარების შესახებ. კომისიამ წარადგინა სასწავლებლის წესდებისა და შტატის პროექტი. წესდების პროექტს საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის 1840 წელს დამტკიცებული წესდება, მხოლოდ შეტანილ იქნა ცვლილებები აღზრდის შესახებ თანამედროვე შეხედულებათა და ქუთაისის ადგილობრივი პირობების შესაბამისად. შენობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე ჯერ კიდევ მუშაობდა არქიტექტორი პანასევიჩი¹.

ქუთაისის ქალთა ინსტიტუტის წესდების პროექტი ითვალისწინებდა, რომ არსდება „ქუთაისის ქალთა ინსტიტუტი“, სადაც ქუთაისის გუბერნიის ყველა თავისუფალი წოდების ქალიშვილს შეუძლია მიიღოს განათლება. ინსტიტუტში ხაზინის ხარჯზე მიიღება 60 მოსწავლე, ხოლო საკუთარ ხარჯზე მყოფ მოსწავლეთა მიღება განუსაზღვრელია (რამდენადაც საბინაო პირობები იძლევა ამის საშუალებას). აგრეთვე ნებადართულია, ისწავლონ მოსიარულე მოსწავლეებმა, რომელთა რაოდენობა განუსაზღვრელია, მხოლოდ დაცულ უნდა იქნას ნორმა, რომ ერთ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 40 ბავშვს. თითოეული მათგანი წელიწადში გადაიხდის 40 მანეთს, შემოსული თანხა ხმარდება ინსტიტუტის ბიბლიოთეკას, სასწავლო ნივთების შეძენასა და მასწავლებელთა დაჯილდოებას. ინსტიტუტში მოსწავლეები მიიღებიან აგვისტოს თვის ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში. I-ლი და II კლასის მოსწავლეებმა უნდა ატარონ ყავისფერი ფორმა, III და IV კლასისამ — ცისფერი, V და VI კლასელებმა მწვანე და VII კლასისამ — ნაცრისფერი, თეთრი წინსაფრებით და პელერი-ნებით.

¹ იჭვე, ფურც. 30—31.

ქუთაისის ქალთა ინსტიტუტში უნდა ისწავლებოდეს საღვთო სჯული (როგორც მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, ასევე კათოლიკური და გრიგორიანული), ქართული ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, არითმეტიკა და დაწყებითი საფუძვლები გეომეტრიისა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება, პედაგოგია და დიდაქტიკა, პედაგოგიური ჰიგიენა, სუფთა წერა, ხატვა, სიმღერა, ჭრა-კერვა, ქარგვა, ტანვარჯიში, ცეკვა და მუსიკა; ეს უკანასკნელი არ არის სავალდებულო, ისწავლება მსურველთათვის განსაკუთრებული ფასის გადახდით¹.

მოსწავლეები დგებიან დილით 6 საათზე, საუზმობენ და 8 საათზე იწყებენ გაკვეთილებს. დილით სამი გაკვეთილია, რომელიც $12\frac{1}{2}$ საათამდე გრძელდება, ერთი გაკვეთილის ხანგრძლიობა $1\frac{1}{4}$ საათია, შუალედი დასვენებისათვის — $\frac{1}{4}$ საათი; $12\frac{1}{2}$ საათიდან 3 საათამდე — სადილი და დასვენება. 3 საათიდან ტარდება ორი გაკვეთილი და გრძელდება $5\frac{3}{4}$ საათამდე. სადილის შემდეგ სუფთა წერის, ხატვის, ჭრა-კერვისა და ქარგვის, მუსიკის, ცეკვისა და ტანვარჯიშის გაკვეთილებია.

ინსტიტუტში არდადეგებია 20 ივნისიდან 1-ლ სექტემბრამდე და 23 დეკემბრიდან 7 იანვრამდე. ამ დროს მოსწავლეები შეიძლება წავიდნენ სასწავლებლიდან, აგრეთვე აღდგომისა და სხვა უქმეებზე; გარდა ამისა „ნაჩაღნიცას“ შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, ქუთაისში მცხოვრები მოსწავლეები გაათავისუფლოს კვირა-უქმე დღეებში, განსაკუთრებული შემთხვევის დროს სასწავლო დღესაც.

ინსტიტუტში სასწავლო წელი პროექტით იწყება 1-ლი სექტემბრიდან და გრძელდება 20 ივნისამდე. სასწავლო კურსი შეიძლება ანა; მოსწავლეები შემდეგ კლასში გადადიან გამოცდებით; ვინც ვერ ასწრებს, რჩება იმავე კლასში მეორე წელს; თუ რომელიმე მოსწავლე ორი წლის შემდეგაც ვერ შეძლებს, სუსტი წარმატების გამო გადავიდეს შემდეგ კლასში, თუ ის ხაზინის ხარჯზეა, გარიცხავენ. თავის ხარჯზე მყოფთ შეუძლიათ 3 წელიწადს იყვნენ ერთ კლასში, მოსიარულლებს კი — 4 წელს. ინსტიტუტთან იქმნება პედაგოგიური საბჭო, კლასების ინსპექტორის თანამჯდომარეობით, რომელიც საჭიროების მიხედვით იკრიბება².

როგორც ვხედავთ, ქუთაისში განუზრახავთ ამიერკავკასიის

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 426, საქმ. 568, ფურც. 34.

² საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 426, საქმ. 568, ფურც. 35—36.

ქალთა ინსტიტუტის მსგავსი ინსტიტუტის გახსნა, რისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი სამზადისიც ჩაუტარებიათ. მიუხედავად ადგილობრივი მმართველობის ამ „დიდი ზრუნვისა“, სასწავლებელი მაინც არ გახსნილა. საქართველოსა და ლენინგრადის არქივებში ვერ ვიპოვეთ საბუთი, თუ რამ შეუშალა ხელი ქუთაისში ქალთა ინსტიტუტის გახსნას; მხოლოდ ფაქტი ისაა, რომ ასეთი სახელწოდების ქალთა სასწავლებელი ქუთაისში არასდროს ყოფილა. ასე უშედეგოდ დამთავრდა ქართველ ქალთა განათლებისათვის ეს მეტად სასარგებლო წამოწყება.

წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები. მეფის რუსეთში ქალთა განათლების საქმეზე მზრუნველობა, როგორც ვიცით, ძირითადად მიხდობილი ჰქონდა კერძო ინიციატივას და საქველმოქმედო საზოგადოებებს. ერთ ასეთ საზოგადოებას ამიერკავკასიაში წარმოადგენდა წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის მიზანი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში ქალთა განათლების საქმისათვის ხელის შეწყობა. ამ საზოგადოების პირველი წესდება 1846 წელს იქნა დამტკიცებული, დროებით ორი წლის გამოცდის ვადით. საზოგადოება აერთიანებს მხოლოდ ქალებს; თითოეული მათგანი წელიწადში იხდის საწევროს 10 მანეთის რაოდენობით. „საზოგადოების პირველი და მთავარი მიზანი იყო, დაეარსებინა სასწავლებელი ღარიბ მშობელთა ქალიშვილების აღსაზრდელად და აუცილებელი ცოდნის მისაღებად, შემდეგში კი ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში გაეხსნა ასეთივე სასწავლებლები, ხოლო თბილისში — თავშესაფარი მდაბიოთა კლასის ბავშვებისათვის“¹. საზოგადოების საქმეებს გამგეობა მართავდა. გამგეობის მთელი შემადგენლობა უსასყიდლოდ მუშაობდა. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე ელისაბედ კსავერის ასული ვორონცოვა იყო, რომელმაც საგოჯადოებას ორასი ათასი მანეთი შესწირა.

საზოგადოების საშუალებები პირველად ძლიერ მცირე იყო, შეადგენდა 1600 მანეთს ვერცხლით, რომელიც მთაყარმართებელ გოლოვინის მეუღლემ შეკრიბა 1841 წელს, და ერთ-ერთი ქველმოქმედის მიერ შეწირული 16.000 მანეთი ასიგნაციებით. ეს საშუალებები ყოველწლიურად იზრდებოდა ფულადი, შრომითი და სხვა სახის შეწირულებებით და ხმარდებოდა კემმარიტად სასარგებლო საქმეს.

¹ ლენინგრადის ცენტ. ისტ. არქ., ფ. 1268, აღწ. 2, საქმ. 258, ფურც. 17.

1860 წელს ამტკიცებენ წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ახალ წესდებას. ამ წესდებით საზოგადოება დედოფალ მარიამის მფარველობაში იმყოფება, საქმეებს საბჭო განაგებს, საზოგადოება წევრებსა და ქველმოქმედებს აერთიანებს. წევრებად მხოლოდ ქალები უნდა ყოფილიყვნენ, ქველმოქმედის წოდება ენიჭებოდა ორივე სქესის პირებს, რომლებიც საზოგადოებას ერთდროულად შეწირავდნენ 500 მან., ან ათი წლის განმავლობაში საზოგადოების სასარგებლოდ ყოველწლიურად გადაიხდიდნენ 50 მანეთს.

არ შეიძლება არ აღენიშნოთ 1860 წლის წესდებაში შეტანილი ერთი ცვლილების შესახებ, რომელიც უფრო პრინციპული ხასიათისა იყო. თუ 1846 წლის წესდებით მთავარ მიზანს შეადგენდა ხელმოკლე მშობლების ქალიშვილების აღზრდა და მათთვის აუცილებელი ცოდნის მიცემა და აქ სრულებით არ იყო ლაპარაკი რომელიმე წოდების ქალთათვის რაიმე პრივილეგიების მინიჭების შესახებ, 1860 წლის წესდება უპირატესობას ადგილობრივ თავდაზნაურთა წოდებას ანიჭებს. „წმიდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება თბილისში მიზნად ისახავს, ამიერკავკასიის ქალაქებში დააარსოს სასწავლებლები, საშუალებათა და არსებული მითხოვნილების შესაბამისად, ლარიბ მშობელთა ქალიშვილების აღსაზრდელად და აუცილებელი ცოდნის მისაღებად უპირატესად ადგილობრივ თავდაზნაურთაგან“¹.

ადგილებზე, სადაც წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა სასწავლებელი, იქმნებოდა საზოგადოების განყოფილება, რომელსაც ევალებოდა სასწავლებლის გამგებლობა. ასეთი განყოფილებები იყო ქუთაისში და შემახიაში წმიდა ნინოს სახელობისა, ერევანში წმიდა რიფსიმეს სახელობისა და სტავროპოლში წმიდა ალექსანდრას სახელობისა.

საქველმოქმედო საზოგადოებამ პირველი სასწავლებელი თბილისში გახსნა 1846 წლის 5 მაისს სახელწოდებით — „თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი“. სასწავლებლის მიზანს წარმოადგენდა „კეთილი ცოლების და ოჯახის კარგი დედების აღზრდა“.

სასწავლებელში მისაღები კონტინგენტი პირველად 29 პანსიონერით განისაზღვრა. თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელი ნა-

¹ Устав женск. благотвор. обществ. св. Нины, стр. 1, 1860.

ხევრად დახურული სასწავლებელი იყო. იქ, გარდა პანსიონერებისა, ღებულობდნენ ნახევრად პანსიონერებს და შემდეგ ხანებში მოსიარულე მოსწავლეებსაც კი. სასწავლებელში ბავშვებს ღებულობდნენ 8-დან 12 წლამდე. მიღების საკითხს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა წყვეტდა კენჭის ყრით. თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელში პირველად ყველა წოდების ბავშვებს ღებულობდნენ, მხოლოდ შემდეგ უპირატესობა პრივილეგიური წოდების ქალიშვილებს მიეცათ. ეს სასწავლებელი არ იყო ისე კარჩაკეტილი და მოწყვეტილი ცხოვრებას, როგორც ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი; პანსიონერებს კვირა-უქმე დღეებსა და არდადეგების პერიოდში შეეძლოთ შინ წასულიყვნენ, რათა არ ჩამოშორებოდნენ ოჯახურ ცხოვრებასა და საზოგადოებას. მოსწავლეები ქსოვდნენ, კერავდნენ და ქარავდნენ არა მარტო თავისთვის, არამედ გასასყიდლადაც; სწავლობდნენ დიასახლისობას და მონაწილეობდნენ სასწავლებლის სამეურნეო საქმეებში. კავკასიის მეფისნაცვალმა ვრონცოვიც აღნიშნავდა თავის 1849—51 წ.წ. ანგარიშში, რომ საქველმოქმედო საზოგადოების სასწავლებელი არ აძლევდა მოსწავლეებს ფუფუნებითს აღზრდას.

თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში 1846 წლის წესდებით სასწავლო კურსი ორკლასიანია, თითოეული კლასი სამი განყოფილებით. განყოფილებაში სწავლის ხანგრძლიობა ერთი წელია, ე. ი. სასწავლო კურსი 6 წლის მანძილზე გრძელდება. ისწავლება შემდეგი საგნები: 1-ლ კლასში — კატეხიზმო და საღვთო სჯულის ისტორია, რუსული, სომხური და ქართული ენები, სუფთა წერა, გრამატიკა და არითმეტიკა. II კლასში — საღვთო სჯულის ისტორია, გრამატიკა, არითმეტიკა, გეოგრაფია, მსოფლიო და რუსეთის ისტორია; უკანასკნელ წელს ასწავლიან ციკვას; ყველა მოსწავლე სწავლობს სხვადასხვა ხელსაქმეს; გარდა ამისა აცნობენ სამეურნეო და საოჯახო საქმეებს; თუ რომელიმე მშობელი მოისურვებს, ასწავლოს თავის ქალიშვილს ფრანგული ენა ან მუსიკა, ამისათვის იხდის ცალკე საფასურს.

პანსიონერები სწავლა-შენახვისათვის წელიწადში იხდიან 80 მანეთს ვერცხლით, ნახევრად პანსიონერები — 40 მანეთს. მოსწავლეები ამ თანხას იხდიდნენ ორ ნაწილად — ნახევარი წლისას წინასწარ; ვინც დროულად ვერ შეიტანდა გადასახადს, ითხოვდნენ სასწავლებლიდან. სასწავლებელში რამდენიმე მოსწავლე იზრდებოდა საზოგადოების ეკონომიიდან, ან ამ მიზნით შეწირული თანხიდან. ასეთი კანდიდატების შერჩევას საზოგადოების საბჭო აწარ-

მოებდა; შერჩეული მოსწავლეები სასწავლებელში არ შეიძლებოდა წელზე მეტს დარჩენილიყვნენ. მათგან საუკეთესოებს დატოვებდნენ „კლასნი დამებად“ და „პეპინიორკებად“. თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში, როგორც საქველმოქმედო საზოგადოების 1857 წლის ანგარიშიდან ირკვევა, სწავლების სამკლასიანი სისტემაა, თითოეული კლასი ორწლიანი კურსით. სასწავლო წელი იწყება 1-ლი მაისიდან; ივლისსა და აგვისტოში არდადეგებია. მოსწავლეთა გამოცდა ეწყობა ორ წელიწადში ერთხელ, აპრილის თვეში. გამოცდას ყველა საგანში ატარებს სასწავლო ნაწილის გამგე; გამოცდას მასწავლებლებთან ერთად ესწრებიან საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, ვიცეთავმჯდომარე და გამგეობის წევრები. გამოცდების შედეგების გამოსაცხადებლად ნიშნავენ საჯარო აქტს, რომელზედაც იწვევენ საქველმოქმედო საზოგადოების ყველა წევრს, მშობლებს, ნათესავებსა და უცხო პირებსაც კი. წარჩინებულებს აჯილდოებენ.

თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში 1859 წლიდან ექვსი კლასია; 1864 წელს კი გაიხსნა VII კლასი; ეს კლასი პედაგოგიურია. 1868 წელს სასწავლო ნაწილში ცდის სახით შეტანილიქნა ცვლილებები; სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით შემოიფარგლა; სამი უფროსი კლასის მოსწავლეები ნაწილდებიან ორ განყოფილებად — გიმნაზიისა და ხელსაქმის; პირველში ხედებიან უფრო ნიჭიერი და ზრდილობიანი ქალიშვილები, რომლებმაც უნდა იარონ და ისწავლონ თბილისის პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელში, მეორეში — უფრო ნაკლებ ნიჭიერნი, რომლებიც ადგილზე რჩებიან და სწავლობენ უფრო მეტად ხელსაქმესა და მეოჯახეობას. ამ ცვლილებებმა მშობლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია; ზოგიერთმა მათგანმა გაიყვანა ქალიშვილი სასწავლებლიდან; ახლად მისაღებ მოსწავლეთა რიცხვიც შემცირდა; 1868—69 სასწავლო წელს თავის ხარჯზე მყოფ პანსიონერთა 25 ადგილი დარჩა შეუვსებელი. აღნიშნული გარემოების გამო 1869 წლის სექტემბრიდან თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელში ძველებურად გაიხსნა უფროსი კლასები და მოსწავლეები აღარ დადიოდნენ პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელში¹.

ზოგიერთ ოფიციალურ საბუთებში (ციკუქულარები) აღნიშნულია, რომ თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელში პედაგოგიური კლასი 1871 წელს გაიხსნა. საარქივო საბუთებიდან კი ირკვევა,

¹ ლენინგრადის ცენტ. ისტ. არქ., ფ. 733, აღწ. 191, საქმ. 502, ფურც. 5—6.

რომ ეს კლასი მანამდეც არსებობდა, გახსნილა 1854 წელს, 1869 წლიდან 1871 წლამდე დახურული იყო და მოსწავლეები თბილისის პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელში დადიოდნენ, ხოლო 1871 წელს ხელახლა გაიხსნა¹. თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის პედაგოგიურ კლასში, რომელსაც ჟელიხოვსკი ხელმძღვანელობდა, სასწავლო ოლქის მზრუნველი ნევეროვი აგზავნიდა ახალგაზრდა მოსწავლელებს, რომ მათთვის პრაქტიკულად ესწავლებინათ, თუ როგორ უნდა ასწავლონ². აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელთან არსებულ პედაგოგიურ კლასში კურსდამთავრებულები უფლებით გათანაბრებული არ იყვნენ ქალთა გიმნაზიებთან არსებულ პედაგოგიურ კლასებში კურსდამთავრებულებთან³.

თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელმა, როგორც ვხედავთ, უღალატა თავის პირვანდელ მიზანს. „კეთილი ცოლების და ოჯახის კარგი დედების აღზრდა“ საკმარისი აღარ აღმოჩნდა. ცხოვრებამ მის წინაშე უფრო მეტი მოთხოვნილებები წააყენა, რომლის შესატყვისად სასწავლებელმა დაიწყო ქალიშვილების მომზადება პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში შემოღებულ იქნა სწავლება სრული გიმნაზიის კურსით, სახალხო განათლების სამინისტროს პროგრამებით. მიუხედავად ამისა წმიდა ნინოს სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უფლებით მაინც არ იყვნენ გათანაბრებულნი ქალთა გიმნაზიაში კურსდამთავრებულებთან, „მათთან თანასწორი უფლების მოსაპოვებლად აბარებდნენ გამოცდას თბილისის ოლთა თევდორეს ასულის სახელობის ქალთა გიმნაზიაში“⁴. ასეთი გამოცდა თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის მოსწავლეებმა თბილისის ქალთა გიმნაზიაში პირველად 1878 წლის მაისში ჩააბარეს. სასწავლებლის უკეთეს მოსწავლეებს, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ გაეწეოთ პედაგოგიური კურსი, რომელიც თბილისის ქალთა გიმნაზიასთან არსებობდა, შეეძლოთ სასწავლებელში დარჩენილიყვნენ კიდევ ერთ წელს და აქედან ევლოთ ლექციებზე ქალთა გიმ-

¹ ა) საქ. ცენტ. ისტ. არქ., 422, საქმ. 511, ფურც. 457.

ბ) საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 441, ფურც. 13.

² საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 422, საქმ. 218, ფურც. 65.

³ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 508, ფურც. 23.

⁴ იქვე, საქმ. 536, ფურც. 112.

ნაზიანოში, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებდნენ კურსდამთავრებულნი. მშობლები და ნათესავები.

თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში 1878 წლის სექტემბრიდან შემოღებულ იქნა გიმნაზიის კურსის V კლასის ზევით ორი წლის განმავლობაში სწავლება აუცილებელი საგნების, სტენოგრაფიის, ბუხჩალტერიის და ტელეგრაფის საქმის სპეციალისტების მოსამზადებლად¹.

მაშასადამე, თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელს პროფილი შეუცვლია; თუ წინათ მასწავლებლებს ამზადებდა, 1878 წლიდან სტენოგრაფისტების, ბუხჩალტრებისა და ტელეგრაფისტების მომზადება დაუწყია.

თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი ამ სახელწოდებას ატარებდა დაარსებიდან 1919 წლამდე; ამ წლიდან კი გადაკეთებულ იქნა თბილისის VII ქალთა გიმნაზიად.

დაბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილია დრამატურგმა გ. ერისთავმა 1851 წელს აღძრა საკითხი ქართული ლიტერატურული ჟურნალის — „ცისკარის“ გამოცემის შესახებ წმიდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ, რაზედაც მთავრობის დასტური დროულად მიიღო². სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება მასალები იმის შესახებ, თუ რა დახმარება გაუწია წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელს ჟურნალმა „ცისკარმა“, მხოლოდ ვფიქრობთ, რომ ეს მიზანი საშუალებას წარმოადგენდა, რათა უფრო ადვილად მიეღოთ მთავრობისაგან დასტური ჟურნალის გამოცემაზე, როგორც საქველმოქმედო მიზნისათვის განზრახულ ორგანოზე. ნამდვილად კი ამ ჟურნალის დაარსებას სულ სხვა მიზანი ჰქონდა, რაც ქველმოქმედებას აღემატებოდა.

წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოებამ 1847 წლის 14 მაისს ქუთაისში გახსნა წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. ამავე წელს იქვე შეიქმნა წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება, რომელიც გამგებლობდა სასწავლებელს. სანამ თვით სასწავლებლის შესახებ ვიტყვოდეთ, აუცილებელია აღვნიშნოთ: ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელზე 1850-იანი წლებიდან 1870-იანი წლებამდე მასალები როგორც საარქივო, ისე ლიტერატურული ძლიერ მცირე მოგვეპოვება. აღნიშნული პერიოდის მასალებს არამცთუ ჩვენამდე, 1900—1901 წლამდეც არ მიუღწევია. ამის შესახებ ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ. ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 536, ფურც. 112.

² ლენინგრადის ცენტ. ისტ. არქ., ფ. 759, აღწ. 4, საქმ. 925, ფურც. 3—4.

სასწავლებლის ინსპექტორიც აღნიშნავს: „სასწავლებლის საქმეებში მისი გიმნაზიად გადაკეთებამდე არ არსებობს ცნობები მისი თანდათანობითი განვითარების შესახებ“¹. ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი ქალთა პირველი საშუალო სასწავლებელია ქუთაისის გუბერნიაში, ქუთაისის წმიდა ნინოს სასწავლებელი ნახევრად დახურული სასწავლებელია, ის იმავე ტიპისა და სტრუქტურისაა, იმავე მიზნებსა და ამოცანებს ისახავს, რასაც თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი — „კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების აღზრდას“. 1846 წლის წესდებით სასწავლებელი ორკლასიანია, თითოეული კლასი სამი განყოფილებით; დებულებენ ყველა წოდების ბავშვებს 8-დან 12 წლამდე. ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი პირველად კერძო (განგესოვის) შენობაში იქნა გახსნილი. მიუხედავად ცდისა, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა, ტერიტორიალურად რა ადგილას მდებარეობდა ეს შენობა.

ქუთაისის წმიდა ნინოს სასწავლებელში დაარსებისას მხოლოდ ერთი კლასია ორი განყოფილებით და ისწავლება შემდეგი საგნები: საღეთო სჯული, რუსული ენა, ქართული ენა, არითმეტიკა და სუფთა წერა; შემდეგ სასწავლებელმა თანდათანობით გაათავართოვა თავისი პროგრამა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების კურსი, გარდა უცხო ენებისა, შეესაბამებოდა ქალთა ინსტიტუტის კურსს². სასწავლებელში გახსნის დროს 15 მოსწავლე იყო, 1848 წელს კი 25 მოსწავლე ყოფილა.

ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1853 წელს მომხდარა, კურსი 6 მოსწავლეს დაუმთავრებია; გამოშვების საზეიმო აქტზე, სასწავლებლის განვლილი ექვსი წლის მუშაობის მოკლე ანგარიშით, საზოგადოების მდივანი შიმანსკი გამოსულა, რომელიც აღნიშნავდა სასწავლებლის დაარსების პირველ ხანებში მისი მატერიალური მდგომარეობის სისუსტეს. სასწავლებელში საგნების მასწავლებლები პირველად უსასყიდლოდ ასწავლიდნენ. შიმანსკი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ქართველი ქალების, როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდობის დიდ მისწრაფებას სწავლისადმი, რასაც დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია იმერეთისათვის³.

¹ ქუთაისის საქალ. არქ. ფ. 15, საქმ. 3506, ფურც. 2.

² იქვე, ფურც. 1—2.

³ Газ. „Кавказ“ 1853, № 45, стр. 185—186.



წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების 1860 წლის წესდებით წმიდა ნინოს სასწავლებელი სამკლასიანია, თითოეული კლასი ორკლასიანი კურსით. თუ როდის გადაკეთდა ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი სამკლასიანად, ზუსტად ამის თქმა არ შეგვიძლია, მხოლოდ საბუთებში 1863 წლიდან აღნიშნულია, რომ სასწავლებელი სამკლასიანია¹.

ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელს ახალი სასკოლო შენობა აუგეს. შენობის საბოლოო გაფორმება-გამშენება 1863 წლისათვის გაუთვალისწინებიათ, რის შემდეგ სასწავლებელი გადავიდოდა ახალ შენობაში². ეს შენობა ამჟამად 1905 წლის რევოლუციის ქუჩაზე მდებარეობს, მასში მოთავსებულია ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ 1871—1883 წ.წ. იყო პელაგია ქაიხოსროს ასული წერეთელი. ამ პერიოდში გააძეობაში წარმოიშვა აზრი ქუთაისში ქალთა გიმნაზიის გახსნის შესახებ, რადგანაც არსებული წმიდა ნინოს ქალთა ოთხკლასიანი სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებდა ქალთა განათლებაზე გაზრდილ მოთხოვნილებას. „1876 წელს ქუთაისის ეწვია მიხეილ ნიკოლოზის ძე, კავკასიის მეფისნაცვალს, რომელსაც წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ მიმართა თხოვნით ნება დაერთო, ეშუამდგომლათ ქუთაისში ქალთა გიმნაზიის გახსნის შესახებ, რაზედაც თანხმობა მიიღეს“³.

ამის შემდეგ, 1877 წლის 3 სექტემბერს ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს უგზავნის მიმართვას: ქუთაისში ერთადერთი, ოთხკლასიანი წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის არსებობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ქალთა განათლებაზე გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ იყო, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ დიდი ხანია წამოაყენა აზრი, ქუთაისში სახალხო განათლების სისტემაში შემავალი ქალთა გიმნაზიის გახსნის შესახებ. „მეფის ნაცვალმა ეს აზრი პრინციპში მოიწონა 1876 წელს ქუთაისში ყოფნის დროს. წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ოღლა თედორეს ასულმა განაცხადა, იგი თანხმობას მისცემს იმ შემთხვევაში, თუ ქალთა გიმნაზიას წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი შეუერთდება სასწავლო

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 19, საქმ. 58, ფურც. 55.

² ქუთაისის საქალ. არქ., ფ. 15, საქმ. 4828, ფურც. 1.

³ იქვე, საქმ. 3506, ფურც. 2.

პროცესებში. ამავე დროს მოითხოვდა გიმნაზიის მოთაქსებას წმიდა ნინოს სასწავლებლის შენობაში¹.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭო 1877 წლის 18 სექტემბერს ქუთაისის გუბერნატორს აცნობებს, რომ ნება დაერთო, ქუთაისში გახსნან ქალთა გიმნაზია ჯერჯერობით 4 კლასის შემადგენლობით².

კავკასიის მეფისნაცვლის წარდგენით, 1878 წლის 27 ივნისს მთავრობამ გამოიტანა დადგენილება: ქუთაისის ქალთა გიმნაზიას დაენიშნოს ყოველწლიურად დახმარება 2000 მანეთის რაოდენობით 1879 წლიდან 4 წლის განმავლობაში³. ქუთაისის ქალთა გიმნაზია გაიხსნებოდა მთავრობის მიერ 1870 წელს დამტკიცებული ქალთა გიმნაზიების და პროგიმნაზიების დებულების საფუძველზე და შევიდოდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის უწყებაში.

1878 წლის 22 აგვისტოს ქუთაისის გუბერნატორის მალაფეევის თავმჯდომარეობით შედგა გიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის გამგეობის თავმჯდომარე პ. ქ. წერეთელი, ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლი ნ. დ. წერეთელი, ქუთაისის ქალაქის თავი თავადი აბაშიძე, ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ლევანდა. ამავე სხდომაზე გიმნაზიის „ნაჩაღნიცად“ არჩეულ იქნა ბარანოვსკაია, ხოლო საბჭოს საქმეთა მმართველად ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი სტარიცი. სხდომამ დაადგინა: აღძრულიყო შუამდგომლობა ქალთა გიმნაზიისთვის ეწოდებინათ ოლდა თევდორეს ასულის სახელი, რაზედაც ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა. ამავე სხდომაზე განისაზღვრა სწავლის ქირის ოდენობა, პირველ ოთხ კლასში 50 მანეთი და გიმნაზიის კლასებში 60 მანეთის რაოდენობით წელიწადში. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის საზეიმო გახსნა 1878 წლის 8 სექტემბერს მოხდა, რაზედაც მოწვეული იყვნენ მოსწავლეთა მშობლები და ნათესავები. სიტყვით გამოსულა გუბერნატორი მალაფეევი. გიმნაზიის გახსნისას ორ მოსამზადებელ და ხუთ გიმნაზიის კლასში 119 მოსწავლე ყოფილა⁴.

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ. ფ. 422, საქმ. 907, ფურც. 1.

² იქვე, ფურც. 4.

³ იქვე, საქმ. 3407, ფურც. 5, საქმ. 3506, ფურც. 2.

⁴ ა) ქუთაისის საქალაქო არქივი, ფ. 15, საქმ. 3407, ფურც. 6.

ბ) ქუთაისის საქალაქო არქივი, ფ. 15, საქმ. 3506, ფურც. 3.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ქუთაისის ქალთა გიმნაზიის გახსნაზე თბილისიდან მივლინებული ყოფილა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი მოძალევესკი¹.

მაშასადამე, 1878 წლის 8 სექტემბერს ქუთაისში გაიხსნა ქალთა გიმნაზია, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს ქუთაისში ახალი ქალთა გიმნაზიის გახსნას, როგორც ეს აღნიშნულია საარქივო საბუთებში? რა თქმა უნდა, არა. ამით სასკოლო ქსელს ერთეული არ მომატებია, მხოლოდ არსებული წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი იქნა გადაკეთებული გიმნაზიად, რადგან მეფისნაცვლის მეუღლემ, წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ოლთა თევდორეს ასულმა არ ინება ქუთაისში ახალი ქალთა გიმნაზიის გახსნა და მოითხოვა არსებული წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის გიმნაზიასთან შეერთება.

ქუთაისის ქალთა გიმნაზიამ შვიდი კლასის სრულ შემადგენლობას 1880 წელს მიაღწია. შვიდკლასდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1881 წელს მოხდა, კურსი დამთავრა 9 მოსწავლემ, ამავე 1881 წლის სექტემბრიდან გაიხსნა VIII დამატებითი პედაგოგიური კლასი ორი სპეციალობით: რუსული ენა და მათემატიკა, მოსწავლეს ერთ ერთი უნდა აერჩია. არჩეულ საგანში, VII კლასში, უნდა ჰქონოდა მიღებული ნიშანი არა ნაკლები 4-სა. კურსდამთავრებულს ენიჭებოდა შინადამრიგებლისა ან შინამასწავლებლის წოდება.

ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელმა სახელწოდება რამდენჯერმე შეიცვალა. ის, როგორც ვიცით, 1878 წელს გიმნაზიად გადაკეთდა და ეწოდა „ოლთა თევდორეს ასულის სახელობის ქუთაისის ქალთა გიმნაზია“, ამ სახელით გიმნაზია 1889 წლამდე მოვიდა, შემდგომ კი ისევ ძველი სახელწოდება დაუბრუნეს „ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი“, რასაც 1921 წლამდე ატარებდა.

სამოციან წლებში კახეთში, მიუხედავად მოსახლეობის საკმაო რაოდენობისა, არც ერთი ქალთა საშუალო სასწავლებელი არ არსებობდა, რისთვისაც არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია წმიდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას. საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი კახეთში მცხოვრები ანა ქავკავაძე იყო, რომელიც დიდად ზრუნავდა თელავში ქალთა სასწავლებლის დაარსებაზე. თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში უად-

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 536, ფურც. 27.

გილობის გამო, შეუძლებელი გახდა კახეთიდან მიეღოთ მოსწავლეები. უფრო ამან გამოიწვია საკითხის დასმა თელავში ქალთა სასწავლებლის დაარსების შესახებ. ელისაბედ ვორონცოვა თანაგრძნობით შეხვდა თელავში ქალთა სასწავლებლის დაარსების აზრს და სასწავლებელს ყოველწლიურად 500 მანეთი დახმარება დაუნიშნა, არ განუსაზღვრავს რამდენი წლით, მხოლოდ 1862, 1863 და 1864 წლების თანხა კიდევ გაგზავნა, შემდეგ ვორონცოვა დაპირდა 10 ათასი მანეთის 5%-იან ბილიეებს, რაც სამუდამოდ უზრუნველყოფდა ყოველწლიურ დახმარებას აღნიშნულ სასწავლებელზე¹.

კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმსრულებელმა პოეტმა გ. ორბელიანმა დააკმაყოფილა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის შუამდგომლობა და ნება დართო, თელავში მეფის ძველისასახლე გამოყენებული ყოფილიყო გათვალისწინებული სასწავლებლისათვის და გადაეცათ ის საზოგადოების წევრის ანა ჭავჭავაძის განკარგულებაში იმ თანხასთან (1391 მ.) ერთად, რომელიც გათვალისწინებული იყო მის შესაკეთებლად². სასახლის შენობა საჭიროებდა გადაკეთებას. არქიტექტორ ზალცმანის მიერ შედგენილ იქნა სასახლის გადაკეთების გეგმა, სასახლის გადასაკეთებლად საჭირო იყო თანხა 11 ათას მანეთამდე. საზოგადოების თავმჯდომარე ოლლა თევდორეს ასული არ დათანხმდა სასახლის გადაკეთებაზე ამდენი თანხის დახარჯვას და მოითხოვა თელავში არქიტექტორი კომბიაჯიოს მივლინება, გადაეცეს მას ზალცმანის მიერ შედგენილი გეგმები და ადგილზე შეამოწმოს, ხომ არ იქნება შესაძლებელი ხარჯების შემცირება, თუ საჭირო იქნება, შედგეს ახალი გეგმა და ხარჯთაღრიცხვაც³. არქიტექტორი კომბიაჯიო წასულა თელავში, შეუსწავლია სასახლის სასწავლებლად გადაკეთების საკითხი, მაგრამ ხარჯების შემცირება ვერ მოხერხებულა⁴, ამიტომ სასახლის გადაკეთება ზალცმანის მიერ შედგენილი გეგმით დაიწყეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ გეგმით გადაკეთებული სასახლის შენობა 30 მოსწავლეს ვერ დაიტევდა, ამიტომ მუშაობა შეაჩერეს და გადაწყვიტეს, სასახლის შენობა მეორე სართულის დაშენებით გაეთართობინათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასში 45 მოსწავლის მოთავსება. ამან ხარჯები 35 ათასი მანეთით გა-

¹ საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 410, ფურც. 3.

² იქვე.

³ საქ. ცენტრ. ისტ. არქ. ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 410, ფურც. 4.

⁴ იქვე, საქმ. 434, ფურც. 1.



ზარდა, რაც დაფარულ იქნა ნაწილ-ნაწილად კავკასიის მეფის-ნაცვლის განკარგულებაში არსებული თანხებიდან.

სანამ სასახლის გადაკეთება დამთავრდებოდა, მრავალი თხოვნა შევიდა კახეთის მცხოვრებთაგან, რომ მათი ქალიშვილები მიეღოთ მომავალ ქალთა სასწავლებელში, რასაც საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ოღლა თევდორეს ასულმა ყურადღება მი-აქცია და 1865 წელს განკარგულება ვასცა, სასახლის გადაკეთე-ბამდე კერძო შენობაში გაეხსნათ თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი 12 მოსწავლისათვის. სასწავლებლის პირველდაწყე-ბითი მოწყობილობისათვის მან 8 ათასი მანეთი შესწირა.

თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი 1865 წლის მარტში გაიხსნა 12 ნახევრადპანსიონერისათვის. სწავლების ხანგრძლიობა რ. წლით განისაზღვრა. სწავლება თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის პროგრამით მიმდინარეობდა. გადაწყვეტილი იყო, სანამ პირველად მიღებული მოსწავლეები კურსს არ დამთავრებ-დნენ, ახალი მოსწავლეები არ მიეღოთ, მაგრამ ქალთა განათლე-ბაზე დიდი მოთხოვნილების გამო, ეს ვერ შესრულდა. სასწავლებ-ლის ზედამხედველად დაინიშნა ქალბატონი ვაკსმუტი, მოწვეულ იქნა ერთი „კლასნი დამა“, საქალაქო სასწავლებლის ორი მასწავ-ლებელი — სერაფიმოვი და ჯავახიშვილი ასწავლიან უსასყიდლოდ. მოსამზადებელ კლასში ლებულობენ მოსწავლეებს 8-დან 12 წლამდე. პანსიონერები წელიწადში იხდიან 100 მანეთს, გარდა ამისა სას-წავლებელში შესვლის პირველ წელს ყველა მოსწავლე იხდის 30 მანეთს ერთდროულად, მოწყობილობისათვის. მოსიარულე მოს-წავლეები წელიწადში იხდიან 15 მანეთს. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელში მოსწავლეთა უმრავლესობას მემამულეთა ქალი-შვილები შეადგენდნენ, სწავლის ქირის გადახდის საქმე მაინც მწვავედ იდგა, იყო შემთხვევები, როცა სასწავლებლის ხელმძღვა-ნელობა მიმართავდა ხოლმე მომრიგებელ მოსამართლეს ან რომე-ლიმე უფროსს მაზრაში, რომ მიეღოთ ზომები სწავლის ქირის უჩრჩი გადამხდელების წინააღმდეგ.

1865 წელს თელავში დაარსდა წმიდა ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების განყოფილება, რომელიც დიდად ზრუ-ნავდა სასწავლებელზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადო-ების თავმჯდომარის ანა ჭავჭავაძის ღვაწლი.

თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი ნაქირავებ შენო-ბიდან საქართველოს მეფის ერეკლე II ყოფილ სასახლეში 1867 წლის 5 სექტემბერს გადავიდა; ეს წელი ზოგიერთ ოფიციალურ

საბუთოში (კავკასიის კალენდარი) აღნიშნულია, როგორც სასწავლებლის დაარსების წელი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. სასწავლებელმა არსებობა 1865 წელს დაიწყო¹.

1870 წელს ანა ჰაეჰავაძე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ამ დროს საზოგადოების გამგეობიდან გავიდა ყველა წევრი სხვადასხვა მიზეზით. სასწავლებელზე ზრუნვა მხოლოდ ზედამხედველს დაეკისრა. შეიქმნა მძიმე ეკონომიური პირობები, საქმე იქამდე მივიდა, რომ კახეთის თავად-აზნაურობას სთხოვეს, შეეწირათ სასწავლებლისათვის სამი თვის სამყოფი პური, რაზედაც უარი განუცხადებიათ. ამის შემდეგ მიმართეს დახმარებისათვის ქალაქის მცხოვრებთ, რომლებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს, რადგან სასწავლებელი დაარსებისას ქალაქის მცხოვრებთაგან საკუთარ ხარჯზე მყოფ მოსწავლეთა მიღებასაც კი არ ითვალისწინებდა. მხოლოდ ქალაქის წოდების ერთი წარმომადგენელი გამოცხადდა მაზრის უფროსის თანაშემწესთან და საიდუმლოდ შესთავაზა თავისი დახმარება იმ პირობით, თუ მთავრობისაგან მიიღებდა ჯილდოდ ოქროს მედალს². ასეთი უცნაური წინადადების განხორციელება შეუძლებელი იყო. თელავის ქალთა სასწავლებლის გაქირვებული მდგომარეობის შესახებ ეცნობა წმიდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს, საბჭომ სწრაფად გაუგზავნა თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელს 500 მანეთი და მიავიჩნა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი ილიაშჩენკო სასწავლებლის მდგომარეობის დაწვრილებით შესასწავლად³.

საქველმოქმედო საზოგადოებამ იხსნა თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელი დახურვისაგან. სასწავლებლის მძიმე მატერიალური პირობებით და მასწავლებელთა კადრების ნაკლებობით უნდა აიხსნას, რომ 1870 წელს სასწავლებელში თითოეული კლასი ორწლიანი კურსით იყო, მაშინ, როცა წმიდა ნინოს სხვა ქალთა სასწავლებლებში დიდი ხანია კლასის ორწლიანი სასწავლო კურსი შეიქვალა ერთწლიანი კურსით.

თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელში პირველი გამოშვება მოხდა 1870 წ. კურსი დაამთავრა 6 ქართველმა მოსწავლემ.

1875 წლის სექტემბრიდან თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში შემოღებულ იქნა სწავლება სახალხო განათლების

¹ ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 733, აღწ. 191, საქმ. 968, ფურც. 21.

² Краткая история Телавского женского учебного заведения св. Нины, стр. 14, 1901, Тифлис.

³ იქვე, გვ. 14.

სამინისტროს ქალთა პროგიმნაზიის პროგრამებით, ამ დროიდან სასწავლებელი ოთხკლასიანი გახდა, თითოეული კლასი ერთწლიანი კურსით და მოსამზადებელი კლასი ორი განყოფილებით. სწავლების ხანგრძლიობა ექვსი წელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელში მეცადინეობა პროგიმნაზიის პროგრამით მიმდინარეობდა, ის მაინც არ სარგებლობდა პროგიმნაზიის უფლებით, აქ კურსდამთავრებულებს სხვა ქალთა სასწავლებლის V კლასში უგამოცდოთ არ ღებულობდნენ.

თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა მძიმე იყო, რაც განაპირობებდა მუშაობაში მრავალ ხარვეზს, როგორც სამეურნეო, ისე სასწავლო დარგში. პანსიონერებს არ ჰკვებავდნენ და არ აცმევდნენ ისე, როგორც საჭირო იყო, მოსამსახურეები ნაკლებ ხელფასს ღებულობდნენ. ფრანგულ ენას სრულებით არ ასწავლიდნენ.

ერთი სიტყვით, განხილულ პერიოდში თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის ნორმალურ მუშაობას დიდად აფერხებდა მატერიალური სახსრების შეზღუდულობა.

თბილისის ქალთა გიმნაზია. სამოციან წლებში თბილისში ორი ქალთა საშუალო-სასწავლებელი არსებობდა; ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი და თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელი. მათი მოქმედების სფერო მარტო თბილისით არ შემოიფარგლებოდა, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა. აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს მცირე ტევადობის სასწავლებლები ქალთა განათლებაზე არსებულ მოთხოვნილებას როგორ დააკმაყოფილებდნენ, ამიტომ დაისვა საკითხი თბილისში ახალი ტიპის ქალთა ღია საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ. ასეთი სასწავლებლის დაარსებაზე ზრუნვა ახალი ამბავი არ იყო. ჯერ კიდევ 1856 წელს მეფის ბრძანებით საგუბერნიო ქალაქებში უნდა გახსნილიყო ქალთა ღია სასწავლებლები, მაგრამ მაშინ ამიერკავკასიაში „განათლების საქმის დიდმა მოამბეებმა“ სხვადასხვა მიზეზით უარი განაცხადეს თბილისში ასეთი სასწავლებლის გახსნაზე.

თბილისში ახალი ტიპის ქალთა საშუალო სასწავლებლის გახსნის საკითხს ყურადღება მიაქცია ოლღა თევდორეს ასულმა და გამოთქვა სურვილი, საკუთარი საშუალებებით დახმარებოდა ქალთა სასწავლებლის გახსნის საქმეს. ამიერკავკასიის მთავარმა ინსპექტორმა (მაშინ ამიერკავკასიაში სასწავლო ოლქის მზრუნველის შტატი გაუქმებული იყო) შეადგინა ახალი ტიპის ქალთა სასწავლებლის წესდების პროექტი, რომელიც 1865 წლის 5 მარტს დამ-

ტიკცებულ იქნა მთავრობის მიერ. სასწავლებელი 1865 წლის 11 აპრილს გაიხსნა კუქიაში, ისარლოვისაგან ნაქირავებ შენობაში.

თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლის გახსნას მთელი საზოგადოებრიობა და ქართული პრესა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა, განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ სასწავლებელში ყველა ქალს, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, შეეძლო განათლების მიღება¹.

თბილისის ქალთა სასწავლებელი არსდება იმ მიზნით, რომ „ქალაქის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, მისცეს საშუალება, თავიანთ ქალიშვილებს მიაღებინონ მათი მოთხოვნილების შესაფერისი განათლება ოჯახური ცხოვრებიდან მოუწყვეტილ“². ქალთა სასწავლებელი შედის ამიერკავკასიის სასწავლებლების მთავარი ინსპექტორის უწყებაში, იმყოფება ოლღა თევდორეს ასულის მფარველობის ქვეშ, ინახებოდა მისივე დანიშნული თანხით და კერძო შეწირულებით, გარდა ამისა, მეფისნაცვლის განკარგულებაში არსებული თანხებიდან ეძლეოდა დახმარება.

ქალთა სასწავლებელს განაგებს მზრუნველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია: მზრუნველი (ქალია), ამიერკავკასიის სასწავლებლების მთავარი ინსპექტორი, მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, ქალაქისთავრ, სასწავლებლის დირექტორი და უფროსი ზედამხედველი ქალი. სასწავლებლის მზრუნველად დანიშნულ იქნა ჰოფმეისტერის მეუღლე ე. პ. ვილერი, დირექტორად — ე. ი. ელიხოვსკი და უფროს ზედამხედველად ე. ე. მითრიდატოვა.

პირები, რომლებიც შეწირავენ სასწავლებელს წელიწადში არანაკლებ 300 მანეთისა, ატარებენ მზრუნველთა საბჭოს საპატიო წევრის წოდებას. 12 სომეხმა ვაჭარმა წარადგინა 3600 მანეთი და მათ მიენიჭა საპატიო წევრის წოდება. „სტატსკი სოვეტნიკმა“ რედკინმა შესწირა სასწავლებელს 10 ათასი მანეთი. სასწავლებლის დამაარსებელმა 8.800 მანეთი, შეწირულება შემოდიოდა აგრეთვე წიგნებისა და სასწავლო ხელსაწყოების სახით. ადგილობრივ ენებისა და სხვა (გარდა მართლმადიდებლური) სარწმუნოების საღვთო სჯულის მასწავლებლებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ისინი უსასყიდლოდ ასწავლიდნენ.

მზრუნველთა საბჭოს გარდა, სასწავლებელში იქმნება პედაგო-

¹ „ცისკარი“, 1865, № 3, გვ. 9.

² საქ. ცენტ. არქ., ფ. 422, საქმ. 218, ფურც. 3.

გიური საბჭო დირექტორის ან სასწავლებლის ინსპექტორის თავმჯდომარეობით.

ქალთა სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება დაინიშნა სასწავლო წლის დაწყების წინ, თუმცა შეიძლებოდა მოსწავლე თუ შესაფერ გამოცდას ჩააბარებდა, ჩარიცხულიყო წლის ყოველ დროს. პირველ კლასში 7—8 წლის ასაკის ბავშვებს იღებდნენ. სასწავლო წლის დასაწყისში პირველ კლასში მისაღებ ბავშვებს არავითარი წინასწარი მომზადება არ მოეთხოვებოდათ, დანარჩენ კლასებში კი უგამოცდოდ არ დაიშვებოდნენ. ქალთა სასწავლებელში მიღებაზე თხოვნა შეაქვთ დირექტორთან, რომელიც თხოვნას წარუდგენს მზრუნველთა საბჭოს; თხოვნასთან ერთად საჭიროა დაბადების და აკრის მოწმობა, გარდა ამისა ხელწერილი ორი პიროვნების თავდებობით, რომ მშობელი დროულად შეიტანდა სწავლის ქირას.

თბილისში ქალთა ღია სასწავლებლის დაარსება ბევრი ნაადრევად თვლიდა, რადგან ადგილობრივი ადათ-ჩვეულებების გამო მშობლები თავიანთ ქალიშვილებს არ გაუშვებენ სასწავლებელში, დიდ დაბრკოლებად გადაეღობება სასწავლებლის წარმატებას წოდებისა და სარწმუნოების შერევაო¹. მაგრამ ადათ-ჩვეულებები, წოდებრივი და სარწმუნოებრივი განსხვავებანი, ქალების განათლებისადმი მისწრაფებასთან შედარებით, სუსტი აღმოჩნდა და ვერ შეაფერხა ქალთა სასწავლებლის საკმაო კონტინგენტით დაკომპლექტება. პირველი წლის ბოლოს (1865 წ.) სასწავლებელში 160 მოსწავლეა, აქედან რუსი — 97, ადგილობრივი — 44 (მათ შორის ქართველი — 12, სომეხი — 32), სხვა ეროვნების — 19; თავადაზნაურთა და მოხელეთა ქალიშვილები — 113, ვაჭრების და ქალაქის წოდების — 37, სასულიერო წოდების — 4, დაბალი ჩინის — 6.

თბილისის ქალთა სასწავლებელში სასწავლო კურსი იყოფა სამ ციკლად: ელემენტარული, ზოგადგანათლებისა და სპეციალური. სასწავლო საგნები იყოფოდა სავალდებულო და არასავალდებულო საგნებად. ელემენტარული კურსი გრძელდებოდა ორ წელიწადს და ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღვთო სჯული (ლოცვები, მოკლე კატეხიზმო, ძველი და ახალი აღთქმის ისტორია), წერა-კითხვა რუსულ ენაზე, წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე ადგილობრივთათვის, არითმეტიკა (ოთხი მოქმედება მთელსა და წილად რიცხვებზე), ზოგიერთი ძირითადი დისციპლინის ელემენტარული

¹ Очерк разв. Тиф. Вел. кн. Ольги Федоровны женской гимн. с 1865 по 1875, стр. 11.

კურსი. არასავალდებულო საგნებია: ფრანგული და გერმანული ენები, ცეკვები და მუსიკა. ზოგადგანათლებლის ციკლი ითვალისწინებს სავალდებულო საგნებს: საღვთო სჯულს (ვრცელი კატეხიზმო, ძველი და ახალი აღთქმის ვრცელი ისტორია, ლითურგია და ქრისტიანული ეკლესიის ისტორია), რუსულ ენასა და სიტყვიერებას, მსოფლიო და რუსეთის ისტორიას, მსოფლიო და რუსეთის გეოგრაფიას, არითმეტიკასა და მათემატიკური განზომილების ელემენტებს, ბუნებისმეტყველებას, სუფთა წერას, ხატვას, ხელსაქმესა და გუნდურ სიმღერას. ყველა ადგილობრივი მოსწავლე სწავლობს მშობლიურ ენას, რისთვისაც არ იხდის განსაკუთრებულ ვადასახალს. არასავალდებულო საგნებია: გერმანული, ფრანგული, ქართული, სომხური, თათრული ენები, ცეკვა და მუსიკა, რისთვისაც იხდიან ცალკე საფასურს. სპეციალური ციკლი ითვალისწინებს გავლილის განმეორებას, პედაგოგიკის ძირითადი საფუძვლების შესწავლას დიდაქტიკით და პრაქტიკულ მეცადინეობას (უმცროს კლასში სწავლება)¹. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თბილისის ქალთა სასწავლებელში 1868 წლიდან ადგილობრივთათვის მშობლიური ენის შესწავლა უკვე სავალდებულოდ აღარ ითვლება².

თბილისის ქალთა სასწავლებელში სასწავლო წელი იწყება სექტემბრიდან და მთავრდება 1-ლ ოქტომბრის, წლიური გამოცდები 1-ლ მაისიდან წარმოებს: მოსწავლეებს; რომლებიც სპეციალურ ციკლს ამთავრებენ, ენიჭებათ შინამასწავლებლის წოდება.

სასწავლებელში გაკვეთილები დილის 8 საათიდან იწყება, დღეში 5 გაკვეთილია, პირველი გაკვეთილის ხანგრძლიობა ერთი საათი და 15 წუთია, დანარჩენი გაკვეთილებისა — თითო საათი, გაკვეთილებს შორის დასვენება 15 წუთია. სავალდებულო საგნებს ეთმობა პირველი გაკვეთილები, უკანასკნელ გაკვეთილებზე გათვალისწინებულია ახალი ენებისა და ხელოვნების სწავლება.

თბილისის ქალთა სასწავლებელში მოსწავლეთათვის შემოღებული იყო ერთიანი ფორმა — ყავისფერი კაბები შავი წინსაფრებით სამუშაო დღეებში, უქმე დღეებში კი თეთრი პელერინებით და წინსაფრებით.

თბილისის ქალთა სასწავლებელი სარგებლობდა ყველა იმ უფლებით და უპირატესობით, რომელიც კანონით მიანიჭებული ჰქონდა სახალხო განათლების უწყების პირველი თანრიგის ქალთა სასწავ-

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 422, საქმ. 218, ფურც. 9—11.

² ლენინგრადის ცენტ. ისტ. არქ., ფ. 1268, აღ. 16, საქმ. 80, ფურც. 41, 43.

ლებლებს¹. ჰქონდა ექვსკლასიანი კურსი, ორწლიანი ელემენტარული კურსის ჩათვლით. იმპერიის სხვა ასეთ სასწავლებლებში ელემენტარული კურსი ერთწლიანია, ზოგადგანათლების კურსი კი ექვს წელს გრძელდება. თბილისის პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელში ელემენტარული კურსი რომ ორწლიანია, სრულიად ბუნებრივია, რადგან აქ ადგილობრივი ბავშვები სწავლობდნენ და მათთვის რუსული ენა (რომელზედაც სწავლება მიმდინარეობდა), არ იყო მშობლიური ენა, რომლის შესწავლა გარკვეულ დროს მოითხოვდა. ამიტომ ზოგადგანათლების კურსს, სპეციალური ციკლის ჩათვლით, რომ 4 წელი რჩება, არადაამაკმაყოფილებელია, რადგან ზოგადგანათლების საგნების რაოდენობა და მოცულობა იგივეა, რაც სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფ პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებლებში. ამის გამო დიდი სასწავლო მასალა იყრიდა თავს უფროს კლასებში, რომლის დაძლევა არ შეეძლოთ მოსწავლეებს. ამას ყურადღება მიაქცია სასწავლებელში ახლად დანიშნულმა ინსპექტორმა (1868 წლიდან დირექტორის თანამდებობა გაუქმდა და შციქმნა ინსპექტორის თანამდებობა), რომელმაც მოითხოვა, რომ ელემენტარული კურსი გამოიყოს ზოგადგანათლების კურსის კლასებიდან და შეიქმნას მისგან მოსამზადებელი კლასის ორი განყოფილება, ათთოეული ერთწლიანი კურსით; ზოგადგანათლების კურსი განაწილდეს გიმნაზიის ექვსი კლასის მიხედვით². ინსპექტორის ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილებიათ, რასაც ადასტურებს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭოს მიერ მოწონებული თბილისის პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებლისათვის 1869 წელს შედგენილი პროგრამები მოსამზადებელი კლასის ორი განყოფილების და გიმნაზიის ექვსი კლასისთვის.

თბილისის მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა აღძრა საკითხი პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელთან ქალთა პედაგოგიური კურსების გახსნის შესახებ. კურსები 1870 წლის 1-ლ თებერვალს გაიხსნა კლასიკური გიმნაზიის შენობაში. კურსების მიზანი იყო ქალთა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება. სასწავლო კურსი ორწლიანი იყო, მეცადინეობა სადამოებო მიმდინარეობდა, იკითხებოდა: რუსული ენა და სიტყვიერება, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ფიზიკა და ბუნებისმეტყველება. მეცადინეობის

¹ საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 422, საქმ. 218, ფურც. 13.

² იქვე, ფურც. 144—148.

დაწყებისას 40 მსმენელი იყო, ნახევარი წლის განმავლობაში 106-მდე გაიზარდა, აქედან 41 მასწავლებელი იყო. კურსებზე ღებულობდნენ როგორც ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლებში კურსდამთავრებულებს, ისე თბილისის სხვადასხვა სასწავლებლებიდან, პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ქალთა პედაგოგიურ კურსებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, რომელიც აღნიშნავს ბ. ლოლობერიძის დიდ ღვაწლს მის ჩამოყალიბების საქმეში¹. ქალთა პედაგოგიური კურსების მუშაობას მართებულად აკრიტიკებს გაზ „დროება“ და წერს: „ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ამ პედაგოგიურს კურსებში პედაგოგიას არ ასწავლიან...“². ქალთა პედაგოგიურმა კურსებმა იარსება 9 სემესტრი და 1874 წლის ივნისში დაიხურა.

1870 წლის ღებულების საფუძველზე იმპერიაში ყველა პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად, შვიდი ზოგადგანათლების და VIII დამატებითი პედაგოგიური კლასით. კავკასიის მეფისნაცვალის ითხოვს მთავრობისაგან თბილისის პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებლის გადაკეთებას გიმნაზიად³, რაზედაც 1870 წლის 20 ნოემბერს მიიღო მეფისაგან ნებართვა. ეს იყო პირველი ქალთა გიმნაზია საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

თბილისის პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელში პირველი გამოშვება 1870 წელს მოხდა; კურსი დაამთავრა 4 მოსწავლემ, აქედან ორი დაჯილდოებულ იქნა მედლით. კურსდამთავრებულთაგან სამმა სურვილი გამოთქვა სწავლის გაგრძელებისა სპეციალურ პედაგოგიურ კლასში, რომელიც 1870 წლის 2 ნოემბერს გაიხსნა. ამ კლასში იღებდნენ სხვა სასწავლებლებიდანაც, რომლის კურსი გათანაბრებული იყო ქალთა გიმნაზიის კურსთან. პირველ წელს პედაგოგიურ კლასში მიიღეს 6 მოსწავლე. მომავალი მასწავლებლების თეორიული კურსის სწავლება და პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხელმძღვანელობა უსასყიდლოდ მიიღო თავის თავზე მოძალევსკიმ⁴ — თბილისის ქალთა გიმნაზიის მომავალმა ინსპექტორმა. თბილისის ქალთა გიმნაზიაში პედაგოგიური კლასის პირველი გამოშვება 1871 წელს მოხდა; კურსი დაამთავრა ექვსმა მოსწავლემ. თბილისის ქალთა გიმნაზიას 1871 წლის 26 თებერვალს მიენიჭა ოლლა თეოდორეს ასულის სახელი.

¹ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 484, ფურც. 16.

² გაზ. „დროება“, 1870, № 50, გვ. 2.

³ ლენინგრადის ცენტ. ისტ. არქ., ფ. 733, აღწ. 191, საქმ. 16, ფურც. 8.

⁴ საქ. ცენტ. ისტ. არქ., ფ. 422, საქმ. 406, ფურც. 87.

თბილისის ქალთა სასწავლებელში იყვნენ ბავშვები, რომლებიც ინახებოდნენ მთლიანად ოლთა თევდორეს ასულის შეწირულებით. მათთვის არსებობდა რაღაც მოსამზადებელი, პანსიონის მსგავსი დაწესებულება. ეს ბავშვები ცხოვრობდნენ საერთო ბინაში და მათთან ერთად ცხოვრობდა სპეციალურად მოწვეული აღმზრდელი ქალი. 1871 წლიდან სასწავლებელთან დაარსდა პანსიონი 40 მოსწავლისათვის. პანსიონში გარდა აღნიშნული მოსწავლეებისა, ათავსებდნენ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულებსაც.

თბილისის ქალთა გიმნაზია მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. მრავალი სწავლის მოსურნე ახალგაზრდა ქალი რჩება სასწავლებლის გარეშე უადგილობის გამო. ამან გამოიწვია საპირობა სასწავლებლის გაფართოებისა. კავკასიის მეფისნაცვალი 1873 წლის 11 თებერვალს კავკასიის კომიტეტს უგზავნის მიმართვას, სადაც აღნიშნულია: „ამჟამად სკოლამ მიაღწია თავის განვითარების სრულყოფას და არ იძლევა შესაძლებლობას თავის კედლებში მიიღოს აღსაზრდელად მსურველთა მისა, ამიტომ აუცილებელია თბილისში გაიხსნას ქალთა პროგიმნაზია, რომელიც დაკავშირებული იქნება თბილისის ოლთა თევდორეს ასულის სახელობის ქალთა გიმნაზიასთან, ორივე დაექვემდებარება ქალთა გიმნაზიის დირექტორს, საერთო ეყოლებათ მზრუნველთა საბჭო და განუყოფელი იქნება მათი ხარჯები“¹.

1873 წლის ივნისში დამტკიცებულ იქნა თბილისში ოლთა თევდორეს ასულის სახელობის ქალთა გიმნაზიასთან პროგიმნაზიის გახსნის საკითხი. თბილისის ქალთა გიმნაზიაში გაუქმდა ინსპექტორის თანამდებობა და მის მაგივრად დაწესდა დირექტორის თანამდებობა. დირექტორად დანიშნულ იქნა ამავე სასწავლებლის ინსპექტორი მოძალევესკი.

თბილისის ქალთა გიმნაზიასთან პროგიმნაზია გაიხსნა 1873 წლის სექტემბერში. სასწავლებელი პირველად დროებით მოთავსებულ იქნა კავკასიის მუსიკალური საზოგადოების შენობაში, შემდეგ გადავიდა კუკიაში.

ოლთა თევდორეს ასულის სახელობის თბილისის ქალთა გიმნაზიისა და პროგიმნაზიაში მათი უმაღლესობის 1873 წლის 9 ივნისის ბრძანებით გამოყენებულ იქნა სახალხო განათლების სამინისტროს 1870 წლის 24 მაისს დამტკიცებული დებულება ქალთა გიმ-

¹ ა) საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 416, განკ. VIII, საქმ. 499, ფურც. 6.

ბ) საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 422, საქმ. 440, ფურც. 31.

ნახიებისა და პროგიმნაზიების შესახებ, ხუთი პუნქტის გამოკლებით. ეს უკანასკნელი გამოიწვია ადგილობრივმა პირობებმა. აღნიშნული დებულების გამოყენებამ საჭიროდ გახადა სასწავლებლისათვის ახალი ინსტრუქციის შედგენა, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილის მიერ დამტკიცებულ იქნა 1874 წლის 5 მაისს. ახალი ინსტრუქცია ითვალისწინებდა სასწავლებლის მუშაობაში საგრძნობი ცვლილებების შეტანას. თბილისის ქალთა გიმნაზიამ და პროგიმნაზიამ ახალი ინსტრუქციის საფუძველზე გარდაქმნა თავისი მუშაობა.

1874 წლის 31 აგვისტოს სახალხო განათლების სამინისტრომ ქალთა გიმნაზიების და პროგიმნაზიების ახალი წესები დაამტკიცა, რომლებიც სავალდებულო იყო ყველა ქალთა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისთვის კავკასიის სასწავლო ოლქში. აქედან გამომდინარე, თბილისის ქალთა გიმნაზიის და პროგიმნაზიის მზრუნველთა საბჭომ 1875 წელს გამოიტანა დადგენილება: პროგრამებით ისარგებლონ 1874 წლის 31 აგვისტოს დამტკიცებული წესების მიხედვით, რაც შეეხება აღმინისტრაციულ და სამეურნეო ნაწილს აქ კი ისარგებლონ 1874 წლის 5 მაისის ინსტრუქციით. კავკასიის მეფისნაცვალმა ნება დართო სასწავლებელს აღნიშნული დადგენილების საფუძველზე წარემართა მუშაობა.

თბილისის ქალთა გიმნაზიაში 1874 წელს მასწავლებლებმა აღბრებტმა, არვანიტაკმა და განომ მსურველთათვის გახსნეს განსაკუთრებული საღამოს კურსები, სადაც იკითხებოდა ლექციები მათემატიკაში, რუსულ ენასა და სიტყვიერებაში, გერმანულ ენაში. ყველაზე მეტი მსმენელი მიიზიდა რუსული ენის ლექციებმა, ესწრებოდა 100-მდე მსმენელი¹.

აღნიშნული კურსების მიზნებისა და ამოცანების შესახებ ვერაფერს ვიტყვით საჭირო მასალების უქონლობის გამო, მხოლოდ ერთი კია, რომ ეს კურსები, ვფიქრობთ, მსმენელთათვის რაიმე კვალიფიკაციის მიცემას არ ითვალისწინებდა.

მარსოვას კერძო ქალთა გიმნაზია თბილისში. საბუთებიდან ირკვევა, რომ ეს გიმნაზია ფაერის ყოფილი პანსიონი იყო. როგორც ცნობილია, ფაერმა თბილისში 1854 წელს გახსნა კერძო პანსიონი, პანსიონი მოთავსებულ იქნა კერძო დაქირავებულ ბელიაევის შენობაში კუკააში. პანსიონი ორკლასიანი იყო ექვსწლიანი სასწავლო კურსით, ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, ქართული

¹ საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 416, განყ. VIII, საქმ. 52, ფურც. 24.

ენა, სომხური ენა, ფრანგული ენა, ისტორია, გეოგრაფია, არითმეტიკა, სუფთა წერა, მუსიკა და ხელსაქმე. პანსიონში გახსნის წელს იყო 20 მოსწავლე, აქედან რუსი 13, ადგილობრივი 7¹. პანსიონერები შენახვისა და სწავლის ქირას იხდიდნენ წელიწადში მუსიკის სწავლების ჩათვლით 210 მანეთს, ხოლო მის გარეშე 160 მანეთს, ნახევრადპანსიონერები 100 მანეთს². 1853 წელს ფაერის პანსიონი უკვე სამკლასიანი იყო. პანსიონერები სასწავლებელში ცხოვრობდნენ და სარგებლობდნენ ყველა სასწავლო ნივთით, საუზმით, სადილით, ჩაით დილით და საღამოთი. ნახევრადპანსიონერები სასწავლებელში დადიოდნენ ყოველ დღე და სარგებლობდნენ მხოლოდ საუზმითა და სადილით.

1860 წელს ფაერმა მოითხოვა ნება მოსიარულე ბავშვთათვის კლასის გახსნისა და თანვე წარადგინა ამ კლასის პროექტი. 1860 წლის 19 ივნისს სასწავლო ოლქის მზრუნველი აცნობებს თბილისის სასწავლებლების დირექტორს: „კერძო პანსიონის შემნახველ ფაერს დაერთოს ნება, პანსიონთან გახსნას კლასი მოსიარულე ქალიშვილებისათვის ჩემ მიერ დამტკიცებული და აქვე თანდართული პროექტის თანახმად“³. მოსიარულე ქალიშვილებისთვის გახსნილ კლასში უნდა ისწავლებოდეს კარგი კითხვა, წერა და ახსნა-რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ქართულ და სომხურ ენებზე. გარდა ამისა ისწავლებოდეს მოკლე სახელმძღვანელოებით საღეთო სჯული მართლმადიდებლური, გრიგორიანული და კათოლიკური სარწმუნოების, არითმეტიკა, გეოგრაფია, მსოფლიო ისტორია, სუფთა წერა, ხელსაქმე და ცეკვა. სასწავლო კურსი 4 წლიანი იყო. პირველ ორ წელიწადს ქალიშვილები ისწავლიდნენ მხოლოდ საღეთო სჯულს, კითხვას და წერას რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ქართულ და სომხურ ენებზე. მეორე ორ წელიწადს აღნიშნულის გარდა ისწავლიდნენ არითმეტიკას, გეოგრაფიას, მსოფლიო ისტორიას, ხელსაქმეს და ცეკვას. ამ მეცნიერებებში სწავლების კურსი შეესაბამებოდა სამაზრო სასწავლებლების კურსს. ენები, გერმანული, ქართული და სომხური ყველასთვის არ იყო სავალდებულო, ფრანგული და რუსული კი სავალდებულო იყო. მოსიარულეთათვის გახსნილ კლასში ყველა წოდებისა და სარწმუნოების ბავშვებს იღებდნენ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ არა ნაკლები 7 წლის ასაკისა. პირველ ორ წელიწადს მოსიარულე მოსწავლეები

¹ იქვე, ფ. 425, საქმ. 113, ფურც. 72.

² იქვე, ფ. 422, საქმ. 86, ფურც. 13.

³ იქვე, ფ. 425, საქმ. 233, ფურც. 3.

იხდიდნენ 30 მანეთს ვერცხლით წელიწადში, მეორე ორ წელიწადში კი — 40 მანეთს, ნახევარი წლისას წინასწარ. თუ მშობლები მოისურვებდნენ, თავიანთ ქალიშვილებს შეეძინათ მეტი ცოდნა, მათ შეეძლოთ სასწავლებელში ბავშვები დაეტოვებინათ კიდევ ორ წელიწადს სპეციალურ კლასში. ამ უკანასკნელი ორი წლის კურსის საფასური მშობლებს უნდა გადაეხადათ წელიწადში 50 მანეთის რაოდენობით¹. მოსიარულე მოსწავლეები სასწავლებელში რჩებოდნენ 2 საათამდე, დაესწრებოდნენ გაკვეთილებს და შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.

მაშასადამე, ფაერის პანსიონში 1860 წლიდან უკვე იხსნება კლასები მოსიარულე მოსწავლეთათვის. 1862 წელს პანსიონში სულ 110 მოსწავლე იყო. აქედან პანსიონერი 40, ნახევრადპანსიონერი 17 და მოსიარულე 53. ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს მოსიარულენი შეადგენდნენ.

საარქივო საბუთებიდან ირკვევა, რომ 1862 წელს პანსიონის შემნახველმა ფაერმა საკითხი დასვა პანსიონის გიმნაზიად გადაკეთების შესახებ. 1863 წლის 23 ნოემბერს მან მოხსენებითა ბარათი წარუდგინა თბილისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორს: „გასულ 1862 წელს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა დამართო ნება, ჩემი სასწავლებლის ქალთა გიმნაზიად გადაკეთების პროექტი შემეღგინა. პროექტი შევადგინე და თბილისის გუბერნიის სასწავლებლების ყოფილ დირექტორს წარვუდგინე, რაზედაც აქამდე პასუხი არ მიმიღია. სასწავლებელში აღსაზრდელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, არსებული წესით არ შეიძლება ყველა მსურველის მიღება. ამიტომ გთხოვთ, დამართოთ ნება, ჩემი სასწავლებელი „კერძო ქალთა გიმნაზიად“ გადავაკეთო“².

სულ მალე, 1864 წლის თებერვალში თბილისის გენერალ-გუბერნატორმა, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს გაუგზავნა მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო: „მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსი მაკნობებს, რომ თბილისში მცხოვრებმა ევგენია ფაერმა 1854 წელს გახსნა ქალთა პანსიონი, შემდეგ გადააკეთა ის ღარიბ მშობელთა ხელმისაწვდომ ქალთა გიმნაზიად, ამჟამად სურს გაათართოს სასწავლებელი და თხოულობს, აღმოვეჩინოთ მას დახმარება, დაიჭიროს შენობა ქალაქ თბილისის შემოსავლის ხარჯზე“³.

¹ საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 425, საქმ. 233, ფურც. 4, 7.

² საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 425, საქმ. 385, ფურც. 1.

³ იქვე, ფურც. 3.

ეს საარქივო საბუთი ადასტურებს იმას, რომ ფავრის 1863 წლის თხოვნა ქალთა პანსიონის ქალთა გიმნაზიად გადაკეთების შესახებ დაუკმაყოფილებიათ, მაგრამ სასწავლებელი მაინც ფავრის პანსიონის სახელს ატარებდა. 1865 წელს სასწავლებელში უკვე 5 კლასია 120 მოსწავლით, აქედან პანსიონერი 36, ნახევრადპანსიონერი 27, მოსიარულე 57.

ფავრმა სასწავლებელი 1873 წელს გადასცა დენისენკოს, ხოლო 1875 წელს იგი გადაკეთდა მარსოვას ქალთა კერძო გიმნაზიად. სწავლება წარმოებდა სახალხო განათლების სამინისტროს პროგრამებით და ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღვთო სჯული (მართლმადიდებლური, გრიგორიანული და კათოლიკური სარწმუნოების), რუსული ენა და სიტყვიერება, არითმეტიკა, მათემატიკა, ფიზიკა და ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ისტორია, სომხური ენა, გერმანული ენა, ხაზვა, სიმღერა, ცეკვა და ტანვარჯიში, თვალსაჩინო სწავლება და მუსიკა.

მარსოვას ქალთა გიმნაზიაში სასწავლო საგანთა შორის ქართული ენა დასახელებული არ არის. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს საერთოდ ქალთა გიმნაზიებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო არ იყო, მას მხოლოდ მსურველები სწავლობდნენ. მსურველები კი, როგორც ჩანს, აქ არ ყოფილან.

მარსოვას ქალთა გიმნაზიის პროგიმნაზიად გადაკეთება განუხრახავთ. „სასწავლებელში 1877 წელს შემდეგი კლასებია: მოსამზადებელი, I, II, III, IV და VI. V კლასი არ არსებობს. ეს მით აიხსნება, რომ გათვალისწინებულია ამ სასწავლებლის პროგიმნაზიად გადაკეთება“¹.

მარსოვას ქალთა გიმნაზია, თვით მარსოვას თბილისიდან წასვლის გამო, 1879 წელს დაიხურა. ამ სასწავლებლის დახურვის შესახებ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი თავის 1879 წლის ანგარიშში აღნიშნავს: „ქალბატონი მარსოვას გიმნაზიის, ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებლის, დახურვით დირექციაში, თბილისში აღარ დარჩენილა არც ერთი კერძო სასწავლებელი სპეციალურად განკუთვნილი მდებარებითი სქესის მოსწავლეთათვის“².

თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი აღმოცენდა მცხეთის ქალთა სამკლასიანი სასწავლებლის ნიადაგზე. საქართველოს ეგზარქოსმა იოანიკემ იშუამდგომლა უწყმიდეს სინოდის წინაშე

¹ საქ. ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 422, საქმ. 1017, ფურც. 126.

² იქვე, საქმ. 1173, ფურც. 795.

თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის გახსნის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა. 1879 წელს გაიხსნა თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი, რომლის „ნაჩაღნიცად“ ეფროსინე მოროზოვსკაია აირჩიეს. ოღლა თეოდორეს ასულმა სასწავლებელი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ. ეგზარქოსმა იოანიკემ სასწავლებელს შეწირა 38,500 მანეთი, რომლის პროცენტებით უნდა აღზრდილიყო 24 ობოლი ბავშვი. სასწავლებელი მოთავსებულ იქნა ეკლესიის შენობაში ანჩისხატის ტაძართან.

თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მიზანი იყო, ჯეროვანი სწავლა-განათლება მიეცა სასულიერო წოდების ქალიშვილებსათვის. სასწავლებელში შეიძლება სხვა წოდების ქალიშვილებსაც ესწავლათ. სასწავლებელი სამკლასიანი იყო, თითოეული კლასი ორწლიანი სასწავლო კურსით, ჰქონდა მოსამზადებელი კლასი და პანსიონი. მოსწავლეებს, რომლებიც სასწავლებლის სრულ კურსს დაამთავრებდნენ, ენიჭებოდათ შინა მასწავლებლის წოდება იმ საგანში, რომელშიაც ყველაზე უკეთესი წარჩინება ექნებოდათ.

განხილულ პერიოდში საქართველოში ქალთა საშუალო სასწავლებლების ქსელი იზრდება და მის შესაბამისად იზრდება მოსწავლეთა კონტინგენტიც. თუ 1860 წელს ქალთა საშუალო სასწავლებლებში, კერძო სასწავლებლის გამოკლებით, 344 მოსწავლე იყო, 1880 წელს მათმა რიცხვმა 1659 მიაღწია, ე. ი. მოსწავლეთა რაოდენობა უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, პროცენტულად კი 482,2%. ერთი შეხედვით, საქართველოში თითქოს ქალთა საშუალო განათლება სწრაფი ტემპით მიდიოდა წინ, არსებითად კი ეს საქმე მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო. 1880 წელს დაახლოებით 715 სულ მცხოვრებზე მოდიოდა 1 საშუალო სკოლის მოსწავლე ქალი¹. პროცენტული ზრდა ყოველთვის როდია გამომხატველი ნამდვილი წინსვლის, პროგრესის. ლენინი მართებულად აღნიშნავდა: „მხოლოდ ტყუილად იგოწყებენ რუსეთის პოლიციური „წესების“ თუ უწყსობათა ჩვენი ოფიციალური მაქებარნი, რომ სასაცილოდ მცირე ციფრები მათი ზრდის პროცენტული გაანგარიშებისას ყოველთვის „უდიდესი“ სისწრაფით იზრდება. თუ მათხოვარს, რომელსაც სამი კაპიკი აქვს, შაურს მისცემთ, მისი „ქონება“ უცებ „უდიდესად“ გაიზრდება, მთელი 167% -ით!“².

¹ მოსახლეობის რაოდენობა აღებულია 1873 წლის მასალების მიხედვით.

² ლენინი, თხზ. ტ. XIX, გამოც. IV, გვ. 146.

საქართველოში ყველა ქალთა საშუალო სასწავლებელი უმთავრესად ადგილობრივ ქალთა განათლებას ითვალისწინებდა, თაქტიურად ეს ასე არ ხდებოდა. მაგალითად, 1870 წელს (თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის და კერძო სასწავლებლის გამოკლებით) ქალთა საშუალო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 50,8%-ს რუსები შეადგენდნენ, 23,7%-ს ქართველები, 19%-ს სომხები და სხვა ეროვნება 6,5%-ს. აქ აშკარად მკლავნდება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ.

აქ ხაზგასმით უნდა აღენიშნოთ ერთი გარემოება, განათლების სისტემაში მომუშავე რუსი მოხელეები, მოსწავლეთა ეროვნების მიხედვით დანაწილების დროს რატომღაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს (მეგრელებს, იმერლებს, გურულებს და სხვ.) ქართველებად არ თვლიდნენ და მათ ასახელებდნენ, როგორც ცალკე ეროვნების წარმომადგენლებს. ამის მიზეზად, როგორც პროფ. გ. თავიშვილი აღნიშნავს, მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ჩაითვალოს. რუს მოხელეებს სურდათ ისედაც პატარა ერი, საქართველო დაქუცმაცებულად წარმოედგინათ და ამით დემოკრატიათა ქართული სკოლების გახსნისა და ქართულ ენაზე სწავლების საჭიროების არ არსებობა. რაც შეეხება მოსწავლეთა წოდებრივ შემადგენლობას, იმავე 1870 წლის არასრული ცნობებით ქალთა საშუალო სასწავლებლებში უმრავლესობას თავადაზნაურთა და მოხელეთა ქალიშვილები შეადგენენ, შემდეგ მიდის ქალაქის წოდება და შემდეგ სასულიერო წოდება. სოფლის წოდების, გლეხის არც ერთი ქალიშვილი არ სწავლობს, მაშინ როცა, გარდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტისა, სხვა ქალთა საშუალო სასწავლებლებში თითქმის წოდებრიობას ყურადღება არ ექცეოდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, აბა გლახს რა საშუალება ექნებოდა, გადაეხადა სწავლა-შენახვის ის დიდი ჭირა, რომელიც მოსწავლეთა სისათვის იყო დადგენილი ქალთა საშუალო სასწავლებლებში. სამოციანი წლების ბოლოს პანსიონერები იხდიან 100-დან 150 მანეთამდე წელიწადში, ნახევრად პანსიონერები 70-დან 75 მანეთამდე, მოსიარულე მოსწავლეები 15-დან 24 მანეთამდე წელიწადში. გარდა აღნიშნულისა, პანსიონერები იხდიან ერთდროულად პირველ მოწყობისათვის 30-დან 50 მანეთამდე. ასეთი დიდი სწავლის ჭირის გადახდას ყველა თავადაზნაურიც ვერ შეძლებდა, რასაც მეფისხაცვალი ვორონცოვიც აღნიშნავდა¹. ეს დიდი სწავლის

¹ Акты, т. X, стр. 842.

ქირა ზღუდავდა დაბალი და საშუალო წოდების ქალიშვილებს, მიეღოთ განათლება.

საქართველოში ქალთა საშუალო სასწავლებლებისათვის ერთიანი სასწავლო გეგმები და პროგრამები არ არსებობდა. ჩვენ აქ წარმოვადგენთ მხოლოდ თბილისის პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებლის პროგრამებს, რომლებიც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნევეროვის დავალებით შედგენილ იქნა ლოლობერიძის, მოძალესკის და ნიკოლიჩის მიერ 1869 წელს და მოწონებული სასწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭოს მიერ.

საღვთო სჯულის პროგრამის შესახებ ჩვენ აქ არაფერს აღვნიშნავთ.

რუსული ენის პროგრამა ითვალისწინებდა:

მოსამზადებელ კლასში — ზეპირი, სწორი მეტყველების სწავლება თვალსაჩინო ნივთებისა და სურათების საშუალებით, წერისა და კითხვის ერთად სწავლება, თავისუფალი კითხვა, წაკითხული ტექსტის გაგება და გადმოცემა, როგორც ზეპირად ისე წერილობით.

I კლასში — გრამატიკული და ენობრივი მასალა, სტატიების კითხვა, ზეპირად დასწავლა ლექსებისა და მოთხრობებისა, დაწერა ზეპირად დასწავლილის, კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით დასწავლილი მასალიდან.

II კლასში — გრამატიკული და ენობრივი მასალა, მისაწვდომი მოთხრობების კითხვა, წაკითხულის გადმოცემა, როგორც ზეპირად ისე წერილობით, ლექსებისა და მოთხრობების ზეპირად დასწავლა, დაწერა ზეპირად დასწავლილისა.

III კლასში — გრამატიკული და ენობრივი მასალა, კითხვა ლიტერატურულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის სტატიებისა, შინ წაკითხულის გადმოცემა ზეპირად და წერილობით. ლექსების და სტატიების ზეპირად დასწავლა. წერთი სავარჯიშოების კლასში გასწორება.

IV კლასში — გრამატიკული და ენობრივი მასალა, კითხვა უმთავრესად ლიტერატურული, ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული შინაარსის სტატიებისა, შინ წაკითხულის გადმოცემა, როგორც ზეპირად ისე წერილობით. კლასიკოსების ნაწარმოებებიდან ზეპირად დასწავლა ლექსებისა და პროზისა, თარგმანი უცხოური და ადგილობრივი ენებიდან. ზოგადი ცნებები ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ და აზროვნების ძირითადი კანონების გაცნობა.

V კლასში — რუსული ლიტერატურის ნიმუშების შესწავლა, მათი შინაარსის, ფორმის, აზრის განვითარებისა და ენის მიხედვით. პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოის, ლერმონტოვის, კრილოვის და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებების შესწავლა. გარდა ამისა ისწავლება სტილისტიკა და პროზის თეორია. წერითი სავარჯიშოები: წაკითხულის შინაარსის გადმოცემა, თარგმანი უცხოური ენებიდან, ერთ და იმავე თემაზე სხვადასხვა ავტორის ნაწარმოების შედარება; მთავარი გმირების და მოვლენების დახასიათება.

VI კლასში — რუსული სიტყვიერების ისტორიის სისტემატური კურსი. წერითი სავარჯიშოები: წაკითხულის შინაარსის გადმოცემა-ფორმის შეცვლით, თარგმანი უცხოური ენებიდან, ძველი მწერლების ნაწარმოებთა გადმოკეთება, რომელთა ენა ძლიერ განსხვავდება თანამედროვე ენისაგან. ნაწარმოებთა შედარება იდეისა და გმირთა ხასიათის მიხედვით. მთელი გრამატიკული, პრაქტიკული-თეორიული კურსის განმეორება.

ართიმეტიკისა და გეომეტრიის პროგრამა ითვალისწინებდა:

მოსამზადებელ კლასში — რიცხვთა თვალსაჩინო შესწავლა 1-დან 1000-მდე, გაცნობა მთავარი საზომი ერთეულებისა. ამოცანების ზეპირად გადაწყვეტა, ვარჯიში საანგარიშოზე.

I კლასში — რიცხვთა ყოველმხრივი გაცნობა 1000-მდე. გაცნობა სხვადასხვა საზომი ერთეულების. ვარჯიში საანგარიშოზე.

II კლასში — შესწავლა ყოველგვარი სიდიდის რიცხვებისა, ოთხი მოქმედება წერით და ზეპირად, ამოცანების შედგენა და გადაწყვეტა.

IV კლასში — წილადების ყოველმხრივი განხილვა. ამოცანების გადაწყვეტა.

V კლასში — ათწილადები; პერიოდული წილადები; სამობითი წესი, შეფარდება და პროპორცია, ამოცანების გადაწყვეტა.

VI კლასში — არითმეტიკის სისტემატური განმეორება. ცნებები განზომილების შესახებ. წერტილი; სწორი ხაზები და კუთხეები; სამკუთხედები და მრავალკუთხედები; ფართის გამოანგარიშება; მსგავსი ფიგურები; სხეულების მოცულობის და ზედაპირის გამოანგარიშება. გეომეტრიული ამოცანების გადაწყვეტა.

ისტორიის პროგრამა ითვალისწინებდა:

III კლასში — რუსეთის თვალსაჩინო ისტორია (ზოგადი მიმოხილვა ვარიაგების მოწვევიდან ალექსანდრე II-მდე).

IV კლასში — აღმოსავლეთი ევროპა IX საუკუნეში. პირველი რუსი თავადი — დამპყრობლები. მონღოლების ბატონობის დასა-

წყისი. მოსკოვის სახელმწიფო, დასავლეთ რუსეთი XVI და XVII საუკუნის პირველ ნახევარში. პეტრე დიდის მეფობა, განათლება რუსეთში XVIII საუკუნეში, სახელმწიფო ცენტრალიზაციის შემდგომი განვითარება. აზრი რუსეთის განათლებაზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

V კლასში — ძველი ისტორია, ძველი აღმოსავლეთის ხალხები სპარსეთის ბატონობის ქვეშ. უძველესი საბერძნეთი, ბრძოლა სპარსელებთან, დაცემა საბერძნეთისა, მაკედონელის მონარქია. რომი, ბრძოლა პატრიციებისა პლებებთან. რომის ბატონობის გავრცელება, რომში რესპუბლიკური მმართველობის დაცემა, რომის იმპერია.

4. Сложные глаголы, сохраняющие самостоятельное значение обоих компонентов

Среди сложных глаголов „дистантного“ структурного типа имеются глаголы, компоненты которых сохраняют свое самостоятельное значение в значении всего сложного глагола. Эти сложные глаголы близки по своей семантике к синтаксической группе, но не равняются ей, так как обладают цельюоформленностью и значение сложного глагола не представляет собой сумму значений его компонентов. Первый-именной компонент сложных глаголов выступает в определительной, конкретизирующей роли по отношению ко второму-глагольному компоненту. Например: *Wenn keine gewichtigen Gegengründe vorliegen, möchte ich den Burschen wieder freilassen!* (Feuchtwanger, В. Л., 270). Сложный глагол „freilassen“ — „выпускать на свободу“ сохраняет самостоятельное значение обоих компонентов „frei“ — „свободный“ и „lassen“ — „отпускать“. С лексической точки зрения сложный глагол „freilassen“ едва отличим от синтаксической группы, так как значение глагола почти покрывается значением его компонентов, но все же не является суммой значений их. Значение глагольного компонента суживается — конкретизируется. В структурном отношении „freilassen“ цельюоформлен.

К сложным глаголам четвертой группы относятся: *guttun, geheimhalten, hochschätzen, hochhalten, freilassen, (sich)hochachten, feilbieten, hochheben, hochsteigen, hochblicken, hochklettern, geringachten, geringschätzen* и др. К четвертой группе сложных глаголов относится целый ряд глаголов с первым-именным компонентом „hoch“, где „hoch“ реализует свое обстоятельственное значение, указывая направление „вверх“, в котором совершается действие, определяя тем самым действие глагола, например, *Der Kleine blickte zur Grossmutter hoch, denn sie murmelte noch einiges vor sich hin.* (Bredel, V., 173). *Walter sprang auf und klettierte den Bahndamm hoch.* (Bredel, S., 213). *Entschlossen, zielsicher, ...war sie die schmale steil hinaufführende Sahltrappe hochgestiegen.* (Bredel, V., 12). В сложных глаголах „hochblicken“ — „смотреть вверх“, „hochklettern“ — „взбираться“, „hochsteigen“ — „подниматься“ первый-именной компонент обозначает направление „вверх“, конкретизируя тем самым действие глагола. Значение второго-глагольного компонента сохраняется в значении всего сложного глагола, при

этом значение глагольного компонента не утрачивает своей конкретности. В подобных случаях особенно отчетливо проявляется определяющая, конкретизирующая роль первого-именного компонента по отношению ко второму-глагольному компоненту. Значение сложных глаголов „hochblicken, hochklettern“ и других очень близко к значению синтаксической группы, из которой они раз-
вились.

В некоторых случаях именной компонент „hoch“ вступает в связь с глаголами, которые в составе соединения имеют переносное значение, например, „Das nationale Banner muss hochgehalten werden“, verlangte Diederich. (H. Mann, U., 129). Сложный глагол „hochhalten“ — „высоко держать“ сохраняет самостоятельное значение обоих компонентов — „hoch“ — „высокий“, „halten“ — „держать“. С лексической точки зрения сложный глагол „hochhalten“ едва отличим от синтаксической группы, так как значение сложного глагола почти покрывается значением его компонентов. Однако, сложный глагол „hochhalten“ является цельнооформленным и это подчеркивает его смысловую цельность, превышающую цельность соответствующего словосочетания. Кроме того, глагольный компонент „halten“ утратил в соединении свое конкретное значение „держать, задерживать“, которое он имеет в словосочетании и реализует свое переносное значение в сложном глаголе.

Сложный глагол „hochhalten“ употребителен в современном немецком языке в значении „высоко ценить“, где реализуется значение глагольного компонента „halten“ — „halten für“ — „считать, принимать (за кого-либо, что-либо)“, например: „Das war ein Mann: Hut ab! Einer von denen, die das deutsche Volk hochhalten sollte...“ (H. Mann, U., 14). В данном случае сохраняется самостоятельное значение именного компонента „hoch“ — „высокий“ и переосмысливается значение второго-глагольного компонента „halten“. Однако, второй-глагольный компонент не утрачивает своей семантической связи с его самостоятельным значением „halten für j-n, etwas“.

Степень сохранения самостоятельного значения компонентами не всегда одинакова и в некоторых случаях сложные глаголы этой группы близки к глаголам второй группы, у которых сохраняется самостоятельное значение первого именного компонента и переосмысливается значение второго-глагольного компонента,

например, *Diese Pläne wurden vorerst noch vor Frau Hardekopf geheim gehalten.* (Bredel, V., 185). Значение сложного глагола „geheimhalten“ — „хранить в тайне, скрывать“ отчетливо выводится из значений его компонентов „geheim“ — „тайный, скрытый, секретный“ и „halten“ — „держать“. При этом значение глагола „halten“ теряет свой конкретный характер — абстрагируется, и основная семантическая нагрузка при образовании значения сложного глагола падает на „geheim“. С одной стороны здесь имеется прозрачное значение сложного глагола, выводимое из значения его компонентов, с другой стороны — доминирующая роль первого-именного компонента в образовании значения сложного глагола и абстрагирование значения второго-глагольного компонента, что сближает сложный глагол „geheimhalten“ с глаголами второй группы.

В сложном глаголе „feilbieten“ — „предлагать, выставлять на продажу“, например, *Marokkanische Teppichhändler schlängelten sich durch das Gedränge und boten ihre Ware feil.* (H. v. Oettingen, K. H. H., 44), сохраняется самостоятельное значение именного компонента „feil“ — „продажный“. Значение же второго-глагольного компонента „bieten“ — „предлагать“ до некоторой степени переосмысливается, но участвует в образовании значения сложного глагола, и оба компонента служат как бы ориентиром для выведения значения всего сложного глагола. В данном случае тоже трудно решить относится сложный глагол „feilbieten“ к глаголам четвертой группы или второй группы.

Сложные глаголы „дистантного“ структурного типа пишутся, как правило, в именных формах и в придаточных предложениях вместе. В некоторых случаях мы наблюдаем, однако, что имеется колебание в написании сложных глаголов рассматриваемого структурного типа: одними авторами они пишутся в именных формах и в придаточных предложениях вместе, а другими — раздельно, например: *Ja, reden könnt ihr und grosstun...* (Bredel, S., 109). *Unter vier Augen mit Diederich hatte er nach seiner Weise gross getan und sich gewisser Briefe gerühmt...* (H. Mann, U, 467). Сложный глагол „grosstun“ — „важничать, хвастать“ относится к первой группе. Он обладает лексической и грамматической идиоматичностью по отношению к своим компонентам, закрепился в словарном составе современного немец-

кого языка и вносится в словари в слитном написании¹. Далее: Ihr seid verblüfft, wenn ihr euch klarmacht, welchen Weg wir seit dem letzten Brief zurückgelegt haben. (Seghers, T. b. j., 514). Er versuchte sich nur klar zu machen, dass er die Schuld hätte. (Remarque, 3 K., 122). Сложный глагол „sich klarmachen“ относится к глаголам второй группы. Он употребляется сравнительно часто в современном немецком языке.

Колебание в написании некоторых сложных глаголов объясняется, главным образом, тем, что в современном немецком языке существуют словосочетания, к которым восходят сложные глаголы рассматриваемого типа, и с которыми они сохраняют формальную связь: расположение компонентов, совпадение управления сложного глагола с его глагольным компонентом и постановку частиц „ge“ и „zu“ перед глагольным компонентом. Кроме того, орфография оказывается более консервативной и отстает от развития лексического состава языка. Раздельное написание является очень часто результатом индивидуального творчества автора. Это характерно в первую очередь для авторов, которые создают свои произведения за пределами их страны и не имеют, следовательно, постоянной связи со своим народом и его разговорным языком. В процессе исследования мы смогли убедиться, что раздельное написание рассматриваемых сложных глаголов имеет место, главным образом, у Г. Манна, Л. Фейхтвангера, Э. М. Ремарка и др., произведения которых создавались, в основном, за пределами Германии.

* * *

Сложные глаголы модели „краткое прилагательное + глагол“ представляют собой одну из разновидностей сложения именной и глагольной основ, имевшего место еще в древнейшие периоды истории немецкого языка (ahd) и получившего более широкое распространение, в основном, начиная с нововеерхненемецкого периода.

Для глагольного словосложения современного немецкого языка (начиная с равновеерхненемецкого периода), в том числе и для сложных глаголов модели „краткое прилагательное + глагол“,

¹ Рудаш В. В., Немецко-русский словарь. М., ОГИЗ, 1947, стр. 253.

характерна подвижность глагольных компонентов, которая отсутствовала в глагольном словосложении немецкого языка до закрепления рамочной конструкции. Подвижность компонентов отсутствует у некоторых сложных глаголов современного немецкого языка типа *vollbringen*, *vollziehen*, образовавшихся задолго до новонаемецкого периода и сохранивших неразъемное (неподвижное) состояние компонентов до настоящего времени. Подвижность компонентов глагольного словосложения обуславливается внутренними закономерностями грамматического строя современного немецкого языка на данном историческом этапе — наличием рамочной конструкции, выражающей, в частности, в строго фиксированном расположении компонентов двухчленного сказуемого. Следовательно, речь должна идти не о переходности данного словообразовательного типа, а о специфической особенности глагольного словосложения, не о переходных и полусложных глагольных словообразованиях или глагольных фразеологических единицах, а о сложных глаголах, обладающих лексическим единством и цельнооформленностью, но сохраняющих специфическую для глагольного словосложения подвижность компонентов.

Сложные глаголы модели „краткое прилагательное + глагол“ представлены в современном немецком языке „дистантным“ и неразъемным структурными типами, которые отражают внутренние закономерности грамматического строя немецкого языка на различных исторических этапах.

მ. აბუთიძე

საქართველოს კომკავშირის შრომითი გვირობა საბჭოთა კავშირის დიდი სამაგულო ომის წლებში*

(1941 — 1945 წ. წ.).

სახელოვანი გზა განვლო ჩვენმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მსოფლიო ისტორიული გამარჯვებები, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა, შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმართველი საქმიანობის შედეგით.

პარტიის 21-ე ყრილობამ ნათლად გვიჩვენა კომუნისტური პარტიის უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ და იდეურ ხელმძღვანელობაში. ყრილობამ კიდევ უფრო განამტკიცა პარტია იდეურად და შეამჭიდროვა მისი რიგები ორგანიზაციულად.

ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ გვასწავლის, რომ პარტია არის მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებული მარქსისტული რაზმი, რომელმაც იცის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები, კლასობრივი ბრძოლის კანონები, მუშათა კლასის მიზნები და ამოცანები და ამ ამოცანების გადაწყვეტის საშუალებანი.

პარტია მუშათა კლასის არა მარტო მოწინავე, არამედ ორგანიზებული რაზმიცაა, რომელიც აგებულია ცენტრალიზმის საწყისებზე: მისი ძალა და უძლეველობა მასებთან განუყოფელ კავშირშია და ბოლოს, პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პროლეტარიატის ყველა დანარჩენი ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობას. პარტიამ დარაზმა მასები სოციალისტური რევოლუციის

* საღისერტაციო ნაშრომი. იბეჭდება შემოკლებით.

დროშის ქვეშ და ჩვენი ქვეყანა გამოიყვანა სოციალისტური გან-
 ვითარების ფართო გზაზე.

პარტიის, როგორც მასების ორგანიზატორისა და პოლიტიკური
 ბელადის, როლი სულ უფრო და უფრო იზრდება პროლეტარიატის
 დიქტატურის დამყარების შემდეგ.

პარტია არის ძირითადი ხელმძღვანელი ძალა პროლეტარიატის
 დიქტატურის სისტემაში. პარტიის, როგორც ძირითადი ხელმძღვა-
 ნელი ძალის, გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის ცოტად თუ
 ბევრად ხანგრძლივი და მტკიცე დიქტატურა.

„პარტიის ხელმძღვანელი როლის უმადლეს გამოხატულებად,
 მაგალითად, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, პროლეტარიატის დიქტა-
 ტურის ქვეყანაში, ის ფაქტი უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი საბჭო-
 თა და სხვა მასობრივი ორგანიზაციები არ წყვეტენ არც ერთ მნი-
 შვნელოვან პოლიტიკურ ან ორგანიზაციულ საკითხს პარტიისაგან
 სახელმძღვანელო მითითებათა მიუღებლად“.¹

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა
 მოიპოვა თავისუფლება, ააშენა სოციალისტური საზოგადოება და
 ამჟამად წარმატებით ხელმძღვანელობს კომუნიზმის მშენებლობის
 საქმეს.

ჩვენმა პარტიამ, გააჩნია რა საერთაშორისო ოპორტუნიზმისა და
 რევოლუციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება, პირ-
 ველმა გააჩაღა ბრძოლა თანამედროვე რევოლუციონიზმის წინააღმდეგ,
 რომლის ყველაზე უფრო გამოკვეთილ სახესხვაობას წარმოადგენს
 იუგოსლავიური რევოლუციონიზმი. თანამედროვე რევოლუციონიზმი უარ-
 ყოფს პარტიის სულ უფრო და უფრო მზარდ როლს კომუნიზმის
 მშენებლობის საქმეში, მაშინ როცა, როგორც პარტიის 21-ე ყრი-
 ლობის რეზოლუციაშია აღნიშნული, „სოციალიზმისა და კომუნიზ-
 მის გამარჯვებისათვის ბრძოლის მთელი გამოცდილება ცხადყოფს,
 რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში პარ-
 ტიის, როგორც ხალხის ნაცადი ავანგარდისა და საზოგადოებრი-
 ვი ორგანიზაციის უმადლესი ფორმის როლი, სულ უფრო ძლიერ-
 დება“.²

¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 8, გვ. 40.

² რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობის
 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა, 1959 წელი, გვ. 79.



ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი წარმოადგენს რა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს მუშათა დიქტატურის სისტემაში, ამიტომ მისი ისტორია მთლიანად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის ისტორიასთან.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი არის მასობრივი უპარტიო ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობის ფართო ფენებს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ახალგაზრდობას ზრდის საბჭოთა პარტიოტიზმის სულისკვეთებით. ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს კომუნიზმი, — აი, ვ. ი. ლენინის მიერ ახალგაზრდობის წინაშე დასმული მთავარი ამოცანა. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, — ამბობდა დიდი ლენინი, — „მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას, — რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია, — თუ იგი თავისი სწავლის, აღზრდის, განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს ექსპლუატატორთა წინააღმდეგ ყველა მშრომელის საერთო ბრძოლაში მონაწილეობას“.¹

ახალგაზრდობის რევოლუციური თვითმოქმედების შესახებ ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდა რსდმ პარტიის მეორე ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც ვითხოვლობთ: „რსდმ პარტიის მეორე ყრილობა მიესალმება რევოლუციური თვითმოქმედების გამოცოცხლებას მოსწავლე ახალგაზრდობაში, წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას ყოველნაირად დაეხმარონ ამ ახალგაზრდობას მის მისწრაფებაში შეკავშირებისადმი და ურჩევს მოსწავლეთა ყველა ჯგუფსა და წრეს, ჯერ ერთი, თავიანთი საქმიანობის პირველ რიგში დააყენონ თავიანთ წევრებში მთლიანი და თანამიმდევრული სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება“.²

ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა პარტიის ცენტრალურმა ორგანომ — განეთმა „პრავდამ“.

პარტიის მე-6 ყრილობა მიუთითებდა, რომ ახალგაზრდობის კავშირები უნდა ატარებდნენ სოციალისტურ ხასიათს.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 31, მეოთხე გამოცემა, გვ. 355.

² სკვ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1-ლი, გვ. 61-62.

ჯვების შემდეგ მასიურად დაიწყო ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნა. თუ მანამდე ისინი პარტიას ეხმარებოდნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ამჟამად ისინი აქტიურ დახმარებას უწევდნენ პარტიას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში.

1918 წლის ივლისში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით მოსკოვში შეიქმნა ორგანიზაციული ბიურო მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის მოსაწვევად.

1918 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში მოწვეულ იქნა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა. ამ ყრილობამ დასაბამი მისცა კომკავშირის არსებობას. კომკავშირის შექმნა, — მიუთითებდა მ. ი. კალინინი, — „არსებითად წარმოადგენდა ახალ ნაბიჯს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. კომკავშირმა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა შეამჭიდროვა ერთ მთლიანობაში და მტკიცედ შეაკავშირა იგი კომუნისტურ პარტიასთან“.¹

კომკავშირის შექმნის პერიოდში ჩვენი სამშობლო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა: გაჩაღებული იყო ბრძოლა ინტერვენციისა და შინაური კონტრევოლუციის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში უდგა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

სრულიად რუსეთის სამი მობილიზაცია ჩაატარა მაშინ კომკავშირმა, რომელმაც ათი ათასობით საუკეთესო კომკავშირელი გავზავნა სამოქალაქო ომის ფრონტზე.

აღნიშნულმა მობილიზაციებმა წითელი არმიის რიგებს შემატეს 25 ათასამდე კომკავშირელი. კომკავშირის ათასობით წევრობნებაყოფლობით შედიოდა მშობლიური წითელი არმიის რიგებში.

უცხოელ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელ მებრძოლთა წინააღმდეგ მრისხანე ბრძოლებში ლენინურმა კომკავშირმა დაამტკიცა თავისი თავდადება და ერთგულება.

სამოქალაქო ომის უკანასკნელ წელს, 1920 წლის 2 — 10 ოქტომბერს, ჩატარდა კომკავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა. ყრილობისა და მთელი ახალგაზრდობის ყურადღების ცენტრში იყო ლენინის ისტორიული გამოსვლა ახალგაზრდობის კავშირების ამოცანებზე. ლენინის ეს სიტყვა უკვდავი დოკუმენტია.

¹ მ. ი. კალინინი, კომკავშირის საბრძოლო გზა, საბლიტგამი, 1939 წელი, გვ. 20.

რომელშიაც გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის ძირითადი ამოცანები უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აქა-იქ კიდევ დარჩენილი მტრების საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში.

საბჭოთა მთავრობამ სამოქალაქო ომის ყველა ფრონტზე კომკავშირის საბრძოლო დამსახურებათა აღსანიშნავად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი დააჯილდოვა უმაღლესი საბრძოლო რევოლუციური ჯილდოთი — „წითელი დროშის ორდენით“. ორდენის გადაცემა მოხდა სახეიმო ვითარებაში 1928 წელს კომკავშირის მე-8 ყრილობაზე.

სამოქალაქო ომის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყალიბდება ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები. საქართველოს კომუნისტური პარტია ამ დროისათვის იბრძვის დროებითი მთავრობისა და ესერუტლ-მენშევიკური საბჭოების წინააღმდეგ.

1917 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში პარტიის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად შეიქმნა „საინიციატივო ჯგუფი“, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობდა ანასტას მიქოიანი. მიქოიანთან ერთად აქტიურად მუშაობდა პარტიის ახალგაზრდა წევრი ბორის ძნელაძე, რომელიც ითვლება საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

1917 წლის 3 სექტემბერს „საინიციატივო ჯგუფმა“ თბილისში, ავლაბრის სახამთრო კლუბის შენობაში, მოიწვია დამფუძნებელი კრება. მიღებული დადგენილების თანახმად, ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციას ეწოდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. კრებაზე მიღებულ იქნა წესდება. კრებამ აირჩია დროებითი კომიტეტი და მიიღო მანფესტი, რომელშიც მოუწოდებდა ახალგაზრდობას, შეექმნათ რევოლუციური ორგანიზაციები.

„სპარტაკის“ ეს ორგანიზაცია საქართველოში ახალგაზრდობის კომკავშირის პირველი სერიოზული ჩანასახი იყო.¹

¹ გ. შვანია, საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან, საბლიტვაში, 1954 წელი, გვ. 7—9.

ამ ორგანიზაციის დროებითმა კომიტეტმა მალე გააჩალა მუშაობა „სპარტაკის“ ახალი ორგანიზაციების შესაქმნელად. პირველი უჯრედები იქმნება ქუთაისში, აბაშაში, სენაკში, ოზურგეთში (მახარაძე), ლანჩხუთში, სამტრედიისში და სხვაგან.

საქართველოში „სპარტაკის“ ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის პირველმა ყრილობამ.

1919 წლის 31 მარტიდან 2 აპრილამდე თბილისში გაიმართა „სპარტაკის“ ორგანიზაციების პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია. კონფერენციამ გააერთიანა მანამდე დაქსაქსული ორგანიზაციები და მას „ახალგაზრდა კომუნისტების ორგანიზაცია — „სპარტაკი“ უწოდა. რომელიც შემდეგში გადაკეთდა ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაცია „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებით ცენტრალურ კომიტეტად. ზემოთ აღნიშნულ კონფერენციას საქართველოს კომკავშირის ისტორიაში ჰქონდა ყრილობის მნიშვნელობა, რის გამოც საქართველოს კომკავშირის საბოლოო გაფორმების თარიღად ითვლება 1919 წლის აპრილი, თბილისის პირველი კონფერენციის მოწვევის დღე.¹

საბჭოთა ქვეყანა სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე შეუდგა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებას. სამოქალაქო ომიდან მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლამ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამ მთელი რიგი ახალი და რთული ამოცანები დააყენა კომკავშირის წინაშე.

სახალხო მეურნეობის აღდგენის წლები სერიოზული შემოწმება იყო კომკავშირისათვის, იგი აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

თვალსაჩინო საქმიანობას ეწეოდნენ სოფლის კომკავშირელებიც, რომლებიც გამოდიოდნენ პარტიის მებრძოლ თანამემშვედლენის კოოპერაციული გეგმის განხორციელებისათვის.

საბჭოთა ქვეყანამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში გაართვა თავი აღდგენითი პერიოდის უდიდეს ეკონომიურ სიძნელეებს და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას შეუდგა.

კომკავშირელები იყვნენ ინდუსტრიული გიგანტების აქტიური

¹ ლენინური კომკავშირი 40 წლისაა, თბილისი, 1958 წელი, გვ. 34.

მშენებლები. ისინი შეფობას უწევდნენ ურალ-კუზნეცის კომბინატს. მაგნიტომშენის ახალგაზრდულმა დამკვერღმა ბრიგადამ სარეკორდო ვადაში ააშენა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბრძმედი, რომელსაც „კომკავშირელი“ ეწოდა. 13 ათასზე მეტი კომკავშირელი აშენებდა მოსკოვის მეტროპოლიტენს. შორეული აღმოსავლეთის ტაიგაში ახალგაზრდობამ ააგო ქალაქი კომსომოლსკი. აშენებდნენ ჰიდროელექტროსადგურებს, სატრაქტორო, საავტომობილო და მანქანათმშენებელ ქარხნებს.

საგმირო საქმეების უჭკნობი შარავანდედით შეიღოსა კომკავშირი დიდი სამამულო ომის წლებში.

1941 წლის 22 ივნისს, ომის დაწყებისთანავე, კომკავშირი, ახალგაზრდობა მთელ ხალხთან ერთად აღსდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საბჭოთა არმიის რიგებს შეემატა მილიონობით კომკავშირელი. ისინი კომუნისტების მხარდამხარ სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში იდგნენ. ომის პირველ დღეებში არმიაში წავიდა 900 ათასი კომკავშირელი.¹

საბჭოთა ადამიანების გულში სამუდამოდ დარჩება ახალგაზრდა გმირების: ნიკოლოზ გასტელოს, იური სმირნოვის, ალექსანდრე მატროსოვის, ლიზა ჩაიკინას, ოლეგ კოშევიის, ზოია კოსმოდეშინსკაიას, ნელსონ სტეპანიანის, ნოე ადამიას და ასობით სხვათა სახეები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში არასდროს არ წაიშლება კრასნოდონის „მოლოდოია გვარდიის“, ნიკოლაევის ოლქის სოფელ კრიშკის „პარტიზანსკაია ისკრის“, კალუგის ოლქის ქალაქ ლუდინოვის, ვიტებშიჩინის დაბა ობოლის, ბუკოვინაში ქალაქ ზოტინის, ლიტვის სსრ ქალაქ კაუნასისა და ბევრი სხვა იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის წევრთა გმირობა.

საბჭოთა ახალგაზრდობა თავდადებით შრომობდა ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში, ყველაფერს აკეთებდნენ ფრონტის შეუფრხებელი უზრუნველყოფისათვის. ომის წლებში მთელი სისრულით გამოვლინდა საბჭოთა ახალგაზრდობის ჭადალი იდეურობა, გმირობა, სიმამაცე და თავდადება. დიდი სამამულო ომის წლებში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საკავშირო აღკვე დაჯილდო-

¹ თეზისები კომკავშირის 40 წლისთავისათვის (1918—1958), ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958 წელი, 14 ოქტომბერი.

ებულ იქნა ლენინის ორდენით. 3,5 მილიონი კომკავშირელი და ახალგაზრდა დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საკავშირო აღკვ 7.000 წევრსა და კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 60 — საბჭოთა კავშირის ორგზის გმირობა. წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლისა და ოდესის კომკავშირული ორგანიზაციები.¹

ქართველი ახალგაზრდობა ყოველთვის იყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საიმედო დასაყრდენი რესპუბლიკის სოციალისტურ გარდაქმნათა გატარებისათვის ბრძოლაში. სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია საკავშირო კომკავშირის მოწინავეთა რიგებში იყო.

საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო ძლიერი გამოვიდა ომიდან. განუზომლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ჩვენი ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეუდგა მშვიდობიან შემოქმედებებს შრომას. მიჰყვებოდნენ რა კომუნისტების მაგალითს, კომკავშირელები ყველგან ავლინებდნენ შემოქმედების ინიციატივასა და თაოსნობას.

1948 წლის 29 ოქტომბერს, თავისი 30 წლისთავის დღეს, ლენინური კომკავშირი საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისა და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნა კომკავშირისა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის საქმიანობა უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით პარტიის მე-20 ყრილობის შემდეგ.

კომუნისტური პარტიის ისეთმა დიდმა ღონისძიებებმა, როგორც არის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, კურსი ქიმიური მრეწველობის ახალი აღმავლობისაკენ, კომკავშირის წინაშე გრანდიოზული სამოქმედო ასპარეზი ვადაშალეს.

¹ თუხისები კომკავშირის 40 წლისთავისათვის (1918 — 1958), ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958 წელი, 14 ოქტომბერი.

პარტიის მოწოდების თანახმად საბჭოთა ახალგაზრდობა კომკავშირული საგზურით ხელში მიემგზავრებოდა ყამირი და ნასვენ მიწების ასათვისებლად. ასევე პატრიოტული ენთუზიაზმით წავიდა ახალგაზრდობა ახალ მშენებლობათა რაიონებში.

ყამირი მიწების ათვისების საქმეში კომკავშირელების ნაყოფიერი საქმიანობისათვის პარტიამ და მთავრობამ საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომკავშირელები, ჩვენი ახალგაზრდობა, იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგვარეშე 21-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ზაზი გაუსვა რა კომკავშირისა და მთელი ახალგაზრდობის უდიდეს როლს კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა:

„კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, რომელიც ჩვენმა პარტიამ დასახა მომავალი შედწლედისათვის, უფართოეს გასაქანს აძლევს ახალგაზრდა თაობის და მისი ავანგარდის — ლენინური კომკავშირის აქტივობას და შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების ზრდას... კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მრეწველობაში, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში, სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის ახალი რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებისათვის ბრძოლაში“.¹

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა, რომელსაც დიდი სკოლა აქვს გავლილი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კვლავაც იქნება ნამდვილი მშენებელი გაშლილი კომუნისტური საზოგადოებისა.

* * *

1941 წლის 22 ივნისის პიტლერული გერმანია იამის გამოცხადებლად, რაიმე პრეტენზიის წამოუყენებლად, ვერავლად თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. საბჭოთა კავშირი ჩაება ომში, რომელიც მისთვის იყო უსასტიკესი და უმძიმესი ყველა ომთან, რომ-

¹ რეზოლუცია სკკ პარტიის 21-ე ყრილობისა, საქართველოს კმ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, 1959 წელი, გვ. 82.

ლებიც ოდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს თავის ისტორიაში“.¹ როცა გერმანელი ფაშისტები ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას იწყებდნენ, ისინი იმედს ამყარებდნენ, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იქნებოდა, ვარაუდობდნენ, რომ პირველი სერიოზული დარტყმისა და საბჭოთა არმიის პირველი წარუმატებლობის შემდეგ დაიწყებოდა კონფლიქტი სსრ კავშირის ხალხებს შორის და ჩვენს ქვეყანა დაიშლებოდა მის შემადგენელ ნაწილებად. ფაშისტები მტყუფდნენ. ომის მკაცრმა გამოცდამ არა თუ გატეხა, არამედ კიდევ უფრო გააყაჟა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, განამტკიცა ხალხთა მეგობრობა; აამაღლა საბჭოთა პატრიოტიზმი.

ომი დაიწყო საბჭოთა ჯარებისათვის არახელსაყრელ პირობებში. პიტლერულ გერმანიას ომის პირველ პერიოდში მთელი რიგი უპირატესობანი ჰქონდა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. ჯერ კიდევ ომამდე გერმანიის 170 დივიზია ფარულად მოყვანილ იქნა საბჭოთა საზღვართან. გერმანიის არმიას იმ დროისათვის ჰქონდა ევროპაში თანამედროვე ომის ორი წლის გამოცდილება. საბჭოთა ჯარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ და არ შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი გამოცდილება. ფაშისტური გერმანიისათვის მუშაობდა არა მარტო გერმანიის, არამედ საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანელების მიერ დაპყრობილი სხვა ქვეყნების მრეწველობა. გარდა ამისა გერმანიას შეეძლო, მთავარი ძალები გამოეყვანა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან მას არ ჰქონდა მეორე ფრონტი ევროპაში.

საბჭოთა ხალხი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში არაერთხელ ჩასწერა გამირობის, ამტანობისა და ოსტატური ბრძოლის ფურცელი, ეხლაც ბტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანდა უძლეველ ძალად.

ომების საკითხის განხილვისას აუცილებლად უნდა იქნას გთვალისწინებული ომის კლასობრივი ხასიათი, თუ რა ისტორიულმა და ისტორიულ-ეკონომიურმა პირობებმა გამოიწვიეს იგი. ვ. ი. ლენინი, როდესაც ომების საკითხს აშუქებს, აკრიტიკებს იმათ, ვინც ომებს გამოყოფს სათანადო მთავრობების, სათანადო კლასების პოლიტიკისაგან. „ომი არის პოლიტიკის განვრცობა სხვა საშუალებ-

¹ ი. ბ. სტალინი, სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლობა წინასაარჩევნო კრებაზე. სახელგამი, 1946 წელი, გვ. 7.

ბით. ყოველი ომი განუყრელად დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ წყობილებასთან, რომლიდანაც ის გამომდინარეობს, სწორედ იმ პოლიტიკას, რომელსაც განსაზღვრული სახელმწიფო, განსაზღვრული კლასი ამ სახელმწიფოს შიგნით ადგა დიდი ხნის განმავლობაში ომის წინ, აუცილებლად და გარდუვალად განაგრძობს სწორედ ეს კლასი ომის დროს, იცვლის რა მხოლოდ მოქმედების ფორმას.¹ ფაშისტური გერმანია ეწეოდა უსამართლო, დამპყრობლურ ავაზაკურ ომს, საბჭოთა ხალხი კი ეწეოდა ყველა სამართლიანი ომებიდან ყველაზე სამართლიან ომს.

საბჭოთა ხალხის მტრის წინააღმდეგ ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია, რომელმაც გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილამთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ომის დროის რთული ამოცანების გადაჭრა, უდიდესი სიძნელების გადალახვა.

საბჭოთა არმიის გამარჯვებანი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ხალხის მხარდაჭერა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ზურგში ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მადარობებში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

ომის წარმატებანი ყოველთვის დამოკიდებულია ზურგის მდგომარეობაზე. მშვიდობიანი ეკონომიკის სწრაფი ვარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე, რომელსაც ომი მოითხოვს, არმიის უზრუნველყოფა საბრძოლო საშუალებებით და მისი შევსება ახალი ძალებით განპირობებულია მემომარი ქვეყნების ზურგის მდგომარეობაზე. ომის წარმატებით წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკას, რომ „არაფერი არაა ისე დამოკიდებული ეკონომიურ წინაპირობებზე, როგორც სწორედ არმია და ფლოტი“.²

ომის საწარმოებლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ზურგის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. ომში გამარჯვება შეუძლებელია, თუ ხალხი არ უზრუნველყოფს არმიის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, „ომი ყოველი ერის მთელი ეკონომიური და ორგანიზაციული ძალების გამოცდაა“.³

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 24, მეოთხე გამოცემა, გვ. 480.

² ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952 წელი, გვ. 197.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, მეოთხე გამოცემა, გვ. 169.

ზურგის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე ეპოქის ომებში. იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ მსოფლიო ომში, რომელსაც ხანგრძლივი ხასიათი აქვს, მონაწილეობას იღებს დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ასეთი მასშტაბის ომებისათვის საკმარისი როდია მხოლოდ კარგად მომზადებული შეიარაღებული არმია. გამარჯვება ან დამარცხება ასეთ ომებში განპირობებულია ხალხთა დამოკიდებულებით ამ ომისადმი. იგი განპირობებულია ეკონომიური პირობებით — მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დონით; ბუნებრივი სიმდიდრის მარაგით, შრომითი რეზერვების ოდენობით. „ომის ნამდვილად საწარმოებლად, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — აუცილებელია მტკიცე, ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან. ეს იმდენად ნათელია, რომ განმარტებას არ საჭიროებს.“¹

ლენინური დებულება სოციალისტური სამშობლოს დაცვის, რევოლუციური არმიის, მტკიცე ზურგის მნიშვნელობის შესახებ ახალი ეტაპია მარქსიზმის განვითარებაში. იგი გამომდინარეობს იმპერიალიზმის ღრმა მეცნიერული ანალიზიდან.

ზურგის სიმტკიცეში, რომელიც წარმოადგენს ომში გამარჯვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვადამწყვეტ ფაქტორს, შედის პოლიტიკა, სოციალ-ეკონომიური წყობილება, სახელმწიფო აპარატი, ხალხის მორალური მდგომარეობა, კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა.

თუ სამამულო ომის პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ შეძლო ფრონტის მომარაგება ყველაფრით, რაც საჭირო იყო მტრის გასანადგურებლად, ეს იმიტომ, რომ თავის ორგანიზაციულ მუშაობაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ეყრდნობოდა ჩვენი გმირი ხალხის შემოქმედებითს ინიციატივას — მუშების, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის დახმარებას, ეყრდნობოდა მტკიცე ზურგს.

„ფრონტისათვის ზურგი პირველი საქმეა, რადგან იგი, და მხო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გამოცემა მეოთხე, გვ. 72 — 73.

ლოდ იგი, ასაზრდოებს ფრონტს არა მარტო ყველა სახის მომარაგებით, არამედ ადამიანითაც — მებრძოლებით, განწყობილებებითა და იდეებით. მერყევი, მით უმეტეს მტრული ზურგი აუცილებლად აქცევს მერყევ და მოღუნებულ მასად საუკეთესო, უაღრესად შემეძიდრობებულ არმიას.¹

საბჭოთა ზურგის სიმტკიცე შედეგი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა, კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკისა. მისი უდიდესი ძალა იმაშია, რომ იგი აგებულია არა ცაფეულ პიროვნებათა სურვილებზე, არამედ საზოგადოების ეკონომიური განვითარების ობიექტური კანონების ცოდნაზე. იგი ამ კანონების მოქმედებას წარმართავს ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. სწორედ ამიტომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, პარტიის პირველი მოწოდებისთანავე საბჭოთა ხალხმა კიდევ უფრო შეამძიდროვა თავისი რიგები კომუნისტური პარტიის გარშემო სოციალისტური სამშობლოს დაცვის წმიდა მოვალეობის შესასრულებლად.

ომმა ახალი ამოცანები დააყენა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

1941 წლის 30 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსკ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის მთელი ძალებისა და საშუალებების სწრაფი მობილიზაციის მიზნით ჩამოყალიბდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი. სამხედრო სამუშაოზე გაიგზავნენ პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. 1941 წლის ოქტომბერში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ფრონტისპირა რაიონებსა და ქალაქებში თავდაცვის კომიტეტების ჩამოყალიბების შესახებ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოკლე დროის მანძილზე შეძლო ფრონტისა და ზურგის ერთ მთლიან ძალად გაერთიანება, საბჭოთა ქვეყნის მთელი ძალების კოორდინირება და ფრონტისა და ზურგის დაწესებულებათა იმგვარი ორგანიზაცია, რომელმაც სსრ კავშირი ერთ საბრძოლო ბანაკად გადააქცია. მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა ვერავი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭო-

¹ ი. ბ. სტლინი, თხზ., ტ. 4, გვ. 353.

თა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი ამოცანები დააკისრა ლენინურ კომკავშირს.

საკავშირო აღკვ ცენტრალურმა კომიტეტმა ომის პირველ დღეს მიიღო დადგენილება ომის პირობებში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, რომელიც მოითხოვდა კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, გაეათკეცებინათ სიფხიზლე, დარაზმულობა და დისციპლინა.

საბჭოთა არმიის რიგებს შეემატა მილიონობით კომკავშირელი. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკისა და ოქჯის კომკავშირული ორგანიზაციები არმიაში, ავიაციასა და ფლოტში გზავნიდნენ თავიანთ საუკეთესო ამხანაგებს.

კომუნისტებთან ერთად კომკავშირელები იბრძოდნენ ფრონტის ყველაზე ძნელ უბნებზე. კომკავშირელები, ახალგაზრდა პატრიოტები, ყველა გვარეობის იარაღის მემორები, არმიელი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, სამშობლოს მტერთან ბრძოლაში გვიჩვენებდნენ თავდადებასა და მასობრივი გმირობის სანიმუშო მაგალითებს.

ასევე აქტიურად შრომობდა კომკავშირელი ახალგაზრდობა ზურგში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და საკოლმეურნეო მიწდვრებზე.

საბჭოთა ზურგის გმირული შრომის შედეგად სოციალისტური ეკონომიკა არა მარტო გაუმკლავდა თითქმის მთელი დასავლეთ ევროპის ეკონომიკას, რომელიც პიტლერელებმა თავიანთი სამხედრო მანქანის სამსახურში ჩააყენეს, არამედ კიდევ გადააჭარბა მას.

ჩვენი ქვეყნის ხალხებმა მტერზე სამხედრო გამარჯვებასთან ერთად მოიპოვეს ეკონომიური გამარჯვება. ამ გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საუკეთესო ფორმაა არა მარტო მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, არამედ ომის დროსაც ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისათვის მტრის გასანადგურებლად.

* * *

ომის დაწყებისთანავე სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ომში ჩაება ქართველი ხალხი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხი ერთსულოვნად გამოხატავდა თავის მრისხანებას აგრესორის წინააღმდეგ და მზადყოფნას სამშობლოს დასაცავად.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა წარმართეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საკავშირო ალკვ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად. ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას კი ისინი ახორციელებდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

სამამულო ომის უკანასკნელ წელს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში არსებობდა 8908 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც 187 345 კომკავშირელს ითვლიდა.

ომის მთელ პერიოდში საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციების მიერ კომკავშირის რიგებში მიღებულ იქნა 137 445-ზე მეტი ახალგაზრდა¹.

სამამულო ომმა გამოიწვია დიდი ცვალებადობა და მოძრაობა კომკავშირული ორგანიზაციების შემადგენლობაში, რის გამოც იყო გარკვეული სიძნელეები აღრიცხვის სწორად დაყენების საქმეში. ამასთან დაკავშირებით საქ. ალკვ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა კომკავშირის წევრთა აღრიცხვის შემოწმება, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკურად განმტკიცების საქმეში; მოწესრიგებულ იქნა კომკავშირელთა აღრიცხვა პირველადს ორგანიზაციებსა და რაიონულ თუ საქალაქო კომიტეტებში.

ომის პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ატარებდნენ კომკავშირული კრებების ხარისხის ამაღლებისათვის.

სამამულო ომის პერიოდში კომკავშირელთა წინაშე დასმული ამოცანების შეგნებამ გაზარდა კომკავშირელთა როლი და პასუხისმგებლობა. ამ პერიოდში მკვეთრად შემცირდა კომკავშირელების მიერ უღისციპლინობისა და სხვა დანაშაულობათა ჩადენის ფაქტები.

იმისათვის, რომ განმტკიცებულყო ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი და უზრუნველყოფილიყო კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კერძოდ ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში, სამამულო ომის პერიოდში შემოღებულ იქნა ყველა დარგის პოლიტგანყოფი-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე 6, 1943 წელი.

ლებების უფროსთა მოადგილეების თანამდებობა კომკავშირის ხაზით. გარდა ამისა, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში შემოღებულ იქნა მდივნების თანამდებობა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის მთავარი, პირველხარისხოვანი ამოცანა ყოველთვის იყო ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის წარმატებისათვის: საქართველოს ახალგაზრდობის კულტურული აღზრდა, მისი იდეურ-თეორიული სწავლების ყოველდღიურ და ყოველმხრივ პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირება წარმოადგენდა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის სიმძიმის ცენტრს.

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე ამხანაგი ლენინი ამბობდა:

„მუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის მწიგნობრული ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერებიდან სრულებით არაფრად არა ღირს, რადგან ის განაგრძობდა ძველებურ გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის, იმ ძველებურ გათიშვას, რომელიც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე საძაგელ თვისებას შეადგენდა“¹.

საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პარტიის ისტორიის შესწავლის ძირითადი მეთოდი გახდა წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა. ახალგაზრდობაში პროპაგანდისტული მუშაობის დაყენების საქმეში დიდ როლს ასრულებდა რაიონულ, საქალაქო კომიტეტებთან და ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მომხსენებელთა და ლექტორთა ჯგუფები.

საქ. ალკც ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ლექტორთა ჯგუფი აერთიანებდა, უმთავრესად, მეცნიერ მუშაკებს. მათ მიერ მარტო 1944 წელს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ჩატარებულ იქნა 245 ლექცია².

ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმეში საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებული პოლიტწრეები.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, მე-4 გამოცემა, გვ. 341.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდონი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს სააგიტაციო მუშაობა.

1942—1943 წლებში საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში 26 ათასზე მეტი კომკავშირელი ეწეოდა სააგიტაციო მუშაობას¹.

სამამულო ომის უკანასკნელი წლისათვის არასრული ცნობებით რესპუბლიკაში უკვე 35 000-მდე აგიტატორი იყო².

* * *

სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებში, საბჭოთა სამშობლოს მიძიე განსაცდელის უამს, შექმნილი ვითარების შესაბამისად კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხს, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს მოქმედების ნათელი პროგრამა მისცა. ომმა გამოცდის წინაშე დააყენა ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა.

სამამულო ომმა მეტად საპატიო და ფრიად პასუხსაგები როლი და ამოცანები დააკისრა ჩვენს მრეწველობასა და ტრანსპორტს. ტრანსპორტის კარგად მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული ფრონტზე წარმატების საქმე, რადგან იგი იყო ზურგისა და ფრონტის მჭიდროდ დამაკავშირებელი არტერია. საკმარისია, ითქვას, რომ სამამულო ომის დაწყებიდან სამი თვის მანძილზე წარმატებით განხორციელდა 1360 მსხვილი საწარმოს გადაადგილება. მარტო საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტმა ამ ეტაპზე უზრუნველყო ერთნახევარი მილიონი ვაგონი საევაკუაციო ტვირთის გადაზიდვა და სხვა.³

საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეიცვალა ჩვენი მრეწველობის სახე. თუ მანამდე იგი ფართო მოხმარების პროდუქციის უშვებდა, ახლა დღის წესრიგში დადგა თავდაცვითი პროდუქციის გამოშვება. ეს იყო მეტად სერიოზული ამოცანა, რომლის სწრაფად გადაჭრას ართულებდა ის მდგომარეობა, რომ ჩვენს წარმოებებს არ ჰქონდათ სპეციალური მოწყობილობანი. ამიტომ ომის დაწყების პირველ ორ თვეს მრეწველობის ძირითადმა დარგებმა ვერ შეძლეს

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 10, 1943 წელი.

² იგივე არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

³ ა. იოსელიანი, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან, 1957 წელი, გვ. 27.

მუშაობის სწრაფად გარდაქმნა საომარი მდგომარეობის შესაბამისად, რის შედეგადაც მოხდა ზოგიერთი წარმოების დონის დაქვეითება ომამდელ დონესთან შედარებით. მაგრამ 1941 წლის სექტემბრიდან მრეწველობის ყველა ძირითადი დარგი უკვე უშვებდა ისეთ პროდუქციას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა არმიის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. მრეწველობის მუშაობა თანდათან გარდაიქმნა საომარ ყაიდაზე.

რესპუბლიკის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნების დიდი ნაწილი გადავიდა სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე. მრეწველობის უზრუნველსაყოფად საჭირო მუშა-ხელით ვატარდა შემდეგი ღონისძიებანი: ფრონტზე წასულები შეცვალეს ქალებმა და ახალგაზრდებმა; წარმოებას დაუბრუნდა პენსიაზე გასული ათასობით დამსახურებული მუშა; ცალკეულ საწარმოებს შორის სპეციალურ დეველებათა შესრულების საქმეში მათი ხვედრითი წონის შესაბამისად მოხდა მუშა-ხელის გადანაწილება.

საბჭოთა პარტიოტებმა ომის პირველი დღეებიდანვე ცხადყვეს, რომ შესწევთ უნარი, მუშაკთა ნაკლები რაოდენობის პირობებში გამოუშვან მეტი პროდუქცია.

შრომის სტახანოვური მეთოდები — მრავალდაზგოსნობა და პროფესიების ათვისება — სულ უფრო და უფრო სწრაფად ვრცელდებოდა.

საქართველოს მშრომელებთან ერთად რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო მიწდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდ შრომითს აღმავლობას იჩენდნენ.

იწყება საწარმოო გეგმების ორასოვანთა და მრავალასოვანთა შესანიშნავი მოძრაობა, ინერგება სოციალისტური შეჯიბრების მრავალი ახალი ფორმა, ყალიბდება საფრონტო ბრიგადები, რკინიგზის ტრანსპორტზე ლუწინური მოძრაობა მასობრივი ხდება.

გაიშალა რა ორასოვანთა მოძრაობა, საქართველოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების გადაჭარბებითა და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

1941 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდა გოგონებმა მოწოდებით მიმართეს ყველა-

კომკავშირელსა და ახალგაზრდას, რომ არასამუშაო საათებში დაუფლებოდნენ ზეინკლის, ხარატის, მდარავის, მქსოველის, ელექტრომონტიორისა და სხვა სპეციალობას და შეეცვალათ ფრონტზე წასული მამაკაცები, უზრუნველყყო წარმოება მუშა-ხელით.

ორასოვანთა პირველი თათბირი 1941 წლის სექტემბერში შედგა სტალინის სახელობის თბილისის ორქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რომელმაც მიიღო მიმართვა საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშის; მუშა ქალისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისადმი¹.

აღნიშნულ მიმართვას ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშა.

დასახელებულ ქარხანაში გეგმიურ სამუშაოზე მომუშავე 120 კომკავშირელიდან გეგმას ყველა ასრულებდა 200 და მეტი პროცენტით. კომკავშირელი შემდუღებელი ნ. დემეტრაშვილი და ზეინკალი მ. ცხვედაძე ყოველდღიურად გეგმას 450—500 პროცენტით ასრულებდნენ, ხოლო კომკავშირელი ქალიშვილი ხარატი შ. სევასტიანოვა — 300—350 პროცენტით².

1941 წლისათვის თბილისის სტალინის სახელობის რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში გეგმიურ სამუშაოზე მომუშავე 876 კომკავშირელიდან 831 სტახანოველი იყო.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დაზვავებ მომუშავე 61 კომკავშირელიდან 23 ორასოვანი იყო, 19 კი — სტახანოველი.

ომის დაწყების პირველ წელს თბილისის კომკავშირის ორგანიზაციამ დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებს ფრონტზე წასული მუშების შესაცვებად 25 000-ზე მეტი ახალგაზრდა მისცა.³

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების კვალდაკვალ მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის, ქ. ქუთაისის, კომკავშირელები და ახალგაზრდები.

ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა და ტრანსპორტზე მომუშავე 2 300 კომკავშირელიდან 747 სტახანოველი იყო, 223 — ორასოვანი, 88 — სამასოვანი, 18 — ზუთასოვანი და ერთი — ათასოვანი.

¹ გაზეთ „კომუნისტი“, 1941 წელი, 13 სექტემბერი.

² ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს კომკავშირი დიდი სამამულო ომის პერიოდში, 1958 წელი, გვ. 194.

³ მკრქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 26, საქმე № 6, 1942 წელი.

ლიტოპონის ქარხნის სამექანიკო საამქროს ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ლეჟავა ხელმძღვანელობდა, სპეციალური დავალება 34 საათის განუწყვეტელი მუშაობით შეასრულა.

აბრეშუმკომბინატში მომუშავე 900 ახალგაზრდიდან უმრავლესობა გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა. ამავე კომბინატის სამექანიკო საამქროს ხარატმა ამხ. ჩიქვინიძემ თავისი პატრიოტული შრომით სახელი გაითქვა მთელს ქალაქში. მან გეგმა 1000 პროცენტით გააძლიერა. ასევე კარგ მაჩვენებლებს იძლეოდნენ სამკერვალო ფაბრიკის, საკონსერვო ქარხნის, ტყავფეხსაცმლის კომბინატისა და სხვა ფაბრიკებისა და ქარხნების კომკავშირელები.¹

შრომის მაღალი ნაყოფიერებით ისახელეს თავი ტყიბულის ქვანახშირის მადარობის კომკავშირელებმა. ორასოვანთა რიგებში ჩადგნენ კომკავშირელები: დახუნდარიძე, ფანჩულიძე, ბოჭორიშვილი, ცნობილაძე და სხვები.

ისე როგორც მთელი ახალგაზრდობის, ქართველი კომკავშირელების პატრიოტიზმმა თავისი გამოხატულება პოვა ახალგაზრდობის ფრონტული ბრიგადების შექმნაში. პირველი ასეთი ბრიგადა აღმოცენდა ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში.

შემოქმედებითი გაბედულება შრომაში, ორგანიზებულობა და დისციპლინა, მუდმივი სწრაფვა საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ, ამხანაგური ურთიერთდახმარება, — აი, რა უზრუნველყოფდა ფრონტული ბრიგადების წარმატებას.

თუ 1943 წელს რესპუბლიკაში 339 ახალგაზრდული ბრიგადა იყო, 1944 წელს მათმა რიცხვმა 925-ს მიაღწია; მათ შორის 351 ფრონტული ბრიგადის საპატიო სახელს ატარებდა. აღნიშნულ ბრიგადებში 4 912 ახალგაზრდა მუშაობდა.²

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი პრაქტიკულად ეხმარებოდა რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა და ტრანსპორტს ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადების შექმნასა და ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. რის შედეგადაც მიღწეულ იქნა ახალგაზრდულ-ფრონტული ბრიგა-

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე 6, 1942 წელი.

2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე 5, 1945 წელი.

დების მიერ საწარმოო გეგმების შესრულების მაღალი მაჩვენებლები.

კომკავშირული ორგანიზაციები ორგანიზებულად ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს. საწარმოს ხელმძღვანელებთან ერთად კომკავშირული ორგანიზაციები წარმოებაში მოსულ ახალგაზრდა მუშებს აბამდნენ საწარმოო-ტექნიკურ სწავლებაში, რათა ისინი თავიდანვე დაუფლებოდნენ ტექნიკურ ცოდნას.

სულ რესპუბლიკაში 1943 და 1944 წლებში საწარმოო ტექნიკური სწავლება ტექმინიმუმის წრეებში, სტახანოვურ სკოლებში და ინდივიდუალური მეთოდით გაიარა 16 ათასმა ახალგაზრდამ, ხოლო თანრიგი აიმაღლა 1943 წელს 4 044-მა და 1944 წელს 60 070 ახალგაზრდა მუშამ; 1945 წელს კი სწავლებაში ჩაბმული იყო 10 ათასი მუშა.¹

ლენინური კომკავშირის 25 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ამასთან დაკავშირებით 1943 წლის აგვისტოში ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართეს საქართველოს ახალგაზრდობას, გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება.

აღებული ვალდებულება ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს.

თბილისის ლენინის რაიონის საწარმოებში 1944 წელს 60 ფრონტული და 84 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობდა. თბილისის საორთქლმავლო დეპოში ამ პერიოდში თავისი კარგი მუშაობით გამოირჩეოდა კომკავშირელი მ. ბარნაბიშვილი. იგი საგარეცხო სამუშაოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი იყო. 1943 წლის სექტემბერში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლების შეჯამების შედეგად გზათა სახალხო კომისარიატისაგან მათ „საუკეთესო კომპლექსური ბრიგადის“ სახელწოდება დაიმსახურეს. ასევე კარგად მუშაობდნენ ფრონტული და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები კიროვის სახელობის დაზღვათმშენებელ ქარხანაში, ავტოსარემონტო და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხნებში.²

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ბრძანების საფუძ-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე 5, 1945 წელი.

² გაზეთი „კომუნისტი“, 1944 წელი, 5 აპრილი.

ველზე ჰიათურის მარგანეცის მალაროებში 1944 წლის მარტის პირველ ნახევარში 10 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა შეიქმნა. ბრიგადებში მალაღნაყოფიერი მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდნენ.¹

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ახალგაზრდა მალაროელებმა საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის განსაკუთრებული ფონდისათვის გეგმის გადამეტებით მოანგრირეს 2 ათასი ტონა ქვანახშირი.

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა ნაისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში. ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ სპეციალური დაკვეთა 15 დღით ადრე შეასრულეს და ქვეყანასა და ფრონტს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით ტონა ნავთობის პროდუქცია.²

ქ. ქუთაისში ყოველდღიურად იზრდებოდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების რიცხვი. 1943 წლის პირველი იანვრისათვის საწარმოებსა და ტრანსპორტზე მხოლოდ 2 ახალგაზრდული ბრიგადა იყო; ომის უკანასკნელ წელს კი უკვე 40-მდე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა შეიქმნა, რომელშიც 351 ახალგაზრდა მუშაობდა.

ტყაფფეხსაცმლის კომბინატის ფრონტულ ბრიგადას, რომელსაც კომკავშირელი დ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობდა, 1944 წელს საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკაში პირველი ადგილის მოპოვებისათვის გადაეცა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა.³

1944 წელს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოებში მომუშავე ფრონტული და ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადების ხელმძღვანელთა თათბირი, რომლის მონაწილეებმა აიღეს ვალდებულებები, რათა ახალი ძალით გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება.

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. საფეიქრო და მსუ-

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1944 წელი, 5 აპრილი.

² ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს კომკავშირი დიდი სამამულო ომის პერიოდში, სახელგამი, 1958 წ., გვ. 201.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 3, 1945 წელი.

ბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მოიწონა საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის კომკავშირული და ფრონტული ბრიგადების ხელმძღვანელთა პირველი რესპუბლიკური თათბირის მიმართვა საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა ახალგაზრდობისადმი სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ.

სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადებისათვის დაწესებული იყო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატების გარდამავალი წითელი დროშა.

ბრიგადების მუშაობის შედეგები მოწმდებოდა კვარტალების მიხედვით. შედეგების შემოწმებისათვის შექმნილი იყო კომისია საქ. ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და აღნიშნული მრეწველობის სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელი მუშაკებისაგან.

ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. აღნიშნული მრეწველობის ცალკეულ საწარმოებში თვიური და კვარტალური გეგმები დიდი გადაჭარბებით სრულდებოდა.

კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1944 წლის 12 აგვისტოსათვის შეაჯამა საფეიქრო მრეწველობის ახალგაზრდული ბრიგადების სოცშეჯიბრების შედეგები. რესპუბლიკაში სულ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 24 ახალგაზრდული ბრიგადა. ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი მიეკუთვნა თბილისის მაუდის ფაბრიკის კამვოლის სართავი საამქროს ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც გადაეცა საქ. ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. მეორე ადგილი მიეკუთვნა ქ. ქუთაისის აბრეშუმკომბინატის საგრეხი საამქროს ახალგაზრდულ ბრიგადას¹.

ჟიურის გადაწყვეტილებით მსუბუქი მრეწველობის ახალგაზრდული ბრიგადებიდან სოცშეჯიბრებაში, რომელშიაც ჩაბმული იყო 56 ბრიგადა, გამარჯვებული გამოვიდა და პირველი ადგილი მიენიჭა თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის № 1 ბრიგადას, რომელსაც გადაეცა საქ. ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. მეო-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 16, 1944 წელი.

რე ადგილი მიეკუთვნა № 1 სამკერვალო ფაბრიკის № 1 ბრიგადას¹.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადების სოცეზიბრების შედეგების მიხედვით 1944 წლის მეოთხე კვარტალში რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდა ქ. ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის ფრონტული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი დ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობდა².

საბჭოთა არმიის 26 წლისთავთან და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 23 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა მოწოდებით მიმართეს ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით—„მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად“ და სამშობლოსათვის მიეცათ მეტი თავდაცვითი პროდუქცია. კიროველთა მოწოდების შედეგად სადღესასწაულო დღისათვის საქართველოს ახალგაზრდობამ ქვეყანას ორი თვის განმავლობაში გეგმის ზევით მისცა 15 მილიონ მანეთზე მეტი თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქცია³.

კომკავშირულ-ახალგაზრდულმა და ფრონტულმა ბრიგადებმა კიდევ უფრო გაზარდეს შრომის ნაყოფიერება საქართველოს კომკავშირის მე-16 ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით.

ომის წლებში ჩვენმა ტრანსპორტმა წარმატებით გაართვა თავი სამხედრო გადაზიდვათა და აგრეთვე სახალხო მეურნეობისათვის ტვირთის გადაზიდვათა უზრუნველყოფის ძნელ ამოცანას.

ამაში,—ი. ბ. სტალინის განსაზღვრით,—„ჩვენ უნდა ესცნოთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი ტრანსპორტელი მუშებისა და მოსამსახურეების დამსახურება“⁴.

საქართველოს რკინიგზის ათასობით მუშაკს — მატარებლის მე-მანქანეებს, გამყოლებსა და სხვებს, ხშირად ცეცხლის ხაზზე და მტრის თვითმფრინავთა ცეცხლის ქვეშ გადაჰყავდათ ჯარები, არმიისათვის ეზიდებოდნენ საჭურველს, სურსათსა და ხშირად ძნელ პი-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 6, 1944 წელი.

² იგივე არქივი, ფონდი 96, საქმე № 18, 1945 წელი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

⁴ ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, სახელგამი, 1955 წელი, გვ. 111.

რობებში ორთქლმავლებიდან არ ჩამოდიოდნენ 60—70 საათის განმავლობაში.

საქართველოს რკინიგზის საწარმოთა კომუნისტური მუშები საბჭოთა სამშობლოსადმი თავიანთი თავდადებით აღაფრთოვანებდნენ ახალგაზრდა ცვლას, კომკავშირელებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

თბილისის ლენინის სახელობის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ რკინიგზის საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე 321 მოწინავე კომკავშირელი მალაღ საწარმოო მაჩვენებლებთან კარგად ათავსებდა საავტომატო მუშაობას.¹

აღსანიშნავია, რომ სამამულო ომის პერიოდში ქალთა შრომა რკინიგზაზე დიდ ძალად იქცა; ახალგაზრდა კომკავშირელმა ქალებმა წარმატებით შეცვალეს რკინიგზის მეურნეობიდან ფრონტზე წასული მამაკაცები.

კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის დარაზმების საქმეში კარგ შედეგებს აღწევდა ამიერკავკასიის რკინიგზის კომკავშირის სამტრედიის პოლიტგანყოფილება. განყოფილება აერთიანებდა 83 პირველად კომკავშირულ ორგანიზაციას კომკავშირის 1903 წევრით. გეგმიურ სამუშაოზე მყოფი კომკავშირელები ჩაბმული იყვნენ სოც-შეჯიბრებაში, რომელთა უმრავლესობა გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა.²

საქართველოდან დიდი სამამულო ომის ფრონტებზე წარგზავნილი რკინიგზელი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, თავდადებით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და აქტიურად მონაწილეობდნენ საფრონტო გზების მშენებლობაში, დანგრეული ხიდების აგებაში. ზოგმა მათგანმა იქ საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებაც დაიმსახურა.

სამამულო ომის პერიოდში სახალხო მეურნეობის გადამწყვეტი დარგებისათვის კადრების მომზადებაში, რომელზეც დამოკიდებული იყო ჩვენი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიური ძლიერება, დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის სკოლებმა და სასწავლებლებმა, რომლებსაც სამამულო ომის დაწყებისათვის მხოლოდ რამდენიმე თვის ისტორია ჰქონდა.

¹ ა. იოსელიანი, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან, 1957 წელი, გვ. 37.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდო 96, საქმე № 12, 1943 წელი.

ჩვენი ქვეყნის შრომითი რაზმრეზების სისტემა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2 ოქტომბრის ბრძანებულებით შეიქმნა, გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, იმით, რომ ჩვენი სამშობლოს სწრაფი წინსვლა მოითხოვდა კვალიფიციური მუშახელით სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების გეგმიან შევსებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქისა და სოფლის შრომელი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს საშუალება მისცემოდა, მიეღო ტექნიკური ცოდნა. ცხოვრებამ ნათელყო სახელმწიფო შრომითი რეზერვების დადებითი გავლენა ქვეყნის სახალხო მეურნეობაზე.

პარტიამ და ხელისუფლებამ ყოველგვარი პირობები შექმნეს ამ ახალი სასწავლებლების ნაყოფიერი მუშაობისათვის.

განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობდა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება და წარმოებისათვის მათი გადაცემა ომის წლებში, როცა მრავალი კადრის მუშა გაემგზავრა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად და საჭირო გახდა მათი ახალი კადრით შეცვლა. წასულთა ადგილებს მნიშვნელოვან წილად სარეზერვო სასწავლებელთა მოსწავლეები იჭერდნენ.

ომის მთელ მანძილზე საქართველოში ამ სასწავლებელთა რაოდენობა იყო: 1941 წელს — 20, 1942 წელს — 29, 1943 წელს — 25, 1944 წელს — 26, 1945 წელს — 25.¹

1941—45 წლებში საქართველოს სარეზერვო სასწავლებლების მიერ მომზადებული იქნა 26.740 სპეციალისტი.²

ამავე პერიოდში საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა და სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა მოსწავლეების მიერ გამოშვებულ იქნა 17.724,4 მანეთის საწარმოო პროდუქცია.³

შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლებისა და სკოლების დიდი უმრავლესობა კომკავშირული ახალგაზრდობა იყო.

ამიტომ იყო, რომ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიან და მათ ინიციატივიან მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმე.

¹ ცნობა, გაცემული საქართველოს შრომითი რეზერვების სამმართველოს მიერ 1958 წლის 5 ივლისს.

² ცნობა, გაცემული საქართველოს შრომითი რეზერვების სამმართველოს მიერ, 1958 წლის 5 ივლისს.

³ ცნობა, გაცემული საქართველოს შრომითი რეზერვების სამმართველოს მიერ 1958 წლის 5 ივლისს.

ომის დღეებში მრავალმა სკოლამ და სასწავლებელმა ისახელათ თავი როგორც კადრების მომზადების დარგში, ისე ახალი სახის პროდუქციის ათვისებასა და გამოშვებაში.

თბილისის № 11 სახელოსნო სასწავლებელმა 1942 წლის ივლისში სპეციალური დაკვეთით გამოუშვა ორი მილიონი მანეთის პროდუქცია. № 5 სახელოსნო სასწავლებელმა ათვისა ტრაქტორებისა და კომბაინების დეტალების წარმოება და ომის მთელ პერიოდში უშვებდა მასიურად.¹

ზესტაფონის მე-9 სახელოსნო სასწავლებელს, რომელიც ფეროშენადასთან ქარხნის ბაზაზე არსებობდა, 1944 წლის მეორე კვარტალში 1.081.000 მანეთის პროდუქცია მისცა ქვეყანას და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მესამე ადგილი დაიჭირა საბჭოთა კავშირში. ამასთანავე მან მიიღო ჯილდო 25 ათამანეთის რაოდენობით. იმავე წელს თბილისის რკინიგზის მეორე სასწავლებელმა სახელოსნო სასწავლებელთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და მიიღო საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, თანაც პრემია 10 ათასი მანეთი.²

რესპუბლიკის შრომითი რეზერვების სისტემის სკოლებიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობისათვის სპეციალურად იგზავნებოდა მოსწავლეთა ბრიგადები მტს-ებში სამუშაოდ, რომლებიც აწარმოებდნენ ტრაქტორებისა და კომბაინების შეკეთებას. ასეთი ბრიგადები მუშაობდნენ ყვარლის, თელავის და სხვა რაიონებში.³

ფართოდ გაიშალა რა მუშაობა გერმანელი ოკუპანტებისაგან დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენისათვის, აქაც ფასდაუდებელი მუშაობა იქნა გაწეული სახელმწიფო შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეების მიერ. აღნიშნულ დიად საქმეში საქართველოს სკოლის მოსწავლეებიც აქტიურად მუშაობდნენ. 1943 წლის ოქტომბერში ენაიკევოს მეტალურგიული ქარხნის აღდგენაში მონაწილეობის მისაღებად გაიგ-

¹ საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს არქივი, საქმე № 11, 1943 წელი.

² გაზეთი „კომუნისტი“, 1944 წელი, 3 ოქტომბერი.

³ საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს არქივი, საქმე № 11, 1943 წელი.

ზავნა ჯგუფი 258 მოსწავლის რაოდენობით. ეს ჯგუფი ენაიკეგოში ცნობილი იყო საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს თბილისის ახალგაზრდობის მე-9 რაზმის სახელწოდებით. რაზმი მეომრული თავდადებით შრომობდა მეტალურგიული ქარხნის აღსადგენად და საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ. 1943 წლის დეკემბრის გეგმა მათ 224,9 პროცენტით შეასრულეს, რითაც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს და 100 ათასი მანეთის ფულადი პრემია მიიღეს.¹

შრომითი რეზერვების მომზადების საბჭოთა სისტემამ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება დიდი სამამულო ომის დღეებში. მან ათეული ათასობით კვალიფიციური მუშა მისცა ჩვენს მრეწველობასა და ტრანსპორტს. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების მოსწავლეებმა ასახელეს თავიანთი სკოლები: ისინი შეიქმნენ კვალიფიციური მუშები, თავიანთი საქმის ოსტატები.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს სოციალისტურ მრეწველობასა და ტრანსპორტზე მომუშავე კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დაეჩქარებინათ მტერზე, ფაშისტურ გერმანიაზე, გამარჯვება.

ჩვენი მრეწველობის განვითარება ომის უმძიმეს პირობებში საფუძველს გვაძლევს, აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად დიდი ზარალისა, რომელიც განიცადა საბჭოთა ეკონომიკამ და განსაკუთრებით მრეწველობამ ომის წლებში, მტერმა ვერ შეძლო, მოესპო სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრია.

ომის უკანასკნელ წლებში საბჭოთა ქვეყნის სამხედრო მრეწველობა დიდი აღმავლობით ხასიათდებოდა, ფაშისტური გერმანიის მრეწველობა კი კატასტროფისაკენ მიექანებოდა.

* * *

სამომარბე პირობებში როგორც მრეწველობისა და ტრანსპორტის, ასევე სოფლის მეურნეობის წინაშე უდიდესი ამოცანები დააყენა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით საბჭოთა მეურნეობებთან და მტს-ებთან შეიქმნა პოლიტიკანყოფილებები. ომის პირველი დღეებიდანვე კომუნის-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1955 წელი, 2 ოქტომბერი.

ტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ღონისძიებანი გატარდა მუშათა და გლეხთა, ქალაქებისა და სოფლის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იქნა გატარებული რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნისათვის.

იმავეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენების საკითხებს, სოფლის ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდის ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში, სურსათითა და ნედლეულით ფრონტისა და შურგის დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს სოფლის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ, ისე როგორც მთელმა ქართველმა ხალხმა, სამამულო ომის პერიოდში პლანტაციებსა და მიწდვრებში, ფერმებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში თავდადებული შრომით ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, სამშობლოსადმი.

კომკავშირმა ბევრგან, მართლა, ითამაშა წარმმართველი როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში, მხარში ამოუდგა კოლმეურნეობის გამგეობას მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდასაქმნელად, მაგრამ იმის გამო, რომ ომის გამოცხადებისთანავე კომკავშირელთა დიდი უმრავლესობა იარაღით ხელში აღსდგა მტრის გასანადგურებლად, სოფლად ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია დაიშალა, მკვეთრად შემცირდა კომკავშირელთა რიგები.

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1942 წლის მარტში მიიღო გადაწყვეტილება დაშლილი და ლიკვიდირებული საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების უახლოეს პერიოდში აღდგენის შესახებ, რათა ყველა კოლმეურნეობასთან ყოფილიყო კომკავშირის პირველადი ორგანიზაცია. ამ პერიოდში რესპუბლიკის 4.242 კოლმეურნეობიდან კომკავშირული ორგანიზაცია შექმნილი იყო 3.645 კოლმეურნეობასთან.¹

¹ პარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდ № 56, საქმე № 7, 1942 წელი.

ამ მხრივ, გაწეული იქნა დიდი მუშაობა. სამამულო ოპის პერიოდში საკოლმეურნეო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავის რიგებში მიიღეს 31.218 მოწინავე ახალგაზრდა. ახლად შეიქმნა კომკავშირული ორგანიზაციები 150 კოლმეურნეობასთან.¹ კომკავშირული ორგანიზაციების ზრდამ განაპირობა სოფლის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შრომითი აქტივობა ოპის პერიოდში. ისინი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ კოლმეურნეებს. საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშა-მოსამსახურეებს უზვი მოსავლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

გამოეხმარნენ რა სტალინგრადის ოლქის ილოვლისკის მტს-ის კომკავშირელთა ინიციატივას, საქართველოს სოფლის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ოპის პერიოდში დიდი მუშაობა გასწიეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაციონალურად გამოყენებისათვის. შეიქმნა სპეციალური კურსები მექანიზატორთა მოსამზადებლად, სადაც მომზადდა 900 ტრაქტორისტი და 125 კომბაინერი.² გაიშალა მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილების შეგროვებისა და საკუთარი ძალებით დამზადებისათვის.

კომკავშირის სასოფლო რაიკომებთან შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებმაც უნარიანად წარმართეს ადგილებზე ამ მიზნით შექმნილი ბრიგადების მუშაობა. 1942—43 წლებში მინდვრის სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაკეთებლად რესპუბლიკაში შექმნილი იყო ორი ათასზე მეტი ახალგაზრდული ბრიგადა, რომლებიც 12 ათას ახალგაზრდას აერთიანებდა. მარტო 1942 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში ახალგაზრდობის ძალებით შეგროვებულ იქნა მანქანა-იარაღების 105 287 მანეთის სათადარიგო ნაწილები, დიდძალი ლითონი.³

მტს-ების საქმიანობაში სამამულო ოპის პერიოდში დიდი ადგილი დაიკავეს ქალებმა. 1941 წლის ბოლოს და 1942 წლის დასაწყისში რესპუბლიკაში ტრაქტორისტად მომზადებულ იქნა 1.600 ქა-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდ 96, საქმე № 3, 1945 წელი.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდ 96, საქმე № 9, 1941 წელი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდ 96, საქმე № 14, 1942 წელი.

ლი; ასობით ქალმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური კურსები. ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რესპუბლიკის 1200-მდე მექანიზატორი ქალი, რომელთა დიდი უმეტესობა კომკავშირელი და ახალგაზრდა იყო, დღითი დღე ადიდებდა გამომუშავების მაჩვენებლებს, უნარიანად იყენებდა ტექნიკას.

საგარეჯოს მტს-ში ტრაქტორისტმა ქალებმა სპეციალური ბრიგადა შექმნეს. მოწინავეთა შორის იყვნენ კომკავშირელი ტრაქტორისტები: მ. ჭიაურელი და მ. ხითარიშვილი, რომლებიც გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 120—150 პროცენტით ასრულებდნენ და ყოველდღიურად ათობით კილოგრამ საწვავს ზოგავდნენ.¹

რესპუბლიკის მტს-ებთან შექმნილი იყო კომკავშირული საგუნდოები, რომლებიც ომის მთელ პერიოდში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საწვავის რაციონალურად გამოყენებისათვის.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტი თავის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე, აგრეთვე რესპუბლიკურ თათბირებსა და ზონალურ შეკრებებზე პერიოდულად იხილავდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში სოფლის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მონაწილეობის კონკრეტულ საკითხებს და ფართო მუშაობას აჩაღებდა გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, რასაც ყოველთვის და ყველგან თან სდევდა სოფლის მშრომელთა აქტივობის ზრდა.

1942 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის და მაღალი შრომის ნაყოფიერების მოპოვებისათვის გორის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას გადაეცა საკავშირო ალკვ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო გურჯაანის რაიონის სოფელ შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოიპოვა საკავშირო ალკვ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი. ამ წელს მარტო საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში მონაწილეობდა 43 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი.

გმირი მეომრების მიერ ფრონტზე მოპოვებული დიადი გამარჯ-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 20, 1942 წელი.

ეგებები აღატოთოვანებდა ზურგის მშრომელებს. საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალგაზრდობის ინიციატივით გაჩაღდა ლაშქრობა 1943 წლის უხვი მოსავლის მისაღებად. ამ ლაშქრობაში ჩაება 3.560 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც 98.700 კომკავშირულს აერთიანებდა. რესპუბლიკაში შეიქმნა უხვი მოსავლის 19.950 ბრიგადა და რგოლი. კარგად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება აფხაზეთის, აჭარის, გურჯაანის, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, წულუკიძის, ლანჩხუთის, ცხაპაის და წყალტუბოს კომკავშირულ ორგანიზაციებში. რესპუბლიკის 56 რაიონის კოლმეურნეობებში გაზაფხულზე მინდვრად გატანილ იქნა 850 ათასი ურემი ნაკელი და 100 ათასი ვედრო ნაცარი. ახალგაზრდებმა ფრონტელთა ოჯახებს დაუთესეს 2 836 ჰექტარი მიწა¹.

კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა დიდი მუშაობა გასწიეს თესლის შესაგროვებლად, ცოცხალი გამწევი ძალისა და პროდუქტიული პირუტყვის მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად.

კომკავშირულ-ახალგაზრდულმა სარემონტო ბრიგადებმა და ცალკეულმა ახალგაზრდებმა შეაკეთეს 1.065 ცალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი და ინვენტარი.

1943 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკაში მარტო ხენა-თესვაზე მუშაობდა 20 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა მეხრე და გუთნის დედა. 642 ახალგაზრდა ტრაქტორისტმა მოხნა 47 ათასი ჰექტარი და დაზოგა 37.796 კილოგრამი საწვავ-საცხები.²

მთელი წლის განმავლობაში ენერგიულად შრომობდნენ კოლმეურნე ახალგაზრდები და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. წალენჯიხისა და გურჯაანის რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებს 1943 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის გადაეცათ საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშები, ხოლო კომკავშირის გორის რაიონული ორგანიზაცია დაჯილდოებული იქნა საკავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით. აგრეთვე საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 8, 1943 წელი.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 7, 1943 წელი.

დაჯილდოებულ იქნენ რაიონები და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ახალგაზრდული ბრიგადები, რგოლები და ცალკეული კომკავშირელები და ახალგაზრდები.¹

1944 წელს სასოფლო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-12 პლენუმის გადაწყვეტილება.

1944 წელს უხვი მოსავლის მიღების მიზნით საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის, ტულის, კალინინის ოლქებისა და ალტაის მხარის ტრაქტორისტთა წინადადებას საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ, მხარი დაუჭირეს აგრეთვე ნოვოსიბირსკისა და რიაზანის ოლქების, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის ახალგაზრდა კოლმეურნეთა წინადადებას — მაღალი მოსავლისათვის ახალგაზრდათა რგოლების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

1944 წლისათვის რესპუბლიკაში შეიქმნა მაღალი მოსავლის ახალგაზრდული 2.513 ბრიგადა და რგოლი, რომლებიც აერთიანებდა 33,790 ახალგაზრდას.²

1944 წლის 20 თებერვალს გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის ახალგაზრდობის კრებამ მოწოდებით მიმართა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების სოფლის მეურნეობის ყველა ახალგაზრდას — „უბრთოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება 1944 წელს საკოლმეურნეო მინდვრებში უხვი მოსავლის მისაღებად“.

ასეთივე მოწოდებით მიმართა მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობამ დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის კომკავშირელებსა და კავშირგარეშე ახალგაზრდობას. მსგავსი მოწოდებით მიმართა მეჩაიე რაიონების ახალგაზრდობას ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობამ.

როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი მოსავლის მიღებით 1944 წელს მრავალმა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ, მრავალმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, ბრი-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 15, 1944 წელი.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 13, 1944 წელი.

გადამ და რგოლმა გაითქვა სახელი. კომკავშირელმა ნ. კაკაბაძემ (აჭარის ასსრ) სეზონზე 18.185 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა; წნორის მტს-ის ტრაქტორისტმა კომკავშირელმა მ. ზედელაშვილმა წლიური გეგმა 443 პროცენტით შეასრულა და 2,315 კილოგრამი საწვავი დაზოგა.¹

1944 წელს სასოფლო კომკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილი იყო 1.464 აგროტექნიკური წრე, რომელშიაც აგროტექნიკური ცოდნა აიმაღლა 16.350 კაცმა. იმავე წელს უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იქნა ტრაქტორისტთა 105 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და 726 ტრაქტორისტი.²

საქართველოს სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით 1945 წელს ახალი ძალით უზრუნველყო მთელი ახალგაზრდობის ენერგიული მუშაობა. ახალგაზრდობის ძალებით გაზაფხულზე შეგროვებულ იქნა და საკოლმეურნეო მინდვრებში გაიტანეს 350 ათას ტონაზე მეტი ადგილობრივი სასუქი. შეიქმნა და წარმატებით მუშაობდა 3 500-ზე მეტი ახალგაზრდული გუთნეული და 55 ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადა.³ ამ წელს რესპუბლიკაში საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებულ იქნა გადაჭარბებით: ნაცვლად 522.500 ჰექტარისა დაითესა 523.098 ჰექტარი. ამ გაზაფხულზე სოფლად შეიქმნა მაღალი მოსავლის 3 ათასამდე ახალგაზრდული რგოლი და ბრიგადა.⁴

ამ მოკლე მონაცემებიდან ნათლად ჩანს საქართველოს სოფლის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის უსაზღვრო თავდადება სამამულო ომის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულითა და სურსათით ფრონტისა და მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 18, 1944 წელი.

³ იგივე არქივი, ფონდი 96, საქმე № 17, 1945 წელი.

⁴ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 17, 1945 წელი.

* * *

სამამულო ომის პირობებში ჩვენი სკოლებისა და მასწავლებლების წინაშე ახალი ამოცანები წამოიჭრა. სკოლასა და მასწავლებლობას ევალებოდა, შექმნილ პირობებთან დაკავშირებით მეცადინეობის ორსა და სამ ცვლაზე გადასვლის მიუხედავად ეწარმოებინათ ნორმალური მუშაობა, არ შეენელებინათ ბრძოლა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატებისათვის, აღეზარდათ ახალგაზრდობა, შეგნებული დისციპლინის მქონე, განათლებული, სამშობლოსადმი თავდადებული მოქალაქე. ეს ამოცანები ზუსტად იყო ჩამოყალიბებული საქ. აღკვ ცენტრალური კომიტეტის მე-12 პლენუმისა და საქ. აღკვ ცენტრალური კომიტეტის მე-11 პლენუმის გადაწყვეტილებებში.

ომით გამოწვეული სიძნელების მიუხედავად 1943 წ. აგვისტოში მიღებულ იქნა დადგენილება მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ხელფასის თითქმის ერთიორად გადიდების შესახებ; გაუმჯობესდა მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობები და მატერიალური მდგომარეობა. მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის დიდი რაოდენობით გამოიყო სამრეწველო საქონელი და სურსათ-სანოვაგე; გაიზარდა წიგნებით, რვეულებით, ფანქრებით, კალმეებით და სხვა სასწავლო ნივთებით სკოლების მომარაგება. საქართველოს სსრ სასკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყოველწლიურად დიდ თანხას ყოფდა სკოლების შენობებისა და ინვენტარის რემონტისათვის.

სამამულო ომის პერიოდში პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განზორციელების საქმეს.

სასკოლო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შედეგად 1943—44 სასწავლო წლის განმავლობაში ომის წინა ორ წელთან შედარებით სკოლაში ბავშვთა ჩაბმის საქმეში საგრძნობი მიღწევები იყო მოპოვებული. 1943—44 სასწავლო წელს მთლიანად რესპუბლიკაში სწავლობდა 580.000-მდე ბავშვი.¹

1944—45 სასწავლო წელს რესპუბლიკის ყველა სკოლაში წინა წელთან შედარებით გაერთიანებული იყო 30 ათასით მეტი მოსწავლე.²

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1944 წელი, 11 ივლისი.

² პარქისიმ-ლენინის ომის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 3, 1945 წელი.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების შემოღებით, პარტიისა და მთავრობის მიერ ომის დროს მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებით ახალი ეტაპი დაიწყო სკოლის განვითარებაში. სკოლის სააღმზრდელო როლის გაზრდაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „მოსწავლეთა წესების“ შემოღებას.

სამამულო ომის პერიოდში განათლების სისტემაში წარმოიშვა ორი ახალი ტიპის სკოლა: სოფლისა და მუშა-ახალგაზრდობის სკოლები.

სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდა რესპუბლიკის სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები. ამ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ომის პერიოდში 1941 წლიდან 1945 წლის თებერვლამდე კომკავშირის რიგებში მიღებულ იქნა 23.224 მოსწავლე. 1989 არასრული და სრული საშუალო სკოლებიდან 1603 სკოლასთან შექმნილი იყო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები.¹

ომის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში სახალხო განათლებას ემსახურებოდა 31 945 მასწავლებელი, მათ შორის 12 433 კომკავშირელი იყო.²

სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო აქტიური გახდა კომკავშირის ხელმძღვანელობა პიონერთა ორგანიზაციებისადმი. საქართველოს პიონერთა ორგანიზაციები ამ დროისათვის თავის რიგებში აერთიანებდა 314.798 ბავშვს.³

ომის წლებში რესპუბლიკის პიონერები და მოსწავლეები სწავლასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტკ-ებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს სკოლებმა დროულად გაშალეს მუშაობა და უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების ორგანიზებულად ჩაბმა. ომის ყოველ

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი. ფონდი 96, საქმე № 3, 1945 წელი.

² იქვე.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი. ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

წელს ცხადდებოდა მოსწავლეთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიაც ფართოდ ებმებოდა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო ჯილდოები.

1942 წელს სასოფლო-სამეურნეო სეზონზე რესპუბლიკის ყველა რაიონში მუშაობდა 100.000-ზე მეტი მასწავლებელი და მოსწავლე, რომელთაც გამოიმუშავეს 6 მილიონამდე შრომადღე.¹ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმული ნორჩი პატრიოტები დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ.

1942 წლის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და შრომითი მამაცობისათვის საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მრავალი სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე, რაიონში, განათლების განყოფილების გამგე, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტი იქნა დაჯილდოებული. გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებულ იქნა კომკავშირის გორისა და ჭიათურის რაიონული კომიტეტები. ასევე აქტიურად მუშაობდნენ რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეები და კომკავშირელები ომისშემდგომ პერიოდში. ყოველწლიურად იშლებოდა სოციალისტური შეჯიბრება და გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ სხვადასხვა პრემიით. 1943 წლის მაღალი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე 100 ათასამდე მოსწავლე და მასწავლებელი მუშაობდა, რომლებმაც 7 მილიონზე მეტი შრომადღე გამოიმუშავეს.²

1944 წლის ზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში საქართველოს პიონერებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა გამოიმუშავეს 9 მილიონზე მეტი შრომადღე.

დიდი სამამულო ომის მთელს პერიოდში საქართველოს პიონერ-მოსწავლეებმა საკლემურნეო მინდვრებზე 24 მილიონამდე შრომადღე გამოიმუშავეს. აქედან მიღებული სახსრები გადარიცხულ იქნა წითელი არმიის თავდაცვის ფონდში.³

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მშრომელები მშობ-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 6, 1943 წელი.

² ვაზ. „კომუნისტი“ 1943 წელი, 29 ოქტომბერი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 3, 1945 წელი.

ლიურ მზრუნველობას იჩენდნენ სახელოვანი მებრძოლების შვილებსა და მშობლებს. კომკავშირული ორგანიზაციები ავროვნებდნენ თანხებს ასეთ ბავშვთა დასახმარებლად.

საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის მაისის დადგენილების საფუძველზე საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ბავშვთა დახმარების ფულადი ფონდი; გახსნილი იქნა სპეციალური ანგარიში საქართველოს სახელმწიფო ბანკში, სადაც თანხებს რიცხავდნენ რაიონებიდან და ქალაქებიდან.

1944 წლისათვის კიდევ უფრო გაიზარდა ბავშვთა დახმარების ფონდი რესპუბლიკის სკოლებში. ფრონტელთა შვილებისათვის დაწესებული იყო 100 კომკავშირული სტიპენდია.¹

ასევე მზრუნველობით ეკიდებოდნენ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები ევაკუირებულ ბავშვთა სკოლაში და საწარმოო საქმიანობაში ჩაბმის საქმეს.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ყურადღების ცენტრში აყენებდნენ ზაფხულის პერიოდში პიონერ-მოსწავლეთა ჯანმრთელობის ღონისძიებებს.

1942 წლიდან საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებობდა პიონერთა დასვენების მოწყობის რესპუბლიკური კომისია. სპეციალურად ეწყობოდა პიონერთა ბანაკები რესპუბლიკის საკურორტო ადგილებში, აკრეფე — კვებითი მოედნები ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. პიონერთა ბანაკებსა და კვებით მოედნებზე იგზავნებოდნენ 8-12 წლის პიონერები და მოსწავლენი, პირველ რიგში, ფრონტელთა შვილები და ევაკუირებული ბავშვები.²

სამამულო ომის მთელს პერიოდში პიონერთა ბანაკებსა და კვებით მოედნებზე სულ რესპუბლიკაში დაისვენა 100.000-ზე მეტმა ბავშვმა.³

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს სსრ რესპუბლიკის

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 13, 1944 წელი.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 15, 1944 წელი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

პიონერებმა და მოსწავლეებმა მთელ ჩვენს გმირულ ახალგაზრდობასთან ერთად ჩინებულად ჩააბარეს ომის მკაცრი გამოცდა.

* * *

სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებში საბჭოთა კავშირში დაიწყო სამშობლოს თავდაცვის ფონდების შეგროვება.

ლენინური კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით დარაზმა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა თავდაცვის ფონდების შეგროვებაში მონაწილეობისათვის, რათა საბჭოთა ზურგის ახალგაზრდობას თავისი წვლილი შეეტანა ამ დიად წამოწყებაში. კომკავშირმა ახალგაზრდობის დარაზმის სხვადასხვა გზა და ფორმა გამოძებნა.

ჯერ კიდევ 1941 წელს ჩვენს ქვეყანაში არნახული აღმავლობით დაიწყო სამშობლოს თავდაცვის ფონდის ახალგაზრდული კვირეულების ჩატარება.

კომკავშირული კვირაობა ეწყობოდა როგორც თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად, ისე მრეწველობის საჭიროებისათვის შავი და ფერადი ლითონის ჯართის შესაგროვებლად. აღნიშნული სახის პირველი კვირაობა საქართველოში ჩატარდა 1941 წლის 26 ივლისს. შემდეგში იგი ეწყობოდა სისტემატურად.¹

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების საფუძველზე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა 1941 წლის აგვისტო გამოაცხადეს შავი და ფერადი ლითონის ჯართის შეგროვების ერთთვიურად.

რესპუბლიკის 12 რაიონში 1941 წლის ივლისიდან 5 აგვისტომდე შეგროვებულ იქნა შავი ლითონი 2774 ტონა და ფერადი ლითონი — 23.583 კილოგრამი. ქ. თბილისში შეაგროვეს შავი ლითონი 1769 ტონა, 301 კილოგრამი და ფერადი ლითონი — 42.062 კილოგრამი.²

უფრო ფართო ხასიათი მიიღო შავი და ფერადი ლითონების შეგროვების საქმემ 1942—43—44 წლებში. 1945 წლის პირველ კვარტალში საქართველოში შეგროვებულ იქნა შავი ლითონი 7387 ტონა, ხოლო ფერადი ლითონი — 350 ტონა.³

¹ ვაზ. „კომუნისტი“, 1941 წელი, 29 ივლისი.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 21, 1941 წელი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე 15, 1945 წ.

შავი და ფერადი ლითონის ჯართის შეგროვება რესპუბლიკაში სეზონურ ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ კომკავშირული ორგანიზაციები თითქმის ყოველდღიურად შოულობდნენ დროს, რომ შეგროვებაზე ემუშავნათ.

უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს კვირაობის ნაყოფიერად მოწყობაში ენერგიულ დახმარებას უწყევდნენ პარტიული ორგანიზაციები. ამ მხრივ, კარგი მაგალითი გვიჩვენა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა. ასევე პრაქტიკულად ეხმარებოდნენ ახალგაზრდობას ქ. ქუთაისის, ჭიათურის, სოხუმის, ბათუმის, კასპის, ხაშურის, გურჯაანის და სხვა ქალაქებისა თუ რაიონების პარტიული ორგანიზაციები.¹

ომის პერიოდში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს საბჭოთა მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმელისა და საჩუქრების შესაგროვებლად. კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან შეიქმნა შემგროვებელი კომისიები, რომლებიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობდნენ თბილი ტანსაცმელისა და სხვადასხვა ამანათთა შეგროვების საქმეს. კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ შეგროვებულ იქნა ასი ათასობით ხელთათმანი, წინდები, საცვლები, შარვლები, ხალათები, ბალიშის პირები, ზეწრები, ნაბდის ჩექმები, პირსახოცები, ცხვირსახოცები, ქუდები, მაისურები და სხვა ნივთები.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ეწყობოდა აგრეთვე კვირაობები ფრონტელთა ოჯახების საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებისათვის, ეწყობოდა სასწავლო ნივთებისა და ბავშვთა სათამაშოების შეგროვება, ფრონტელთა ბავშვები—სა და გერმანელთა ოკუპაციისაგან ოკუპირებულ განთავისუფლებული რაიონების ბავშვთა დასახმარებლად.

სამამულო ომის პერიოდში თავდაცვის განმტკიცებისათვის შეგროვებული თანხის რაოდენობა საბჭოთა კავშირში მილიარდი მანეთით განისაზღვრებოდა. მარტო ომის პირველი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ თავდაცვის ფონდში შეიტანეს 460 მილიონ მანეთზე მეტი. აღნიშნული თანხების დიდი ნაწილი ხმარდებოდა სატანკო კოლონებს,

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1941 წელი, 6 სექტემბერი.

საბრძოლო სატორპედო კატარღებისა და ავიო-ესკადრილის აგებას.¹

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ აეგოთ საკუთარი სახელობის სატანკო კოლონა, საბრძოლო სატორპედო კატარღები და ავიო—ესკადრილი. ჩელიაბინსკის კომკავშირელების მაგალითისამებრ. საქართველოს კომკავშირელებმა 1941 წლის ოქტომბერში დაიწყეს თანხების შეგროვება კომკავშირის სახელობის სატანკო კოლონის ასაგებად.

ასეთივე ენერგიულად დაიწყო ახალგაზრდობამ თანხების შეგროვება ავიო—ესკადრილის—„საქართველოს კომკავშირის“ ასაგებად. სულ აღნიშნული საქმისათვის საქართველოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ შეაგროვეს 11 058 290 მანეთი, რითაც მათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მადლობა დაიმსახურეს.

1942 წელს სოფლის ახალგაზრდობამ დაიწყო თანხების შეგროვება. „საქართველოს კოლმეურნის“ სატანკო კოლონის ასაგებად, რისთვისაც 1942 წლის დეკემბრისათვის რესპუბლიკაში 446.000 მანეთი იქნა შეგროვებული.²

კომკავშირელების ეს პატრიოტული წამოწყებანი სატანკო კოლონებისა და საბრძოლო კატარღების ასაგებად თანხების შეგროვებისათვის ფართოდ გავრცელდა აგრეთვე მოსწავლე პიონერებშიც.

დიდი წარმატებით დაიწყო და ჩატარდა თანხების შეგროვება „საქართველოს ნორჩი პიონერის“ სატანკო კოლონის ასაგებად. პიონერებმა: ე. ნინუამ და დ. კალანდიამ — სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში თვითებულმა შეიტანეს 10 ათასი მანეთი; თანხების შეგროვების პირველ დღეებში აჭარის პიონერებისა და მოსწავლეების მიერ სატანკო კოლონის მშენებლობისათვის თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 1.100.000 მანეთი.³

სატანკო კოლონის — „საქართველოს ნორჩი პიონერის“ მშენებლობისათვის თანხების შეგროვების საქმეში რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა და ქალაქმა გამოიჩინა თავი. ომის პერიოდში რესპუბ-

¹ ლენინური კომკავშირის საბრძოლო გზა, ნაკვეთი მეორე, 1948 წ., გვ. 180.

² მაქსიმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 19, 1942 წელი.

³ მაქსიმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 16, 1943 წელი.

ლიკის პიონერებმა „საქართველოს ნორჩი პიონერის“ ასაგებად სახელმწიფოს ჩააბარეს 1.739.822 მანედი.¹

სამამულო ომის წლებში საქართველოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ, მოსწავლეებმა და პიონერებმა დიდი მუშაობა გასწიეს სამკურნალო მცენარეებისა და გარეული ხილის შესავარგებლად, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპოვება ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში.

საქართველოს ალკე ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი იყო რესპუბლიკური კომისია, რომელიც ხელს უწყობდა და ხელმძღვანელობდა სამკურნალო მცენარეებისა და გარეული ხილის ორგანიზებულად შეგროვებას. მსგავსად რესპუბლიკური კომისიისა რაიონებში შექმნილი იყო სარაიონო კომისიები, რომლებიც უშუალოდ აწარმოებდნენ სამკურნალო მცენარეების შეგროვებას. სკოლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში. ცალკე შექმნილი იყო შემგროვებელი კომისიები.

შეგროვებისათვის რესპუბლიკაში ყოველწლიურად ცხადდებოდა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიაც ჩაბმული იყვნენ რაიონები და ცალკეული შემგროვებელი ბრიგადები და რგოლები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის, ბრიგადებისა და ინდივიდუალური შემგროვებლებისათვის საკ. ალკე ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული იყო სხვადასხვა ჯილდო.

1942 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილის დაკავებისათვის პირველი პრემია დაიმსახურა ამბროლაურისა და ქუთაისის რაიონების შემგროვებელმა კომისიებმა, მეორე პრემია გადაეცა დუშეთისა და ზესტაფონის რაიონების გრემისა და შრომის საშუალო სკოლებს.²

გაცილებით მეტი შეგროვდა სამკურნალო მცენარეები და გარეული ხილი 1943, 44—45 წლებშიც.

ომის მთელს პერიოდში მარტო პიონერ-მოსწავლეების მიერ შეგროვებული იქნა 534 ტონა სამკურნალო მცენარე და 4628 ტონა გარეული ხილი.³

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 11, 1942 წელი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 2, 1945 წელი.

სამკურნალო მცენარეების სახელმწიფო გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის და საკავშირო მასშტაბით გამარჯვების მოპოვებისათვის საკავშირო ალკე ცენტრალურმა კომიტეტმა საბატო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტი.

* * *

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სამხედრო ფიზკულტურული საქმის დაუფლებისათვის.

იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობა აღეჭურვათ სამხედრო საქმის ცოდნით და საბჭოთა არმიისათვის მოემზადებინათ კვალიფიციური კადრები, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, საოლქო და საქალაქო კომიტეტებში შემოღებულ იქნა მდივნის თანამდებობა სამხედრო მუშაობის ხაზით.

ომის დღეებში საქართველოს კომკავშირმა რვაჯერ ჩაატარა მობილიზაცია წითელი არმიის შენაერთების შესავსებად.

წითელი არმიის ნაწილებში და სამხედრო საზღვაო ფლოტში გაიგზავნა 150 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა.

რესპუბლიკაში სამხედრო კომისარიატებთან ვასაწვევ პუნქტებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩასატარებლად კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაგზავნეს საუკეთესო აქტივისტი კომკავშირელები.

1941 წელს წითელ არმიასა და სამხედრო დაწესებულებებში მობილიზებულ იქნა 9425 ახალგაზრდა.¹

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების — სსრ კავშირის მოქალაქეთათვის სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ — განხორციელებისათვის².

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ძალებით კეთილმოწყობილ იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლების 677 სამ-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 20, 1942 წელი.

² გაზეთ „კომუნისტი“, 17 სექტემბერი, 1941 წელი.

ხედრო სასწავლო პუნქტი, დამზადდა 38 ათასი სხვადასხვა სახის სასწავლო ხელსაწყო¹.

წარმატებით იქნა შესრულებული კომკავშირული სპეციალისტების მომზადების საქმე 1943—44 წლებში. ომის პერიოდში დიდი როლდენობით მომზადდა კავშირგაბმულობის სპეციალისტები.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში საყოველთაო სამხედრო სასწავლო პუნქტების მიერ მომზადებულ იქნა ათი ათასობით მებრძოლი და ოფიცერი, რომელთაგან მრავალმა გამოიჩინა თავი ფაშისტურ ჯარებთან მძიმე ბრძოლებში.

ომის წლებში მოსახლეობის სამხედრო სწავლების საქმეს კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით აგრეთვე ახორციელებდა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები.

ომის წლებში საქართველოში არსებობდა 8 766 თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაცია, რომლის წევრი 82 118 კომკავშირელი იყო².

თავდაცვა-ავიაქიმის პირველადმა საქალაქო და რაიონულმა ორგანიზაციებმა კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით, დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მოწინავეთა რიგებში იყო თბილისის, ქუთაისის, კრათურისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ორგანიზაციები.

რესპუბლიკაში წარმატებით ჩატარდა საკავშირო ქიმიური შეჯიბრება კოლმეურნეობათა ორგანიზაციებსა და მოსახლეობაში.

ომის პერიოდში საქართველოს თავდაცვა—ავიაქიმის რესპუბლიკურმა საბჭომ კარგი მონაცემებისათვის დაიკავა პირველი ადგილი³.

1941 წლის დეკემბრიდან საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში შექმნილ იქნა ტანკის გამანადგურებელი რაზმები. ეს რაზმები შექმნილი იყო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დასახლებულ პუნქტებში. რაზმის მეთაურებად და პოლიტმუშაკებად ინიშნებოდა საქმით დაინტერესებული კომკავშირელი ახალგაზრდობა.⁴

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 20, 1942 წელი.

² იგივე არქივი, ფონდი 96, საქმე № 20, 1943 წელი.

³ იგივე არქივი, ფონდი 96, საქმე № 20, 1943 წელი.

⁴ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 9, 1941 წელი.

კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მოსახლეობის საპაერო თავდაცვის მომზადებაში. საპაერო ჭიმიურ ინსტრუქტორთა კურსებზე ამ დროისათვის მომზადებულ იქნა 5 575 კომკავშირელი.¹

ომის წლებში საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა ხანძარსაწინააღმდეგო კომკავშირული ოცეულები; ცოტა უფრო გვიან რესპუბლიკის დიდ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და ფოთში — ოცეულებთან ერთად შეიქმნა ხანძარსაწინააღმდეგო ასეულები².

ასევე ეხმარებოდა კომკავშირული ორგანიზაციები სანიტარული კადრების მომზადების საქმეში წითელი ჯერის ორგანიზაციებს.

საქ. ალკც ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ადგილებზე მილიციის ორგანობებთან იქმნებოდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ოცეულები, რომლებიც ეხმარებოდნენ სათანადო ორგანობებს რევოლუციური წესრიგის დამყარებასა და სახელმწიფო ჭონების დაცვაში.³

სამამულო ომის დღეებში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენდა ზრუნვა ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადებისათვის, რათა ფიზიკურად ჯანსაღი მეზრძოლები მოგვემზადებინა ფრონტისათვის.

წარმატებით მიმდინარეობდა პირველი და მეორე საფეხურის „იმში“ და „მში“-ს ნიშნოსნობის მომზადება.

რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამ პერიოდში ჩაბმული იყო სამხედრო ფიზკულტურულ მუშაობაში. 1941—42 წლებში მოწყობილ დაუსწრებელ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ყუმბარის ტყორცნაში მონაწილეობა მიიღო 117 341-მა კაცმა.⁴

1942 წელს წითელი არმიის 24-ე წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ პროფკავშირულ-კომკავშირულ კროსში მონაწილეობდა 6595 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია. სულ კროსში მო-

¹ შარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 9, 1942 წელი.

² იქვე.

³ იგივე არქივი, ფონდი 96, საქმე № 15, 1942 წელი.

⁴ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი № 5, საქმე № 825, 1942 წელი.

ნაწილეობა მიიღო 387 181 კაცმა. აქედან „მშთ“-ს ნორმები ჩააბარა 328 195 კაცმა, რომელთა შორის 102 116 კომკავშირელი იყო.¹

1943 წელს მოწყობილ პროფკავშირულ-კომკავშირულ კროს-ში, რომელიც 23 მაისიდან 14 ივნისამდე გრძელდებოდა, მონაწილეობა მიიღო 325 275 კაცმა; ნორმები ჩააბარა 278 208 კაცმა, მათ შორის კომკავშირელი იყო 107 002.²

ასევე ორგანიზებულად ჩატარდა პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი 1944—45 წლებში.

ომის პერიოდში დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ალბიურმა კლუბმა, რომელმაც მოამზადა ალპინიზმის ინსტრუქტორთა სპეციალური კადრები.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები, კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ჰოსპიტლებში სამკურნალო ფიზკულტურის უკეთ მოწყობაში.

1944 წლის იანვარში საკავშირო ალკც ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი საქართველოში ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობის შესახებ, რის შედეგადაც კიდევ უფრო ამაღლდა რესპუბლიკაში ფიზკულტურული მუშაობა. 1945 წლისათვის საქართველოში იყო 2 070 ფიზკულტურული კოლექტივი.³

საქართველოში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სპორტული მუშაობა ომის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფიზკულტურელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტზე წავიდა, ზურგში დარჩენილი სპორტსმენები აღწევდნენ ახალ სპორტულ მიღწევებს და სისტემატურად იმავლებდნენ თანრიგებს.

1944—45 წლებში შეჯიბრებები ტარდებოდა კლასიკურ ჭიდაობაში, კრიეში, ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფეხბურთში, ფარიკაობაში, ჯადრაკში, ცხენოსნობაში, ხელჩართულ ბრძოლაში, სიმძიმეების აწევაში და სპორტის სხვა სახეებში.

1943 წლის შემოდგომაზე ერევანში და 1944 წლის ზაფხულზე

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 14, 1942 წელი.

² იგივე არქივი, ფონდი 96, საქმე № 12, 1943 წელი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

ბაქოში ჩატარებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტაკიადაზე გამარჯვებული გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები.¹

სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში, რომელიც 1944 წელს ჩატარდა ქ. თბილისში, რომელშიც მონაწილეობდა ვაჟთა 16 და ქალთა 12 გუნდი, სსრ კავშირის ჩემპიონი ვაჟთა შორის გახდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, ხოლო ქუთაისის დინამომ დაიკავა მეოთხე ადგილი.²

1944—45 წლებში საქართველოს 62 სპორტსმენს სპორტის ცალკეულ სახეობაში მიენიჭა რესპუბლიკური და საკავშირო ჩემპიონის სახელწოდება. 1944 წელს საქართველოს ფიზკულტურელებმა მოიპოვეს 12 რესპუბლიკური რეკორდი, ხოლო ნინო დუმბაძემ დაამყარა მსოფლიო რეკორდი ბადროს ტყორცნაში.³

კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურ დახმარებას უწევდნენ ფიზკულტურულ კოლექტივებს სპორტული ბაზებისა და ინვენტარით უზრუნველყოფაში.

ომის პერიოდში ახლებურად გარდაიქმნა სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობა საქართველოს სკოლებში. შემოდებულ იქნა სამხედრო საქმის სწავლება. სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ეხმარებოდნენ სკოლის დირექტორებს სამხედრო კაბინეტების მოწყობაში, სპორტული მოედნებისა და დარბაზების შექმნაში.

პიონერთა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მუშაობის გარდაქმნა ჩერ კიდევ სამამულო ომის პირველ დღეებში დაიწყო. 1941 წლის ზაფხულში ათეულ ათასობით მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა გასამხედროებულ შეჯიბრებებსა და თამაშობაში.

ომის პერიოდში ყოველწლიურად იზრდებოდა სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივები.

დიდი სამამულო ომი იყო მკაცრი გამოცდა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისა ჩვენი სამშობლოს დაცვის საქმეში. ეს იყო

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

² საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 4, საქმე № 1001, 1945 წელი.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 96, საქმე № 5, 1945 წელი.

შეაცირი შემოწმება ჩატარებული მუშაობისა და ახალგაზრდობის მორალური და ფიზიკური აღზრდისათვის. ეს გამოცდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ისე როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საქართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ბრწყინვალედ ჩააბარეს.

* * *

ამგვარად, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ზურგში ეწეოდნენ დიდ სამხედრო ორგანიზატორულ მუშაობას: საბჭოთა არმიისათვის ამზადებდნენ ათასობით სამხედრო სპეციალისტებს.

რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებით აღფრთოვანებული, კომუნისტური პარტიის მიერ საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საქართველოს ახალგაზრდობა უდიდესი გმირობითა და თავდადებით იბრძოდა სამამულო ომის მთელ პერიოდში.

რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან ერთად თავგანწირვის, გმირობისა და მანაცობის გასაოცარ მაგალითებს უჩვენებდნენ ქართველები, აზერბაიჯანელები, უზბეკები, სომხები, ყაზახები და ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხის შვილები.

ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა არმია მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა, როგორც მასობრივი გმირობის არმია. მისი მებრძოლეები, მეთაურები და პოლიტმუშაეები სიცოცხლის ფასად აჩერებდნენ მტრის ჭარბ ძალებს, აყენებდნენ მათ უდიდეს ზარალს, ფრონტის მთელ უბნებზე გადადიოდნენ შეტევაზე და ამით უზრუნველყოფდნენ აუცილებელ დროს ზურგში ახალი ძალების მობილიზაციისა და მომზადებისათვის.

წითელი არმიის სხვა მებრძოლესთან ერთად ქართველმა მეომრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გერმანელ ფაშისტთა განადგურებაში სხვადასხვა ფრონტზე და განსაკუთრებით თავი ისახელებს ჩვენი სამშობლოს დიდი ქალაქების დაცვაში.

ქალაქების დაცვა წითელმა არმიამ პირველად შეიტანა ომების ისტორიაში.

წინანდელ ომებში ყოფილა სიმაგრეთა გმირული დაცვის მაგალითები, არასოდეს არ ყოფილა გაუმაგრებელი ქალაქების დაცვა. წინათ, გერმანელები როდესაც ახერხებდნენ, მიახლოვებოდნენ რომელიმე ქალაქს დასავლეთ ევროპაში, იგი უკვე აღებულად მიიჩნდათ; მათ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში გაიგეს, თუ რა არის ბრძოლა

ქალაქებისათვის. საბჭოთა ქალაქი ცინე-სიმაგრედ იქცა, როცა მას მკერდიუ იცავდნენ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები.

ომის დაწყებისთანავე საქვეყნოდ ცნობილი გახდა ქართველ მე-ბრძოლთა გმირობა და მამაცობა.

ომის პირველი დღიდანვე მტერს გმირულად ებრძოდა არტილერისტები უფროსი ლეიტენანტი ვ. ხარაზია, რომლის ქვეშეში შეუბოჯარ თავდაცვის ბრძოლებში მტრის მრავალ ტანკსა და ცოცხალ ძალას ანადგურებდა. ვ. ხარაზია მტერთან წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცა. 1942 წლის 2 ივნისის ბრძანებულებით უფროს ლეიტენანტ ვ. ხარაზიას, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დაჯილდებათა სანმიშუოდ შესრულებისათვის და მასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მთელი მსოფლიო ალაპარაკა მამაცი საბჭოთა მფრინავის, კომკავშირში აღზრდილის, წურწუმისა გმირობამ. მისი საბრძოლო გაფრენები შავ ზღვაზე მტრის ხომალდების ჩაძირვით და აეროდრომების მოსპობით მთეარდებოდა.

საქართველოში გმირობის სიმღერად დარჩა რუსი მიშაკოვის და ქართველი შალამბერიძის თავგანწირვა, რომლებმაც თავი დასდეს სამშობლოსათვის.

ბრესტის ცინე-სიმაგრის გმირულ დაცვაში, რომელმაც ერთ თვეს გასტანა, გმირულად იბრძოდა ორასზე მეტი ქართველი მეომარი, რომელთა უმრავლესობა კომკავშირელები იყო. ისინი გმირულად დაიღუპნენ სამშობლოსათვის.

საქართველოს მშრომელებს, რომლებიც თავდადებით მუშაობდნენ დაზგებთან და საკოლმეურნეო მიწდვრებზე, აღაფრთოვანებლათ მათ მიერ ფრონტზე წარგზავნილთა გმირობა და მამაცობა.

ყველა შეტევათა შორის გერმანელთა გეგმაში მოსკოვი რჩებოდა მთავარ მიზნად აღმოსავლეთის ფრონტზე.

მოქმედებდა რა თავისი ავანტურისტული გეგმის მიხედვით, ჰიტლერი ფიქრობდა, რომ ძალიან მოკლე დროში, სულ ექვსიოდე კვირის განმავლობაში, ბოლოს მოუღებდა წითელ არმიას.

სწრაფმავალი „ელვისებური“ ომის გეგმა გერმანელებმა შეადგინეს იმიტომ, რომ არ შეეძლოთ, გაეძლოთ ხანგრძლივი ომებისათვის.

ჰიტლერმა მოსკოვს შეუსია უფრო მეტი ჯავშანსატანკო დივიზიები, ვიდრე მთელ საფრანგეთს. მოსკოვზე დარტყმისათვის თავ-

მოყრილი იყო 5 მოტოქვეითი და 13 სატანკო მექანიზებული დივიზია და 33 ქვეითი დივიზია, სულ 51 დივიზია.

დაიწყო ჩვენი დროის უდიდესი ბრძოლა—ბრძოლა მოსკოვისათვის. მაგრამ ჰიტლერული სარდლობის ყველა გეგმა მოსკოვის აღებისა ვაცამტვევდა. მოსკოვის მისდგომებთან წითელი არმიის ნაწილების მტკიცე, გამირული წინააღმდეგობის მეოხებით ჰიტლერელმა ჯარებმა სწრაფად დაიწყეს უკანდახევა; ათეულობით ათასმა გერმანელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა პოვა საფლავი რუსეთის ველებზე და მოსკოვის ახლობელ ტყეებში.

საბჭოთა ქვეყნის მრავალრიცხოვანი ხალხების წარმომადგენლებთან ერთად მოსკოვის გამირულ დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს შვილებიც, ქართველი კომკავშირელები და კომკავშირის აღზრდილები.

მოსკოვის დაცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ორდენოსანმა კომკავშირელმა გრიგოლ ნოეს-ძე კაკაბაძემ. იგი საზენიტო დივიზიაში დაზვერვის ათეულის მეთაური იყო. მაშინ, როდესაც მტრის ათასობით თვითმფრინავი თავს ესხმოდა მოსკოვს, კაკაბაძის ათეული სხვებთან ერთად საშუალებას არ აძლევდა მათ, ბომბები დაეშინათ მოსკოვისათვის. მოსკოვის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლების დროს კაკაბაძე მიღებული იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.¹

20 წლის იყო მამაცი ნებრძოლი კომკავშირელი მსროლელო რადისტი დავით ჩხიკვიშვილი, როდესაც გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე, სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით.

ჩხიკვიშვილმა რამდენიმე ეკიპაჟთან ერთად მიიღო დავალება, დაებომბა ბერლინი. თვითმფრინავები აფრინდა მოსკოვის მახლობლად მდებარე ჰაეროდრომიდან და დასავლეთისაკენ გასწია. წარმატებით იქნა დაბომბილი ბერლინი. ჩხიკვიშვილმა მეორეჯერ მიიღო მონაწილეობა ბერლინის დაბომბვაში, რის გამოც დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით. შემდეგში დავით ჩხიკვიშვილი მონაწილეობდა სხვა ფრონტზე.

¹ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 3, საქმე № 699, 1947 წელი.

სამამულო ომის პერიოდში კომკავშირში აღზრდილმა დაცით ჩხიკვიშვილმა 130 საბრძოლო დავალება შეასრულა; აქედან 39 დავალება მოხმარდა გერმანიისა და მისი ქალაქების სამხედრო მნიშვნელობის ობიექტების დაბომბვას.¹ ასევე სასახელოდ შეუღდა ჩხიკვიშვილი მუშაობას დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ.

მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ჯავშნიანი მატარებლის ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობის უმრავლესობა კომკავშირელები იყო; ეკიპაჟი გაიგზავნა საქართველოდან. მოსკოვის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში ასევე სახელი გაითქვეს კომკავშირელებმა: შ. დალაქიშვილმა, მ. ჯანვერდაშვილმა, დ. ნეფარიძემ და სხვებმა.

ყველაზე მთავარი, რომელსაც მოჰყვა პიტლერული ჯარების დამარცხება მოსკოვთან, იმაში მდგომარეობს, რომ „ჩვენი არმია უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე გერმანელები ფიქრობდნენ, ხოლო გერმანელთა არმია — უფრო სუსტი, ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრა გერმანელ დამპყრობთა მკვებხარა რეკლამების მიხედვით“.

მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება გერმანელთა პირველი დიდი დამარცხება იყო მეორე მსოფლიო ომში.

როგორც ცნობილია, 1941 წლის აგვისტოდან გერმანელი ოკუპანტები ლენინგრადისაკენ გაიჭრნენ. მათ უნდოდათ, მოეწყვიტათ ლენინგრადი მოსკოვისაგან, შეეჭმნათ იქ ძლიერი პლაცდარმი და ჩრდილოეთიდან დაერთყათ მოსკოვისათვის. ე. ი. საბჭოთა კავშირის დედაქალაქის, მოსკოვის, დაპყრობის გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ლენინგრადის აღებას, რითაც გერმანელი ავანტურისტები ფიქრობდნენ ომის საბოლოოდ დამთავრებას. ლენინგრადის ალყა გაგრძელდა 1943 წლის 18 იანვრამდე, ლენინგრადის წინააღმდეგ შეტევაში მართო გერმანელების მხრიდან მონაწილეობდა 300 000 ჯარისკაცი და ოფიცერი აგრეთვე დიდძალი ტექნიკით.

ლენინგრადის გმირ დამცველთა რიგებში იყვნენ ქართველი კომკავშირელები.

ომის დაწყების პირველი დღიდანვე ლენინგრადის ფრონტზე იბრძოდა ქართველი კომკავშირელი უმცროსი სერჟანტი არტილე-

¹ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 3; საქმე 684; 1947 წ.

² ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, საბჭოთა გამოცემა, გვ. 23, 1955 წელი.

რისტი კ. ჭუბაბრია. იგი თავისი ქვეყნის ზუსტი ცეცხლით მუსრავდა გერმანელ და ფინელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. კომკავშირელ კ. ჭუბაბრიას სახელი მალე გასცდა სამხედრო ნაწილებს; მის გმირულ ბრძოლებზე ლენინგრადში უკვე ბევრი ლაპარაკობდა!

ლენინგრადის წითელდროშოვან ბალტიის ფლოტში კომკავშირელი შ. ბედუკაძის, როგორც მამაცი და თავის საქმის კარგად დაუფლებული მფრინავის, სახელი ცნობილი იყო.

გაზეთ „კრასნი ფლოტი“ ფურცლებზე მრავალი წერილი დაიბეჭდა შაქრო ბედუკაძის გმირულ და თავგანწირულ ბრძოლებზე.

შაქრო ბედუკაძე სამართლიანად ამბობდა: „აქ ბალტიკაზე ლენინის ქალაქის მახლობლად მე ჩემს მზიურ საქართველოსაც ვიკავო“².

მამაცი მფრინავი შ. ბედუკაძე ორჯერ დააჯილდოვეს წითელდროშის ორდენით, მესამედ — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით და მედლით „ლენინგრადის დაცვისათვის“.

ლენინგრადის დაცვაში აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტანკაწინააღმდეგო ასეულის მეთაური კომკავშირელი გ. ხარატი, სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი ექიმი დ. ჯანელიძე, მფრინავი მ. შშვენიერაძე და სხვა მრავალი.

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა გმირული ბრძოლებით მოიგერიეს მტრის ჭარბი ძალების შემოტევა და 1943 წელს გაარღვიეს მტრის რკალი და სასტიკად დაამარცხეს გერმანელი ოკუპანტები.

250 დღის განმავლობაში გმირი სევასტოპოლი უმავალითო სიმამაცითა და სიმედგრით იეგრიებდა გერმანელთა ჯარების ურიცხვ იერიშებს. სევასტოპოლის დაცვის პირველი დღე მებრძოლთა და წითელ არმიელთა არნახული გმირობითა და ვაჟკაცობით დაიწყო. 1941 წლის 5 დეკემბერს სარდლობის ბრძანებით 388 ფეხოსანთა მსროლელმა დივიზიამ დაიკავა ქ. სევასტოპოლის მარცხენა ფლანგზე დაბლობი, აქ შეიქმნა სკოლა, რომელსაც უნდა შეესწავლა სევასტოპოლის თავდაცვის ტაქტიკა. სკოლა 12 დღის შემდეგ იძულებული გახდა, ჩაბმულიყო ბრძოლაში. ამ სასწავლებლის კომისარო

1. ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს კომკავშირი დიდი სამამულო ომის პერიოდში, სახელგამი, გვ. 32, 1958 წელი.

2. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 3, საქმე № 357, 1950 წელი.

იყო კომკავშირის აღზრდილი ბ. მეფარიშვილი. სკოლა გადაიქცა მოქმედ ბატალიონად. ბატალიონი მტკიცედ ინარჩუნებდა აღებულ სიმალღეებს. რკალში მოქცეულმა ბატალიონმა მეფარიშვილის ხელმძღვანელობით შეძლო მტრის რკალის გარღვევა.

1942 წლის მარტში სევასტოპოლის დამცველ დივიზიებში ჩამოყალიბდა ქართული ასეულები. მეფარიშვილი დიდხანს ვერ შერჩა თავის ასეულს. იგი ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა; ტყვიამ მოსწყვიტა მარჯვენა მკლავი და იძულებული იყო, ბრძოლის ველი დაეტოვებინა. ბევრი ქართველი არტილერისტი არღვევდა მტრის სიმაგრეებს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს კახელი ჭაბუკი ირაკლი ტოკლიკაშვილის ბრძოლები.

საცეცხლე ოცეულის უფროსმა ი. ტოკლიკაშვილმა ერთ-ერთი სიმაღლისათვის ბრძოლის დროს ხელჩართულ ბრძოლაში სამი გერმანელი ხიშტიოთ განგმირა და თვითონაც მძიმედ დაიჭრა. იგი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ სანამ მისი შემცვლელი არ მივიდა, ბრძოლის ველი არ დატოვა.¹

სევასტოპოლის ბრძოლებში სახელი გაითქვა იმ ქართულმა ასეულმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომკავშირელი ლეიტენანტი რ. ირემაშვილი, ასეულის პოლიტხელად იყო საქართველოს ცნობილი რეკორდსმენი ყუმბარის ტყორცნაში დ. სვანიძე; ოცეულის მეთაურებად იყვნენ ქართველები: გ. ერისთავი, ი. ისაბიშვილი, და ფ. ნიკუაშვილი. აღნიშნული ასეული წარმატებით იბრძოდა სიმაღლეების აღებისათვის. აქ გმირულად დაიღუპა პოლიტხელი დ. სვანიძე; მძიმედ დაჭრილმა ერთი ყუმბარა კიდევ სტყორცნა მტრის სანგარს და ტყვიამფრქვევი ააფეთქა.

ერთ-ერთ ბრძოლაში, როდესაც ირემაშვილი გერმანელების მიერ შემორტყმულ რკალს არღვევდა, იგი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ არ დაეცა და თავის დანაყოფს მიადწია.²

გმირი ქალაქის შეუპოვარ დამცველთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ზესტაფონელმა ჭაბუკმა შ. კოპაძემ. მისი ქვემეხის ყუმბარებით ბევრმა ბანდიტმა პოვა სამარე სევასტოპოლის მისასვლელებ-

1 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 3, საქმე № 301, 1946 წელი.

2 იგივე არქივი, ფონდი 3, საქმე 301, 1946 წელი.

თან. ქვემეხის მეთაური კობაძე ფრონტზე იქნა მიღებული პარტიის რიგებში.¹

სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე კომკავშირში აღზრდილმა ნ. ადამიამ სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო სნაიპერმა.

ნ. ადამია სევასტოპოლის გმირული დაცვის 250 დღის განმავლობაში საზღვაო ქვეითი ჯარის რიგებში იბრძოდა. მან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა.²

გმირი ქალაქის დაცვა საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი. ამის შენედე დაიწყო გერმანელი ოკუპანტების ლტოლვა სტალინგრადისაკენ, ვოლგისაკენ. მათ სურდათ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, ხელთ ეგდოთ ყუბანი, ჩრდილო კავკასია—ნავთითა და პურით მდიდარი მხარეები.

პიტლერელმა გენერლებმა ვერ მოახერხეს რა მოსკოვის აღება პირდაპირი შეტევით, გადაწყვიტეს ხელთ ეგდოთ სტალინგრადი და ზურგიდან მოეცლოთ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქისათვის. ფაშისტების ძირითადს გეგმაში შედიოდა აგრეთვე კავკასიის დაპყრობა, ბაქოს ნავთისა და ამიერკავკასიის სიმდიდრეთა ხელში ჩაგდება.

1942 წლის ზაფხულში მტერმა დიდი მსხვერპლის გაღებით გაარღვია ფრონტი როსტოვთან და დაიწყო შეტევა. 1942 წლის ივლისში შეიქმნა სტალინგრადის ფრონტი. მტერი გაიჭრა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, მაგრამ მას სტალინგრადთან და კავკასიის მთებთან ცოცხალ კედლად გადაეღობა საბჭოთა არმია.

1942 წლის სექტემბერში სტალინგრადის დამცველმა გმირულმა 62-ე არმიამ გერმანელ ფაშისტთა ჯარები შეაჩერა სტალინგრადთან.

1943 წლის 2 თებერვალს სტალინგრადის ბრძოლა შეწყდა. მტრის გადარჩენილმა ძალებმა იარაღი დაყარეს.

სტალინგრადის დამცველთა რიგებში იყო კომკავშირში აღზრდილი მრავალი ქართველი მეომარი.

სტალინგრადისათვის გმირულ ბრძოლებში სახელი გაითქვა ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა, საქართველოს კომკავშირის აღზრდილმა გენერალმა ნ. თავართქილაძემ. მისი ღივიზია გვარდიის მსროლელ ღივიზიად გადაკეთდა, რომელსაც გადაეცა გვარდიის

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1942 წელი, 13 ნოემბერი.

² გაზეთი „კომუნისტი“, 1942 წელი, 28 ივლისი.

დროშა. ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა ისახელა თავი თავართქილაძის წითელდროშოვანი დივიზიიდან¹.

გვარდიის უფროსმა სერჟანტმა მზვერავმა მ. ხოფერიამ არა ერთხელ გამოიჩინა თავი ვაჟკაცობით. ერთ-ერთი დავალების წარმატებით შესრულებისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით, ხოფერიამ თავისი საგმირო საქმეებით გვარდიელი ამხანაგებისა და მეთაურების სიყვარული დიამსახურა².

ასევე ისახელა თავი გვარდიის ახალგაზრდა ლეიტენანტმა ვ. ბოგვერაძემ. იგი საველე რადიოსადგურის უფროსი იყო. ნაწილებს შორის შეუფერხებელი კავშირის დამყარებისათვის ბოგვერაძე წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს³.

წყალტუბოს კომკავშირის რაიკომის მდივანი ბ. ყანჩაველი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურით მივიდა წითელი არმიის რიგებში. იგი გვარდიის უფროსი ლეიტენანტი იყო, როდესაც მონაწილეობა მიიღო სტალინგრადის გმირულ დაცვაში. ერთ-ერთი ოთხსართულიანი სახლის აღების დროს მან 6 მებრძოლით ტყვედ ჩაიგდო 450 გერმანელი თავიანთი იარაღით. აღნიშნული ოპერაციისათვის იგი დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით⁴.

სტალინგრადის დამცველთა შორის საპატიო ადგილი დიაკავეს ქართველმა კომკავშირელებმა: ფირცხელაურმა, ქოხაევმა და სხვა მრავალმა.

სტალინგრადთან გერმანელების დამარცხება ეს იყო გარდატეხის წელი. წითელი არმიის წარმატებითმა შეტევამ ძირფესვიანად გააუარესა ფაშისტური გერმანიის სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. ამავე დროისათვის უკვე შესაძლებელი შეიქმნა მტრის ჯარების განადგურების დაწყება ჩრდილო კავკასიიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ.

კავკასიის გმირული დაცვა მუდამ დარჩება ამიერკავკასიის ხალ-

¹ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 3, საქმე 77, 1943 წელი.

² საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი, № 3, საქმე 337, 1944 წელი.

³ ვაზ. „კომუნისტი“, 1943 წელი, 15 მაისი.

⁴ ვაზ. „კომუნისტი“, 1943 წელი, 6 ნოემბერი.

ხების, მათ შორის ქართველი ხალხის, უკნობ საბრძოლო დიდებად- ჩრდილოეთ კავკასიის ხელში ჩაგდების შემდეგ გერმანელთა სარ- დლობა ითვალისწინებდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხე- თის ხელში ჩაგდებას და მოწყვეტას საბჭოთა რუსეთისაგან. ჩრდი- ლოეთ კავკასია ცეცხლის ალში გაეხვია. ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების ანტიფაშისტურ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ამაყი და თავისუფ- ლებისმოყვარე ხალხები არასოდეს არ დაიჩოქებენ ჯალათის წინა- შე“¹.

ფრონტისაკენ მრისხანე ძალად დაიძრა საქართველოში ჩამოყა- ლიბებული ნაციონალური შენაერთები. გორში შემდგარმა № 392 ქართულმა დივიზიამ 1942 წლის აგვისტოს მიწურულში მტერს გზა გადაუღობა მდინარეების: ურეანისა და ბაქსანის — რაიონებში.

კავკასიის ფრონტზე იბრძოდა 414,224,388 ქართული დივიზიები. კავკასიის დაცვაში დიდი როლი შეასრულა 46-ე არმიამ, რომელ- საც სარდლობდა სახელგანთქმული ქართველი გენერალი კ. ლესე- ლიძე.

მდინარე ბაქსანის ნაპირებზე გააფთრებით იბრძოდა ერთ-ერთი ქვეგანაყოფის ქვემეხის მეთაური უფროსი სერჟანტი კომკავშირელი ო. მგალობლიშვილი. მან მტერთან უღმობელ ბრძოლაში გაითქვა სახელი და დიდი სიყვარული დაიმსახურა მებრძოლეებს შორის- მგალობლიშვილის სახელი საქართველოს ყველა კუთხეს ელვის სისწრაფით მოედო. როდესაც მის ქვედანაყოფში მიტინგი შედგა მგალობლიშვილის ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო, მან ამხა- ნაგების წინაშე წარმოთქმული სიტყვა ასე დააბოლოვა:

„მე ამხანაგებო არ მახსოვს მშობლები, არ ვიცი რა არის მშობ- ლიური ალერსი, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი აღმზრდელი არის ჩემი დე- ჯასამშობლო, რომელმაც ასე დამავაყვაცა და ადამიანად მაქცია. დღიდან წითელი არმიის გაწვევისა ყოველ ღონეს ვხმარობდი, ისე დავუფლებობდი სამხედრო იარაღს, რომელიც ჩემმა თავისუფალმა სამშობლომ ჩავგებაბარა მის დასაცავად, რომ აღმზრდელ თავისუფალ მიწისათვის ჩემი უცნობი მშობლების ძვლებისათვის სირცხვილი არ მექმია“².

¹ მ. ი. კალინინი, ბრძოლა კავკასიისათვის, სახელგამი, გვ. 14, 1942 წელი.

² საქ. სსრ მეც. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი № 2, საქმე 124, 1943 წელი.

ჩრდილოეთ კავკასიისათვის ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მამა და შვილი კონსტანტინე და ნოდარ ჩხარტიშვილები. ნოდარ ჩხარტიშვილი მეცხრეკლასელი კომკავშირელი იყო, როდესაც მოხალისედ წავიდა არმიაში და მოხვდა იმ პოლკში, რომელსაც მისი მამა კონსტანტინე მეთურობდა. ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის აღების დროს მაიორმა ჩხარტიშვილმა თავისი მებრძოლებით მიაშურა იმ სახლს, რომელშიაც გერმანელები იყვნენ გამაგრებული. შეტაკების გადამწყვეტი მომენტი დადგა. გაცხარებულ ბრძოლაში ნოდარმა შეამჩნია, რომ მამას საფრთხე მოელოდა, სწრაფად გადაუღობა გზა ჰიტლერელს და გადაარჩინა მშობელი. ერთ-ერთ ბრძოლაში მამის დაღუპვის შემდეგ ნოდარმა ისევ გააგრძელა ბრძოლა, რისთვისაც იგი დაჯილდოებული იქნა მედლით მამაცობისათვის.¹

ამ დროისათვის საყოველთაოდ ცნობილი გახდა კომკავშირში აღზრდილის, ბატალიონის მეთაურის, კაპიტან ბუხაიძის მამაცობა. იგი დაჭრილი მიუძღოდა წინ მეთაურებს და მტრის გრიგალისებურ ცეცხლის ქვეშ პოზიციებს პოზიციებზე იკავებდა. მისი ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.²

კავკასიის გმირულ დაცვაში სახელი მოიხვეჭა სამთო მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც გენერალმაიორი გ. ყურაშვილი მეთაურობდა.

ჩრ. კავკასიაში გერმანელთა დამარცხების შემდეგ ჩვენი ჯარები იწყებენ შეტევას შავი ზღვის სანაპიროებისაკენ.

სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების შემდეგ დაიწყო ძირეული გარდატეხა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მთელ მსვლელობაში.

1942 წლის დასასრულს თავდაცვითი ბრძოლებიდან საბჭოთა არმია გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე და დაიწყო საბჭოთა ქვეყნიდან ფაშისტი დამპყრობლების განდევნა.

1944 წელს საბჭოთა ჯარებმა მთლიანად გაათავისუფლეს ოკუპანტებისაგან ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი.

¹ წითელარმიული გაზეთი „სამშობლოს დამტველი“, 1943 წ., 31 მარტი.

² საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 2, საქმე 101, 1943 წელი.

ძლევამოსილმა არმიამ, სდევნიდა რა ფაშისტ დამპყრობლებს ბერლინამდე, უდიდესი დახმარება გაუწია აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს ფაშისტური რეჟიმის დამხობაში.

საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევითი ოპერაციები 1945 წლის მაისის დასაწყისში დამთავრდა გერმანულ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებით. გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

საბჭოთა არმიის სხვა მებრძოლებთან ერთად ქართველმა მეომრებმა შეტევით ბრძოლებში დიდი გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს. 414-ე ქართულმა დივიზიამ განუწყვეტელი ბრძოლებით განვლო კავკასიიდან სევასტოპოლამდე და მონაწილეობა მიიღო ტამანის ნახევარკუნძულის, ანაპისა და სევასტოპოლის გათავისუფლებაში. ამ დივიზიის ერთ პოლკს ეწოდა ანაპის, ხოლო ორს — სევასტოპოლის სახელი.

არმიამ, რომელსაც გენერალბოლკოვნიკი კ. ლესელიძე სარდლობდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ყუბანის, ნოვოროსისკისა და უკრაინის გათავისუფლებაში.

ოფიცერ ირემადის დანაყოფის ასამდე კომკავშირელი ჩაება ბრძოლებში ტამანის ნახევარკუნძულის მიმართულებით. ერთ-ერთი სტანიცის აღებაში თავი გამოიჩინა უფროსმა სერჟანტმა კომკავშირელმა კანკავამ, რომელიც პირველი გაიჭრა წინ თავისი ოცეულით.

ისინი ქართული ვაშას ძახილით ეკვეთნენ მტერს. ამ ბრძოლებში მამაცის სიკვდილით დაეცა კომკავშირელი კანკავა¹.

მუხრანელმა ჰაბუკმა დ. მებაღიშვილმა მოკლე დროში წარჩინებული მებრძოლის სახელი დაიმსახურა და სამხედრო წოდებაც მიიღო. ამის გამო დედისადმი გაგზავნილ წერილში წერდა:

„...სისხლად შემერგოს, დედილო, შენი ტკბილი რძე, თუ მტერს მტრად არ დავუხვდი და არ გასახელო ქართველი დედა“².

მტრის ნაღმტყორცნმა სასიკვდილოდ დაჭრა სახელოვანი არტილერისტი დ. მებაღიშვილი. მან სიკვდილის წინ თანამებრძოლებს მტერზე შეტევისაკენ მოუწოდა.

¹ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი 3, საქ. № 559, 1946 წელი.

² ვახეთ „სამშობლოს დამცველი“, 1943 წ., 9 იანვარი.

სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა კომკავშირელმა ათეულის მეთაურმა ს. ჩხაიძემ. ხელჩართულ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა თავში, მაგრამ ბრძოლის ველიდან არ გამოვიდა. იგი დაწინაურებულ იქნა ჯერ ბატალიონის, ხოლო შემდეგ პოლკის კომკავშირის ბიუროს მდივნის პოსტზე¹.

ხარკოვისა და ბელგოროდის გასათავისუფლებლად ბრძოლებში მონაწილეობისათვის კომკავშირელი შ. გოგორიშვილი ორჯერ იქნა დაჯილდოვებული წითელი დროშის ორდენით. მისი ქვეგანაყოფი ყოველთვის სანიმუშოდ ასრულებდა სარდლობის დაავლებას. იგი გმირის სიკვდილით დაეცა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მებრძოლვებმა და ოფიცრებმა ბრესტის ქალაქის პარკში მიწას მიაბარეს სამშობლოსათვის თავდადებული მამაცი ოფიცრის შ. გოგორიშვილის ნეშტი. ნაწილის სარდლობის ბრძანებით მის საფლავზე დადგეს ძეგლი ტანკი.²

უკრაინის მიწაწყალზე მამაცური ბრძოლისათვის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა კომკავშირში აღზრდილ კ. ტყაბლაძეს.

კამეტ მეთვრამეტესთან ერთად მეთევზის ნავით იგი გადავიდა დნებრის მეორე ნაპირზე, მოულოდნელად თავს დაესხა გერმანელებს, რითაც საშუალება მიეცა ჩვენს მებრძოლებს, მასიურად გადასულიყვნენ დნებრის მარჯვენა ნაპირზე³.

მტრის საბოლოო განადგურების საქმეში ქართველი მეომრების არა ერთი სახელი ჩაიწერა სამამულო ომის ისტორიაში.

კამენეც-პოდელსკი, პროსკუროვი, ტარნოპოლი, ლვოვი, პერემილში, მდინარე ვისლა — აი, ის ადგილები, სადაც იბრძოდა და საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა ახალგაზრდა ქართველმა ტანკისტმა თ. ჯაფარიძემ.⁴

მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილით აღსავსე იბრძოდა აღმოსავლეთ პრუსიაში შ. გამცემლიძე. 1945 წლის 20 იანვარს გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა კომკავშირელმა შ. გამცემლიძემ საგმირო საქმით უკვდავყო თავისი სახელი. ერთ-ერთ ბრძოლის გადამწყვეტ

¹ ვაზ. „კომუნისტი“, 1944 წელი 9 ივლისი.

² ვაზ. „კომუნისტი“, 1944 წელი, 16 სექტემბერი.

³ ვაზ. „კომუნისტი“, 1944 წელი, 23 თებერვალი.

⁴ ვაზ. „კომუნისტი“, 1945 წელი, 28 იანვარი.

მომენტში გრანატების კონით გამცემლიძე შევარდა მტრის ტანკის ქვეშ და თავისი სიცოცხლის ფასად ააფეთქა იგი. ამან საშუალება მისცა ჩვენს ნაწილს, მტერი უკუეჭცია და შეენარჩუნებინათ თავდაცვითი ზღუდე¹.

სამშობლოსათვის თავდადებულ ახალგაზრდა მებრძოლ შ. გამცემლიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ბერლინის მისადგომებთან ბრძოლებში სახელი გაითქვა ოცუთის მეთაურმა კომკავშირელმა სერჟანტმა ი. კაპანაძემ. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მოსაზრებელი მოქმედებით. ბერლინის ცენტრალური ნაწილის აღების დროს კაპანაძემ მიიღო 4 მძიმე ჭრილობა მარცხენა ხელში, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლას. მან მამაცური ბრძოლისათვის თვით ბერლინში მიიღო მე-7 და მე-8 ჯილდო — „წითელი ვარსკვლავის ორდენი“ და მედალი — „ბერლინის აღებისათვის“².

ბერლინის აღებისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს კომკავშირში აღზრდილი, ო. ჩეჩელაშვილი. იგი ყოველი სამხედრო გაფრენის დროს იჩენდა არაჩვეულებრივ მამაცობასა და გმირობას.

სამამულო ომის ისტორიაში საბჭოთა კავშირის გმირის სახელი მოიპოვა ჯვარელმა ახალგაზრდამ მ. ქანთარია. მან ბერლინში, რაიხსტაგის გუმბათზე, რუს მ. ეგოროვთან ერთად, პირველმა ააფრიალა გამარჯვების დროშა³.

არა ერთმა ქართველმა კომკავშირელმა გამოიჩინა თავი ბერლინისათვის ბრძოლაში. ისინი მამაცურად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და ყოველთვის წარმატებით ასრულებდნენ საბრძოლო დავალებებს.

ბერლინისათვის ბრძოლამ მთელ მსოფლიოს დაანახვა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.

პიტლერული გერმანიის განადგურების სამი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირმა აიძულა იმპერიალისტური იაპონია, უსიტყველ კაპიტულაცია გამოეცხადებინა.

სამამულო ომმა ცხადყო, თუ რა შეუძლია ხალხს, რომელიც

¹ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1945 წელი, 29 მარტი.

² საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების არქივი, ფონდი № 3, საქმე № 658, 1947 წელი.

³ იგივე არქივი, ფონდი № 3, საქმე № 964, 1950 წელი.

იცავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. გამართლდა დიდი ლენინის სიტყვები იმ ხალხის უძლეველობის შესახებ, რომლებმაც საკუთარ ხელში აიღეს ხელისუფლება: „ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათ და მათ შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.¹

ქართველმა მეომრებმა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ღირსეულად მოიხადეს მოვალეობა სამშობლოს წინაშე და სოციალისტური სამშობლოს ყველა შვილთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების დიად საქმეში.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ; ტ. 29. მეოთხე გამოცემა, გვ. 370.

ა. ქუთათელაძე

იმერეთის კირქვიანების ფლორის შესწავლისათვის *

შ ე ხ ა ვ ა ლ ი

დასავლეთ საქართველოს კირქვიანების ფლორა მისი ორიგინალურ ენდემურ სახეთა სიმდიდრით ძველთაგანვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას, მიუხედავად ამისა შრომა დასავლეთ საქართველოს კირქვიანების ფლორისადმი მიძღვნილი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

რამდენიმე წლის განმავლობაში აღ. წულუჭიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებთან საველე პრაქტიკის გავლის პერიოდში ჩვენ საშუალება გვქონდა რამდენადმე ვაეცნობოდით ოკრიბის კირქვიანების ფლორას, მასალების სიუხვემ და მისმა მრავალფეროვნებამ მთელი იმერეთის კირქვიანების ფლორის შესწავლის ამოცანა დაგვისახა. მუშაობა განვაგრძეთ. დაკვირვებას ვაწარმოებდით ოკრიბაში, ქუთაისის და წყალტუბოს მიდამოებში, ზემოიმერეთში (ძირულის მასივზე), ვანის, კიათურის და საჩხერის რაიონში. შევაგროვეთ მცენარეთა მრავალი საჭერბარიუმო მასალა, როგორც ყვავილობაში ისე ნაყოფობაშიც (სულ სხვადასხვა ოჯახის 90+ სახე). მასალის შეგროვებასთან ერთად ბუნებრივ პირობებში მცენარეთა დაჯგუფებების სისაც ვადგენდით. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს იმერეთის კირქვიანების მცენარეული საფარისა და საზოგადოდ ფლორის დაწვრილებითი ანალიზის შედეგს¹.

იმერეთის კირქვიანების მცენარეულობას საერთო მიმოხილვა

იმერეთი ფლორისტულად მიეკუთვნება კოლხეთის ტყის ბოტანიკურ პროვინციას, რომელიც, როგორც ცნობილია, ხასიათდება

* იბეჭდება დისერტაცია შემოკლებულად.

¹ შრომა შესრულებულია დოც. ლ. მ. კემულარია-ნათაძის ხელმძღვანელობით, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუძღვნი მას.

რელიქტური მეზოფილური ტყის ფორმაციებით და მდიდარია მარადმწვანე ქვეტყით, რომლის დამამწვანებლად სამართლიანად ითვლება ჩვენი შქერი *Rhododendron ponticum* L., Rh. Ungernii Trautv. და Rh. Smirnovii Trautv., გარდა ამისა ამ ტყის თანამგზავრია წყავი *Laurocerasus officinalis* Roem., ბაძგი *Ilex colchica* Pojark. ამ რელიქტურ ტყეს, რომელიც ალბოვის „შერეული ტყის“ სახით არის ცნობილი, მალევემა სამართლიანად „ტყის ფორმაციების და ტიპების რთული კომპლექსი“ უწოდა; მართლაც, ის შექმნილია მუხნარ-წიფლნარებით, მუხნარ-ძელქვიანებით, წიფლნარ-რცხილნარებით, წიფლნარ-წაბლნარებით და სხვა მრავალნარი ტყის დაჯგუფებებით.

კოლხეთის ტყის და საერთოდ მისი მთელი მცენარეულობის ვერტიკალური სარტყლიანობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ ძირითადად მაინც ვორონოვ მალევეის დაყოფაა მიღებული. მხოლოდ ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია ალბური და სუბალბური სარტყლების დამატებით გამოყოფა, როგორც ეს მოცემულია ნ. კუზნეცოვის (14), ა. გროსჰეიმის და დ. სოსნოვსკის (7) და სხვ. შრომებში. ამრიგად, კოლხეთის პროვინციისათვის დამახასიათებელია შემდეგი სარტყლები: ტყის ქვედა შუა და ზედა სარტყელი, სუბალბური და ალბური სარტყელი.

1. ტყის ქვედა სარტყელი ზღვის დონიდან 0—650—700 მ. სიმაღლეს აღწევს და ხასიათდება ძირითადად მრავალფეროვანი ფოთლოვანი ტყეებითა და ქვეტყით, რომელთა შორის ლიანები სპარბოზენ (უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ — სპარბოზდენ); ამ ტყეებში ვორონოვი არჩევდა ძირითადად სამ ფორმაციას: წიფლნარ-რცხილნარი, წიფლნარ-წაბლნარი, და მუხნარ-ჯაგრცხილნარი; ნესტიან და დაჭაობებულ ადგილებისათვის უმატებს კიდევ ერთს — შურყნარების ფორმაციას.

2. ტყის შუა სარტყელი ზღვის დონიდან 650—700 მეტრის სიმაღლემდე (ან კიდევ 1200 მეტრამდე). ამ სარტყლის ტყეები შედგება წიფლნარების და ზოგჯერ წიფლნარ-წაბლნარებისაგან იმავე შემადგენლობის მარადმწვანე ქვეტყით, როგორიც ტყის ქვედა სარტყელში, რომლის წარმომადგენლები გარდა ბზისა¹, სცილდებიან ტყის ზედა სარტყელს და იჭრებიან სუბალბურ სარტყელში, მაგ.; *Ilex colchica* Pojark., *Laurocerasus officinalis* Roem., *Vaccinium arctostaphylos* L. და სხვა.

¹ თუმცა ბზა ჩვენს მიერ ნანახია (და ჰერბარიუმი გვაქვს აღებული) ცხრა-ჯვარზე — 1570 მ.

3. ტყის ზედა სარტყელი იწყება 1200—1300 მეტრიდან და 2000 მეტრამდე აღწევს. იგი ხასიათდება წიფლნარებით და წიწვიანებით: კავკასიის სოკით *Abies Nordmanniana* (Stev.) Pach., ნაძვით *Picea orientalis* (L.) Link; წიწვიანები აქ არ ქმნიან სარტყელს, ისინი იზრდებიან უმთავრესად ხეობებში და შედარებით ტენიან ჩრდილო ფერდობებზე, მაშინ, როდესაც მშრალ სამხრეთ ფერდობებზე ისინი შეცვლილია წიფლნარებით; ჩრდილო რაიონებში წიწვიანი ტყეების ძირითადი ედიფიკატორია სოკი, სამხრეთის ნაძვი. ამ სარტყლის ქვეტყის შემადგენლობაში ეხედავთ იმ მარადმწვანე ბუჩქებს, რომლებიც ტყის შუა სარტყელშიც გვხვდება. აქ ემატება იმერული ხეჭრელი *Rhamnus imeretina* Booth, ხეებიდან მთის ნეკერჩხალი *Acer Trautvetteri* Medw., *Quercus pontica* C. Koch, რომლებიც ამ სარტყელს ეკუთვნიან და ქვევით არ ჩამოდიან. გარდა ამისა, ამ სარტყლისათვის დამახასიათებელია ტყის ველობები მაღალბალახეულობათა დაჯგუფებებით, რომლებიც შემადგარია უმთავრესად შემდეგი სახეებისაგან: *Acouitum orientale* Mill., *Telekia speciosa* (Schreb.) Baumg., *Cephalaria gigantea* (Ledeb.) E. Bobr., *Campanula latifolia* L., *C. lactiflora* M. B., *C. glomerata* L., *Senecio platiphyllus* D C., *Valeriana colchica* Utkin, *Symphytum asperum* Lepech. და სხვ. ტყის ზედა სარტყლის საზღვარზე წითელთან და სოკთან ხშირად გვხვდება არყები *Betula verrucosa* Ehrh., *B. megrelica* D. Sosn. და *B. Litwinowi* A. Doluchanov.

4. სუბალპური და ალპური სარტყელი იწყება 2000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. სუბალპური სარტყელი ხასიათდება მაღალბალახეულობის ცენოზებით, რომლებიც შეგუებული არიან ტენიან ადგილებთან, აღნიშნულ სარტყელში წარმოდგენილია დეკიანები და სუბალპური მდელოებიც; ეს უკანასკნელი შედგება მარცვლოვანთა და ნაირბალახოვანთა სახეების სხვადასხვა დაჯგუფებებისაგან. ეს სახეებია: *Delphinium speciosum* M. B., *Pulsatila aurea* (S. et L.) Juz., *Anemone fasciculata* L., *Aquilegia olympica* Boiss., *Ranunculus Raddeanus* Rgl., *Astragalus Frickii* Bge., *Oxytropis cyanea* M. B., *Heracleum aconitifolium* G. Wor., *Polylophium Panjutinii* I. Manden. et B. Schischk., *Verbascum speciosum* Schrad., *Kemulariella caucasica* (W.) Tam., *Inula grandiflora* Willd., *Anthemis platiglossa* C. Koch., *Pyrethrum carneum* M. B., *P. roseum* M. B., *P. chamaemelifolium* (S. et L.) D. Sosn., *Primula auriculata* Lam., *Poa alpina* L., *Agropyrum Buschianum* Roshev.

აღბური სარტყელი ხასიათდება დაბალი ტანის 10—15 სმ სიმაღლის მარცვლოვან ნაირბალახოვანთა დაჯგუფებებით. ასეთებია: *Sibbaldia parviflora* Willd., *Aster alpinus* L., *Erigeron alpinus* L., *E. caucasicus* Stev., *Astrantia maxima* Pall., *Euphrasia petiolaris* Wettst., *Thymus Grossheimii* Roon., *Anthemis Rudolphiana* (D C.) Ad., *Chamaemellum Schowitsii* (D C.) Boiss.; *Campanula Albövii* Kolak., *C. alpigena* C. Koch, *C. sphaerocarpa* A. Kolak., *C. Trautvetteri* Grossh., *Polygala alpicola* Rupr., *Asfragalus incertus* Ledeb., *Draba polytricha* Ledeb., *Dianthus Ruprechtii* Schischk., *Minuartia oreina* (Mattv.) Schischk., *Veratrum lobelianum* Bernh., *Trifolium caucasicum* Tansch., *Aetheopappus pulcherrimus* (Willd.) Cass., *Betonica grandiflora* Willd., *Androsace albana* Stev., *Anthemis rudolphiana* (D C.) Ad., *Primula algida* Ad., *P. auriculata* Lam., *Galanthus latifolius* Rupr., *Poa alpina* L. და სხვ. აქ არჩევენ აღბურ ხალხს, უფრო ღრმა და ტენიან ნიადაგებზე განვითარებულ დაკორდებულ მცენარეთა ჯგუფს და აღბურ მდელოებს; შედარებით მშრალ ღორღიან ნიადაგებზე სუსტად დაკორდებულ მარცვლოვანთა ჯგუფს; ამ უკანასკნელთა შორის დამახასიათებელ დომინანტად ითვლება რუპრეხტის წივანა *Festuca Ruprechtii* (Boiss.) Krecz. et Bobr.

1958 წელს პროფ. ა. კოლაკოვსკიმ მოგვცა კოლხეთის ახალი ფრიად ორიგინალური ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, რომელშიც კოლხეთის პროვინციას ჰყოფს სამ დამოუკიდებელ პროვინციად: ლიტორალურ, ტყის და აღბურ პროვინციებად; თითოეულ მათგანში არჩევენ ქვეპროვინციებს რაიონებით. ჩვენი შესწავლის საგანი — რაიონი პირველ პროვინციას არ ეხება და ამიტომ მას აქ ჩვენ არ შევხებით. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ორი უკანასკნელი ქვეპროვინციების დახასიათება.

პროფესორი ა. კოლაკოვსკი კოლხეთის ტყის და აღბურ პროვინციას არჩევენ არაკირქვიანების და კირქვიანების ქვეპროვინციებს. კოლხეთის ტყის პროვინცია, ა. კოლაკოვსკის გაგებით, უდრის კუზნეცოვის, ვორონოვის, მალევეის, სოსნოვსკის, გროსჰეიმის და სხვების კოლხეთის პროვინციის ტყის სარტყლებს, რომელთა შორის გამოყოფილია, როგორც ზემოთ ვთქვით, არაკირქვიანების და კირქვიანების ფლორისტული ქვეპროვინციები. პირველ ქვეპროვინციას ახასიათებს რელიქტური მეზოფილური ტყეები მისი მარადმწვანე ქვეტყით; აღნიშნული პროვინცია გამოირჩევა სახეების სიმრავლით, მეტადრე მისი ქვედა სარტყელი, რომლის სახეთა რიცხვი მთელი კოლხეთის ფლორის 60%-ს შეადგენს,

გარდა ამისა, მისი ფლორა ძლიერ ორიგინალურია; მაგალითად, ა. კოლაკოვსკის მიერ ამ სარტყლისათვის მოყვანილია 130 სახე, რომელთა გავრცელება შემოსაზღვრულია მხოლოდ ამ ქვეპროვინციით და კოლხეთის სხვა ფიტოცენოზებში არ გვხვდება.

კოლხეთის ტყის ლანდშაფტს ჰქმნიან ძირითადად მურყნარები (თხმელნარები), მუხნარები; მუხნარები ძირითადად შექმნილია იმერული მუხისაგან *Quercus imeretina* (Stev.) Maleev, ფერდობებზე კი ქართული მუხისაგან *Q. iberica* Stev.; ამ სარტყელში ხშირია შერეული ტიპის ტყეები მუხნარ-რცხილნარი და მუხნარ-ძელქვიანი.

ტყის ზედა სარტყლის ფლორისტული შემადგენლობა უფრო ლარიბია და ნაკლებ ორიგინალურიც; მის ლანდშაფტს ძირითადად ქმნიან წიფლნარი აღმოსავლური წიფელასაგან *Tagus orientalis* Lipsk. და წიწვიანი ტყეები კავკასიური სოკისა *Abies Nordmanniana* (Stev.) Spach. და აღმოსავლური ნაძვისაგან *Picea orientalis* (L.) Link.

ამ ქვეპროვინციის ტყის ქვედა სარტყლის დამახასიათებელ მაკროფლორას წარმოადგენს „წაბლის ფლორა“ *Castanea sativa* Mill. მეზოფლორას — „კავკასიის სოკის ფლორა“ *Abies Nordmanniana* (Stev.) Spach. და მიკროფლორას შქერიანის ფლორა *Rhododendron Ungernii* Trautv., *Rh. ponticum* L.

კოლხეთის ტყის პროვინციის კირქვიანების მცენარეთა ქვეპროვინციას ა. კოლაკოვსკი ახასიათებს შემდეგნაირად: ძლიერ განვითარებულია ხეობების შერეული ტყის ვარიანტები კოლხური ბუხის *Buxus colehica* Pojark. ქვეტყით, ძლიერ შემცირებულია მარადმწვანე ბუჩქების ლანდშაფტური სინუზიები, შქერიანების, დეკიანებისა და ბუჩქნარი კრაზახების *Hypericum inodorum* Willd. და *H. androsaemum* L.-ს ელიმინაციებით და წყავის *Laurocerasus officinalis* Roem. და ბაძგის *Ilex colehica* Pojark.-ს შენარჩუნებით; განვითარებულია კირქვიანების სპეციფიკური ქვერცეტალური (მუხნარების) სინუზიები შემდგარი თუთუბოსაგან *Rhus coriaria* L., კოლხური ჯონჯოლისაგან *Staphylea colehica* Stev. და სესლერიასაგან *Sesleria anatolica* Deyl. განვითარებულია კლდის ორიგინალური კომპლექსური დაჯგუფებანი, რომლებიც განიარჩევიან კირქვიანების ენდემების სიმდიდრით.

კოლხეთის ტყის პროვინციის კირქვიანების ქვეპროვინციის დამახასიათებლად ა. კოლაკოვსკის „კოლხეთის ბუხის *Buxus colehica* Pojark. მიკროფლორა“ მიაჩნია.

კოლხეთის ალპური პროვინციის არაკირქვიანების ქვეპროვინცია ა. კოლაკოვსკის მიერ დახასიათებულია დეკიანების *Rhodo-*

gendron caucasicum Pall. ფორმაციებით, მაღალბალახეულობის მდელოების და ალპური ხალხების განვითარებით, აგრეთვე, შისთვის დამახასიათებელია *Sredinskya grandis* (Frantv.) Fedorov მიკროფლორა“.

კოლხეთის ალპური პროვინციის კირქვიანების ქვეპროვინციას ახასიათებს მიკროფლორა *Geum speciosum* Alb. (*Woronowia speciosa* (Alb.) Juz. და მაღალბალახეულობათა სუსტი განვითარება დამახასიათებელია აგრეთვე კლდის და ჩამონახვავების მცენარეთა დაჯგუფებანი, რომელთა შემადგენლობაში ყოველთვის ლებულობს მონაწილეობას კოლხეთის დიდი *Heraclium colchicum* Lipsky და აგრეთვე სხვადასხვა ენდემური სახეები.

იმერეთის კირქვიანები მთლიანად მოთავსებულია კოლხეთის ტყის პროვინციის კირქვიანების ქვეპროვინციის მთისწინებზე და მთიან რაიონებში.

ა. კოლაკოვსკი ჩვენ საკვლევ რაიონს უქვემდებარებს რაჭა-ლეჩხუმის ფლორისტულ რაიონს და ამ უკანასკნელს ახასიათებს, როგორც კირქვიანების ტყის ქვეპროვინციის ერთ უდიდეს რაიონს. რომელსაც უკავია იმერეთის მთისწინები, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის და ნაქერალას მთების ფერდობები მდ. მდ. რიონის და ყვირილას აუზებში — „Рача-Лечхумский район один из наиболее крупных районов известняковой лесной подпровинции, занимающий предгорную полосу Имеретии — на склонах Мегрельского, Рача-Лечхумского и Накеральского хребтов, в бассейнах рек Риона и Квириды“ — წერს ა. კოლაკოვსკი. ეს ახალი რაიონი ბუნებრივია. იგი მრავალი საერთო ენდემებით ხასიათდება, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, იმერეთის კირქვიანების რაიონი, რომელსაც ახასიათებს 15-მდე ენდემური სახე და ლეჩხუმზე ბევრად დიდ ფართობს შეიცავს, უნდა გამოიყოს დამოუკიდებელ რაიონად, „იმერეთის რაიონის“ სახელწოდებით, ან, თუ მას დაუქვემდებარებთ რაჭა-ლეჩხუმის რაიონს, მაშინ უკანასკნელს ნაწილობრივ უნდა შეეუკვალოთ სახელწოდება და ეიხმაროთ „რაჭა-იმერეთის“ რაიონი; მით უმეტეს, რომ ლეჩხუმის ტერიტორია ხშირად იმერეთის ნაწილადაა ცნობილი.

ჩვენი შესწავლის საგანია იმერეთის კირქვიანების ფლორა; იმერეთი კი წარმოადგენს კოლაკოვსკის მიერ გამოყოფილი კირქვიანების ტყის ქვეპროვინციის რაჭა-ლეჩხუმის ფლორისტული რაიონის ნაწილს, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ამ ნაწილის-იმერეთის კირქვიანების ფლორას დავახასიათებთ.

ჩვენი საკვლევი რაიონი მჭიდროდ არის დასახლებული და მისი უმეტესი ნაწილი დაკავებულია სოფლის მეურნეობის კულტურებით.

აღნიშნული რაიონის პირველადი მცენარეულობა, რომელიც შედგებოდა კოლხეთის „შერეული ტყის“ ტიპის მუხნარი, მუხნარ-რცხილნარის ფორმაციებისაგან ძლიერ შეცვლილია და შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტულად, უფრო ხშირად ხეობებში.

მთისწინებზე და მთის ქვედა სარტყელში მუხნარი შედგება იმერული *Quercus imeretina* (Stev.) Maleev და ჰარტვისის *Q. Hartwissiana* Stev. მუხებისაგან, ზოგჯერ წაბლის *Castanea sativa* Mill. შერევით; ქვედა სარტყლიდან შუა სარტყლამდე მუხნარებში ქარბობს ქართული მუხა *Quercus iberica* Stev. ჯაგრცხილების *Carpinus orientalis* Mill., ჩვეულებრივი თხილის *Corylus avellana* L. იმერეთის თხილის *C. imeretica* Kem. — Nath. ქვეტყით, მაგალითად საქოლავის ქედზე, გელათიდან ზემო გოდოვანში მიმავალი გზის ორივე მხარეზე დაცულია ტყე, რომელსაც ქმნიან დიდი ზომის შემდეგი ხეები *Quercus iberica* Stev., *Q. Hartwissiana* Stev., *Q. imeretina* (Stev.) Malev, რცხილა *Carpinus caucasica* Grossh., ნეკერჩხალი *Acer laetum* C. A. M., ცაცხვი *Tilia caucasica* Rupr., პანტა *Pyrus caucasica* A. Fed., მაქალო *Malus orientalis* Uglitz., თამელი *Sorbus torminalis* (L.) Crantz.; ჩრდილო ფერდობებზე საკმაო რაოდენობითაა წაბლიც *Castanea sativa* Mill. და წიფელიც *Fagus orientalis* Lipsky, ქვეტყეში განვითარებულია ბაძგი *Ilex colchica* Pojark., იმერული თხილი *Corylus imeretina* Kem.-Nath., პონტოური თხილი *C. pontica* C. Koch. ჩვეულებრივი თხილი *C. avellana* L., ქართული მოცივი *Vaccinium aretostaphylos* L., წერწა *Lonicera caucasica* Pall. და სხვ. გაჩეხილ ადგილებზე მრავლადაა იელი *Rhododendron flavum* (E.) Don.

ბალახოვანი მცენარეებიდან აქ მნიშვნელოვანია *Paeonia caucasica* N. Schipez., *Helleborus caucasicus* A. Br. და *H. abchasicus* A. Br., *Vinca pubescens* d'Urv., *Doronicum orientale* Hoffm., *Senecio pandurifolius* C. Koch, *Lilium Szowitsianum* Fisch. et Lall., *Veronica galathica* Boiss., *Polygala Makaschwili* Kem.-Nath., *Telekia speciosa* (Schreb.) Baumg. და სხვ.

ჩვენ საკვლევი რაიონში ძალიან ცოტა ადგილებია, სადაც კირქვიანები სცილდებოდნენ ტყის ზედა სარტყლის საზღვრებს და ტყის შემადგენლობაში წიწვიანი მცენარეები ღებულობდნენ მონაწილეობას; ასეთია ნაქერალას ქედი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ფერდობები მთლიანად შედის იმერეთის ფარგლებში. ამ ქედის სიმაღლე გადასავლელთან

1160 მეტრს უდრის, ხოლო ცხრაჯვართან 1570 მეტრია. მთელი ქედი ტყის სარტყელში მდებარეობს, მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილის (რომელიც ცნობილია გიორგის მთის სახელწოდებით და რომლის სიმაღლე 1619—1848 მეტრია), უტყეო ფართობი წარმოდგენილია ალპური ვლემენტებით; ალპურ მცენარეებს ვხვდებით ცხრაჯვარის მიდამოებშიც. ამ ქედის მცენარეულობის განლაგებაში კარგადაა დაცული ვერტიკალური სარტყლიანობა.

ტყის ქვედა სარტყელი და ხეობები ხასიათდება მუხნარით იმერული მუხისაგან *Quercus imeretina* (Stev.) Maleev. ფერდობებზე გავრცელებულია ქართული მუხა *Q. iberica* Stev. რომლებთანაც შერეულად გვხვდება ცაცხვი *Tilia caucasica* Rupr., სხვადასხვა სახის თელა *Ulmus suberosa* Moench, *U. scabra* Mill. ნეკერჩხალი *Acer campestre* L., *A. laetum* C. A. M. და მარადმწვანეებიდან შქერი *Rhododendron ponticum* L., ბაძგი *Hex colchica* Pojark., ძმერხლი *Ruscus hypophyllum* L., კოლხური სურო *Hedera colchica* C. Koch, ჩვეულებრივი სურო *H. helix* L., წყავი *Laurocerasus officinalis* Roem., ლიანებიდან ეკალა *Smilax excelsa* L., მაყვალი *Rubus*, კატაბარდა *Clematis vitalba* L. და სხვ.

შუა სარტყელში გავრცელებულია წიფლნარ-რცხილნარი მუხის *Quercus iberica* Stev. ზოგან წაბლის *Castanea sativa* Mill. შერევიით. ზოგან არის წიფლნარ-წაბლნარი რომელშიც მონაწილეობენ რცხილა *Carpinus caucasica* Grossh., მუხები *Quercus iberica* Stev., *Q. Hartwissiana* Stev., ნეკერჩხლები *Acer laetum* C. A. M., *A. pseudoplatanus* L., ცაცხვი *Tilia caucasica* Rupr., სხვადასხვა თელა *Ulmus foliacea* Gilib., *U. scabra* Mill., *U. suberosa* Moench. მდინარეების გასწვრივ არის მურყანი (თხმელა) *Alnus barbata* C. A. M.; ზოგან გვხვდება წმინდა წიფლნარი თითო-ორთა მუხის და მსხლის შერევით; ბუჩქებიდან ერთეულებად არის ბზა *Buxus colchica* Poiark., კვიდო *Ligustrum vulgare* L., ხეჭრელი *Frangula alnus* Mill, ბაძგი *Hex colchica* Pojark.

ბალახოვანი საფარიდან აღსანიშნავია *Vicia aureus* Stev., *Aruncus vulgaris* Raf., *Allium ursinum* L., *Lilium Szowitsianum* Fisch. et Lall., *Helleborus abchasicus* A. Br., *Polygonatum giaberrimum* C. Koch, *Dentaria bulbifera* L., *Erythronium caucasicum* G. Wor., *Salvia glutinosa* L., *Serratula quinquefolia* M. B., *Aconitum orientale* Mill., *Ranunculus ampelophyllus* Somm. et Lev., *Paeonia caucasica* N. Schipez., *P. Wittmanniana* Stev., რომელიც, ჩვეულებრივ, ტყის ზედა სარტყლის მცენარეა.

ტყის ზედა სარტყელი დაკავებულია კარგად შენახული წიწვი-

ანი ტყით *Abies Nordmanniana* Stev. და *Picea orientalis* Link., რომელშიც ურევია შიგადაშიგ საკმაო რაოდენობით აღმოსავლური წიფელი *Fagus orientalis* Lipsky, ნეკერჩხლები *Acer pseudoplatanus* L. და *A. platanoides* L. უფრო იშვიათად, აქა-იქ უპირატესად გვხვდება რცხილა *Carpinus orientalis* Mill., *Tilia caucasica* Rupr., *Acer Trautvetteri* Medw. ქვეტყეში დიდი რაოდენობითაა ბაძვი *Ilex colchica* Pojark., შქერი *Rhododendron ponticum* L., მოცივი *Vaccinium arctostaphylos* L., ბზა *Buxus colchica* Pojark., წყავი *Laurocerasus officinalis* Roem., ასკილი *Rosa corimbifera* Borkh., *R. Kluckii* Bess., *R. micrantha* Smith., მყევალი *Rubus moschus* Juz., ბალახოვანი მცენარეებიდან აქ გავრცელებულია *Dentaria quinquefolia* M. B., *Alchimilla Woronowii* Juz., *Pachiphragma macrophyllum* (Hoffm.) N. Busch, *Atropa caucasica* Kreyer, *Achillea biserrata* M. B., *Asplenium campanuloides* (M. B.) D. Sosn. და სხვ. ველობებზე განვითარებულია სუბალპური და ალპური მდელოების ელემენტები, მაგ. *Betonica grandiflora* Willd., *Crocus Suworowianus* C. Koch, *Gentiana Kolakowskyi* A. Dol., *Trifolium canescens* Willd., *Briza elatior* Griseb., *Alchimilla sericata* Reichenb., *A. Woronowii* Juz., *Bromus variegatus* M. B., *Orchis caucasica* (Klinge) Soò, *Ranunculus Makaschwilii* Kem.-Nath., *Draba siliquosa* M. B., *Gypsophila tennifolia* M. B. და სხვ.

ნაქერალას სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე სათბ-საძოვრები შემდეგი მცენარეებითაა წარმოდგენილი: *Phleum pratense* L., *Agrostis capillaris* L., *Calamagrostis arundinacea* (L.) Roth., *Briza elatior* Sibth. et. Sm., *Dactylis glomerata* L., *Cynosurus cristatus* L., *Poa bulbosa* L., *Festuca montana* M. B., *Bromus variegatus* M. B., *Lilium szowitsianum* Fisch. et Lal., *Convallaria transeucasica* Utkin, *Iris colchica* Kem.-Nath., *Orchis picta* Lois, *Thesium laxiflorum* Trautv., *Silene wallichiana* Klotzsh., *Trifolium canescens* willd., *Anthyllis caucasica* (Grossh.) Juz., *Coronilla Balansae* Boiss., *Lathyrus rosens* Stev., *Potentilla Ruprechtii* Boiss., *Geranium sanguineum* L., *Bupleurum polyphyllum* Ledeb., *Libanotis transeucasica* B. Schischk., *Pencedanum ruthenicum* M. B., *Heraeleum Lescowii* Grossh., *Gentiana Kolakowskyi* A. Dol., *Melanophyrum arvense* L., *Anthemys Woronowii* D. Sosn., *Cirsium Sosnowskyi* A. Charadze, *Psephellus colchicus* D. Sosn., *Centaurea Fischeri* W., *C. salicifolia* M. B., *Cephalaria gigantea* (Ledeb.) E. Bobr., *C. procera* Fisch., *Scabiosa imeretica* (S. et L.) T. Sulak., *C. latifolia* L. და სხვ.

ტყის ზედა სარტყლის კლდოვან ადგილებზე და ჩამონახვავებზე იზრდება: *Daphne pseudosericea* E. Pobed., *Draba polytricha* Ledeb., *D. siliquosa* M. B., *D. mingrelica* Schischk., *Genista Sachokiana* A. Kuthath., *Potentilla Kemulariae* O. Kapeller et A. Kuthath., *P. Ruprechtii* Boiss., *Asperula abchasica* V. Kreez., *Paeonia Wittmanniana* Stev., *Psephellus colchicus* D. Sosn., *Cirsium Sosnowskyi* A. Charadze, *Polylophium Panjutinii* I. Manden. et B. Schischk., *Gentiana Kolakowskyi* A. Dol., *G. septemfida* Pall. და სხვ.

სოფელ ახალსოფელში წინწყილას მთის მიდამოებში ტყე თითქმის მთლიანად გაჩეხილია. გვხვდება მათი ამონაყარი დაბალი ხეებითა და ბუჩქებით. გაუჩეხავ ტყეებში ტყეს ძირითადად ქმნის რცხილა *Carpinus caucasica* Grossh., ურევია წიფელი *Fagus orientalis* Lipsky, წაბლი *Castanea sativa* Mill., ჰარტვისის მუხა *Quercus Hartwissiana* Stev., ქართული მუხა *Q. iberica* Stev., ურთხელი *Taxus baccata* L., სოჭი *Abies Nordmanniana* Stev., ნეკერჩხალი *Acer lactum* C. A. M., *A. pseudoplatanus* L., ცაცხვი *Tilia caucasica* Rupr., თელა *Ulmus foliacea* Gilib., თითო-ოროდ ურევია თუთა *Morus alba* L., ხურმა *Diospyros lotus* L., ტყემალი *Prunus divaricata* Ledeb., ბალამწარა *Cerasus silvestris* (Kirschl.) Garsault.; ქვეტყე შედგება მარადმწვანე ბუჩქებისაგან, როგორც არის: წყავი *Laurocerasus officinalis* Roem., ბზა *Buxus colchica* Pojark., ბაძგი *Ilex colchica* Pojark., თავისარა *Ruscus ponticus* G. Wor., ძმერხლი *R. hypophyllum* L.; ამთ გარდა აქ ჩვეულებრივია შინდი *Cornus mas* L., პანტა *Pyrus caucasica* A. Fed., ზღმარტლი *Mespilus germanica* L., თამელი *Sorbus torminalis* (L.) Crantz., ჰანჭყატა *Euonimus leiophloea* Stev., წითელი კუნელი *Crataegus kyrtostyla* Fingerh., ჯონჯოლი *Staphylea pinnata* L., ხეშავი *Rhamnus cathartica* L., იელი *Rhododendron flavum* (L.) Don., ნოცვი *Vaccinium arctostaphylos* L., კვიღო *Ligustrum vulgare* L. მელიქაური *Daphne pontica* L. ლიანებიდან — ეკალა *Smilax excelsa* L., კატაბარდა *Clematis vitalba* L., კოლხური სურო *Hedera colchica* C. Koch, ღვედკეცი *Periploca graeca* L., ძაღლის სატაცური *Tamus communis* L. და სხვ. ღორღიან ფერდობებზე განაჩეხში მრაველადაა სხვადასხვა სახის ასკილი *Rosa canina* L., *R. corymbifera* Berkh., *R. micrantha* Sm., *R. Woronowii* Lon., წითელი კუნელი *Crataegus Cyrtostyla* Fingerh., პანტა *Pyrus caucasica* A. Fed., ჯაგრცხილა *Carpinus orientalis* Mill., შინდანწლა *Thelictaria australis* (C. A. M.) Sanadze, თხილი Co-

rilus avellana L., კვიდო *Ligustrum vulgare* L., ბალახოვანი საფარი წარმოდგენილია: ნაირბალახეულობის სახით; აქ ჩვენ ვპოულობთ, როგორც ქსეროფიტულ, ასევე ტენიანი ადგილების მცენარეულობას, როგორცაა: *Setaria verticillata* (L.) P. B., *Calamagrostis epigeios* (L.) Roth., *Holcus lanatus* L., *Dactylis glomerata* L., *Festuca montana* M. B., *Iris colchica* Kem.-Nath., *Spiranthes spiralis* (L.) C. Koch, *Orchis tridentata* Scop., *Ophrys oestrifera* M. B., *Thesium laxiflorum* Trautv., *Brachipodium silvaticum* (Huds.) P. B., *Glechoma hederacea* L., *Phytolaca americana* L., *Sambucus ebulus* L., *Aristolochia clematitis* L., *Pachiphragma macrophyllum* (Hoffm.) N. Busch, *Polygonatum glaberrimum* C. Koch, *Colehicum umbrosum* Stev., *Lilium Szowitzianum* Fisch. et Lall., *Convallaria trancaucasica* Utkin, *Argirolobium calicinum* (M. B.) Jab. et Spach, *Astragalus glycyphyllus* L., *Cytisus hirsutissimus* C. Koch, *Trifolium caucasicum* Tausch., *T. pratense* L., *Doricionium graecum* (L.) Ser., *Coronilla Balansae* Boiss., *Fragaria vesca* L., *Potentilla erecta* (L.) Hampe, *Poterium polygamum* Waldst. et Kit., *Linum angustifolium* Huds, *Polygala Makaschwilii* Kem.-Nath., *Euphorbia stricta* L., *Hypericum perforatum* L., *Bupleurum polyphyllum* Ledeb., *Daucus carota* L., *Gentiana blepharophora* E. Bordz., *Myosotis arvensis* (L.) Willd., *M. silvatica* Hoffm., *Lithospermum arvense* L., *L. purpureo-coeruleum* L., *Echium rubrum* Jasq., *Teucrium chamaedrys* L., *Stachis atherocalyx* C. Koch, *Salvia verticillata* L., *Origanum vulgare* L., *Digitalis Schischkini* Ivanina, *Euphrasia stricta* Host., *Senesio grandidentatus* Ledeb., *Echinops colchicus* D. Sosn. და სხვ.

კლდეებზე და ქვიან ადგილებზე გვხვდება: *Senecio pandurifolius* C. Koch., *Veronica galathica* Boiss., *Verbascum thapsus* L., *Seseli petraeum* M. B., *Rhamnus microcarpa* Boiss., *Cytisus caucasicus* Grossh., *Draba imeretica* Rupr., *Sedum maximum* (L.) Suter., *Thlaspi perfoliatum* L., *Arabis hirsuta* Scop., *Dianthus imereticus* (Rupr.) Schischk.

ტყეში და ტყისპირებში ბალახოვანი საფარიდან წარმოდგენილია: *Achillea biserrata* M. B., *Solidago virgaurea* L., *Paeonia caucasica* N. Schipez., *Helleborus caucasicus* A. Br., *H. abchasicus* A. Br.; *Anemone ranunculoides* L., *Rubus sanguineus* Friv., *Euphorbia amygdaloides* L., *E. macroceras* F. et M., *Daphne mezereum* L., *Hypericum androsaemum* L. და სხვ.

ჭიათურის შამგორის გადასავლისკენ ჯრუჭის მონასტრამდის მაღალი ხეები თითქმის არ გვხვდება. ერთეულად გვხვდება რცხილა *Carpinus caucasica* Grossh.; ბუჩქებიდან აქ ჭარბობს თრიმლი *Cotinus coggygria* Scop., კუნელი *Crataegus microphylla* C. Koch., ჯაგრცხილა *Carpinus orientalis* Mill., კვილო *Ligustrum vulgare* L., *Cytisus hirsutissimus* C. Koch.

ტყე, რომელზედაც ლომაკინი 1900 წელს წერდა, როგორც ტიპური კოლხეთის ტყე გაუვალი ქვეტყით, რასაკვირველია, აქ არ არსებობს მის მაგივრად ჩვენ ჯრუჭის მონასტრიდან ზევით ვხვდებით წიფლნარს, რომელშიც შერეულია ნეკერჩხალი *Acer Trautvetteri* Medw., ცირცელი *Sorbus caucasigena* Comarov, წერწა *Lonicera caucasica* Pall., იმერული ხეჭრელი *Rhamnus imeretina* Booth. და სხვ. ბალახოვანი მცენარეებიდან აქ გვხვდება *Trifolium caucasicum* Tausch., *Geranium gracile* Ledeb., *Ranunculus ampelophyllus* Somm. Let ev. და სხვ.

